

K 274.592  
3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველო  
რუსთაველის  
სახლი





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიის არქეოლოგიისა და

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი


ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ

И ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1966



Г Р У З И Я В  
Э П О Х У  
Р У С Т А В Е Л И

СБОРНИК ПОСВЯЩЕННЫЙ ВОО-ЛЕТНИЮ СО ДНЯ  
РОЖДЕНИЯ РУСТАВЕЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1966

83

4.

147.9379  
ს-39  
საქართველოს  
საბჭოთავო  
საბიბლიოთეკო  
სისტემა

# საქართველო რუსთაველის ხანაში

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი  
მიძღვნილი კვლეული



გეოგრაფიკა «მეცნიერება»  
თბილისი  
1966

9 (C 41)  
9 (47. 922)  
ს 322

კრებულში გაშუქებულია რუსთაველის დროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გენიალური პოეტის შემოქმედების გაგებისათვის; ნაჩვენებია ამ შემოქმედების ორგანული კავშირი XI — XII საუკუნეების ქართულ სინამდვილესთან. წერილების ერთი ნაწილი ეძღვნება ეპოქის შესახებ ქართულ თუ უცხო ენებზე არსებულ რამდენიმე წყაროს, რომელიც აქამდე ნაკლებად ცნობილი ან შეუსწავლელი იყო.

სარიდაქმნო კოლეგია:

- ბ. მელიქიშვილი
- მ. დუმბაძე
- რ. კიკნაძე
- ძ. ჩხატარაიშვილი

K 274.592  
3



ქართული

ქართული ენის ენციკლოპედია

გამზი ადმგაბი

## საქართველოს ისტორიული სინამდვილა და შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველი აღმავალი და ძლიერი ფეოდალური საქართველოს შვილი იყო და მისი შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა. „ვეფხისტყაოსანის“ შეფასება და ავტორის იდეოლოგიის გარკვევა შეუძლებელი იქნება ისე, თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოს ისტორიულ ვითარებას XII საუკუნეში, როდესაც დიდი ქართველი ჰუმანისტი წარმოიშვა.

ამ წერილის მიზანია მოკლედ გაცნოს მკითხველს რუსთაველის ეპოქის ისტორიული განვითარება და აჩვენოს გენიალური პოეტის ნააზრევის ორგანული კავშირი მშობლიურ სინამდვილესთან, რამაც „ვეფხისტყაოსნის“ არაჩვეულებრივი წარმატება განაპირობა.

„მესიის მახვილი“—ასე უწოდებდნენ თავს ქართველი მეფეები ძლიერების ხანაში და ამით გვაუწყებდნენ, რომ მათ მოღვაწეობას მახლობელ აღმოსავლეთში მესიის ანუ ქრისტიანთა მხსნელის მნიშვნელობა ჰქონდა. სინამდვილეში ქრისტეს წმინდა სახელს ამოფარებული მახვილი მაშინ არა მარტო „ურწმუნო“ მოძალადეთა ჩვენი სამშობლოდან განდევნისა და საქართველოს გაერთიანების საქმეს ემსახურებოდა, არამედ ქვეყნის საზღვრების გაფართოებასაც, რაც ათასობით აღამიანთა მსხვერპლს იწირავდა. „მესიის მახვილი“, რომელიც არსებითად პოლიტიკური ბრძოლის რელიგიურ საფარველს გამოხატავდა, ფეოდალთა კლასის მახვილი იყო და მისვე სოციალურ-პოლიტიკურ ბატონობას ემსახურებოდა.

საქართველო, X ს. მიწურულიდან მოყოლებული, თანდათანობით ძლიერდებოდა, ხოლო XII საუკუნეში მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

X ს. მიწურულსა და XI ს. დამდეგს ძირითადად გაერთიანებული ბულმა ქვეყანამ საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ამიერკავკასიაში. მართალია, ამ დროს ქართული მიწა-წყლის მთლიანად გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, მაგრამ მეფე ბაგრატ III-ის საბრძანებელი მაინც გასცდა საკუთრივ საქართველოს ფარგლებს.

ბაგრატიონთა საგვარეულოს მემატიანე სუმბატ დავითის ძე, როგორც ფეოდალთა კლასის წარმომადგენელი და სამეფო ხახლის პოლიტიკის მომხრე, რამდენადმე გაზვიადებულად წარმოგვიდგენდა ბაგრატ III-ის წარმატებებს<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, სუმბატს უეჭველად ჰქონდა საფუძველი ალტაცებული ყოფილიყო ბაგრატიონთა გონივრული საგარეო პოლიტიკით. ბაგრატმა ადარბადაგან-შარვანის ქვეყანა ყმადნაფიცობის პირობით დაიმორჩილა და მას ხაკიც დაადო; მისი გავლენის სფერომ მიაღწია კასპიის ზღვის ნაპირებამდე და აზერბაიჯანის მიწა-წყალზეც გავრცელდა.

საქართველოს ასეთი გაძლიერება, რა თქმა უნდა, შეაშფოთებდა ბიზანტიას, რომელსაც ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკური გავლენის საბოლოო დაკარგვა ემუქრებოდა.

მიუხედავად ბიზანტიისა და ადგილობრივი დიდბნაურების შემოტევებისა, XI საუკუნის პირველ ნახევარში ქართულმა სახელმწიფომ მაინც შეძლო ბაგრატ III-ის დროს (980—1114) მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნება და თავისი პოლიტიკური გავლენის გაფართოება ამიერკავკასიაში. 1040 წ. უკვე ბაგრატ IV-მ თბილისის საამირო ყმობის პირობით დაიმორჩილა, ხოლო 1045 წელს სომხეთის დედაქალაქი ანისიც შემოიერთა, მაგრამ საქართველოს სამეფოს ძლევამოსილი წინსვლა ახალმა დამპყრობლებმა შეაფერხეს.

XI ს. შუა წლებიდან ბიზანტიის ქრისტიანულ სამყაროს თურქ-სელჯუკთა ურდოები შეესივნენ. ამავე საუკუნის 60-იან წლებიდან ისინი საქართველოს მოადგნენ და ქვეყანა ორგზის დაარბიეს (1065, 1068 წწ.) 1071 წ. თურქებმა მანაზკერტთან ომში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიის ლაშქარი და იმპერატორი რომან დიოგენიც დაატყვევეს. ამავე დროიდან ბიზანტიის ტერიტორიაზე ჩაეყარა საფუძველი თურქ-სელჯუკების სახელმწიფოს, რომელსაც მეტად დამახასიათებელი სახელწოდება მიეცა—რუმის ანუ რომელიის, ე. ი. რომის (ბიზანტიის) სასულტნო. როგორც ამბობდნენ, იმ დროიდან ბიზანტიის იმპერატორს საკუთარი სასახლიდან შეეძლო დაენახა ის ტერიტორია, რომელიც მისმა უბოროტესმა მტრებმა დაიკავეს. დამპყრობლებმა სომხეთის სახელმწიფოც მოშალეს და ამიერიდან საქართველოს საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ჯერ კიდევ პირველი ორი შემოსევის დროს თურქებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქვეყანას<sup>2</sup>. 1080 წლიდან თურქ-სელჯუკთა ძალადობამ კიდევ უფრო შეაძრწუნა მთელი ქვეყანა, დაიწყო „დიდი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1, 1955, გვ. 382.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 309.



თურქობა“. მძარცველები საშოვრისაკენ დაძრული სვავებევით  
ედგნენ ქართულ სოფლებს. „არა იყო მათ ქამთა შინა თესვა და მკი,  
მოოკრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა“<sup>3</sup>. ამიერიდან დაიწყო მომ-  
თაბარე თურქული ტომების მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში.  
ში. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში გამეფდა შუა საუკუნეების  
ქართველოს მომავალი დიდი ხელმწიფე დავით IV, რომელსაც ის-  
ტორიამ, დამსახურებისამებრ, აღმაშენებელი უწოდა.

დავითის საშინაო პოლიტიკაში სინამდვილის კრიტიკული გა-  
დასინჯვის ნაყოფი მოჩანდა. წარსული ისტორიის კარგი ცოდნა  
ეპოქის დიდ მოღვაწეს დროის შესაფერის ღონისძიებათა განხორ-  
ციელებაში შეელოდა; მას სწორად შეუფასებია ძლიერ ფეოდალთა  
„ორგული ბუნება“, რომ ისინი განდიდება-გაძლიერების შემდეგ  
იწყებდნენ „განზრახვად ბოროტისა“ და საგარეო მტრებს ემზო-  
ბოდნენ. ამიტომ მეფე ცდილობდა, ქონებასა და დიდუცობას და-  
ხარბებული ფეოდალები შეეზღუდა და მათი განდგომილების სა-  
ფუძვლები მოეშალა.

დავით მეფისათვის შეუმჩნეველი არ უნდა ყოფილიყო XI—  
XII სს. საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ზოგიერთი  
ტენდენცია. როგორც ჩანს, მშენებელი ხელმწიფე სამამულო მი-  
წისმფლობელობის შემდგომ გაღრმავებაში სავესებით სამართლი-  
ანად ზედავდა ცენტრალური ხელისუფლების საფრთხეს. რა თქმა  
უნდა, იგი უძლური იყო საზღვარი დაედო ფეოდალიზაციის პრო-  
ცესის შემდგომი გაღრმავებისათვის, მაგრამ ცდა არ დაუკლია, რომ  
სახელმწიფო მიწისმფლობელობას სამამულო-ფეოდალურზე გამარ-  
ჯება მოეპოვებინა. ფეოდალი-მეფე, ხელისუფლების ცენტრალიზა-  
ციისათვის ბრძოლაში, გაბედულად ეყრდნობოდა ნახევრად თავი-  
სუფალ მიწისმოქმედ ყმა-მოლაშქრეებს, საქალაქო მოსახლეობასა  
და წვრილ-მფლობელ აზნაურებს, რომლებიც, ძლიერ ფეოდალთა  
მიერ შევიწროებულნი, მეფისაკენ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ასე-  
თი პოლიტიკის ფონზე გასაგები ხდება, რომ დავითი სოციალურად  
დაბალი ფენების გარკვეულ სიმპათიებს მოიხვეჭდა. დავითის დრო-  
ის ერთი უცნობი მწიგნობარი წერდა—„უფალო, დაიფარე მკლავი-  
თა შენიკთა მალლითა მეფე დავით, მხოლოდ მარტოა უმამოჰსა მა-  
ჰაა“<sup>4</sup>.

დავით აღმაშენებელმა უარყო გამთიშველ და ქვეყნის მოლა-  
ლატე ფეოდალებთან მორიგების ძველი პოლიტიკა და ბევრ მათ-

<sup>3</sup> იქვე, გვ. 320.

<sup>4</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2251. აღნიშნული მი-  
ნაწერი გავაყენო კოლეგა თ. ხაყონიამ.

განს განდიდება-ანგარების ხარბი სურვილები ჩაუმწარა. ასე გაუსწორდა იგი, მაგალითად, ცენტრალური ხელისუფლების დაუძინებელ მტერს ლიბარტ ბაღვაშს—კლდეკარის ერისთავს<sup>5</sup>.

ძლიერი მტრის წყალობით დაჯაბნულ ქართველ მებრძოლთა სულისკვეთებაში მომავლის განსაღმა რწმენამ თანდათან დასხლოვდა მარცხებისადმი შეგუების განწყობილება და ამის შედეგებიც მალე საგრძნობი გახდა. დავით მეფემ შიშის ზარი დასცა საქართველოში მოკალათებულ თურქ-სელჯუკთა ურდოებს.

XI ს. 90-იან წლებში თურქ-სელჯუკთა დიდი სახელმწიფო უფრო წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც შედარებით გაუმჯობესდა.

1104—1118 წლებში დავით IV-მ რიგ-რიგობით და საბოლოოდ შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, სამშვილდე, რუსთავი, გიში, უძლიერესი ციხე-ქალაქი ლორე და სხვ. რაც შეეხება თბილისის საამიროს, იგი ყმადნაფიცობის პირობით საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ მისი საბოლოო შემოერთება დავით მეფეს მაინც ბრძოლის გზით მოუხდა 1122 წ. ამ წლიდან თბილისი, ნაცვლად ქუთაისისა, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდა.

დავით მეფის მიერ განხორციელებული მრავალმნიშვნელოვანი რეფორმებისაგან ყველაზე უფრო დიდი მაინც მუდმივი ჯარის შექმნა იყო. ყივჩაყთა 45 ათასი ოჯახის გადმოსახლების შედეგად საქართველოს 40-ათასიანი ცხენოსანი არმია შეემატა, ხოლო სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმაც გავრცელდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა საზღვრების შემდგომი გაფართოების ტენდენცია. საქართველო კავკასიაში ბიზანტიის როლს ჩემულობდა და იქ მოსახლე ქრისტიანების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისათვის იბრძოდა. საქართველომ სამხედრო ოპერაციები თავის ფარგლებს გარეთ გადაიტანა და აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში (შარვანი, რანი, სომხეთი) მოკალათებულ თურქებს შეუტია.

საგარეო მტრების წინააღმდეგ ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ერთობლივ ბრძოლას XII საუკუნისათვის უმდიდრესი ტრადიცია ჰქონდა. ამიტომ გასაგებია, რომ უმთავრესად სომეხი ხალხი, რომელსაც ამ დროს უკვე აღარ ჰქონდა თავისი სახელმწიფო და შარვანის (ჩრდილო აზერბაიჯანის) მოსახლეობის დიდი ნაწილი,

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

რომელსაც აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენეს დამპყრობლებმა, თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოსთან ერთად გამოდიოდნენ.

თავისი პოზიციების განსამტკიცებლად შარვანში დავითმა თავისი ასული თამარი შარვანშაჰ მანუჩეჰრ II-ს მიათხოვა. ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი შარვანისა და საქართველოს მკვიდროდ დაახლოებას რუსთაველის ეპოქაში.

1121 წ. აგვისტოში საქართველოს ომი ჰქონდა მაჰმადიან მეფე-მთავართა კოალიციასთან. ამ ომის ერთი მიზეზი დავით მეფის მიერ შარვანის სახელმწიფოს ყმადნაფიცობის პირობით შემოერთება და შარვანისავე ქალაქ ყაბალადან თურქთა გარეკვა იყო. ომი დიდგორის (მანვლისთან) მიდამოებში მოხდა და მაჰმადიანთა ლაშქრის განადგურებით დამთავრდა. დავით IV-ის გამარჯვებას ამ ომში საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. დავითმა უცილობლად დამტკიცა, რომ საქართველოს უნარი შესწევდა არა მარტო დაცვა კავკასიის საქრისტიანო, არამედ „ყოველისმძლე“ თურქების ერთობლივი შეტევაზე უკუეგდო და ევროპელ ჯვაროსანთა ძლიერი მოკავშირე ყოფილიყო.

1124 წ. საქართველოს ჯარებმა სომეხთა მხარდაჭერით გაათავისუფლეს სომხეთის დედაქალაქი ანისი, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში თურქ-სელჯუკებს ეპყრათ და იგი საქართველოს შემოუერთეს. სახელმწიფოს საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა.

საქართველოს ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავით IV-ის რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც საქართველოს შიგნით მცხოვრები ყველა ხალხის სარწმუნოების შემწყნარებლობას გულისხმობდა. თვით მაჰმადიანი მწერლების აღიარებით, დავით IV-მ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. ეს ფაქტი გვანიშნებს, რომ იმთავითვე ისახებოდა სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხთა შორის მეგობრობისა და სიყვარულის დიდი საკაცობრიო იდეა, რომელიც შემდეგში გენიალურმა შოთამ ასახა თავის უკვდავ ქმნილებაში.

დავით IV-ის საგარეო პოლიტიკის შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისევე ნაწარმოებს—„გალობანი სინანულისანი“, რომელშიაც მან საკუთარ თავსაც მსჯავრი გამოუტანა და მეზობელ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ხელყოფა თუ მათი ტერიტორიების შემოერთება მოსანანიებელ ცოდვად მიიჩნია. ამრიგად, დავით აღმაშენებელმა თავის მემკვიდრეებს არა მარტო ძღვევამოსი-

ლების დროსა „დავითიანი“, არამედ მაღალი ზნეობრივი თვისებებიც უანდერძა.

დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო განაგრძობდა ბრძოლას როგორც მოპოვებულის შენარჩუნებისათვის, ისე პოლიტიკური გავლენის გაფართოების მიზნითაც.

დიდი ქართველი ხელმწიფის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ თურქ-სელჯუკებმა შეძლეს ქ. ანისის დაბრუნება. ბორგავდა განძის საამირო, რომელიც საქართველოს გაძლიერებაში თავის საფრთხეს ხედავდა. ასეთ გართულებულ ვითარებაში საქართველომ, მართალია, განძის საბოლოო დამორჩილება ვერ შეძლო, მაგრამ ანისში მაკმადიანური მმართველობის მოშლა და იქ ქართული მმართველობის აღდგენა მაინც მოახერხა. ამავე დროს საქართველომ სომეხთა მეორე დიდი ქალაქი დვინიც შემოიერთა და ამით თავისი გავლენა კიდევ უფრო შორს გაავრცელა (1161-1162 წწ.).

დავით აღმაშენებლის შემდგომი პერიოდი, ვიდრე XIII ს. 20-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიაში უაღრესად რთული ხანა იყო. ერთი მხრივ, საქართველო შეუჩერებლად აფართოვებდა თავის გავლენის სფეროს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, ეკონომიური განვითარებისა და ძლევამოსილ ლაშქრობათა შედეგად ქვეყანაში აურაცხელი სიმდიდრე გროვდებოდა; მეორე მხრივ, შინაგან სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ, რაც უმთავრესად სამამულო მიწისმფლობელობის გამარჯვებაში გამოიხატა, სერიოზული გავლენა მოახდინა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე და მისი საგრძნობი შესუსტება გამოიწვია.

საგარეო ასპარეზზე საქართველოს თავბრუდამხვევი გამარჯვება ჯერ კიდევ გრძელდებოდა და მსხვილ ფეოდალთა კერძო ინტერესებსაც ეხმაურებოდა. ფეოდალებმა თამარის დროს პირველი შეტევა, ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვისა და თავიანთ საქვეყნო-საგამგეო უფლებათა გაფართოების მიზანს რომ ემსახურებოდა, წარმატებით დაამთავრეს და ამ ეტაპზე მოპოვებული მიღწევებით კმაყოფილდებოდნენ. ნახევრადთავისუფალ ფენებსაც ისე მწვავედ არ შეჰხებია ბატონყმური უღლის სიმძიმე და ისინიც ლაშქრობით გართული იყვნენ. ასეთი ვითარება XII-XIII სს. მიჯნაზე გამოხატავდა ერთგვარ გარდამავალ ეტაპს, რასაც შემდეგში უფრო არსებითი ხასიათის ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა.

აღნიშნულ ეპოქაში იშენენ და მოღვაწეობდნენ დიდი შოთა რუსთაველი და საქართველოს ყველაზედ უფრო პოპულარული მეფე თამარი. პირველმა მათგანმა თავის პოემაში ეპოქისა და მომავლის უმაღლეს მისწრაფებათა კონტრესტითა მოგვცა, ხოლო მეორემ, არა მარტო XII საუკუნის ყველაზედ უფრო „უხვი მოსაგ-

ლის“, არამედ მიმზიდველ მორალურ თუ გარეგნულ თვისებათა მიზნებითაც, ქართველი საზოგადოების მთელ მერმინდელ ისტორიაში უბადლო და უბრწყინვალესი მეფე-ქალის სახელი დაიმკვიდრა.

ძლიერი ფეოდალები აქტიურად ერეოდნენ თამარის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაშიც. ჯერ იყო და მათ საცილობელი გახადეს თამარის, როგორც ქალის, მეფობა, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე ბანაკმა გაიმარჯვა. გაბატონებული კლასის მოწინავე წარმომადგენელთა შორის ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის იდეა, როგორც ჩანს, მომწიფებული იყო და თამარის გამეფებაც ამ იდეის დამადასტურებელ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა.

დიდგვარიანი ფეოდალების სურვილით მოხდა თამარის პირველი ქორწინებაც გიორგი რუსზე, მაგრამ მან ქართველ პოლიტიკოსთა იმედები ვერ გაამართლა, იგი საქართველოდან გააძევეს. ამის შემდეგ გიორგი ცენტრალური ხელისუფლებით უკმაყოფილო ფეოდალებს დაუკავშირდა და რამდენჯერმე სცადა თავისი ძველა მდგომარეობის აღდგენა. 80-იან წლებში თამარის სახელმწიფომ ძლივს დააღწია თავი ფეოდალურ შინა ომებს.

XII ს. 90-იანი წლებიდან საქართველო საგარეო პოლიტიკის უფრო ფართო ასპარეზზე გამოვიდა. 1195 წ. თამარის ჯარებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ომში შამქორთან, სადაც ირანის აზერბაიჯანის მფლობელის აბუბაქრის მრავალათასიანი ლაშქარი დაამარცხეს. შიშის ზარმა მოიცვა საქართველოს მეზობელი მაჰმადიანი ხელმწიფეები, რომლებიც ამიერიდან საქართველოს მეფის წინაშე ქედს იხრიდნენ და ყმობის პირობით მორჩილებას უთვლიდნენ მას.

გიორგი III-ისა და თამარის დროს საგარეო ომები „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ბრძოლის ელფერსაც ღებულობდა, თუმცა ქვეყნის შიგნით რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკა არ შეცვლილა. ამავე დროს მძიმე იყო დაპყრობილ ქვეყნებზე დაკისრებული ხარკიც, რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად ამწვავებდა წინააღმდეგობას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. განჯა, ნახჭევანი, არზრუმში, თავრიზი, ყარსი, ერზინკი, არქეში, ხლათი და მრავალი სხვა ქალაქი თუ ქვეყანა საქართველოს მოხარკეები იყვნენ<sup>6</sup>.

გასაგები იყო, რომ აღნიშნული დიდი მოვლენები, პირველ რიგში, რუმის სასულთანოს შეაშფოთებდა და საომრად განაწყობდა. 1203 თუ 1204 წელს სულთანმა რუქნადინმა ურიცხვი ლაშქარი შეპ-

<sup>6</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოც., 1941, გვ. 59, 108 და სხვ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 129, 134, 135.

ყარა და საქართველოს სამხრეთ სანახებს მოადგა. ომი ბასიანში მოხდა<sup>8</sup>. ქართველებმა ამ ომში გამარჯვეს და ერთხელ კიდევ დამტკიცეს თავიანთი სამხედრო უპირატესობა მახლუჯელ ფელსკელეთში.

ბიზანტიის

XIII ს. დამდეგს მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა ბიზანტიაში, ევროპელმა „მოკეთებმა“ (ჯვაროსნებმა) და თურქებმა მას დიდი ზიანი მიაყენეს და ეს ქვეყანა დაინაწილეს (1204 წ.). კონსტანტინოპოლის სახელმწიფოს უკვე აღარ შესწევდა უნარი სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია საგარეო მტრებისათვის. ასეთ ვითარებაში საქართველოს ჯარებმა შავი ზღვის სამხრეთი ნაპირები დაიპყრეს და მაშინ ბიზანტიის საზღვრებში მყოფ ამ რაიონში საქართველოს ვასალური სახელმწიფო—ტრაპიზონის სამეფო შექმნეს. ტრაპიზონის პირველ მეფედ თამარმა დასვა საქართველოს სახელმწიფო კარზე გაზრდილი, შთამომავლობით ბერძენი უფლისწული, მაგრამ დედის მხრივ ბაგრატიონთა ნათესავი ალექსი კომნენოსი<sup>9</sup>. საქართველოს მიერ დაარსებულმა ტრაპიზონის იმპერიამ გარკვეული ადგილი დაიკავა მსოფლიო ისტორიაში და თავისი არსებობის ორნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს საიმედო მოკავშირე იყო. ტრაპიზონის სამეფოს დაარსების შემდეგ საქართველოს ჯარებმა ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) და მისი სანახებიც დაიპყრეს.

1210 წ. ლაშქრობის შედეგად ფეოდალურმა საქართველომ თავისი გავლენა ირანის შუა გულამდის გაავრცელა. „არცა... ოდესმე ქმნილ იყო ესევეთარი გამარჯუებაჲ, არცა მეფეთავან, არცა მთავართავან“, დასძენდა თამარის ისტორიკოსი<sup>10</sup>.

თამარის მეფობის ბოლო წლებისათვის საქართველოს იმპერია თავისი ბატონობისა და გავლენის ქვეშ აერთიანებდა მთელ კავკასიას. სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკური ჰეგემონიის სფეროში იყვნენ ძველი ბიზანტიის იმპერიის დიდი ნაწილი და ირანის აზერბაიჯანი. ჩრდილო-დასავლეთით საქართველოს საყმადნაფიცო მიწა-წყალი ტამანის ნახევარკუნძულამდე, ხოლო აღმოსავლეთით აფშერონსა და არდაველამდე წვდებოდა.

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ვეებერთელა სახელმწიფოს სათავეში ახალგაზრდა გიორგი ლაშა მოექცა. მისმა

<sup>8</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 124—125.

<sup>9</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება თამარ მეფისა (ქართლის ცბ., II, 142).

<sup>10</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 136—137.

გამოუცდებლობამ და ჭაბუკურმა სიფიცხემ, უდავოდ, ცუდი გავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფოს შემდგომ ბედზე და, ისედაც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, რამდენადმე დააჩქარა კიდევ ცენტრალური ხელისუფლების შემდგომი დასუსტება.

ქართველი ხალხის დაუცხრომელი ბრძოლა თურქულ-აგრესორების წინააღმდეგ ფართო გამოხმაურებას პოულობდა დასავლეთ ევროპაში. ჯვაროსნები და საქართველო აღნიშნული დაპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთნაირად დაინტერესებულები იყვნენ. ამით აიხსნებოდა, რომ ეგვიპტისა და პალესტინისათვის მებრძოლი ევროპელი რაინდები საქართველოსაგან დახმარების მიღებაზე ოცნებობდნენ. საქართველოს, თავის მხრივ, პალესტინა-იერუსალიმისადმი გარკვეული ინტერესები ჰქონდა. იქ მყოფი ქართული ჯვრის მონასტრის გარდა, მაჰმადიანთა ხელში საქრისტიანოს ცენტრად აღიარებული იერუსალიმის გადასვლას ქართველი „მესიის მახვილი“, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა.

დაახლოებით 1219 — 1220 წლებში, გიორგი ლაშამ რომის პაპის წერილი მიიღო. მას ჯვაროსანთა ახალ ლაშქრობაში მონაწილეობას სთხოვდნენ. ლაშაც გამოეხმაურა ამ მოწოდებას და სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ გეგმები ჩაიშალა. საქართველოს საზღვრებს ახალი და ძლიერი დამპყრობლები მოადგნენ.



ჯრუჭის (იმერეთშია) ოთხთავის ერთი მინიატურა, XII ს. რომ ეკუთვნის, ასახავს ზვარში მომუშავე ორ კაცს, რომელთაგან ერთი ბარავს, ხოლო მეორე მყნობით გართულა. როგორც ჩანს, მხატვარი ეტრფოდა ვაზს—ივერიელთა სამეურნეო მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს.

აღმავალი ფეოდალური საქართველო არა მარტო ძღვევამოსილი ომებითა და სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობით იყო ცნობილი, არამედ თავისი მაღალი სამეურნეო განვითარებითაც, რომელმაც მისი პოლიტიკური და კულტურული გაძლიერება განაპირობა.

XI-XII სს. საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებას და გაფართოებას, ისევე როგორც მოსახლეობის არაჩვეულებრივ მატებას, სახელმწიფო მართვა-გამგეობის გართულება და ხარჯების აურაცხელი ზრდა მოჰყვა. თითქმის ხუთმილიონიანი, თუ უფრო მეტი არა, მოსახლეობის ქვეყანა ამ დროს, თავისი განვითარებული ბარისა და მთის მეურნეობით, არა მარტო საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა, არამედ ფართო საგარეო სავაჭრო ურთიერთობა-

შიც იყო ჩაბმული და ადგილობრივი პროდუქციის საგრძნობი ნაწილი მეზობელ ქვეყნებშიაც გაჰქონდა.

ფეოდალური კლასისა და მისი სახელმწიფოს გზერდულ მთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ფართო მასშტაბის ქვეყნურ პოლიტიკის განსახორციელებლად საკმაო არ იყო სოფლისა და საქალაქო მეურნეობის არსებული მოცულობა და არც ის ნადავლი თუ ხარკი, რომელსაც საქართველო ძღვევამოსილ ლაშქრობათა შედეგად ლეზულობდა. ასეთი ხარკ-ნადავლი ოდნავადაც ვერ აანაზღაურებდა იმ დიდ ხარჯებსა და მსხვერპლს, რაც ხშირი ომების განუყოფელი თანამგზავრი იყო.

XII ს. ისტორიკოსები ხშირად აღტაცებით მოგვითხრობენ ნადავლის თუ ყმადნაფიცი ქვეყნებიდან შემოსული ხარკის შესახებ. ასე, მაგალითად, დიდგორთან გამარჯვების შედეგად, 1121 წ., „ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა... რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტოოს აღწერად!“<sup>11</sup> ნადავლის კიდევ უფრო დიდ რაოდენობაზე მიუთითებენ ომების თანამედროვე მემატიანეები გიორგი III-ის თუ თამარ მეფის დროს. „მოიღეს (შამქორის ომში გამარჯვების შედეგად) ნიჭი, არმალანი და განძი აურაცხელი: კაცი—ჯელმწიფე-აზნაურითგან მონამდის,—ათორმეტი ათასი, ავაზაჲ ორმეოცი. ცხენი ოცი ათასი, ჯორი შუდი ათასი, აქლემი ათხუთმეტი ათასი; დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინამცა იქმნა ჰამარი?“<sup>12</sup> არანაკლები შედეგებით დასრულებულა ომები ვანის ტბის რაიონში, ბასიანში, ირანში და სხვაგან<sup>13</sup>.

იგივე ისტორიკოსები ხშირად გვაუწყებენ, რომ საქართველოს მეფეები ყოველი გამარჯვების, ტახტზე ასვლის, შვილის შეძენას თუ სხვა მრავალ შემთხვევებში უხვად აძლევდნენ საჩუქრებს ერთ-ერთ ფეოდალებსა და ქერივ-ობოლ-მათხოვრებს. მაგალითად, თამარმა ტახტზე ასვლისას „განკსნა საჭურჭლენი, მონაგებნი პაპათა და მამათა მისთანი“, გაჰყო ორად, პირველი ნაწილი „ზეცისათვის“ შეინახა, ხოლო მეორე საჩუქრებად დაარიგა: „და ესეოდენისა წარმომდინებელ იქმნა ლარისა, მშობელთაღმდე და დღეინდლაღმდე არ წარგებულისა, რომლისა რიცხუი ურიცხუო არს და ჰამარი უჰამრავი“<sup>14</sup>. მისვე დროს თბილისში თითქმის ყოველდღე სამი თუ ოთ-

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 341.

<sup>12</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 109.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 98, 125, 140.

<sup>14</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 76.



ნი მახარობელი მოდიოდა და „სახელ-განთქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი წელიწადისა მასვე და ერთსა წელიწადისა არა ეყვის გასაცემრად მახარობელთა ზედა“<sup>15</sup>.

აღნიშნული და სხვა მსგავსი მაგალითები ჰქონდა მსგავსე ბაში ქართველ გენიოსს, როცა თინათინის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით როსტევან მეფის მიერ წარმოთქმულ ანდერძს გვაცნობდა: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“<sup>16</sup>.

სახელმწიფოსა და ფეოდალებს კარგად ესმოდათ, რომ არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა საკუთარი ქვეყნის მეურნეობა, რომელიც მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციას ემყარებოდა. ამიტომ ფეოდალური სახელმწიფო ზრუნავდა მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის. „და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“, შენიშნავდა ქართველი მემკვიდრე<sup>17</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში პურეულისა და ვაზის მოსავლიანობა ოდითგანვე მორწყვას ემყარებოდა. სარწყავი არხების გარდა, ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის საჭირო იყო მეტ-ნაკლები მშვიდობიანი ცხოვრება, საკუთრების დაცვა, ბრძოლა მეკობრე-თავდამსხმელთა წინააღმდეგ, სავაჭრო საქარავნო გზების გაუმჯობესება, ხიდების, ქარვასლებისა და ფუნდუკების მშენებლობა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, XII საუკუნეში უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე წინარე ხანაში.

დავით IV-ის მეტსახელი „აღმაშენებელი“ თავისთავად მეტყველებს, რომ მის დროს მშენებლობა არნახული მასშტაბით უნდა გაჩაღებულიყო. შენდებოდა სოფლები, ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, სასახლეები, არხები, გზები და ქარვასლები. „ხოლო ამათ თანა ...რაოდენნი ჭიღნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა“—დასძენს დავითის ისტორიკოსი<sup>18</sup>.

დავითის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომთაბარე თურქ-სელჯუკების განდევნას საქართველოდან, განსაკუთრებით კი მტკვარ-იორის ნაყოფიერი ველებიდან<sup>19</sup>. მათი გაძევების შემდეგ იმ ადგილებში და სხვაგანაც კვლავ ფეხი შოიღვა ქართულმა ინტენსიურმა მეურნეობამ, ისევ პურის ყანებმა და ზვრებმა დაფარეს მე-

15 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

16 ვეფხისტყაოსანი, ა. ზარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედ., 1951, სტროფი 49.

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

18 იქვე, გვ. 353.

19 იქვე, გვ. 332—333.

ჯოგეთა მიერ გადაქელილი მინდვრები, გლეხურმა მეურნეობამ სული მოითქვა.

ფეოდალურმა სახელმწიფომ აღადგინა ბევრე მცხოვრებელია გაიყვანა მრავალი ახალი სარწყავი არხი. ამ დროს უნდა წყვედებოდა რუსთავის დიდი არხი, რომელიც მტკვრის წყლით რწყავდა გარდაბნის ველებს. განაახლეს სხვა არხებიც. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში დიდი საირიგაციო მშენებლობა მიმდინარეობდა. გაითხარა დიდი არხები ტირიფონის ველზე, გორის ახლოს რუის-ურბნისის სანახებში, მუხრანის თვალუწვდენ მინდორზე, სამგორში, ალაზნის ვალმა ნაპირზე, შიგნით კახეთში და სხვ. დიდი სარწყავი სისტემების გარდა, საქართველო იმ დროს დასერილი იყო პატარ-პატარა სარწყავ-ნაკადულებით თითქმის ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი და ცალკეულ გლეხთა თუ თემებში გაერთიანებულ მწარმოებელთა ენერგიისათვის მისაწვდომი იყო.

სარწყავი სისტემის ასეთი განვითარების შესაბამისი იყო პურეული კულტურების მოსავლიანობის ზრდა, ბალ-ვენახების გაფართოება, მებაბრეშუმეობა-მესელეობის წინსვლა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და, საერთოდ, ეკონომიური განვითარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საწარმოო ტექნიკის განვითარებამ. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ჩვენში, დასავლეთ ევროპასთან შედარებით რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე, არსებობდა ფრთიანი სახენელი იარაღი—ერქვანი, შემდეგ კი, XII საუკუნეში. უფრო განვითარებული ტიპის ასევე ფრთიანი და მძიმე გუთანი გაჩნდა. „იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: უკანა ერქვანს წარმოადგენდა, წინა—საზიდს, რომელსაც ფამფალაკი ჰქვინა“. გაუმჯობესება საზიდს შეეხო. ნაცვლად ორი თანატოლი თვალისა, საზიდს დიდი და პატარა გოგრები (ველისა და კვალის) გაუკეთეს და შესანიშნავად გაიზარეს საზიდის თვლების ტოლმეტობის დანიშნულება. ასეთი, შედარებით მძიმე, მაგრამ საზიდის გაუმჯობესების შედეგად მსუბუქად სახმარი გუთანი შრომის ნაყოფიერების ზრდაში ახალ საფეხურს გამოხატავდა.

იერს იცვლიდა და დროის შესაფერის მაღალ დონეზე ყალიბდებოდა XII ს. ქართული სოფელი. უკანასკნელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ქვემო ქართლის მიდამოებში თვალნათლივ დაგვანახეს მაშინდელი სოფლების სამეურნეო-კულტურული განვითარების მაღალი საფეხური (ი. გძელიშვილი, გ. ლომთათიძე).

თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარებში მცხოვრები გლეხის სახლ-კარი რამდენიმე ოთახისა და სათავსოსაგან შედგებოდა. თითქმის ყველა სახლს ჰქონდა საცხოვრებელი დარბაზი, ბოსელი, სა-

კუქნაო, სათონე და მარანი. სახლები ჩვეულებრივ ერთსართულიანი და ბანიანი ყოფილა.

სოფლის მალალი დონის მაჩვენებელია სოფელთა საოჯახო ინვენტარი: მოჭიქული თიხის ნაირ-ნაირი ჯამები და აქვები, რომლებსაც ორნამენტები ამშვენებდა. უფრო მეტი რაოდენობის ჰქონდათ უბრალო თიხის ჭურჭელი. ნაჭივკვავებისა და ნადარბაზვის ქალები ნაირფერადი მინის სამაჯურებით იკაზმებოდნენ. მათ სუფრას ამშვენებდა პური, ღვინო, ხორცი, რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი და სხვ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ გლეხობის საგრძნობი ნაწილი კარგად იყენებდა მეურნეობისათვის ხელისშემწყობ ბუნებრივ პირობებს.

რა თქმა უნდა, მწარმოებელთა უმეტესობა იმ დროს ბატონყმური უფლის ქვეშ გმინავდა და მწვავე ექსპლოატაცია საგრძნობლად ზღუდავდა მათი მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ფეოდალები, როგორც წესი, გლეხთა შრომის ზედმეტ პროდუქტს ითვისებდნენ.

არაჩვეულებრივად განვითარდა ხელოსნური წარმოება სოფლებსა და ქალაქებში. ხელოსნური ნაწარმი მაშინდელი საზოგადოების უაღრესად ფაქიზ გემოვნებაზე მიუთითებდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან XII საუკუნისთვის ქართულ ხელოსნურ ოსტატობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარებას ვაჭრობის დიდი გაფართოება მოჰყვა. ამ დროისათვის სავაჭრო საქმიანობა იზიდავდა საზოგადოების ყველა ფენას. ვაჭრებთან მკიდროდ იყენენ დაკავშირებული მეფეები, დიდი და მცირე ფეოდალები, ეკლესია, გლეხები.

XII საუკუნეში არაჩვეულებრივად გაფართოვდა ფულის — „ოქროს“ მნიშვნელობა. ფული თითქმის ყოველს მომცველი ექვივალენტის როლს ასრულებდა. „ნახე თუ ოქრო რასა იქმს, კუერთხი ეშმაკთა ძირისა“, ამბობდა შოთა რუსთაველი<sup>20</sup>. ფულით ანუ სიმდიდრის გზით შეიძლებოდა „აღზევება“, დიდი თანამდებობის მოპოვება სამეფო კარზე, თავის დაღწევა სასჯელისაგან. ფული ბოროტებისა და „პატიოსნების“ სათავე იყო და კლასობრივი საზოგადოების ისედაც ღრმა ტკივილებს ამწვავებდა.

ვაჭრები დიდ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყენენ თავისუფალი და არათავისუფალი ვაჭრები — „ვაჭართუხუცესები“, „დიდვაჭრები“, „ყმა-ვაჭრები“ და სხვ. მაგრამ ვაჭართა განსხვავებული კლასობრივი ხასია-

<sup>20</sup> სტროფი 1196.



თი—ნაღდი ანგარიში, ყიდვა და გაყიდვა მოგების მიზნით და ამასთან დაკავშირებული ცდუნება—ნამდვილად უპირისპირდებოდა ფეოდალური ზედაფენების ერთი ნაწილის რაინდულ კეთილშობილებასა და სენტიმენტალიზმს. ასეთი რაინდების ხელისკვეთებას გამოხატავდა დიდი შოთა რუსთაველი, რომელმაც ვაჭართაღმისთვის გულგრილ დამოკიდებულებას ამქლავნებდა<sup>21</sup>.

XI-XII საუკუნეებში თვალსაჩინოდ განვითარდა საქართველოს საქალაქო ცხოვრება. მეურნეობის წინსვლამ განაპირობა ამ დროს ახალი ქალაქების წარმოშობა. ძველ ქალაქთა რიგს შეემატნენ და მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო და თავდაცვით ცენტრებად იქცნენ ქალაქები: ატენი, გორი, ყინვანი, ბარაღეთი და სხვ. ამავე დროს განსაკუთრებით გაფართოვდნენ ძველი ქალაქები: თბილისი, დმანისი, რუსთავი, სამშვილდე, თმოგვი, ახალქალაქი, ახალციხე, ოძრხე, ქუთაისი, თელავი და სხვ., რომლებიც თავიანთი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობით საკმაოდ ფართოდ იყვნენ ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში.

საქართველოს მკვიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, აზიის, დასავლეთი ევროპისა და რუსეთის სამეფო-სამთავროებთან.

\* \* \*

საქართველოს სოციალური ვითარება XII საუკუნეში, თავისი უმთავრესი ნიშნების მიხედვით, ხასიათდება სამამულო-ფეოდალური მიწისმფლობელობის არაჩვეულებრივი ზრდითა და „დიდებული“ არისტოკრატის როლის გაფართოებით სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

„დიდება“ მეფის მიერ აზნაურისათვის თანამდებობის მინიჭებას ნიშნავდა და პირველ საფეხურზე იგი, მართლაც, მძლავრი იარაღი იყო მეფის ხელში“. „დიდების“ გაცემისა თუ წართმევის გზით მეფე თავისი ხელისუფლების გაძლიერებისათვის იბრძოდა, მაგრამ იბრძოდნენ დიდების ხარისხით აღჭურვილი აზნაურებიც, რომლებსაც ასეთი უფლების შემკვიდრებაში შენარჩუნება სურდათ.

გარკვეული კონტურებით ყალიბდებოდა დიდებული, მაგრამ ჯერ კიდევ მეფის მოხელე, აზნაურის სახლი. საკმაოდ ვრცელი მიწა-წყალის, ციხე-ქალაქის, სავაჭარეულო მონასტრის, შეიარაღებული ლაშქრის, წვრილ აზნაურთა და ყმათა დიდი რაოდენობის

<sup>21</sup> სტროფი 1040.

მფლობელობა ახასიათებდათ დიდებულებსა და ერისთავებს, რომლებიც გახელმწიფების გზაზე იდგნენ.

XII ს. 80-იან წლებში დიდებულ ფეოდალთა მოძრაობას ყუთლუ-არსლანის მეთაურობით საქართველოს მეფის ხელისუფლებას საგრძნობი შეზღუდვა მოჰყვა. მართალია, მემათიანე მგაფუსქსს, რომ თამარ დაჯდა მეფედ „ნებითა ღმრთისათა“<sup>22</sup>, მაგრამ მისივე მოთხოვნიდან კარგად ჩანს, რომ იგი ფაქტიურად „ნებითა დიდებულთა“ გამეფდა; თამარი დიდ ფეოდალთა „თანადგომითა და ერთნებობითა“ უძღვებოდა სახელმწიფოს<sup>23</sup>.

საქართველოს მართვა-გამგეობა მეფისა და ძლიერ ფეოდალთა ხელში იყო<sup>24</sup>. მართალია, ეს ერისთავები მაშინ სახელმწიფოს მორჩილ მოხელეებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათი ფართო უფლებები, განცალკევებული და ვრცელი საგამგეო რაიონები და ოლქები, ფეოდალური საკუთრების განუხრელი ბატონობისა და კავშირურთიერთობათა სუსტი საშუალებების პირობებში, სეპარატიზმის საფუძვლებს შეიცავდა.

სახელმწიფო-სავაზიროს შიგნითაც, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც, ისახებოდა ვაზირობის სამემკვიდრეოდ დაუფლების ტენდენცია. ამირსპასალარ გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამდებობა უბოძეს ზაქარია მხარგრძელს, სარგის ამირსპასალარის შვილს, „მჯღომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი“<sup>25</sup>. შემდეგში, როცა „მიიცუალა ზაქარია“, მისი ადგილი მისვე ძმამ ივანემ დაიკავა,<sup>26</sup> ივანე კი ისე გაძლიერდა, რომ ათაბაგობის (უფლისწულის აღმზრდელის) პატივი მიიღო და სამეფო კარის უმაღლეს მოხელეს, ვაზირთა უბირველესს—ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს დაუპირისპირდა. ასეთი რამ ყოველთვის მშვიდობიანი გზით როდი ხდებოდა. ფეოდალებს შორის სახელოებისა და მიწებისათვის დაუცხრომელი ბრძოლა მიმდინარეობდა.

თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს პერეთის ერისთავს ასათ გრიგოლის ძეს, „რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევითა საღირს კოლონკელის ძესა და მცირე-ჟამ ქონებასა შინა იაჯა

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება, II, 116.

<sup>23</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 78.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 137.

არიშინის ადგილსა დაჯდომამა სასთაულითა, და ჰელთ-უღვა შეილ-  
სა თუსსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობამა<sup>27</sup>.

ფეოდალთა ასეთი გაძლიერება იმის შედეგი იყო, რომ ქვეყანაში სამამულო-ფეოდალური მიწისმფლობელობა<sup>28</sup> დატოვდა; უკვე საკმაო ხანი გასულიყო, რაც სამამულო სისტემამ<sup>29</sup> უკვე ვეების სისტემა (როცა მიწა მეფეს ეკუთვნის, ხოლო მოხელე-ფეოდალი ამ მიწას მხოლოდ ერთგული მოხელეობის პერიოდში ფლობს) ძირითადად გამოდევნა. XII საუკუნეში საკარგავი, რომელიც რუსთაველთან იხსენიება („სრული საკარგავი“, სტროფი 336), გადანაშთის სახით არსებობს.

გაბატონებული საზოგადოების უმრავლესობის გარჯილობა უმთავრესად ლაშქრობასა და გართობა-ნადიმობაში გამოიხატებოდა<sup>30</sup>. მათი „პირისა“ და მწუხარების მიზეზი ცხოვრების ერთფეროვნებით მოყირუება, წარმტაცი თავგადასავლის ძიება და მიჯნურობა იყო<sup>31</sup>. მაგრამ ძლევამოსილ ლაშქრობათა პერიოდი როცა იწურებოდა, ფეოდალთა დიდ ნაწილს საკუთარი მეურნეობისადმი ყურადღება უნდა გაემახვილებინა, რათა გაზრდილი მოთხოვნები შემოსავლის მატების გზით შეეცხო. ამისთვის მათ ორი გზა ჰქონდათ! საკუთარი საბატონო სახნავ-სათესის გაფართოება ყმა-გლეხთა შრომითი ბეგრის ზრდის ხარჯზე და მწარმოებელთა ნატურალური გადასახადების გადიდება. ორივე გზას მწარმოებელთა ექსპლოატაციის გამწვავება მოსდევდა; მათგან მეორე გზა უქნარა ფეოდალისათვის უფრო მარტივი იყო და მთელი სიმძიმე გლეხურ მეურნეობას აწევებოდა.

აღნიშნულ ვითარებაში მწარმოებელთა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. XII საუკუნეში სწრაფი ტემპით გრძელდებოდა ნახევრადთავისუფალ ყმა-მოლაშქრეთა (ანუ მდაბიორ მოლაშქრეთა) ფენის გაქრობა. ასეთი მოლაშქრეები, მართალია, ფეოდალთა მიწებზე სახლობდნენ და ომისაგან თავისუფალ დროს შრომობდნენ, მაგრამ მათ დიდ ნაწილს პიროვნული თავისუფლება ჯერ კიდევ შერჩენოდათ. ახლა ისინი ერთიმეორეზე მიყოლებით და საბოლოოდ ჰკარგავდნენ ამ პირად თავისუფლებასაც. სულ უფრო და

<sup>27</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 79.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 131; ისტორიანი, და აზმანი, გვ. 139; „ვეფხისტყაოსანი“, სტროფი. 333—„შეედი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“.

<sup>29</sup> „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისაა თუნიერ ლაშქრობისა და რბეისა“ (ისტორიანი და აზმანი, გვ. 65). დამახასიათებელია აგრეთვე დავითის ისტორიკოსის შენიშვნა ფეოდალთა უქნარობის შესახებ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358).

უფრო მატულობდა ფეოდალთა მიწებზე დამაგრებულ და მიძიმედ დაბეგრულ მწარმოებელთა ანუ გლეხთა რიცხვი. მწარმოებელთა უმრავლესობამ პირადი თავისუფლება დაჰკარგა. „XII ს. ქრისტიანული ლისთვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებულა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

პირადი თავისუფლების დაკარგვის, ყმა-მოლაშქრეთა უფლებრივი დამონებისა და, საერთოდ, ბატონყმური ექსპლოატაციის გამწვავების პირობებში, არაჩვეულებრივად გამრავლდა გლახაქმათხოვართა რაოდენობა. ამავე დროს გაიზარდა მეკობრე-მძარცველ ავაზაკთა რიცხვი. მეკობრეობა ამ დროს გლეხთა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გაშლილ კლასობრივ ბრძოლას გამოხატავდა<sup>30</sup>.

საქართველოს ბარის ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის მთიან რაიონებზე. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა თავისუფალ მთაში იჭრებოდა და იქ მონობის უღელი შეჰქონდა. საერო ფეოდალებს ამ დროს საეკლესიო ფეოდალებიც გვერდში ამოუდგნენ და ერთად იბრძოდნენ მთიელთა „გასაქრისტიანებლად“, რაც მაშინ მთიანეთში ფეოდალთა ბატონობის დამყარების მიზნებს ემსახურებოდა. ასე იყო, მაგალითად, თამარ მეფის დროს, როდესაც ფხოველები და დიდოელები აჯანყდნენ, ხოლო მათ წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გაგზავნილმა რაზმებმა იქ ცეცხლი და მახვილი დაატრიალეს—„დაწუეს ავად, მოსწყვდეს ურიცხუი კაცი“<sup>31</sup>.

ამრიგად, როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან დავინახეთ, ფეოდალიზმი საქართველოში XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საბოლოოდ მომწიფდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ხელოსნური წარმოების, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის შედარებით განვითარებული დონე, ისევე როგორც კულტურის არაჩვეულებრივი აყვავება, იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოში იქმნებოდა წინამძღვრები ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ჩასახვისა და რენესანსულ იდეათა განვითარებისათვის.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ განვითარებას ორგანულად ერწყმოდა კულტურული აღმავლობა. შემოქმედებით ძალთა გაფურჩქვნა იგრძნობოდა თითქმის ყველა სფეროში. არაჩვეულებრივად დაიხვეწა ადამიანთა გემოვნება.

<sup>30</sup> მეკობრეობის საკმაოდ დიდ მასშტაბზე გვანიშნებს რუსთაველიც (სტროფები 1043 — 1044).

<sup>31</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 138.

ფეოდალური აღორძინების სული იგრძნობოდა რუსთაველის ეპოქაში ნაგებ სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული უბადლოებით დღესაც გვხვბლავენ. საკმაოა დავასახელოთ გელათის, ბურთუჭინის, იკორთის, ყინცვისის, ვარძიის, ბეთანიის, ფიტარეთის; წულორულაშენისა და სხვ. ტაძრები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქართულმა სამშენებლო ხელოვნებამ იმ დროს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები შექმნა.

ხელოვნების სფეროში ნათლად იგრძნობოდა მოაზროვნე ოსტატების მისწრაფება თავი დაეღწიათ „ღვთაებრივი სულის“ ტყვეობიდან და მოეცათ უფრო თავისუფალი ასახვა, რომელშიაც არსებული სინამდვილისა და ადამიანურობის მაჯისცემა იგრძნობოდა. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქართული ხელოვნება ველარ ეგუებოდა ბიბლია-სახარების უსიცოცხლო მოტივებს და ახლისავენ, ცხოვრებისეული მოვლენებისაკენ, მიისწრაფოდა.

არაჩვეულებრივად გაიზარდა ქართული სწავლა-გნთლების კერათა რაოდენობა საქართველოს შიგნითაც და მის გარეთაც. სკოლა არსებობდა თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერში. ამავე დროს წარმოიშენენ უფრო მაღალი ტიპის სასწავლებლები—გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებშიაც მოწინავე მეცნიერები მოღვაწეობდნენ და იმ დროის საკაცობრიო იდეებსაც ეხმაურებოდნენ. კერძოდ, გელათის აკადემია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იქცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა...“<sup>32</sup>.

განათლების აუცილებლობის შეგნება სულ უფრო მეტად ეუფლებოდა გაბატონებულ ფენებსა და მასებსაც. მეცნიერების საფუძველთა ცოდნა, როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობა ყოფილა. ამის მაგალითს იძლეოდა დავით აღმაშენებელი, რომელიც მაშინ გამოჩენილ მეცნიერებს ეკამათებოდა. ერთი პაექრობის დროს მისთვის უთქვამთ კიდევ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა“<sup>33</sup>...

XI-XII საუკუნეებში საქართველოში ცოცხლობდა დემოკრატიული საწყისების შემცველი შეხედულება, რომლის მიხედვით ადამიანის პირად ღირსებას, წოდებრივ შთამომავლობასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭებოდა. არც თუ ისე იშვიათი იყო შემთ-

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330-331.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 357.



ხვევები, როცა დავით აღმაშენებელი და გიორგი III „უგვაროებს“ აწინაურებდნენ.

არნახულ სიმაღლეს მიაღწია ქართულმა სამეცნიერო და მხატვრულმა მწერლობამ. ნათლად გამოვლინდა სასულიერო მწერლობის დაქვეითებისა და საერო ლიტერატურის აღორძინების პროცესი. სასულიერო მწერლობა უკვე ვერ აკმაყოფილებდა ამაღლებული კულტურის საზოგადოებას.

შრომის პათოსის თანდათანობითმა გაღრმავებამ ბზარი გააქლო რელიგიურ ცრურწმენებს და ადამიანის ოცნება ზეციური სამყაროდან დედამიწაზე ჩამოიყვანა. საერო ლიტერატურამ სასულიეროს სძლია და ნიადაგი შეუშადა ჰუმანისტურ-კაცთმოყვარული იდეებს. აზროვნების ცენტრში ექცეოდა ადამიანური სამყარო, ცხოვრებისეული იდეები. საერო ნაკადები ღრმად შეიჭრა აგრეთვე სასულიერო ლიტერატურაშიც.

XI-XII საუკუნეებში დაიწერა ჩინებული საისტორიო ნაწარმოებები, რომელთა შორის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება ეპოქის იშვიათ ქმნილებად უნდა ჩაითვალოს. ეს ავტორი თავისი დროის საქართველოს ისტორიული განვითარების მოვლენებზე ფიქრობდა და კრიტიკული აზროვნების ნიმუშებსაც იძლეოდა. იგი ცდილობდა აეხსნა ფეოდალური საზოგადოების სოციალური ბუნების დამახასიათებელი ზოგიერთი თვისება, ეძებდა შინაფეოდალური ბრძოლის გამომწვევ მიზეზებს. ფართო განათლებითა და ისტორიული სინამდვილის ცოდნით გამოირჩეოდნენ აგრეთვე თამარის ისტორიკოსები, რომელთაც ძვირფასი ნაშრომები დაგვიტოვეს.

რუსთაველის გენიალურ ქმნილებას წინ უძღოდა ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორც არიან ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“, „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი და სხვ.

რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა აგრეთვე ქართული ფილოსოფიური აზრის მაღალი დონე, რომელიც იოანე პეტრიწის მოღვაწეობით აღინიშნა.

მოწინავე ფილოსოფოსებმა ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი მოიშველიეს და ბრძოლა გამოუცხადეს საეკლესიო-დოგმატიკურ აზროვნებას. პეტრიწი ქართულ აზროვნებაში ნეოპლატონური ფილოსოფიის წარმომადგენელი იყო. ანტიკური ფილოსოფიით (პლატონი, არისტოტელე) გატაცება და მსჯელობის საფუძვლად რეალური სინამდვილის აღიარება უკვე სქოლასტიკის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლასა და ჰუმანიზმს გამოხატავდა.

შოთა რუსთაველი მაშინდელი საქართველოსა და მთელი ამი-

ერკავკასიული სამყაროს დიდი შვილი იყო. ამიერკავკასიის ხალხთა თავისებურ გაერთიანებას საქართველოს პეგემონიით, მიუხედავად მისი მამოძრავებელი პოლიტიკური ტენდენციისა, ქართული, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების შემდგომი კულტურული განვითარებისათვის, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა უკონდა. შემთხვევითი როლი იყო, რომ რუსთაველის ეპოქაში მოღვაწეობდნენ მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორიც იყვნენ ნიზამი განჯელი და ხაყანი შარვანელი. შარვანი მაშინ საქართველოსთან დაკავშირებული იყო და ქართულმა სინამდვილემაც დიდი როლი შეასრულა ხაყანის შემოქმედებაში. ნაწილობრივ ასევე ითქმის ნიზამის მშობლიურ ქალაქ განჯაზეც.

ამიერკავკასიელ ხალხთა ცხოვრების მეტ-ნაკლებად საერთო პირობებმა შეუშზადეს ნიადაგი დიდ მოაზროვნეთა შემოქმედებას. ამიტომ გასაგებია, რომ მათ ნააზრევში, რომელიც მშობელი ხალხების სიბრძნეს ემყარებოდა, ზოგიერთ ნათესაურ პარალელსაც ვხვდებით.

„ვეფხისტყაოსანი“, მიუხედავად მისი ალეგორიული სიუჟეტური ფორმებისა, ავტორის თანადროულ ქართულ სინამდვილეს ემყარება. პოემის შინაარსში უდავოდ მოჩანს XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანარეკლი და ავტორის დამოკიდებულება ეპოქის უმთავრესი მოვლენებისადმი.

„ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით თამარის დროის ისტორიკოსთა თხზულებებში მოთხრობილი ამბების რემინისცენციებსა და, ზოგ შემთხვევაში, ტექსტობრივ სიახლოვესაც.

ანისისათვის ბრძოლის წინ მეფე გიორგი მესამემ ვრცელი სიტყვით მიმართა თავის მეომრებს: „ხედავთა თუ რაოდენ უფრო სასახლო არს მკნებრივ სიკუდილი, ვიდრედა სენითა და განდობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გუყვების!“<sup>34</sup>. ანალოგიურია რუსთაველის შეხედულებაც<sup>35</sup>.

გიორგი რუსისა და ძლიერ ფეოდალთა შემოტევები რომ მოიგერიეს, „შეიქმნა მშვიდობა, რომელი აროდეს სადა ვის უხილავს და „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ჭარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა“<sup>36</sup>. ასეთივე შედარება მოაქვს რუსთაველსაც<sup>37</sup>.

<sup>34</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 58—59.

<sup>35</sup> ვეფხისტყაოსანი, სტრ. 806.

<sup>36</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 95.

<sup>37</sup> სტროფი 1664.

„ვეფხისტყაოსანში“ იგრძნობა მწვავე კრიტიკა იმ ფეოდალურ-ზისა და ვაჭრული ზედაფენებისა, რომელთაც თამარის უნებურად მას საქმროდ უცხო კაცი მოუყვანეს და ამით ქვეყანა მტრე განსაცდელში ჩააგდეს. ამ შემთხვევაში დიდი პოეტისა და თამარის ისტორიკოსების მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, ბასილი აღნიშნავდა, რომ გიორგი რუსისა და თამარის ქორწილი მოხდა „შემდგომად მრავლისა ცილობისა, თვნიერ ნებისა მისის (თამარისა)“<sup>38</sup>. არანაკლებად მწვავე შედეგებით სრულდება ნესტანდარეჯანისათვის გარედან მოწვეული საქმროს ამბავი (სტროფები 548—558).

რუსთაველი და ქართული საისტორიო მწერლობა ბევრ რამეში ეხმაურებიან ერთიმეორეს, ერთხმად გამოდიან ცენტრალური ზელისუფლების ინტერესთა დასაცავად, აღიარებენ მეფისადმი პორჩილებასა და სამშობლოს ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლის აუცილებლობას, ქადაგებენ კლასებს შორის ზავსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის კეთილშობილურ იდეებს (ამავე დროს მათ შორის იდეოლოგიური სხვაობაც დიდი იყო).

დავითისა და თამარის ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ საქართველოში თავისუფლად თანამშრომლობდნენ ქრისტიანები და მაჰმადიანები, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ანალოგიური სურათია „ვეფხისტყაოსანშიც“.

რუსთაველმა უმღერა სახელმწიფოებს, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ძმურ თანამშრომლობას, მათ ძალთა გაერთიანებას ბოროტის წინააღმდეგ და კეთილის გამარჯვებისათვის<sup>39</sup>.

რუსთაველთან მძაფრად და დაპირისპირებული ვაჭრული სიძუნწე-გაუმადლობა და ფეოდალურ-რაინდული გულუხვობა, საბოძვარის დიდი რაოდენობით გაცემა, რაც მეტად ფართოდაა აღწერილი მაშინდელ საისტორიო მწერლობაში.

როგორც ზემოთ ითქვა, ძლევამოსილ ლაშქრობათა შედეგად საქართველოში აურაცხელი განძეულობა შემოდიოდა—ოქრო ვერცხლი, იარაღ-საჭურველი, საქონლის ჯოგი და სხვ. ანალოგიურ სურათებს ხშირად ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“: „გავგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი, ალაფი ავალებინე, ერთობ სავესენი მოვიდეს, თავიკა ვალალებინე“; „წამოვიხვნენ საჭურჭლენი, სახელმწიფო

<sup>38</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120. იხ. აგრეთვე ისტორიანი და აზმანი, გვ. 81.

<sup>39</sup> სტროფი 1663 და სხვ.

დავიავრე“; „მუნ იდვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლანისა“ და სხვ.<sup>40</sup>

თავისი დროის ფაქტებს ემყარება რუსთაველი, როცა საზღვრების მცველ „მონაპირეთა“ შესახებ მსჯელობს და მესანხმანად ახასიათებს მათ მოვალეობას (სტროფები 143, 147, 149, 156, 163).

ვეფხისტყაოსანში რუსთაველმა იდეალური ფორმით, სოციალური ზავის სახით, წარმოგვიდგინა XII ს. საქართველოს ფეოდალური საზოგადოება. დიდი პოეტის სოციალური შეხედულებანი გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს. ერთი მხრივ, იგი ფეოდალური კლასის იდეოლოგია და ფეოდალურ ურთიერთობას იცავს, მეორე მხრივ, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა არ მოსწონს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ პოეტი არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილესაც უხდის ხარკს და ამავე დროს ფიქრობს საოცნებო მომავალზე, როცა ადამიანებმა ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა უნდა მოიპოვონ. თავისი შეხედულებებით პოეტი უდავოდ დგას ორი სამყაროს ზღურბლზე და შორსაც იხედება, რითაც არსებულ სინამდვილეს წინ უსწრებს.

რუსთაველს არ მოსწონდა კლასებად გათიშული საზოგადოება, როდესაც ადამიანთა შორის ოდინდელი თანასწორობა უკვე დიდი ხანია დარღვეულიყო და ინდივიდუალისტურ ინტერესთა ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულიყო. ერთი მხრივ, იგი თითქოს ეგუებოდა არსებულ სინამდვილეს:

„პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების“ (780); „პატრონისა ვერა მკვრეტმან ყმაჲან რამცა გაიხარნა“; „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს: მუშა მიწყვიც მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“ (11); „ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“ (154); „ვართ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ—ყმათასა“ (155) და სხვ. მაგრამ, მეორე მხრივ, ვეფხისტყაოსანში ისეთი ადგილებიცაა, სადაც პოეტი სოციალურ სინამდვილეს ვერ ეგუება და მის გარდაქმნას მოითხოვს.

რუსთაველის „პატრონყმური“ ზავი უმთავრესად გაბატონებული კლასის შიგნით ზავს გულისხმობს. პატრონი და ყმა რუსთაველთან უმეტეს შემთხვევაში ფეოდალური კლასის საშინაო იერარქიაზე მიუთითებს, გვიჩვენებს პატრონყმურ კიბეს თვით მაღალი და დაბალი რიგის ფეოდალებს შორის, რომლებიც თავიანთ სოციალურ ბატონობას სახელმწიფოებრივი მორჩილების თუ უმცროს-უფროსების წესით განაგებენ.

გენიოს პოეტს, რა თქმა უნდა, კარგად ესმის, რომ ფეოდალებს

<sup>40</sup> სტროფები 455, 464, 1438 და სხვ.

შორის თანხმობა მარადიული არაა, ისინი ერთიმეორეს მტრობენ, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ასეთი მტრობა და ლალატი უნდა მოისპიოს არა მარტო ფეოდალების შინაგან ურთიერთობაში, არამედ ფეოდალთა და მიწის მუშათა ურთიერთობაში: „კაცი ცრუ და მტრულ ლალატე ხამს ლახვრითა დასაქრელად“ (162); „ვით მოიხმაროს მონასტრის მან პატრონსა ზედა ხრმალია“ (1485).

რუსთაველის ეპოქაში ფეოდალიზმის ე. წ. პატრონყმური საფეხური (ადრეფეოდალური ურთიერთობის გაგებით) უკვე გავლილი სტადია იყო. „პატრონყმობა“ გულისხმობდა ფეოდალური პირობითი მიწისმფლობელობის გამარჯვებას, როდესაც მწარმოებელთა დიდ ნაწილს პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ შერჩენოდა. რუსთაველის დროს კი, XII-XIII სს. მიჯნაზე, მწარმოებელთა ძირითადი მასა მწვავე პატრონყმურ ჩაგვრას განიცდიდა. ამიტომ რუსთაველს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ სჯობდა ის დრო, როდესაც პატრონებსა და ყმებს შორის ისეთი დაპირისპირება არ ყოფილა როგორც იყო მაშინ, როდესაც ქვეყანაში ნახევრადთავისუფალ მშრომელთა და თავისუფალ მოთემეთა ფენები სჭარბობდნენ. დიდ პოეტს ჯერ კიდევ თვალნათლივ შეეძლო ეხილა სასოკვლო თემების გადმონაშთები (თუნდაც მთიანეთში), რომლებიც, გარეგნულად მაინც, ოდინდელ თავისუფლებასა და უკლასო საზოგადოებას განასახიერებდნენ. ასეთი გადმონაშთები საქართველოში თავისებურ გავლენას ახდენდა გენიალური პოეტის სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებაზე.

„ვეფხისტყაოსანში“ „პატრონყმური“ იდილიისა და სოციალური ზავის გამომრიცხველი მომენტებიც შეინიშნება და, ჩანს, რომ ეს „ზავი“, თუ იგი კლასებს შორის ოდესმე არსებობდა, დარღვეული იყო. ამაზე მეტყველებენ უკვე ნახსენები სტროფები მეფის ერთგულების მოწოდების, ლალატის დაგმობის, პატრონის წინააღმდეგ ხმლის მოქნევის გაკიცხვისა და სხვ. შესახებ<sup>41</sup>. დამახასიათებელია აგრეთვე სამამულო-სამემკვიდრეო მფლობელობის სურათები არა მარტო მიწის საკუთრების, არამედ თანამდებობათა დაუფლების საკითხშიც (სტროფები—534, 544, 565, 600, 601, 604) და სხვ.

რუსთაველი ადამიანთა კოლექტივის თავისუფლებას უმღერო-

<sup>41</sup> „ვეფხისტყაოსნის სოციალურ-პოლიტიკური ფონის რიგი საკითხებისა სწორადაა გააზრებული აკად. ა. ბარამიძის მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1956 წ.

და. ამით იყო იგი ჰუმანიზმისა და რენესანსული იდეების დიდი შე-  
სიტყვე. ჰუმანისტი პოეტი ვერ შეურიგდებოდა დაბალი ფენების  
ჩაგვრას და საზოგადოების მაღალი ფენებისაგან მტრულად სწოტი-  
ალური უსამართლობის მოსპობას: „მეც ვლახაკთა სსქურტლქე  
ათავისუფლე მონები“ (803). ასეთი მოთხოვნა იმ დროისათვის უდი-  
დესი მნიშვნელობისა იყო.

„ვეფხისტყაოსანში“ უდავოდ ჩანს ავტორის სიმპათიები მშრო-  
მელი მასებისადმი. პოეტი უგალობს შრომას როგორც ადამიანის  
ყოველგვარი წარმატების პირობასა და საფუძველს: „არ იცი, ვარ-  
დი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“ (877), „მაშა ლხინსა ვინ მოიმ-  
კის პირველ ჳირთა უმუშაკო?“ (879), „ნუ სდევ წადილთა ნებასა“  
(880), „მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჳირსა გასძ-  
ლებს“ (915) და სხვ. ზოგიერთ სტროფში ავტორი, საფიქრებელია,  
შეფარვით გადმოგვცემს თავის გულისწყრომას არსებული სოცია-  
ლური უსამართლობისადმი—„რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს  
ბნელია?!“ (36), „ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოე-  
ფინების...“ (49) და სხვ.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება,  
რომ რუსთაველი ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი  
იყო, სათანადოდ დასაბუთებული არაა. ისტორიკოსებმა (მ. ლორ-  
თქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი, დ. მუსხელიშვილი და სხვ.) სწორად  
გვიჩვენეს, რომ ჰერეთის ერისთავთ-ერისთავის სახელთან რუსთა-  
ველის დაკავშირებას საფუძველი არ ჰქონია. რაც შეეხება დებუ-  
ლებას რუსთაველის მეორე თანამდებობის შესახებ, ამ საკითხში  
თითქოს ერთსულოვნება ჩანს და თვლიან, რომ დიდი პოეტი შე-  
თავსებით მეჭურჭლეთუხუცესიც იყო.

რუსთაველის ვინაობაზე მსჯელობისას, რაკი სხვა წყაროები  
არ გაგვაჩნია, ერთადერთ საფუძველად „ვეფხისტყაოსანი“ რჩება. ამი-  
ტომ, ბუნებრივია, დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად  
ეთავსებიან ერთიმეორეს ავტორის აზროვნების სფერო, ერთი  
მხრივ, და ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის, ისე-  
ვე როგორც, საერთოდ, უმაღლესი არისტოკრატიული ზედაფენის  
წარმომადგენელთა იდეოლოგია, მეორე მხრივ. გასათვალისწინე-  
ბელია ისიც, თუ რამდენად ასატანი უნდა ყოფილიყო ასეთი „შე-  
თავსებითი სამუშაო“ დიდი ჰუმანისტისათვის, რომელმაც მთელი  
თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები და ძირითადი ენერგია  
კოდნის გამდიდრებასა და „ვეფხისტყაოსანს“ შეაღია.

მეჭურჭლეთუხუცესი თამარის დროის საქართველოს ოთხ ვა-  
ზირთაგან ერთ-ერთი იყო. ამ რიცხვს რუსულადნ მეფის დროს კი-  
დეც ორი ვაზირი შეემატა. საქართველოს სახელმწიფოში კი მაშინ,

როგორც ვიცით, დაახლოებით ხუთი მილიონი სული ცხოვრობდა ნართალია, იმ დროს მართვის ბიუროკრატიული სისტემა არ ყოფილა, ფეოდალური ქვეყნის გამგებლობა პროვინციებში ძლიერ ფეოდალთა ხელში იყო, ფეოდალებს მმართველობის ფუნქციები ჰქონდათ, მაგრამ მაინც საკმაოდ რთული იყო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც, ცენტრალურ მოხელეთა ასეთი სიმცირის პირობებში, დიდ ენერჯიას, დროსა და შესაძლებლობას მოითხოვდა.

მექურქლეთუხუცესი არსებითად სამეფო კარის ეკონომიური ცხოვრებისა და პოლიტიკის გამგებელ-განმახორციელებელი იყო. ფინანსები, ვაჭრობა, სამეფო საგანძურები და ყველაფერი, რაც კი სამეფო შემოსავალ-გასავალს უკავშირდებოდა, მექურქლეთუხუცესის საზრუნავში შედიოდა. მის განკარგულებაში იყო მოხელეთა დიდი რაოდენობა — სახელმწიფო ქონების შემნახველ-აღმრიცხველები, ხაზინადრები, სამეფო დომენის მეურნეობის ზედამხედველები და მსახურები, სავაჭრო ბაჟების ამკრები მოხელეები, „მექურქლენი ქალაქისანი“, „ქალაქის ამირანი“ და სხვ.

მექურქლეთუხუცესის მოღვაწეობის მთავარი შინაარსი — ბრძოლა სახელმწიფო კარის შემოსავლის გაზრდისათვის — მას ვაჭარ-საქმოსანთა ფართო ფენებთან აკავშირებდა და თამარის დროს იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს თანამდებობა დიდვაჭარ-ფინანსისტების წრეებიდან გამოსულსა და სიმდიდრით აზღვევებულ პირს ეკავა. ამის ნათელი მაგალითია აბულასანი — ქართლის ერისთავთ-ერისთავი და საქართველოს სახელმწიფოს მექურქლეთუხუცესი XII ს. 80-90-იან წლებში<sup>42</sup>. აბულასანი, როგორც ეს შ. მესხიამ დაამტკიცა, ვაჭრული ზედა ფენებიდან ამოტივტივდა მაღალი არისტოკრატიის რიგებში.

ჩვენ ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ შოთა რუსთაველის რაინდული სენტიმენტალიზმი და კეთილშობილება მძაფრად უპირისპირდებოდა ვაჭრული ფენების იდეოლოგიასა და მისწრაფებებს. სიმართლისა და მეგობრობისათვის თავდადების, უქონელთა უზრუნველყოფისა და ყველასათვის ბედნიერების მქადაგებელი პოეტი ვაჭრული ფენებისა და ყოვლისმძლე დიდ ფეოდალებისაგან შორს უნდა ყოფილიყო<sup>43</sup>.

42 პ. ინგოროყვას მოსაზრებით, შოთა რუსთაველი 1166 წ. ახლოს დაიბადა, ხოლო მექურქლეთუხუცესად დანიშნეს 79 წლის ასაკში (I), 1245 წ. (პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 670—671).

43 ჯერ კიდევ 1935 წელს, სახელოვანი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „უეჭველია, რომ შოთა რუსთაველი (მესხი) ზემოთურ კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ არა მგონია, რომ ის პირველი რიგის ფეოდალი ყოფილიყო (ლიტერატურული საქართველო, 1965, 17/XII).

ალბათ წარმოუდგენელიც იქნებოდა ისეთი მექურჭლეთუხუცესი, რომელიც სამეფო სიმდიდრის დაგროვების ნაცვლად ქილაგებდა: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (სტრ. 49), „რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულიაქ“ (50); „უხვად ნუვი ნუ დაჰმალავს საჭურჭლესა დადებულსა“ (53); „უხვად ნუვი წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!“ (54), „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“ (55); პოეტი ასეთ საქციელს იწონებს; „გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“ (158), „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“... (803). პოეტი დაუნდობლად გმობდა გაუმაძღრობასა და პატივმოყვარეობას, რაც მაღალი არისტოკრატიის თვისება იყო: „გული კრული აკაცისა, ხარბი და გაუძღომელი“ (718) და სხვ.

შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და მისი ცნობილი წარწერა, სადაც „დამხატავი შოთა“ და „რუსთველი“ იკითხება („რუსთველი მიწერილია ტექსტის ბოლოს, ცალკე, თითქოს უადგილო ადგილას“ (შ. ამირანაშვილი) და იმავე მონასტრის ალაპებში მოხსენიებული შოთა მექურჭლეთუხუცესი, ჩვენი აზრით, ვერ იძლევა საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ გენიოს პოეტს მექურჭლეთუხუცესის დიდი თანამდებობაც ჰქონდა. ამჯერად ჩვენ ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვისაგან თავს ვიკავებთ და შევნიშნავთ მხოლოდ იმ არსებით გარემოებას, რომ რუსთაველის შემოქმედება და მექურჭლეთუხუცესობა ერთიმეორეს ვერ ეთავსება.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დიამეტრალურად უპირისპირდება აგრეთვე ერისთავ-ერისთავთა მიზნებსა და მისწრაფებებს. მართალია, ყველა ერისთავთ-ერისთავი ერთნაირი არ იყო, მაგრამ მათთვის საერთოდ დამახასიათებელი თვისება საკმაოდ ცნობილია: ერისთავთ-ერისთავები თამარის დროს ცენტრალური ხელისუფლების მოხელეები და ვრცელი პროვინციების გამგებლები იყვნენ. ამავე დროს მეტად ფართო იყო მათი უფლება-მოვალეობანი; ერისთავებს თავიანთ საგამგეო ოლქებში სამხედრო-ადმინისტრაციული და სამოსამართლო უფლებები ჰქონდათ. ისინი, პირდაპირი თუ შენიღბული გზით, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ და საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდნენ. რუსთაველი კი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მომხრე იყო და ამით საშუალო თუ დაბალი არისტოკრატიისა და მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებსაც ეხმაურებოდა.

რუსთაველი, შესაძლებელია, მართლაც იყო „ვინმე მესხი“ (მიუხედავად ცნობილი სტროფის—1165—სხვაგვარი გაგებისა), თავმდაბალი „უჩინო“ ბრძენი, საშუალო თუ დაბალი არისტოკრა-



ტიის წარმომადგენელი, წვრილი მფლობელი, რომელიც მის თანადროულ უმაღლეს წრეებში ცნობილი ვერ იქნებოდა. ალბათ ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ გენიალური მოაზროვნე თავისი ეპოქის წერილობით წყაროებში მოხსენებული არაა. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი „ვეფხისტყაოსანი“, საფიქრებელია, მოგვიანებით გავრცელდა საზოგადოებაში და პოეტს არ დასცალდა, რომ მისი სწორუპოვარი ქმნილების საყოველთაო აღიარებით დამტკბარიყო.

დიდმა პოეტმა ლიტერატურულად გადაამუშავა და განავითარა მშობელი ხალხის სიბრძნე და ისევ ხალხს უანდერძა. სამაგიეროდ ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსანი“ ყველა წიგნზე უფრო მეტად შეიყვარა და, როგორც უძვირფასესი რელიკვია, გამოატარა ცხოვრების დიდ გზაზე.

---



## სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში

(ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის)

XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალური განვითარება ბატონყმობის გამარჯვების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

XI-XII საუკუნეების საქართველოში გლეხთა ორ დიდ ჯგუფად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილს ჯერ კიდევ შეეძლო ერთი ბატონიდან მეორე ბატონთან გადასვლა, ე. ი. მამულიდან ადგომა, ხოლო მეორე ჯგუფს ეს უფლება წართმეული ჰქონდა<sup>1</sup>. მაგრამ ასეთი მდგომარეობა X — XII საუკუნეების მანძილზე, რასაკვირველია, არ იყო სტაბილური. განვითარება გლეხთა საბოლოო დაუმეგების გზით მიმდინარეობდა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის წათი მთავარი მასა მიწაზე იყო მიმაგრებული<sup>2</sup>.

უშუალო მწარმოებელთა ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ფლობდა მიწის საკუთარ ნაკვეთებს და თავისუფალი იყო ფეოდალურ ვალდებულებათაგან, ამ პერიოდში უკვე უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდა. ის „ძნელად მისასვლელ ხეობებსა და მალაღმთიან რაიონებში აფარებდა თავს“<sup>3</sup>.

გლეხთა ის ნაწილი, რომელიც იჭდა ფეოდალის მიწაზე და გარკვეული პირობებით ამუშავებდა მებატონის მიწას, იხდიდა საბატონო ვალდებულებებსა და ჯერ კიდევ ჰქონდა მამულიდან წასვლის უფლება, ქმნიდა დამოკიდებულ გლეხთა ფენას<sup>4</sup>.

გლეხთა ის ნაწილი, რომელიც არა მარტო სარგებლობდა ბატონის მიწით და ამუშავებდა მას, არამედ მიმაგრებულიც იყო ამ მიწაზე და არ სარგებლობდა თავისუფლად წასვლის უფლებით, იყო

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 430.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. („საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965), გვ. 51.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

<sup>4</sup> იქვე.

პირადად უფლებო და ეკუთვნოდა, როგორც არასრული საკუთრება, ფეოდალს, ქმნიდა ყმაგლებთა (крепостные) ფენას<sup>5</sup>.

ეს მეორე ფორმა გლახთა ექსპლოატაციისა იყო ყველაზე მეტად სრულყოფილი და მძიმე. ამ შემთხვევაში გლახთა ბულია ფეოდალზე არა მარტო იმის გამო, რომ მას მიწა უჭირავს, არამედ იმიტომაც, რომ ფეოდალს იურიდიული და სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებაც აქვს მასზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქოს აღარ არის სადავო საკითხი იმის შესახებ, რომ XI-XII საუკუნეებში ჩვენში ინტენსიურად მიმდინარეობდა გლახთა მიწაზე მიმაგრების პროცესი და რომ XIII ს. დასაწყისში ეს პროცესი ძირითადად დასრულებულია.

გლახთა მიწაზე მიმაგრების პროცესთან უშუალოდაა დაკავშირებული გლახობის კლასად ჩამოყალიბების პრობლემა.

გლახობის როგორც კლასად ჩამოყალიბების, ისე მიწაზე მიმაგრების პროცესი ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის პერიოდიდან იწყება. მაგრამ რათა უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა მიწაზე იქნეს მიმაგრებული, ამისათვის ის გლახად, პირადად დამოკიდებულ და სხვის მიწაზე მოსახლე მიწის მუშად უნდა იქცეს.

გლახობის კლასად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ X საუკუნის გასულისათვის საქართველოში ძირითადად სრულდება გლახობის კლასად ჩამოყალიბების პროცესი, რაც ქართული ფეოდალიზმის ისტორიაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა ადრეფეოდალური ურთიერთობის დასრულებისა და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საფეხურის დაწყებისა.

იმ საბუთიანობას, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მოტანილია ჩვენს ნაშრომში<sup>7</sup>, სადაც ძირითადად ნარატიული წყაროებისა და დოკუმენტების მონაცემებია გამოყენებული, ამჯერად გვსურს კიდევ დავუმატოთ ერთი რამ, სახელდობრ, XI საუკუნის ქართული საკანონმდებლო ძეგლის ჩვენება, რაზეც ადრე ყურადღება არ მიგვიქცევია და სათანადოდ არ შეგვიფასებია.

როგორც ცნობილია, ბექა-აღბულას სამართლის წიგნს ერთვის ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნაწყვეტი. ბაგრატ კურაპალატის სამართლის ეს ნაწყვეტი დიდ აზრთა სხვადასხვაობისა და მსჯელობის საგანია ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>8</sup>, სადავოა ძეგლის

<sup>5</sup> K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 7, 1956, стр. 356.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 68—88.

<sup>8</sup> იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 44—60.

შემდგენელის ბავრატ კურაპალატის ვინაობა, სახელობა, რომელი ბავრატ კურაპალატია ეს — პირველი, მესამე თუ მეოთხე? ბავრატ I კურაპალატის საკითხი თითქოს გამორიცხულია და დავა ბავრატ III და IV შორის მიმდინარეობს, თუმც უკანასკნელ ხანს აზრები ბავრატ IV-ის სასარგებლოდ იხრება<sup>9</sup>, მაგრამ ჩვენთვის ამ დეტალებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენთვის მთავარია, რომ კანონმდებლობა XI საუკუნეს განეკუთვნება, რაც თითქოს არავითარ დავას აღარ იწვევს.

აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლის (ბექა-აღბუღას სამართლის გაგრძელება, მუხლები 99—160) ცალკეული მუხლები ითვალისწინებს დანაშაულის სხვადასხვა სახეებს. „101—115, 121—123 მუხლები ითვალისწინებენ სამღვდლოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულს, 116—120, 124—160 მუხლები უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავენ, ვგვხვდება სამოქალაქო სამართლის ნორმებიც. სისხლის სამართლის დანაშაულთა შორის აღნიშნულია მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის დაგდება, გაძარცვა და ქურდობა. საოჯახო სამართლიდან გათვალისწინებულია ოჯახის გაყრისა და საუხუცესოს მიცემის წესი“<sup>10</sup>. ასეთია ამ ძეგლის შედგენილობა.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ XI ს. საკანონმდებლო ძეგლი როგორ წარმოგვიდგენს თავის თანამედროვე საზოგადოებას. ეს საკანონმდებლო ძეგლი ასახელებს მეფე-ეპისკოპოსებს, ეკლესიის სხვა მსახურთ, დიდებულებს, აზნაურებს და გლეხებს. გაბატონებული ფეოდალური საზოგადოება ამ ძეგლის შემდგენელისათვის, მეფისა და ეკლესიის მსახურთა გარდა, ორი ფენისაგან შედგება—აზნაურთა და დიდებულთაგან. მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დიდებულის სისხლი აზნაურის სისხლზე მეტად ფასობს, რაც სრულიად შეესაბამება XI საუკუნის საქართველოს ვითარებას.

რაც შეეხება მწარმოებელ საზოგადოებას, აქ ის მხოლოდ და მხოლოდ „გლეხის“ სახით არის წარმოდგენილი, მწარმოებელთა სხვა სახეს ეს ძეგლი არ იცნობს.

მართალია, ძეგლი არ არის მთლიანი სახით დაცული და შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ სხვა სახის მწარმოებელთა (ვთქვათ, თავისუფალი მწარმოებლის) შემცველი მუხლები ჩვენ ხელთ არ

<sup>9</sup> ი. დოლიძე, იქვე.

<sup>10</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 50.

გვაქვს, მაგრამ შინაარსი კანონმდებლობისა ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგან: საქანონმდებლო ძეგლის ცალკეულ მუხლებში ლაპარაკია როგორც სისხლის სამართლის, ასევე საქმართლის სხვადასხვა სახის დანაშაულებზე. დანაშაულებები დაკავშირებით განსაზღვრულია სასჯელის სახეები იმის მიხედვით, თუ ვის ეხება ეს — ეკლესიას, დიდებულს, აზნაურს თუ გლეხს. გადაკვეთილია სასჯელების თუ საზღაურის ნორმები დიდებულთა, აზნაურთა თუ გლეხთათვის, ასე რომ საზოგადოების რომელიმე სხვა ფენის წარმომადგენელი კიდევ რომ არსებობდეს, ის ამ კონტექსტში აუცილებლად იქნებოდა მოხსენიებული. ხოლო უკანასკნელ მუხლში (160), სადაც ლაპარაკია „საპიროზე“, სრულიად გარკვევით არიან ჩამოთვლილი საზოგადოების ის წარმომადგენელნი, რომელთაც დანაშაულის გამო შეიძლება სასჯელი დაედოთ; ესენი არიან: დიდებული, აზნაური და გლეხი. „საპირო“ სპეციალური სასჯელია, რომელიც, სისხლის დაურევების გარდა, უნდა გადაიხადოს დამნაშავემ საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ. „საპირო“ საჯარო ხასიათის სასჯელია, რომელიც არ შედის სისხლის დაურევების ფასში<sup>11</sup>.

ამ მუხლში ნათქვამია: „საპირო და ამის მისითა წესითა წინა გაუძღუანეთ და აგრე გაიბრჭვენ: დიდისა დიდი გააჩინეთ, და ცოტასა—ცოტა. ესე გლეხისა სისხლისა, დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქმნების: ოცდაათი ათასი, ჩვდმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შვდი ათასი, როგორც ვის მართებს ეგრე გააჩინეთ“<sup>12</sup>.

როგორც ვხედავთ, საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადს, „საპიროს“, რომელსაც უნდა იხდიდეს ყველა დამნაშავე, კანონმდებელი აწესებს დიდებულზე, აზნაურსა და გლეხზე. აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ უკვე XI საუკუნეში მწარმოებელთა ძირითადი მასა გლეხია, ხოლო არამწარმოებელი—აზნაური და დიდებულია. ე. ი. გლეხოზა კლასად არის ჩამოყალიბებული. ამასთანავე, რასაკვირველია, არსებობენ თავისუფალ მწარმოებელთა წარმომადგენელნი (განსაკუთრებით მთიან ზონაში), მაგრამ საერთო კანონმდებლობაში ისინი არ იხსენიებიან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბექა-ალბულას სამართალი, აზნაურებსა და გლეხებს გარდა, იცნობს მსახურებს, რომელნიც, როგორც ცნობილია, ფეოდალური ურთიერთობის ხა-

<sup>11</sup> ი. დოლიძე, დსახ. ნაშრ., გვ. 52.

<sup>12</sup> ბაგრატი უკრაპალატის სამართალი. მითითებული გამ. მუხლი 160, გვ. 342.

ნაში გარდამავალ ფენას წარმოადგენდნენ. ბექას კანონმდებლობა მხოლოდ აზნაურად აღზევებულ მსახურებზე ზრუნავს.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მეშვედგ მუხლით კვი-  
თხულობთ: „თუ მსახური მოკლას რომელი აზნაურმეფელად მისსა  
პატრონსა ჰყვეს, თორმეტი ათასი თეთრი გარდაიხადოს“. ასეა ეს  
მუხლი წარმოდგენილი 1672 წლის ნუსხაში, ხოლო ვახტანგისეულ  
ნუსხაში იგივე მუხლი უფრო ვრცელადაა მოცემული, სახელდობრ:  
„თუ მსახური მოკლას რომელი მისსა პატრონსა აზნაურის შვილად  
ჰყვეს—თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს. და თუ მსახურად  
ჰყვეს—ათასი დაუურვოს“<sup>13</sup>.

შემდეგ კანონმდებელი განაგრძობს (მუხლი 9) და აღნიშნავს:  
(1672 წლის ნუსხით) „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, კარვოსნისა  
ბატონისაგან ჯელი ჰქონდეს, მისი სისხლიცა თორმეტი ათასი თეთ-  
რი არს. და გერშიცა იმავე წესით“. იგივე მუხლი ვახტანგის რე-  
დაქციაში ასეა: „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა და  
პატრონთან რომ ჯელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი  
თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამაღ რომე კარვოსნობა ესე ყოველ-  
თა წესია, აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა  
საქმე სჭირს, ისრე სრულად.

და პატრონთა საჭირო ჯელი არა აქვნდეს და არცა ჰქონებო-  
დეს, აზნაურად ჰყვეს,—მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს.

და გერშისაცა ამავე წესით იყოს“<sup>14</sup>.

1672 წლის ნუსხით მეათე მუხლი ასეა წარმოდგენილი:

„თუ ქოთლოსან კარვოსანი აზნაურად მსახურობდეს ბატონთა  
და მოკუდეს, მას უკანით მისი ნათესავი ველარა ისრე მსახურებდის  
ბატონთა, მისი სისხლი ათასი თეთრი იყოს“; ვახტანგისეულით:  
„თუ კარვოსან—ქოთლოსანი აზნაურშვილად მსახური ყოფილიყოს  
და მოკედეს, და მას უკანით იმისა ძმა ანუ შვილი და ნათესავი  
ვერღარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხ-  
ლი ათასივე თეთრი იყოს“<sup>15</sup>.

ამის შემდეგ აღნიშნულია, რომ გლეხის სისხლი ოთხას თეთრს  
ფასობს.

როგორც ვხედავთ, ბექას კანონმდებლობა საზღვრავს აზნაუ-  
რის ტოლი მსახურის სისხლს და შემდეგ—გლეხის სისხლს. ამ  
მხრივ ნიშანდობლივია, რომ 1672 წლის ნუსხა არ იცნობს ვახტან-

<sup>13</sup>ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, ი. დოლიძე, ძველი ქართული  
სამართალი, გვ. 289.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 289—290.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 290.

გისეული რედაქციით დანამატს 7 მუხლისათვის „და თუ მსახურად ჰყვეს ათასი დაუურვოს“.

ამ მუხლების მიმართ შეიძლება გავავრცელოთ ვარაუდი, რომ აქ ვახტანგის ხელი ურევია და ზოგ მუხლს დამატებები ჰქვს, ესენაა: 11 წილიც („თუ მსახურად ჰყვეს, ათასი დაუურვოს“) ვახტანგისდროინდელი ჩანამატი შეიძლება იყოს.

აღბულას კანონმდებლობაში „მსახური“, როგორც ჩანს, ფეოდალურ-გაბატონებული საზოგადოების წევრია. კანონმდებლობის იმ ერთადერთ მუხლში, სადაც მსახურია მოხსენიებული, მისგან ყმის წასვლაზეა ლაპარაკი. 78 მუხლში ვკითხულობთ: „თუ ღიღებულსა გინა აზნაურსა, გინა მსახურსა, ვისცა მომართებული ყმა პყვეს, კიდე წაუვიდეს, თუ რა ავი ანუ კარგი წაილოს მან ანუ ბატონისა ანუ მეზობლისა, ვისიცა წაილოს მან კაცმან, კიდევ უზლოს დაუკლებლად“<sup>16</sup>.

როგორც ვხედავთ, აღბულას კანონმდებლობა შესაძლებლად თვლის, რომ მსახურს ჰყავდეს „ყმა“, ე. ი. ამ კანონმდებლობით გამოორიციხულია „მსახურის“ გლეხობა, რადგან იგივე კანონმდებლობა უკრძალავს გლეხს ყმის ყოლას. აღბულას კანონმდებლობის 71 მუხლი გვაუწყებს: „თუ გლეხსა წარმავალისა გლეხისათვის გაეწიოს ანუ მოგუაროს იგი გლეხი და ანუ მისმან ბატონმან ჭელთა მისცეს იგი გლეხი. და გლეხი გლეხს მკუდრად ნუ ირჩის არცა მართებს, და არცა სყიდვასა ემართლების და არცა იგი ღირსა“<sup>17</sup>.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გლეხობის კლასად ჩამოყალიბება და მათი მიწაზე მიმაგრება ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის დროიდანვე იწყება, მაგრამ გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესის ინტენსიურად განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მწარმოებელთა ძირითად მასას გლეხები შეადგენდნენ, რაც ჩვენთვის საინტერესო ხანაში განხორციელებული ჩანს.

გლეხთა მიწაზე მიმაგრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეს. მიწაზე მიმაგრების პროცესი ინტენსიურად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარიმართოს, თუ სახელმწიფოში მმართველობა მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებულია და განხორციელებულია ერთი ქვეყნის შიგნით ცალკეულ კუთხეებსა და პოლიტიკურ ერთეულებზე საერთო კონტროლი. უნდა არსებობდეს ისეთი საერთო ძალა, რომელიც ერთი მეგობრივიდან მეორესთან გაქცეულ გლეხს უკან დააბრუნებს, აი-

<sup>16</sup> იქვე, გვ. 324.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 320.

ძულებს ამათუიშ მეზატონეს მასთან შეკედლებული გლეხი დაუბრუნოს მის ძველ ბატონს.

საქართველოში ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი ხელისუფლების ჩამოყალიბება გაერთიანებული საქართველში შეფუძნებით ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისათვის. ძველზე გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესის გაღრმავებას და სწორედ ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად ჩვენში X საუკუნის ბოლოდან მიმდინარეობს.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ იქმნება შედარებით უკეთესი და ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომიური აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ვაჭრობისა და ხელოსნობის შემდგომი დაწინაურებისათვის, ახალი ქალაქების შექმნისა და კულტურის დაწინაურებისათვის.

ფეოდალური საქართველოს ეკონომიური სიძლიერის საფუძველს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რომელიც იყო ქართველი ფეოდალების შემოსავლისა და სიმდიდრის უმთავრესი წყარო. ფეოდალიზმის განვითარება და ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე გადასვლა ჩვენში მსხვილი მიწათმოქმედების შექმნის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება, საქონელბრუნვის ზრდა და ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, ახალი ქალაქების შექმნა და საქალაქო ცხოვრების გაცხოველება აძლიერებს ქართველ ფეოდალებში ძირითადი მწარმოებლების არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიური დამორჩილების სურვილს, არამედ ქმნის მეურნეობის ინტენსიური მეთოდების გამოყენების დიდ მოთხოვნილებას მიწათმოქმედების, მათი სიმდიდრის მთავარი წყაროს, შემოსავლიანობის ზრდისათვის.

გაერთიანებულ საქართველოში გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით მთავარი ყურადღება ექცეოდა მიწაზე გლეხობის მიმაგრების პროცესის დაჩქარებას, პროცესს, რომელიც საქართველოში დიდი ხნის დაწყებული იყო, ხოლო ამ დროს უკვე მასობრივ ხასიათს ატარებდა.

მიწაზე გლეხთა მიმაგრების პროცესი, რომელსაც გაერთიანებულ საქართველოში მასიური ხასიათი უნდა მიეღო, საფიქრებელია, გარკვეული დროით შეფერხდებოდა თურქ-სელჯუკთა შემოსევებისა და ბატონობის ხანაში.

როგორც ცნობილია, თურქ-სელჯუკები ცდილობდნენ დაპყრობილი ქვეყნების საწარმოო საშუალებანი, საწარმოო ძალები და მთელი ეკონომიკა თავისი მომთაბარე ფეოდალური საწარმოო



ურთიერთობისათვის დაექვემდებარებინათ. მსხვილი მიწისმფლობელობა არ შეეფერებოდა მეურნეობის მათ სისტემას. მომთაბარე მესაქონლეობა, რომელიც მათი მეურნეობის წამყვან და გაბატონებულ დარგს წარმოადგენდა, ვრცელ საძოვრებს მოითხოვდა და ამდენად მათი აგრარული პოლიტიკის შედეგად თურქთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მიმდინარეობს მსხვილი ფეოდალური სახლების დაშლა და გადაშენება და ვრცელდება წვრილი მიწათმფლობელობა. მსხვილი მიწათმფლობელობის მოსპობის გამო გლეხების მდგომარეობა ემსგავსება იმ მწარმოებელთა მდგომარეობას, რომელთა დამოკიდებულება შედარებით მსუბუქი იყო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ გულისხმობს გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებას. ეს ე. წ. შემსუბუქება გაპირობებული იყო გლეხთა ფეოდალური დამოკიდებულების შესუსტებით საკუთარი ფეოდალებისაგან. მათ მიერ ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადასვლის უფლების მოპოვებით, რაც პასუხობდა იმ დროს მომთაბარული ფეოდალიზმის პრინციპებს, დამპყრობელთა აგრარულ პოლიტიკას.

მიწაზე გლეხთა მიმაგრების პროცესის შეფერხება დამპყრობელთა ცხოვრების პრიმიტიული დონის, განუვითარებელი საწარმოო საშუალებებისა და მათი საწარმოო ძალების სისუსტის შედეგი იყო.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაპყრობილ ხალხთა გავლენით თურქების ეკონომიკამაც თანდათან იცვალა სახე. იქტა აშკარად გამოხატულ სამხედრო ლენად იქცა და თურქი ფეოდალი იქტადარი ნელ-ნელა დაინტერესებული ხდება იქტას მიწებზე მსხდომ მწარმოებელთა ექსპლოატაციით, რადგან ის ექსპლოატაციის ამ ფორმის უპირატესობას აშკარად ხედავს.

„დიდ სელჯუკთა“ სახელმწიფოში დამპყრობლები მოექცნენ ირანელების გავლენაში, მცირე აზიაში კი ლაზების, სომხებისა და ბერძნების. ახლაც გამეორდა ის, რაც ადრე არაბთა ბატონობის ხანაში მოხდა“<sup>18</sup>. ამასთანავე, როგორც ცნობილია, თურქთა პარპაშმა საქართველოში დიდხანს ვერ გასტანა, XII ს. 20-იანი წლებისათვის საქართველო გაიწმინდა თურქთა ურდოებისაგან და დროებით შეფერხებულ გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესი ახალი გაქანებითა და მასშტაბებით გაიშალა.

მიწაზე გლეხთა მიმაგრება, ბატონყმობის განმტკიცება, იყო ის ძირითადი სოციალური პროცესი, რომლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური განვითარება.

<sup>18</sup> ვ. გაბაშვილი, თურქ-სელჯუკების შემოსევები და ბატონობა (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 135).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკად. ს. ჯანაშია თვლის, რომ XI-XII საუკუნეების საქართველოში გლეხობა ორ ჯგუფად იყო გაყოფილი, რომელთაგანს ერთს, შედარებით უმნიშვნელოს, ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ბატონის მიწიდან ადგიმისა და სხვა ბატონთან გადასვლის უფლება, ხოლო მეორეს, უფლებამ უკვე დაკარგული ჰქონდა, ე. ი. მიწაზე იყო მიმაგრებული<sup>19</sup>. განვითარება, ბუნებრივია, მიწაზე მიმაგრების პროცესის ხაზით ვითარდება და გლეხობის ფეოდალური დამოკიდებულების გამკაცრება და საკუთრივ ბატონყმურ ურთიერთობაში გადასვლა ამ ეპოქაში სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით წარმოებს<sup>20</sup>. დებულება ბატონყმობის გამარჯვების შესახებ ძირითადად გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტითაა შეპირობებული, ხოლო გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტის მთავარ საყრდენად ბექა-ალბულას სამართლის ჩვენება და ყაზან-ყაენის განკარგულებაა მიჩნეული.

ბექა და ალბულას სამართლის წიგნით, მებატონის მიერ გაქცეული გლეხის ძებნისა და უკან დაბრუნების ვადა 30 წლითაა განსაზღვრული. როგორც მითითებული სამართლის 77 მუხლი გვაუწყებს, თუ ყმა ბატონისაგან წასულია, ბატონმა არ იცის, ის სად არის, მაშინ „პირველადვე დაწესებული ოცდაათი წელიწადი არს შეკუთვლილი“<sup>21</sup>. როგორც მოტანილი მუხლიდან ჩანს, გლეხის მიწაზე მიმაგრება XIV საუკუნის საქართველოში უკვე დიდი ხნის მომხდარი ფაქტია, რადგან კანონმდებელი მებატონისაგან გლეხის ძებნისათვის დაწესებულ 30-წლიან ვადას ძველითგანვე არსებულად თვლის<sup>22</sup>.

ალბულას სამართლის ამ ცნობილი მუხლის გარდა, მიწაზე მიმაგრების საკითხისათვის, შეიძლება ამ სამართლის სხვა მუხლებიც გამოვიყენოთ. ბექას სამართლის 44 მუხლიდან ჩანს, რომ კანონმდებლობა მიწას ამაგრებს მწარმოებელზე, ე. ი. წარმოდგენილია მეორე მხარე ამ მოვლენისა, არა გლეხის მიმაგრება მიწაზე, არამედ მიწის მიმაგრება გლეხზე. „თუ ბატონმან ყმას მამული მისცეს და იმა მამულისა მიწა დაწინდებულ იყოს, ვის დაეწინდოს, მანვე დაიქსნას. ვისაც ის მიწა აქუნდეს, დაუკლებლად უნდა და უცილებ-

<sup>19</sup> ს. ჯანაშია, დსახ. ნაშრ., გვ. 430.

<sup>20</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 51.

<sup>21</sup> ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, დსახ. გამ., გვ. 323.

<sup>22</sup> Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII — XVI вв.) საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 71.

ლად<sup>23</sup>. ეს გარემოება (მიწის მიმაგრება გლეხზე) უფრო ნათლად მომდევნო მუხლებიდან ჩანს. „თუ კაცმან კაცისა მამული გააკურთხოს რგვთა ანუ ნაგებითა (ობლობისა) და გარდახუეწისთვის რომე მამული მან მოიკლოს, დაჭირვა (ა) არას ემართლებინს, ნახევარი ფასი მისცეს (და ადგილი მემამულეს)“<sup>24</sup>, და შემდეგ: „თუ ფუზის მკვდრი გარეთ იყოს და მერმე მამულ(სა) ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაჭირვას (ა) არას ემართლებინს, რა გინდ (ა) დიდი ხანი დაეყოს“<sup>25</sup>. როგორც ვხედავთ, კანონმდებლობით მიწა გლეხზეა მიმაგრებული, რაც წარმოადგენს ძირითად პირობას მეურნეობით გლეხის დაინტერესებისათვის, ე. ი. მეურნეობის ინტენსიობისათვის. როგორც ჩანს, ალბულ ხანაში, ეს გარემოება საფრთხის ქვეშა დაყენებული, რაც აიძულებს კანონმდებელს საგანგებოდ აღინიშნოს გლეხის უფლება მიწაზე<sup>26</sup>. ნიშანდობლივია, რომ, განსხვავებით 77 მუხლისაგან, რომელიც ალბულას კანონმდებლობაშია, აქ მოტანილი მუხლები ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართალშია წარმოდგენილი, რაც ამ მოვლენის სიძველის სასარგებლოდ ლაბარაკობს.

ბეჟა-ალბულას სამართლის გარდა, XIV საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენში გლეხების მიწაზე მიმაგრების შესახებ გარკვეულ მითითებას იძლევა ყაზან ყაენის 1303 წ. ბრძანება, რომლის თანახმად ირანში გლეხებს აეკრძალათ თვითნებურად გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე. როგორც ცნობილია, ამ კანონს საქართველოშიც ჰქონდა მოქმედება, რაც აქაც გლეხების მიწაზე მიმაგრებაზე<sup>27</sup> მიუთითებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით ირანში გლეხთა მიწაზე მიმაგრებას ყაზან ყაენის მიერ გამოცემულ ამ ბრძანებაზე უფრო ადრე უკვე ჰქონდა ადგილი, ყაზან ყაენმა ამ ფაქტის იურიდიული გაფორმება მოახდინა<sup>28</sup>. ამ ბრძანებას საქართველოს მიმართაც კანონის ძალა სწორედ იმიტომ ჰქონდა, რომ გლეხთა მიწაზე მიმაგრება ჩვენში უკვე ცხოვრებაში არსებული მოვლენა იყო, რომელიც, შესაძლებელია, არ იყო კანონმდებლობით დადგენილი.

ქართული საისტორიო წყაროები, უკვე მითითებულის გარდა, საკმარის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან გლეხთა მიწაზე მიმაგ-

<sup>23</sup> დასახ. გამ., გვ. 305.

<sup>24</sup> მუხლი 54, გვ. 310.

<sup>25</sup> მუხლი 56, გვ. 311.

<sup>26</sup> Н. Бердзенишвили, Очерк..., დასახ. გამ., გვ. 82.

<sup>27</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

<sup>28</sup> И. Петрушевский, О прикреплении крестьян к земле в Иране в эпоху монгольского владычества ВИ, 1947, гв. 65 — 66, 69.

რების ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს ბადებს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დაცული ერთი დეტალი. ბასილ ზარზმელის ცნობით, სოფელ ძარღუელ კაცს ბერად აღკვეცა უნდოდა. ის ხშირად დაიარებოდა სერაპიონთან და თხოვდა მას კურთხევას და მისგან მცირე ევლოგიას „შიფტებს“, მაგრამ სერაპიონი აყოვნებდა და ნოცდა ურჩევდა. ბოლოს, სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ ეს ძარღუელი კაცი აღკვეცეს ბერად. ამის შემდეგ ეს კაცი მიდის სოფელში, რათა წამოიღოს ზოგი რამ თავის სახლიდან. მაგრამ თანასოფლელები აბეზღებენ მას უფალთან, რომელიც მას მღევრებს გამოუყენებს, მაგრამ ის შეასწრებს ეკლესიაში შესვლას და თავისი ევლოგიის საკურთხეველში შეგდებას. ბასილი წერს: „მაშინ აღიღო ევლოგია იგი და რაოდენი რაჲ ეძლო სახლით თვისით და სივლტოლაჲ იქუშია. ვინაჲცა დევნა-უყვეს უკანა მისსა და შეწევნითა მის წმიდისაჲთა ვერ ეწინეს. და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მღევარნიცა იგი უკანა მისსა ვითარცა ენება, რაჲთა შეიპყრან და წარუღონ, რაჲ იგი აქუნდა, და მიიწია კაცი იგი დამართებით სარკუმელსა ეკლესიისასა და შეაგდო, რაჲ იგი აქუნდა ჰელთსაჲოცელსა შინა გამოკრული. და ესრეთ უღონო რა- იქმნეს მღევარნი იგი“<sup>29</sup>... მოტანილ ცნობაში ჩვენს ყურადღებას რამდენიმე მომენტი იპყრობს. პირველი ის, რომ თანასოფლელები ბერად აღკვეთილს აბეზღებენ მის უფალთან, ე. ი. თანასოფლელები თვლიან, რომ უფალს მის პიროვნებაზე აქვს უფლება. არც ავტორს და არც თვით პიროვნებას არ უკვირს, რომ მას მღევრებს უყენებენ. უადრესად ნიშანდობლივია, რომ ბატონს უფლება აქვს არა მარტო გაქცეულის პიროვნებაზე, არამედ მის ქონებაზეც, ე. ი. გამოდის, რომ აქ უკვე მოქმედებს ძალა, რომლითაც ბატონს უფლება აქვს გლეხის პიროვნებაზე და ყველაფერზე, რაც მას ეკუთვნის. ბატონყმობის უფრო კლასიკური ფორმის წარმოდგენა გაძნელებოდა.

მოტანილი ცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღგილი აქვს არა მხოლოდ გლეხთა მიწაზე მიმავრების ცალკეულ ფაქტებს, არამედ ასეთი ხასიათის დამოკიდებულება საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა.

გლეხთა მიწაზე მიმავრების პრობლემის გარკვევისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ჩვენთვის საინტერესო ხანაში როგორ წარმოებდა საქართველოში გლეხების გაყიდვა. გლეხების ყიდვა-გაყიდვა XI საუკუნისათვის რომ ჩვეუ-

<sup>29</sup> ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1964, გვ. 344.

ლებრივი მოვლენა იყო, ეს ცნობილია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ხდება გლეხების გაყიდვა ან შეწირვა მიწიანად თუ უმიწოდ.

XI საუკუნის დოკუმენტური მასალა ასაბუთებს, როგორც წესი, ძირითადად მიწიანად იყიდებოდნენ ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე საბუთიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პასუხს სამი საბუთი იძლევა: ნიკორწმინდელის „დაწერილი“, მცხეთის საბუთი XI ს. (მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილი“) და გიორგი მეორის 1072 წ. სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მდიდარი მონაცემებია ნიკორწმინდელის „დაწერილში“.

ამ საბუთში, სადაც მონასტრისათვის გლეხის შეწირვის სამი შემთხვევაა აღნუსხული, აქედან ორჯერ გლეხი შეწირულია მიწიანად<sup>30</sup>, ერთხელ — გაუგებარია. საბუთში ვკითხულობთ: „წორბელამან შემოსწირა ზნაკუას გლეხი“... „ვარაზ — ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათვის ფუთს გლეხი“<sup>31</sup>... „ხოლო იქვე შემდეგ ნათქვამია, რომ „წირქულელისა ძემან შემოსწირა გლეხი“<sup>32</sup>. აი ამ მესამე შემთხვევაში, რადგან არ არის დასახელებული გლეხის საცხოვრებელი ადგილი, ვერ ვიტყვი, ის მიწიანადაა შეწირული თუ უმიწოდ.

იმავე „დაწერილში“ დადასტურებულია გლეხის გაყიდვის შვიდი შემთხვევა და ყველა შემთხვევაში გლეხი იყიდება მიწიანად.

„XI ს-სათვის გლეხის გაყიდვა თუ შეწირვა, უმეტეს შემთხვევაში, მიწიანად ხდება. გლეხი იყიდება მიწის იმ ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის ზის. გლეხის გასხვისების საბუთებში უეჭველად აღნიშნულია აგრეთვე ის პუნქტიც, სადაც ეს გლეხი ცხოვრობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ გლეხი იყიდება მიწასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. გლეხი რომ უმიწოდ იყიდებოდეს, აზრი არ ექნებოდა გეოგრაფიული პუნქტის ხსენებას“<sup>33</sup>.

ასე რომ ყველა ამ შემთხვევებში (გარდა ერთი საეკვო შემთხვევისა) ნიკორწმინდელის „დაწერილით“ შეწირული ან გაყიდული გლეხები მიწაზე მიმაგრებულნი არიან<sup>34</sup>.

<sup>30</sup> მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდელის „დაწერილი“. მასალები... 34, 1962, გვ. 35.

<sup>31</sup> დასახ. გამოც., გვ. 33, 156.

<sup>32</sup> იქვე, 17.

<sup>33</sup> მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები, XI—XII სს. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. 1, თბ., 1960, გვ. 142.

<sup>34</sup> იქვე.

ასევე მიწაზე მიმაგრებული არიან ის გლეხები, რომელთაც მელქისედეკ კათალიკოსი სწირავს მცხეთის საყდრს. მელქისედეკ კათალიკოსმა თავის ჟამისმწირველს შესწირა „თქმს გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა... ოტათლიანს გლეხნი ა. ციხე—დიდს გლეხნი ა: ყოველნივე ფუძითა სრულითა“<sup>35</sup>. აქაც, როგორც ვხედავთ, მათი თებულება გლეხთა ადგილსამყოფელი და ის ფუძე, რომელიც ამ გლეხებს ეკუთვნით. ასევე თავის მიწიანად არიან მოხსენიებულნი გიორგი II 1072 წლის საბუთში შიო მღვიმეს მონასტრისათვის შეწირული გლეხები „ციხედიდის გლეხნი და მიწაი,—ნიჩბისს გლეხნი და მიწაი“<sup>36</sup>.

სხვა შემთხვევები გლეხების შეწირვის თუ გაყიდვისა XI საუკუნის საბუთებით თითქოს არ უნდა იყოს დამოწმებული. როგორც ვხედავთ, დამოწმებული რამდენიმე შემთხვევიდან მხოლოდ ერთ-ხელ არის გაუგებარი—გლეხს მიწიანად სწირავენ თუ უმიწოდ, ყველა სხვა (დაახლოებით 15) შემთხვევაში გლეხის შეწირვა თუ გაყიდვა მიწიანად ხდება.

რაც შეეხება XII—XIII საუკუნეებს, აქ ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან 15-მდე საბუთში არის ლაპარაკი გლეხთა ყიდვასა და შეწირვაზე (გიორგი III საბუთი 1170 წლისა, თამარის რამდენიმე საბუთი და XIII საუკუნის რამდენიმე საბუთი—ძირითადად 60-იან წლებამდე). როგორც წესი, ყოველთვის გლეხის შეწირვა თუ ყიდვა ხდება მიწიანად<sup>37</sup>. გიორგი III საბუთში სრულიად გამართული ფორმულაა მოცემული ნასყიდ გლეხებზე. საბუთის გამცემი წერს: „ციხედიდს გლეხნი ძველადვე ნასყიდნი, მათითა სამართლიანითა, ტყითა, წყლითა, ველითა“<sup>38</sup>.

ჩვენ მიერ დასახელებულ საბუთებში ყველგან არის ეს ფორმულა ამა თუ იმ სახით. მაგ., მანდატურთუხუცესმა და ამირსპასალარმა ჭიაბერმა შესწირა შიომღვიმეს სხვა მრავალთა შორის „ეინოვნით მიხითარაის ძენი, დავითის შვილნი, უქროი და მახარაი, ბრაჭი და ინე, მათითა სახლითა, და მამოლითა“<sup>39</sup>. იმავე შიომღვიმისთვის თამარის დროინდელი სიგელით შეუწირავთ „ერთი ფუძე გლეხი დაოთს ვახშამისძე და რუეთს უშიშარაისძე“<sup>40</sup> და მრავალი სხვა.

<sup>35</sup> ქრონიკები, I, გვ. 185.

<sup>36</sup> ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 11.

<sup>37</sup> შიომღვიმის ისტ. საბ., გვ. 22, 24, 26, 63, 64, 67. ქრონიკები II, გვ. 189, 135. საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4.

<sup>38</sup> საქართველოს სიძველენი, III, დამატება, გვ. 4.

<sup>39</sup> შიომღვიმის ისტ. საბ., გვ. 22.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 24.

XII-XIII საუკუნეების ჩვენ მიერ აღნუსხულ საბუთებში მხოლოდ იშვიათი გამონაკლისია, როდესაც გლეხი უმიწოდ იხსენიება. ანტონ ჭყონდიდლის სიგელში (1202 წ.), სადაც შერამდომის ჰონასტრისათვის მის მიერ წყლის გაყვანაზეა დასახელებულია „ერთი მეორეშაფათე გლეხი სახელით პატარ და მეორე გლეხი ვარეთ მოსული ქაჩაბურაისძე, ესენიცა წყაროსავე მიუყენებით მკაზმავად“<sup>41</sup>. როგორც ვხედავთ, დოკუმენტში, ამ უმიწაწყლო გლეხზე საგანგებოდაა მითითებული, რომ ის ვარეთმოსულია, ე. ი. სადღაცადან, ალბათ, დასავლეთ საქართველოდანაა გამოსული. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ „XII-XIII საუკუნეებში თანდათან ხდება ასეთი გლეხების გაქრობა მათი ყმობის პირობების გაუარესების გზით. ეს კი თავისთავად მაჩვენებელია ბატონყმური ურთიერთობის კულმინაციისა“<sup>42</sup>.

XI-XII საუკუნეების საბუთებით, როგორც წესი, გლეხის შეწირვა და ყიდვა-გაყიდვა მიწიანად ხდება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესის ძირითადად დასრულებას XII საუკუნეში.

საქართველოში გლეხობის მიწაზე მიმაგრების პრობლემის კვლევისათვის, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს XII საუკუნის სომხური საკანონმდებლო ძეგლის, მხითარ გოშის „სომხური სამართლის“ ჩვენებათა გათვალისწინება<sup>43</sup>.

მხითარ გოში თავის „სომხურ სამართალში“ საგანგებოდ ეხება გლეხების ბატონის მიწიდან ადგომისა და წასვლის უფლების საკითხს. „სამართლის“ II განყოფილების მესამე მუხლში კანონმდებელი წერს: „შემოქმედმა ადამიანის არსება შექმნა თავისუფლად, ბატონთაგან დამოკიდებულება კი მიწისა და წყლის მოთხოვნილებამ გამოიწვია და მე მიმაჩნია შესაფერად ასეთი გადაწყვეტილება, რომ ადამიანს, რომელიც დატოვებს მებატონეს (მიწას და წყალს), უნდა შეეძლოს ცხოვრება იქ, სადაც მას მოესურვება. მაგრამ თუ მებატონეთაგან ვინმე არ მოითმენს ამას და წასულს ძალით აიძულებს დაბრუნდეს, მაშინ მამის სიკვდილის შემდეგ თავისუფალი არიან მისი ის შვილები, რომელნიც დაიბადნენ სხვა ადგილას და არა იქ (მამის ძველ საცხოვრებელ ადგილას)“<sup>44</sup>.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>42</sup> შ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

<sup>43</sup> „Армянский судебник“ Мхитара Гоша. Перевод с древнеармянского А. А. Паповяна. Редакция, вступительная статья и примечания Б. М. Арутюняна. Ереван, 1954.

<sup>44</sup> Армянский судебник Мхитара Гоша, II, 3. „Создатель сотворил человеческое существо свободным — зависимость же от господ возникла

ე. ი. იგულისხმება, რომ ძველ ადგილას დაბადებულნი არ არიან თავისუფალნი, აღარ შეუძლიათ ადგომა და წასვლა.

მხითარ გოშის „სამართლის“ ჩვენ მიერ მოტანილი მუხლი გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა შორის. რომ აქ სწორედ გლეხთა მიწაზე მიმაგრებაზეა ლაპარაკი, ეს უდავოდ მიაჩნიათ მთელ რიგ სომეხ ისტორიკოსებს (ს. ერემიანი, ბ. არუთინიანი, ლ. ბაბაიანი...), მაგრამ სადავო საკითხია თუ სომხეთის რომელ ნაწილზე შეიძლება ვრცელდებოდეს მიწაზე მიმაგრების კანონი და აგრეთვე დავაა ამ პროცესის ხასიათზე, გოშის ეს მუხლი გულისხმობს იმას, რომ მიწაზე მიმაგრება მომხდარი ფაქტია და ავტორი მხოლოდ ფიქსაციას ახდენს მისას, თუ გლეხთა მიწაზე მიმაგრება მხოლოდ ცალკეული ფეოდალების სურვილია და ამდენად ამ დროს დასაწყის სტადიაში მყოფი პროცესია.

აკად. ს. ერემიანი მხითარ გოშის სამართლის ამ მუხლის საფუძველზე ასკვნის, რომ XII საუკუნის დასასრულიდან სომხეთში გლეხი, როგორც წესი, მიწაზე იყო მიმაგრებული. სხვა ადგილას დასახლება მას მხოლოდ თავისი ბატონის ნებართვით შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ძალით დააბრუნებდნენ უკან<sup>45</sup>.

ასევე ესმის „სამართლის“ ეს მუხლი ო. ბაბაიანს. ამ ხანის სხვა სომხური წყაროების დახმარებით ის ასკვნის, რომ ეს მუხლი აშკარად მიუთითებს სწორედ გლეხთა მიწაზე მიმაგრების არსებობაზე ამ დროის სომხეთში<sup>46</sup>.

გარკვეულ დაეჭვებას მოტანილი მუხლის ასეთი გაგების მიმართ გამოთქვამს ბ. არუთინიანი<sup>47</sup>. მისი აზრით, აქ უფრო საფიქრებელია, რომ ავტორი უთითებს მეზატონეთა ძალადობაზე, ვიდრე არსებულ და უკვე დაკანონებულ ვითარებაზე<sup>48</sup>.

აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ ბ. არუთინიანი მაინც შესა-

---

из-за нужды в земле и воде. И я считаю подобающим такое решение, чтобы человек, покинувший господское (землю и воду), был волен жить там, где он захочет. Но если кто из господ не потерпит этого и сильно заставит ушедшего вернуться, то после смерти отца свободны те дети, которые родились в другом месте, а не там (на месте прежнего отцовского жительства)\*. მითითებული ვამ. გვ. 150.

<sup>45</sup> С. Еремян, Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма, ВИ № 7, 1951, стр. 63.

<sup>46</sup> Л. Бабамян, К вопросу о закрепощении крестьян в Армении домонгольского периода. Ереван, 1961, стр. 11 — 30.

<sup>47</sup> А. Арутюнян, Социально-экономическое положение крестьян в Армении XII в. ВИ № 8, 1952, стр. 53 — 55.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 55.



ძლებლად თვლის დაუშვას, რომ მხითარ გოშის სამართლის ეს მუხლი, გლახთა მიწაზე მიმაგრების ფართო გავრცელებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, მისი აზრით, ასეთი მდგომარეობა შეიქმნება ყოფილიყო სომხეთის იმ რაიონებში, რომელნიც პოლიტიკურად საქართველოს ფარგლებში იყვნენ მოქცეული<sup>49</sup>.

ამგვარად, სომხეთის იმ რაიონებში, რომელნიც ქართული საბელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, არც ეს ავტორი უარყოფს გლახთა მიწაზე მიმაგრების დადასტურებას კანონმდებლობით<sup>50</sup>.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ, როგორც მხითარ გოშის სამართლის საერთო ხასიათიდან ჩანს, ის ცდილობს გლახთა მდგომარეობაში დაიკვას ძველიდანვე არსებული ტრადიციული ნორმები. გოში მიმართავს მებატონეებს, რომ მათ გლახნი საბატონო მამულში არ ამუშაონ კვირაში ერთ დღეზე მეტი<sup>51</sup>. საბატონო ღძვენთან დაკავშირებით „სამართლის“ ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც სახალწლო, ასევე სხვა დღესასწაულებისათვის დაწესებულ ძღვენს გლახები შეძლებისდაგვარად უნდა იხდიდნენ. არ უნდა ჰქონდეს ადგილი უსამართლო შევიწროვებას და უნდა მოისპოს საერთოდ უსამართლო ჩვევები, რადგან თვით ძღვენი უწესო ჩვევების შედეგად დადგინდა<sup>52</sup>.

მოტანილი და სხვა ასეთი ხასიათის ადგილები გვაფიქრებინებენ, რომ XII საუკუნის სომხეთში გლახთა ექსპლოატაციის ზრდა და ამასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება უბიძგებს მხითარ გოშს დაუჭიროს მხარი შედარებით უფრო ძველ ტრადიციას და ის, რაც მის დროს ხდება, გლახთა მდგომარეობის გაუარესების ხაზით, არსებული ტრადიციის დარღვევად მიიჩნოს. როგორც ცნობილია, მხითარ გოში ფეოდალიზმის იდეოლოგია და სწორედ ამიტომ მას ეშინია ფეოდალური წესრიგის დარღვევის, მან იცის, რომ ქვეყნის კეთილდღეობას ძირითადად მწარმოებელთა მდგომარეობა განსაზღვრავს, რომ მეფე და მებატონეები ვალდებული არიან დაიკვან ისეთი ნორმები გლახთა ექსპლოატა-

<sup>49</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 55, აღსანიშნავია, რომ მხითარ გოშის „სამართალს“, როგორც სომხეთში გლახთა მიწაზე მიმაგრების დამადასტურებელ საბუთს, უთითებს ი. პეტრუშევსკიც. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>50</sup> ნიშანდობლივია, რომ სომხეთში ბატონყმობის საქართველოდან გავრცელების აზრი ადრეც გამოთქმულა, სწორედ მხითარ გოშის „სამართლის“ განხილვასთან დაკავშირებით. იხ. ლ. მელიქსეთ-ბევი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა“, თბ., 1928, გვ. 232—233.

<sup>51</sup> შიითთებული გამ., გვ. 141, II, 1.

<sup>52</sup> იქვე, II, 1, გვ. 147—148.

ციისა, რომ ამ გლეხებს არსებობა და თავისი მებატონის რჩენა შეეძლოთ. ამასთანავე გასათვალისწინებელია სამართლის ძეგლის ამ მუხლის ერთი ნიუანსი. კანონმდებელი გარკვევით უთითებს, რომ ადგომის და წასვლის უფლება არა აქვთ იმ გლეხებს, ვინც სარგებლობენ ბატონის მიწით და წყლით“. ე. ი. შესაძლებელია უმიწა-წყლო გლეხებს აქვთ ადგილგადასაცვლების უფლება, მაგრამ ბატონის მიწაზე მჯდომთ არა<sup>55</sup>. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც მხითარ გოში წერს, მებატონის მიერ გაქცეული ყმის დაბრუნების შემთხვევაში სხვა ადგილას დაბადებული შვილები ადგილგადასაცვლების თავისუფლებით სარგებლობენ. მხითარ გოში ამით წყვეტს თავის მსჯელობას ამ საკითხზე, მაგრამ, ვფიქრობთ, თუ ლოგიკურად გავყვებით მხითარ გოშის მსჯელობას, უნდა დავასკვნათ, რომ საკუთარ მებატონესთან ცხოვრების დროს დაბადებული შვილები არ სარგებლობენ თავისუფალი ადგილ-გადასაცვლების უფლებით, ე. ი. გლეხთა მიწაზე მიმავრება არ არის მხოლოდ ცალკეულ ფეოდალთა სურვილი.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ვარაუდებს, რომ ამ საკითხის მეკლევარი თითქმის ყველა სომეხი ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს საქართველოს ფარგლებში შემავალი სომხეთის ნაწილებისათვის მხითარ გოშის სამართლის ძეგლის ამ მუხლის ისეთ გაგებას, რომ აქ სწორედ უკვე გლეხობის მიწაზე მიმავრების პროცესის განვითარებულ სტადიასთან გვაქვს საქმე, ე. ი. საქმე გვაქვს ბატონყმობის გამარჯვებასთან.

ამგვარად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას XII საუკუნის დასასრულისათვის გლეხთა მიწაზე მიმავრების პროცესის ძირითადად დასრულების შესახებ ბეჟა-ალბულას კანონმდებლობასა და ყაზან-ყაენის განკარგულებასთან ერთად, ვფიქრობთ, ასაბუთებს XI-XII საუკუნეების ქართული დოკუმენტების ჩვენება და მხითარ გოშის „სომხური სამართლის“ მითითება.

ბატონყმობის დამახასიათებელ ნიშანთვისებას გლეხთა მიწაზე მიმავრებასთან ერთად გლეხთა პირადი დამოკიდებულების ის მხარეც შეადგენს, რაც შრომითი ბეგარის და, კერძოდ, საბატონო პირადი სამსახურის თანდათანობით ზრდაში ვლინდება.

შრომითი ბეგარა, ისევე როგორც გლეხთა მიწაზე მიმავრება, სხვა ქვეყნების მსგავსად, ფეოდალიზმის ჩასახვის დროიდანვე არსებობს ჩვენში. როგორც არაერთგზისაა აღნიშნული, საქართველოში შრომითი ბეგარა V-VI საუკუნეებიდან უნდა არსებულებოდა, მაგრამ მაშინ ის ვრცელდებოდა უშუალო მწარმოებელთა შედარე-

<sup>55</sup> О. Бабаян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 12.

ბით მცირე ნაწილზე, იმ ნაწილზე, რომელიც გლეხთა ფენას ქმნიდა. შრომითი და ნატურალური ბეგარავალდებული მწარმოებლების რიცხვი, ე. ი. გლეხთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რის შესაბამისად ადრეფეოდალური ურთიერთობა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე გადადიოდა.

ადრეფეოდალურ ხანაში შრომითი ბეგარა, ნატურალურთან შედარებით, შეიძლება უფრო მეტად ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ის იმ დროს ექსპლოატაციის უფრო მარტივ და მოხერხებულ ფორმას წარმოადგენდა. ეკონომიურად და სოციალურ-იურიდიულად ამა თუ იმ ფეოდალზე დამოკიდებული მწარმოებელი მიდიოდა მეზატონის მამულში და იქ მუშაობით იხდიდა თავის ვალს მის წინაშე. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება შესაძლებელს ხდიდა ნატურალური ბეგარის ფართოდ გავრცელებასაც, რაც ეკონომიური დამოკიდებულების გამოვლინების უმთავრეს ფორმას წარმოადგენდა, მაგრამ გარეეკონომიური დამოკიდებულების გამოვლინების ძირითადი ფორმა შრომითი ვალდებულებაა.

რომ აღებული ხანის საქართველოში შრომითი ბეგარა, როგორც საგლეხო ვალდებულება, არსებობდა და არსებობდა უაღრესად გავრცელებული და მძიმე ფორმით, ამაზე ჩვენ ამჟერად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან ეს სათანადო ადგილას აღნიშნული არის. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გავამახვილოთ ყურადღება ერთ ფაქტზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ხაზგასმით ამჟღავნებს გლეხთა ამ მოვალეობის სოციალურ—გარეეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილობას<sup>54</sup> და ამდენად, ადასტურებს ბატონყმობის არსებობის ფაქტს.

XII-XIII საუკუნის მთელი რიგი დოკუმენტებით დასტურდება, რომ არსებობს გარკვეული რაოდენობა გლეხებისა, რომელნიც ნატურალურ გადასახადს უხდიან ერთ ბატონს იმიტომ, რომ მის მიწაზე სხედან, ხოლო მუშაობით ემსახურებიან მეორეს, რადგან სოციალურად, პიროვნულად მასზე არიან დამოკიდებულნი<sup>55</sup>. მაგ., მეფე გიორგი III 1170 წლის სიგელით შიომღვიმის მონასტერს განუახლებს ძველ შეწირულებებს, უმტკიცებს შეუვალობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ მის მიერ შეწირული სოფლების ნაწილს მაინც მართებთ მეფის სასარგებლოდ მუშაობა. მას შემდეგ, რაც ჩამოთვლილია მეფის მიერ მთლიანად შეუვალობა მინიჭებუ-

<sup>54</sup> მ. ბერძენიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII სს., გვ. 130, მონივე, გლეხთა გამოსაღებები XI—XII სს., ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964, გვ. 132—133.

<sup>55</sup> იქვე.

ლი მამულები აღნიშნულია, რომ „თუნიერ საჯნავი გუმსანურონ  
 ორი დღე რუეთელთა, შიოსუბნელთა და ჩიქუნურელთა, ამან სამ-  
 მან სოფელმან და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა“<sup>56</sup>.  
 1258 წ. ვაცემული კახა თორელის საბუთით, რკონის მონასტრისე-  
 თვის მის მიერ შეწირული გლეხების ნაწილი ნატურალურ გადასა-  
 ხადს ერთ ბატონს უხდის, შრომით ბეგარას—მეორეს. საბუთში  
 ვკითხულობთ: „ორი მიწაი მეტეხთა ღთის მშობლისა იყო შეწი-  
 რული... მორბედის ძის მიწა ვარძიის ღთისმობლისა იყო შეწირული  
 და მასვე მოვაქსენე. ხობლაისძე და აბესაძე კავთას შეწირულნი  
 იყუნეს და მასვე შევსწირენ. ესენი ბეგარს რაითაც შეწირულნი  
 არიან მუნ მიიღებდნენ და სამართალი და მამითადი განალამცა  
 თქუენივე იყო“<sup>57</sup>. ე. ი. ჩამოთვლილ მიწებზე მოსახლე გლეხები  
 მიწაზე დაკისრებულ ნატურალურ ვამოსალებს სხვა მონასტრებს  
 უხდიან იმ მონასტრებს, ვისაც მიწა ეკუთვნის, მაგრამ პირადად  
 კახა თორელს ემსახურებიან და ისიც რკონის მონასტერს მათ ამ  
 პირად სამსახურს სწირავს.

როგორც ცნობილია, ბატონყმობა საბატონო სამსახურის შე-  
 დევია. ბატონყმობის ეს ერთ-ერთი საფუძველი ჩვენში ფეოდალი-  
 ზმის ჩასახვის დროიდან არსებობს, მაგრამ საქართველოს გაერთი-  
 ანების შედეგად შექმნილი პირობები ხელს უწყობს სოფლის მე-  
 ურნეობის შემდგომ განვითარებას, მეურნეობის რენტაბელური  
 დარგების განვითარებას, ხელს უწყობს საბატონო ზვარ-ხოდაბუ-  
 ნების გაფართოებას, რაც მოითხოვს შრომითი ბეგარის გაზრდას  
 და ისიც X საუკუნიდან XIII საუკუნემდე საგრძნობლად იზრდება.

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ვაცემული საბუთით, გლეხს ბატო-  
 ნის მამულში მუშაობა წელიწადში რამდენიმე დღე მართებთ<sup>58</sup>, ხო-  
 ლო XIII ს. შუა წლებში კახა თორელი ბატონის მამულში კვირა-  
 ში ხუთი დღის მუშაობას აწესებს<sup>59</sup>. ამასთანავე ქვეყნის გაერთიანე-  
 ზის შედეგად გაზრდილი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მეტ  
 შესაძლებლობას იძლევა გარეშე ეკონომიური იძულების რეალიზა-  
 ციისათვის, რომლის გამოხატულებას ბატონის წინაშე პირადი სამ-  
 სახური შეადგენს.

56 საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება ე. თაყაიშვილის გამო., 1926, 23-5.

57 ქრონიკები, გვ. 135.

58 ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, გვ. 2.

59 ქრონიკები, II, გვ. 136.

ამგვარად, ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარება და პო-  
ლიტიკური ვითარება ქმნიან წინაპირობებს გლეხობის შემდგომი  
სოციალური დამონებისათვის, რაც ბევრის გაზრდა-გაძლიერების  
გზით გლახთა მიწაზე მიმაგრებასა და ამდენად ბატონყმობის საბუნ-  
ლოო გამარჯვებაში ვლინდება XII საუკუნის დასასრულს.





## საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს

XIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველო ვრცელსა და მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ სახელმწიფოში, საკუთრივ ქართული ტერიტორიის გარდა, შედიოდა არაქართველი მოსახლეობაც, რომელიც ცენტრზე დამოკიდებულების სხვადასხვა საფეხურზე იდგა. საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმი დაპყრობილ თუ შემოერთებული ქვეყნების მიმართ სხვადასხვა პოლიტიკას მიმართავდა: ნაწილს უშუალოდ იერთებდა, ნაწილს ყმადნაფიცად იხდიდა, ზოგისაგან ერთდროულ ხარკს იღებდა და ზოგსაც რეგულარულ ხარკს აკისრებდა. ძირითადი განმსაზღვრელი საქართველოს პოლიტიკისა დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა იყო. იმ ტერიტორიას, სადაც ქრისტიანი მოსახლეობა ჭარბობდა, საქართველო „სამეფოდ იქერდა“, ე. ი. უშუალოდ იერთებდა, და აქ მმართველობის ისეთსავე სისტემას ამყარებდა, როგორც საკუთრივ საქართველოში<sup>1</sup>. ხოლო იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო, დამოკიდებული ქვეყნების სხვაგვარ რიგებში აქცევდა და „ყმადნაფიცობის“ (ვასალის) ან მოხარკის პირობებში აყენებდა. მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნების რიცხვი საქართველოს პოლიტიკურ ერთეულში უფრო მეტი იყო, ვიდრე „სამეფოდ დაქერილი“, უშუალოდ შემოერთებული ტერიტორია.

საქართველოს ყმადნაფიციები იყვნენ: აღმოსავლეთით შარვანი<sup>2</sup> და რანი. ჩრდილოეთით: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუქეთი, დი-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, მაკეტი ხელნაწერის უფლებით, I, თბ., 1956, გვ. 175.

<sup>2</sup> შარვანის დამოკიდებულება საქართველოსთან—ესაა ყმადნაფიცობის (ვასალობის) საუკეთესო მაგალითი. შარვანშაჰი „მონებითა ყმებრივითა“ ემსახურებოდა თამარ მეფეს („ისტორიანი და აზმანი“... ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის შიერ, II, თბ., 1959, გვ. 391<sup>1</sup>—18). პ. ინგოროყვა რატომღაც შარვანის სამეფოს საქართველოს სახელმწიფოში შემაჯალ ავტონომიურ სამეფოდ თვლის (იხ. მისი „რუსთველიანას ეპილოგი“, თხზულებათა კრებული, ტომი I, 1963, გვ. 284), თუმცა აღრე იგი მას ვასალურ სახელმწიფოდ მიაჩნდა (გიორგი მერჩულე,

Lafanggongrak kalyangngan IX kalyangngan kalyangngan



დოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი<sup>3</sup>. საქართველოს მოხარკე ქვეყნები იყვნენ: ხლათის სასულტნო, ერზინჯის სასულტნო, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევნის საამირო... სამხრეთით<sup>4</sup>, ხოლო დასავლეთით საქართველოს ემეზობლებოდა დამოკიდებულების უკვე სხვა საფეხურზე მდგომი—საქართველოს გავლენის სფეროში მოქცეული ტრაპიზონის იმპერია.

სამეფოდ დაჭერილი ტერიტორია, ანუ უშუალოდ საქართველოს საზღვრებში მოქცეული ტერიტორია უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან თანდათანობით ფართოვდებოდა და XIII საუკუნის დამდეგისათვის მოიცავდა შარვანის დასავლეთ ნაწილს და ჩრდილო სომხეთს. ჩვენი ამოცანაა, განისაზღვროს ის სამიჯნო ზოლი, რომელიც საქართველოსათვის უშუალოდ შემოერთებულ არაქართულ ტერიტორიებსა და ყმადნაფიც (ან მოხარკე) ქვეყნებს შორის გადიოდა.

აღმოსავლეთი საზღვარი საქართველოს სახელმწიფოსი მდ. ჩალან-უსუნზე ანუ თეთრ წყალზე გადიოდა. ამ წყლის აღმოსავლეთით შარვანი, საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა მდებარეობდა. რომ სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და შარვანს შორის მდ. ჩალან-უსუნზე გადიოდა, ამას მოწმობს ეამთააღმწერელი: „შარვიდა ყენი ქვეყნად შარვანშასა, საზღუართა საქართუელოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩალანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“<sup>5</sup>. ეამთააღმწერლის მეორე ცნობითაც საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი შამახის მთის ძირას გადის. მართლაც, თეთრი წყალი შამახის მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის. ეამთააღმწერლის ცნობით, როცა მონღოლებმა საქართველო დუმენებად დაჰყვეს, ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე დუმენის მეთაურად ეგარსლან ბაკურციხელი დანიშნეს. ეგარსლან ბაკურციხელის დუმენში შედიოდა ტერიტორია თბილისიდან შამახის მთამდე: ეგარსლან ბაკურციხელს „წელთ უდვეს

1954, გვ. 284). სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ა. ალი-ზადემ, რომელიც X საუკ. საბუთებზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს შარვანის სრული დამოუკიდებლობა XII ს-ში (იხ. მისი წინასიტყვაობა მინორსკის წიგნზე. «История Ширвана и Дербента» 1963).

<sup>3</sup> ამ ქვეყანათა ყმადნაფიცობაზე აშკარა მითითება დაცულია ბასილი ეზოს-მოდღართან (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147<sup>11-12</sup>).

<sup>4</sup> ამ ქვეყანათა მოხარკეობაზე ცნობები შემონახულია ბასილი ეზოსმოდღართან (ქართლის ცხოვრება, II, 140) „ისტორიანსა და აზმანში“ (ქართლიან ცხოვრება, II, 100), ლაშა გიორგის მემატიანესთან (ქართლის ცხოვრება, I, 370<sup>19-22</sup>), ეამთააღმწერელთან, (ქართლის ცხოვრება, II, 151, 152, 156), და იბნ-ალ-ასირთან.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251<sup>12-11</sup>.



სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა<sup>6</sup>. ამ ორი ცნობით ცხადი ხდება, რომ საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი შამახიის მთასა და თეთრ-წყალზე გადიოდა. მესამე რიგ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი უფრო დასავლეთით ვიშის წყალზე გადიოდა<sup>7</sup>. იმ მხარეს, რომელიც საქართველოს ეთნიკურ საზღვარსა და სახელმწიფო საზღვარს შორის იდო აღმოსავლეთით, ყაბალა ერქვა.

როდესაც მონღოლებმა ამიერკავკასიის ქვეყნები დაიპყრეს, მათ ეს მხარე (ისე როგორც საერთოდ ყოველი დაპყრობილი ტერიტორია) საგადასახადო ერთეულებად დაჰყვეს. ამიერკავკასიის ქვეყნებმა შეადგინეს შემდეგი საგადასახადო ერთეულები: საქართველო, შარვანი, რანი და დიდი სომხეთი (ცენტრით ქ. ხლათში)<sup>8</sup>. ამასთან იმ საგადასახადო ერთეულში, რომელსაც საქართველო ეწოდებოდა, შედიოდა, საკუთრივ საქართველოს გარდა, შარვანის დასავლეთი და სომხეთის ჩრდილო ნაწილები, ანუ თამარის დროის მთელი სამეფოდ დაჰქრილი ტერიტორია. ცალკე საგადასახადო ერთეულებად იქცნენ საქართველოს ყოფილი მოხარკე და ყმად ნაფიცი ქვეყნები. მონღოლთა საგადასახადო ერთეულის ზუსტი განსაზღვრა მოცემული აქვს ქამთაალმწერელს; იგი აღწერს თუ როგორ დაჰყვეს მონღოლებმა საქართველო დუმენებად და ვინ დააყენეს თითოეული დუმენის სათავეში: „პირველად ეგარსლან ბაკურციხელი... მას ჯელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა; და შანშეს ჯელთ უდვეს მამული მისი და ავაგისი; ვარამ გაგელსა ჯელთ უდვეს ყოველი სომხეთი; გრიგოლ სურამელსა ქართლი, და გამრეკელსა თორელსა... ჯელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალამდე; ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო“<sup>9</sup>.

ამ საინტერესო ცნობის გულდასმით შესწავლა შესაძლებლად ხდის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების დადგენას. აღმოსავლეთი საზღვარი, როგორც ზემოთაც ითქვა, შამახიის მთასა და თეთრ წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი

<sup>6</sup> იქვე, II, გვ. 207—208.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 13—14.

<sup>8</sup> ჰამდალახ ყაზვინის ეს ცნობა ამოღებულია ბარტოლდის წერილიდან *Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче*. СПб., 1911, გვ. 23—24.

<sup>9</sup> ქამთაალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207—208.

სამეფოს“ მოიცავდა. სამხრეთით კი საზღვრისპირა მხარეები ყოფილა: ყოველი სომხითი, შანშესი და ავაგის მამული და სამცხე-ჯავახეთი კარნუ ქალაქამდე. იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ სად გადიოდა სამხრეთი საზღვარი, უნდა გაირკვეს, რა ცენტრეტულ ტერიტორიას მოიცავდა ვარამ გაგელის საგამგეო (სამეფო) ტერიტორია“ და შანშეს საგამგეო (რომელსაც, საკუთარს ვარდა, ავაგის მამულიც ჩაბარდა).

შანშე მანდატურთუხუცესი ზაქარია მხარგრძელის, ამირსპასალარის ერთადერთი შვილი იყო. ხვარაზმელთა შემოსევისას შანშეს ანისი ჰქონდა ჩაბარებული. ეპითაღმწერელი ასე გადმოგვცემს ხვარაზმელთა შემოტევის ამბავს: „მოიწივნეს ადარბადაგანსა... მოიწივნეს ქუეყანად მქარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრადვინი და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესდა, მანდატურთუხუცესისათჳს“<sup>10</sup>. ამ ცნობაში ის მომენტი საინტერესოა, რომ მოცემულია მხარგრძელთა სახელო ქვეყნის კონკრეტული სახელი—ესაა დვინისა და ანისის მხარე. ამასთან ამ მხარეთა სამხრეთ მოსაზღვრედ ადარბადაგანია დასახელებული. დვინი, როგორც სომხითისა და ადარბადაგანის ზღვარი, მოხსენებულია „ისტორიანსა და აზმანთა“ ავტორთანაც<sup>11</sup>. დვინი იყო ცენტრი სომხური პროვინციის აირარატისა, რომელიც მდ. არეზის (რახსის) შუა წელის ხეობას მოიცავდა. ეს პროვინცია (აირარატი) ადარბადაგანს ესაზღვრებოდა და, როგორც ადარბადაგანის მოსაზღვრე, საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთი ზღვარიც იყო. ადარბადაგანი საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთი მეზობელი იყო და იმ ტერიტორიას წარმოადგენდა, საიდანაც მტერი უშუალოდ საქართველოს უტევდა. ეს მომენტი გარკვევით ჩანს ეპითაღმწერლის შემდეგი ცნობიდან: გარნისის ბრძოლის შემდეგ სულტანი ჯალალ-ედ-დინი „მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს და მიეგრად აღაოჭრებდეს საქართველოსა“<sup>12</sup>.

როგორც ითქვა, დვინი (აირარატი), საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთი პროვინცია, ივანე ათაბაგის საგამგეო იყო. ივანეს გარდაცვალების შემდეგ მისი საგამგეო მისმა ვაჟმა ავაგ ათაბაგმა დაიმკვიდრა<sup>13</sup>. ამავე დროს ავაგის სახლად იწოდება ბიჯნისი<sup>14</sup>. ბიჯნისი კი მდებარეობდა მდ. რაზდანზე გელაქუნის თემში. აქედან

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, II, 169<sup>გ-დ</sup>.

<sup>11</sup> „...მიპართა... დვინად, აწ რომელ არს აირარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბადაგანისა“ (იქვე, 513).

<sup>12</sup> იქვე, II, 171.

<sup>13</sup> იქვე, 171<sup>17</sup>.

<sup>14</sup> იქვე, 172<sup>18</sup>, 180<sup>18</sup>, 237<sup>11</sup>, 239<sup>20</sup>.

დასკვნა: თვით ეს თემიც ავაგის საგამგეოში შემავალად უნდა ჩითვალოს. მის ბიძაშვილს შანშეს კი ანისი ეპყრა. ახლა მონღოლებმა ორივე ეს მხარე— შანშეს საგამგეო (ანისი) და ავაგის საგამგეო (დვინი და გელაქუნი) — ერთ ღუმენად აქციეს და მისი მუთაჟრობა შანშე მანდატურთუხუცესს ჩააბარეს. ამ ღუმენის სამხრეთი საზღვარი პროვინცია აირარატის სამხრეთი ზღვარია, ამ პროვინციაში შემავალი სურმანით (სომხ. სურბ-მარი)<sup>15</sup>.

ახლა დაგვჩა გასარკვევი ვარამ გაგელისათვის ჩაბარებული ღუმენის საზღვრები. „ვარამ გაგელსა ჳელთ უღვეს ყოველი სომხითი“, —ნათქვამია ჟამთაღმწერლის ზემომოტანილ ცნობაში. „ყოველი სომხითი“ თამარის პირველ ისტორიკოსს შემდეგნიარად აქვს განსაზღვრული: გიორგი რუსის სასარგებლოდ მოწყობილი აჯანყებისას „ქურდ-ვაჭრისა იქით გასდგომოდა (—თამარ მეფეს—მ. ბ.) ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაეწონისა—კენი თვთ ვარდანისი იყო, და სხუანი მის ქუეყანისა აზნაურნი და აზნაურის შვილნი, თვნიერ ზაქარია ვარამის ძისა“<sup>16</sup>. ამ ციტატით ქურდვაჭრის იქითა (ე. ი. აღმოსავლეთი) მხარე სახელდებულია სომხითად, რომელშიაც იგულისხმება კენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის—დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. ამ შემთხვევაში ყოველ სომხითად იგულისხმება ქურდვაჭრის ხევისა (ქურდვაჭრის ხევი დღევანდელი დებედაა)<sup>17</sup> და მდ. აღსტევის შორის მოთავსებული ტერიტორია. (ამ პროვინციის ქართული სახელი გარდაბანია); მაგრამ ვარამ გაგელის საგამგეო აღსტევის აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა.

რომ გაგელის საგამგეო უფრო აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა, ეს ჩანს ჟამთაღმწერლის შემდეგი ცნობიდან: „ამჟედრა სულტანმან საქართველოსა შემოსლვად... მივიდა და მოაოჭრა ყოველი ქუეყანა დვინისი, კუსტისა დვინისასა და ყოველი ანისი, სომხითი, გაგვი ვიდრე განძამდე, შანქორი. უწინარეს ამისა ვარამ გაგელსა,... ამას აქუნდა შანქორი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი“<sup>18</sup>. აქედან გამოდის, რომ „გაგვი ვიდრე განძამდის“ (განძა—არა ქალაქის, არამედ ქვეყნის—რანის—მნიშვნელობით) ერთი გარკვეული ტერიტორიის ცნებაა, რომელშიაც იგულისხმება შანქორიც. „შანქორი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი“ ვარამ გაგელს ეკუთვნის. ასე რომ შანქორის მიმდგომე

<sup>15</sup> იქვე, 212<sub>2</sub>.

<sup>16</sup> იქვე, II, 51<sub>1-9</sub>.

<sup>17</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 23.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, II, 171—172.

ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი საზღვრისპირა მხარე ყოფილა. ამ მხარეში იგულისხმება გელაქუნის ტბასა და მდ. მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია.

ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ მონღოლთა მხარე მტკვარისპირა დაყოფილი საქართველოს სახელმწიფოს უკიდურესი სამხრეთი მიჯნა აირარატის თემი („დვინის კუსტი“) იყო. აქედან საზღვარი მდ. არეზს მიჰყვებოდა (არეზის შუა წელი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოში იყო). არეზი ნახჭევნითა და ჯულით (ჯულფა) საქართველოს სახელმწიფოს აგრეთვე სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა. არეზის გადალახვა ნახჭევანსა და ჯულასთან საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გასვლას ნიშნავდა. ეს გარემოება გარკვევით ჩანს თამარის პირველი ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდან: როდესაც თამარმა სპარსეთს ლაშქრობა ბრძანა, შეყრილი ლაშქარი ტფილისს მეფის წინაშე მოვიდა. მეფისაგან დალოცვილი ლაშქარი „წარემართნეს სპარსეთად. ჩავლეს პირი ნახჭევნი სა და გავიდეს ჯულას და რაჯსსა“<sup>19</sup>. სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ჯარმა „დაუტევნეს მშვიდობით მყოფნი ადარბადაგანისანი და ქალაქნი ადარბადაგანისანი. გამოვლეს რაჯსი და შემოვლეს პირი ნახჭევნი სა და მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე“<sup>20</sup>. ორივე ამ ცნობით „რაჯსის გამოვლა“ და ნახჭევნის პირის „ჩავლა-შემოვლა“ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გადალახვას ნიშნავს.

ნახჭევნის საზღვრისპირობას ადასტურებს ეამთაღმწერლის კიდევ ერთი ცნობა: სულტანი (ჯალალედინი) მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს და მიერ ალაოჭრებდეს საქართველოსა.—ამ ცნობიდანაც გარკვევით ჩანს, რომ ნახჭევნის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია საქართველოა—„მიერ (ე. ი. იქიდან) ალაოჭრებდეს საქართველოსაო“<sup>21</sup>. სტეფანოს ორბელიანისთვისაც ნახჭევანი საქართველოს საზღვრისპირა ქვეყანაა. მისი სიტყვით ელიგუმ ორბელმა სთხოვა ელდიგოზ ათაბაგს, რომ ის ნახჭევნის მხარეში დაენიშნათ, რადგან „ეს მხარე ახლოსაა საქართველოსთანო“ (*«აქნ ხრქერ (ახტ) მოთაჯიჳნ է ქ ოქრას»*<sup>22</sup>).

რაჯსი რომ საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო, ეს უფრო

<sup>19</sup> „ისტორიანი და აზმანი“, ქართლის ცხოვრება, II, 104.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>21</sup> იქვე, II, 171.

<sup>22</sup> *სთ ხქ ან ნი ი ბ რ ე ლ ხ ა ნ — შათოძისძის ნაწიანი ნაწიანი აქსაკან, თბ., 1910, 392.*

უარკვევით ჩანს ბასილი ეზოსმოძღვარის ტექსტიდან. ბასილი ეზოს-  
 მოძღვარი ასეთ ზოგად განსაზღვრებას აძლევს თამარის მიერ „სა-  
 მეფოდ დაქერილ ტერიტორიას: „... მათ ყოველთაგან, რომელნიცა  
 აიხუნა, ზორაკერტით რახსამდის, გავით განძამდის და ჯავახეთით  
 სპერამდის“<sup>23</sup>. ამ ფრაზაში ჩვენ ვხედავთ თამარის მიერ დაქერილ  
 (—„აიხუნა“—დაიჭირა) ტერიტორიის საზღვრებს. ერთი მხრივ, ეს  
 ტერიტორია მდებარეობს ზორაკერტსა და რახსს შორის, მეორე  
 მხრივ, გავსა და განძას შორის და ბოლოს ჯავახეთსა და სპერს შო-  
 რის. რა კონკრეტული მხარეები იგულისხმება ამ ზოგად საზღვრებს  
 შორის? ზორაკერტი იგივე ქურდვაჭრის ხევი, აწ მდ. დებედის ზე-  
 მო წელია<sup>24</sup>. ეს მდინარე ირჩანის მთაში (ანუ აწინდელ ყარაღაჯის  
 მთაში) იღებს სათავეს.<sup>25</sup> ეს მთა ჯავახეთის ქედის ბოლო ნაწილს  
 წარმოადგენს. ქართლისა და სომხეთის საზღვრად ვახუშტს მიაჩნია  
 ბამბაკის მთები<sup>26</sup> (აწინდელი ჩომენკლატლრით ბაზუმის მთები). რო-  
 მელიც მდ. ზორაკერტს „ზურტაკეტს“ სამხრეთიდან ესაზღვრება. მა-  
 შასადამე, ზორაკერტის სათავე და ბამბაკის მთები წარმოადგენენ  
 საქართველოს ეთნიკურ საზღვარს. თამარმა კი დაიჭირა ან ეთნიკუ-  
 რი ზღვრის სამხრეთი ტერიტორია ვიდრე რახსამდე. დასავლეთი სა-  
 ზღვარი თამარის მიერ დაქერილი ტერიტორიისა სახელდებულია  
 სპერად („...ჯავახეთით სპერამდის“), ხოლო აღმოსავლეთით თამარის  
 მიერ შემოერთებული ტერიტორია განსაზღვრულია გავსა და განძას  
 შორის მდებარედ. გავი იმავე ზემოხსენებული მდ. დებედის ქვემო  
 წელზე მდებარე ციხეა (დღევანდელი აღჯაყალა)<sup>27</sup>. ასე რომ მდ. დე-  
 ბედა ყოფილა ის დაახლოებითი მიჯნა, რომლის სამხრეთითა და აღ-  
 მოსავლეთით განლაგებულია თამარის მიერ შემოერთებული ტერი-  
 ტორია, რომლის უკიდურესი ზღვარი აღმოსავლეთით არის განძა  
 (განძის საათაბაგო, რანი), სამხრეთით მდ. არეზი ანუ რახსი (აწ არა-  
 ქსი), ხოლო დასავლეთით პროვინცია სპერი (ჭოროხის ზემო წელ-  
 ზე).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ტერიტორიაში „გავით განძამ-  
 დის“ შედიოდა აგრეთვე „შანქორის მიმდგომნი ქვეყანანი“ ანუ მხა-  
 რე გელაქუნსა და მტკვარს შორის.

მაგრამ შანქორის ქვეყნიდან ნახჭევან—რახსამდე, სამხრეთი

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, II, 144.

<sup>24</sup> დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა—გავის ციხე (საქართველოს ისტორი-  
 ული გეოგრაფიის კრებული, I, 1960), გვ. 130.

<sup>25</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 38.

<sup>26</sup> ვახუშტის გეოგრაფიული ატლასები. საქ. ც. ა. ძვ. ხელნ. ფ., № 103.  
 საქ. ხელნ. ინსტიტუტი., ფ. H 2079.

<sup>27</sup> დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

მიმართულებით კიდევ ორი სომხური პროვინცია დევს—ხაჩენი და სივნიეთი. ხაჩენი უშუალოდ ემეზობლებოდა განძის საათაბაგოს. შედიოდა თუ არა ეს ორი თემი (ხაჩენი და სივნიეთი) საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში? განძისა და რაქსის დასახელება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთი და სამხრეთი მეზობლებისა, თავისთავად დადებითად უპასუხებს ამ კითხვას. მაგრამ, ამას გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა მითითებანიც. სტეფანოს ორბელიანს ვადმოცემული აქვს, რომ ზაქარია ამირსპასალარმა და ივანე ათაბაგმა ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ძალებით გაათავისუფლეს „სომხეთი სპარსთა ბატონობისაგან: დაიპყრეს (*აიჩნ*) ქვეყნები არანიდან ვიდრე შუა ბასიანამდე, ბარკუშათიდან<sup>28</sup> მენკერტამდე (მანასკერტამდე), აილეს კარი, ვალარშაკერტი, კალზვანი, სურბმარი, ანისი, ანბერდი, ბიჯნისი და გარნისი, დედაქალაქი დვინი, გარდმანი, განძა, ჩარეჟი, ჰერკი, შამქორი, შაქი, ბარდავი, ჩარაბერდი, ხოლო 660 (1211) წელს დაიმორჩილეს სივნიეთის ოლქი, ოროტანი, ბოროტანი, ბლენი და ბარკუშატი. თუმცა ეს დაპყრობანი სხვადასხვა დროს მოხდა“...<sup>29</sup> ამ ვრცელი ცნობიდან ჩვენთვის საინტერესოა ის მომენტი, რომ სივნიეთის შემოერთება საქართველოს მიერ იმავე შინაარსით არის გაგებული, როგორც ანისისა და დვინის შემოერთება. ანუ რომ აქაც ჩვენ გვაქვს „სამეფოდ დაჭერილი“ ტერიტორია. რომ სივნიეთი „სამეფოდ დაჭერილ ტერიტორიათა რიცხვშია, ეს უფრო ნათლად ჩანს სტეფანოს ორბელიანის შემდეგი სხვა ცნობიდანაც (მიუხედავად იმისა, რომ სტეფანოს ორბელიანს სურს წარმოადგინოს ორბელიანთა საგვარეულოს სრული დამოუკიდებლობა).—ლიპარიტ ორბელს „ივანე ათაბაგმა მეფის (—იგულისხმება თამარ მეფის) ბრძანებით მისცა (*არამანაღ მთავარიჩნ თაყ*) სოფლები ვაიოც-ძორსა და გელაქუნში და კაიენში და აგრეთვე მიეცა სივნიეთი ციხეებით ოროტანით და ბარკუშატით“<sup>30</sup>. აქ ჩვენთვის ხაზგასასმელია ის მომენტი, რომ ლიპარიტ ორბელის ეს მფლობელობა საქართველოს მეფის წყალობით მოდის. ეს გარემოება კი გარკვეულად სივნიეთსაც სამეფოდ დაჭერილ ტერიტორიათა რიცხში აყენებს.

ასევე უნდა ითქვას ხაჩენის მიმართაც. ხაჩენის მფლობელი ვასაც (ზოგი ვარიანტით ვახტანგ) ხაჩენელი საქართველოს მეფის დიდებულთა. დავით სოსლანმა ხაჩენელისაგან იყიდა ცხენი, რომ-

<sup>28</sup> ბარკუშათი უნდა იყოს ვახუშტის რუკებზე აღნიშნული მდ. ბარგუშა, მტკვრის მარჯვენა შენაკადი ბარდავის აღმოსავლეთით.

<sup>29</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 391—392.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 397.

ლის საფასურად გაიღო ხაჩენის პროვინციაში მდებარე ციხე და სოფელი ქარმანი<sup>31</sup>. ხაჩენი რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებშია, ეს გარკვევით ჩანს თამარის დროს მოწყობილი ერთ-ერთი ლაშქრობის აღწერიდან: „ოდესმე ეამსა ერთსა ქმნა შემგრილნი გავიდეს გელაქუნად და ჩაიარეს ხაჩენსა და ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისისად, და მიუწიეს ბელაყანადის და მოარბიეს ყოველი არეზი და ამოიარეს კარი განძისა... და ყარყრით შანქორამდის ექვისი დღე იარეს. და რომელი დღე გარდასრულა, თუმცა არა მოწეულ აყენეს ლაშქარნი და არა შემობმოდეს“<sup>32</sup>. ამ აღწერილობიდან ცხადია, რომ ყარყრის ქვეყანა ბელაყანსა და არეზთან (არეზის ქვედა წელზე) მდებარეობს და რომ ბრძოლა ხდებოდა არეზის პირას და ყარყრის ქვეყნიდან დაწყებული ვიდრე განძამდე. ხოლო ლაშქრის მარშრუტში მოხსენიებული გელაქუნი და ხაჩიანი (ხაჩენი) ლაშქრობის ობიექტები არ ყოფილან. ეს მხარეები გზად ედო ყარყრის ქვეყნისკენ მიმავალ ლაშქარს და, რაკი ამ პროვინციებში ლაშქრობა არ მომხდარა, თავისთავად ცხადია, რომ ეს მხარეები უკვე შესული იყო საქართველოს საზღვრებში.

სტეფანოს ორბელიანის ზემო მოყვანილ ცნობაში, რომელიც საქართველოს ფარგლებში შესულ სომხურ მიწებს ეხება, ამ მიწების აღმოსავლეთ საზღვრად შუა ბასიანია დასახელებული, ხოლო სამხრეთით უკიდურეს საზღვრად ვალარშაკერტი: „დაიბყრეს ქვეყნები არანიდან ვიდრე შუა ბასიანამდე, აიღეს კარი, ვალარშაკერტი (ვალაშაკერტი), კალზვანი (აღზევანი)“<sup>34</sup>. აქ დასახელებული ვალარშაკერტი, ქართული ვალაშაკერტი (თანამედროვე სახელწოდება ალაშაკერტი) სომხური პროვინციის ბაგრევანდის ცენტრია და მდებარეობს მდ. ევფრატის მარჯვენა შენაკადის ბაგრევანდის ხეობაში.

პროვინცია ბაგრევანდისა და ბასიანის საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში არსებობის ნათელსაყოფად მრავალი საბუთი არსებობს.

უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა მოვიხსენიოთ ეამთააღმწერლის ცნობა საქართველოს დუმენებად დაყოფის შესახებ. ამ ცნობაში სამხრეთ-დასავლეთი დუმენი ასეა ლოკალიზებული: „გამრეკელსა თორელსა ...ქელთ უდვა ჭავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე“<sup>35</sup>. ეს დუმენი მოიცავს ტერიტორიას ჯა-

<sup>31</sup> „ისტორიანი და აზმანი“, ქართლის ცხოვრება, II, 33. 69.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 59—60.

<sup>34</sup> სტ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

<sup>35</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208.

ვახეთიდან კარნუ-ქალაქამდე (ახლანდელ ერზერუმამდე). ამ ტერიტორიაში კი ბასიანი თავისთავად იგულისხმება. ხარგის ჯაყელმა, რომელმაც თავის საგამგეო ქვეყანას მონღოლთა გადასახადებისაგან შეუვალობა მოუპოვა, XIII საუკუნის შუაში თავის ქალაქელების ქვეშ დაიპყვიდრა საქართველოს სახელმწიფოს სიმბრეთე დასავლეთი ნაწილი (თამარის დროინდელ საზღვრებში). მიჯნები სარგისისა და მისი შვილის — ბექა ჯაყელის ქვეყნისა მკაფიოდ ჩანს ეპითალმწერლის შემდეგი ადგილიდან. როდესაც თურქი აზატ-მოსე წარმოვიდა... „მოოჭრებად ყოვლისა საქართველოსა“, ბექამ „მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა ტასისკართგან ვიდრე ბასიანადმდე“<sup>36</sup>. ე. ი. ტასისკარიდან ბასიანამდე ვრცელდებოდა ბექა ჯაყელის საგამგეო. ამრიგად ცხადი ხდება, რომ ბასიანი იყო სამხრეთი საზღვარი თვით საქართველოს სახელმწიფოსი.

საერთოდ სამცხე-საათაბაგოს, როგორც თამარის დროინდელი საქართველოს სამხრეთი ნაწილის შემკვიდრის, საზღვრების გარკვევა ნათელს გახდის თამარის დროინდელ საზღვრებსაც. ბექა ჯაყელის კუთვნილ ქვეყანაზე გვაქვს კიდევ უფრო დეტალური ცნობა: „ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკართგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ხოლო ქანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან, ამასვე აქუნდა ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი“<sup>37</sup>. ესაა თამარის დროინდელი სამხრეთი საქართველო. საინტერესოა, რომ ამავე საზღვრებში დარჩა სამცხე-საათაბაგო მომდევნო საუკუნეებშიც. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს XV ს-ში შედგენილი ე. წ. „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა სია“. ამ სიაში ჩამოთვლილი არიან სამცხის ეპისკოპოსები, რომლებიც საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. ეს ეპისკოპოსებია: მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი წურწყაბელი, წყაროს-თუშლი, ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი და დადაშნელი<sup>38</sup>. ამ საბუთში კარელი, ანელი და ვალაშკერტელი ეპისკოპოსების მოხსენიება ააშკარავებს ამ მხარეებში მართლმადიდებელი მოსახლეობის არსებობას. აქ ჩამოთვლილთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამცხე-საათაბაგოს განაპირა მხარე-

<sup>36</sup> ეპითალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 312<sub>15</sub>.

<sup>37</sup> იქვე II, გვ. 304.

<sup>38</sup> თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 53—54. ამ საეპისკოპოსოთა ლოკალიზაცია იხ. ჩვენ მიერ შედგენილ რუკაზე „საქართველო XVI საუკ. პირველ ნახევარში“ („საქართველოს სსრ ატლასი“) გვ. 253-254.



ებში მდებარე საეპისკოპოსოები, რადგან მათი სამოქმედო ასპარეზის გარკვევით თვით სამცხე-საათაბაგოს საზღვრებიც გაირკვევა. ამ საბუთში ვალაშკერტელის შესახებ ნათქვამია: „ვალაშკერტელის სამწყსო ყაზგვანს ზეითი, ვალაშკეთის აქათ ხინუსი და დევაბონის აქეთი“. ხინუსი ბაიბურთთან არის, ხოლო დევაბონის მთა არის ის ქედი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ეკვრის ბასიანის პროვინციას და რომელზედაც გადადის გურჯი ბოლაზის ჭეობა ანუ საქართველოს ყელი. ეს ყელი, ვახუშტის თქმით, არის „საზღვარი საქართველოსა და ბერძენთა“<sup>39</sup>. მაშასადამე, ვალაშკერტელის სამწყსო კალზევანსა და დევაბონის (იგივე საქართველოს ყელის) შორის მდებარე ტერიტორია ყოფილა. ეს ტერიტორია კი, თავის მხრივ, მოიცავს ბიგრევანდსა (—ცენტრით ვალაშკერშტი) და ბასიანს. და რაკი ორივე ეს პროვინცია ვალაშკერტელის სამწყსოა, ვალაშკერტელი კი საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება, ამიტომ ბასიანიც და ბაგრევანდიც საქართველოს (ამ შემთხვევაში სამცხე-საათაბაგოს) ფარგლებში ყოფილა.

ამრიგად ირკვევა, რომ საქართველოს ყელი (გურჯი-ბოლაზი) დევაბონის მთით ყოფილა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი.

დასავლეთი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი სპერი და ჭანეთია. ორივე ეს პროვინცია თამარის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა<sup>40</sup>. XIII საუკუნის ბოლოს ბექა ჯაყელმა თავის ქვეყანას შეუერთა აგრეთვე ჭანეთიც: „ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან“.—ნათქვამია ქამთაღმწერელთან<sup>41</sup>. სპერი ბექას დროსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩა<sup>42</sup>.

ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით თამარის მიერ შემოერთებული მიწების მოსაზღვრე მხარეებია—რაქსი, განძა და სპერი („ზორაკერტი რაქსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის“). ამ კონტექსტის მიხედვით სპერი საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქცეული პროვინცია. ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ სპერი ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა. სპერს აღმოსავლეთით ემიჯნებოდა პროვინციები პარხალი და კლარჯეთი, რომლებიც საკუთრივ საქართველოში შედიოდნენ. საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი

<sup>39</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 141.

<sup>40</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, 142<sup>გ</sup>, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, აღ. გამყრელიძის გამოც. (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960), გვ. 16.

<sup>41</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 304.

<sup>42</sup> ბექა ჯაყელის დროს სპერი ბაიბურთითურთ თურქებს უპყრიათ. ქამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 313—315.

პარხალისა და კლარჯეთის დასავლეთით, ფორჩხის წყლის ხეობას მიჰყვებოდა<sup>45</sup>.

კლარჯეთიდან დაწყებული საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შავი ზღვის პირს მიჰყვებოდა. უკიდურეს წერტილად ჩრდილო-დასავლეთი საზღვრისა ნიკოფსია ჩანს. ცნობილია „გამრთქმა“ „ნიკოფსით დარუბანდამდის“. თამარის ისტორიკოსები რამდენჯერმე ახსენებენ ნიკოფსიას, როგორც საქართველოს უკიდურეს ზღვარს დასავლეთით („მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის;“ „ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ“)<sup>46</sup>. ქაშაიალმწერელიც ამგვარადვე გადმოგვცემს XIII საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს საზღვრებს. „ვითარ აღსრულდა მეფე (—ლაშა გიორგი—მ. ბ.), შეკრებს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი... ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდის“<sup>45</sup>. იგივე ისტორიკოსი ვახტანგ დავით ნარინის ძის გამეფებას (1289 წ.) ასე აღწერს: „დაიპყრა ყოველი საქართველოს ნიკოფსით დარუბანდამდის“<sup>46</sup>. საქართველოს სახელმწიფოს ამ ორი უკიდურესი მიჯნის დასახელებისას თუ ერთი (დარუბანდი) საქართველოს ყმადნაფიც ქვეყანას წარმოადგენს, მეორე—ნიკოფსია—გარკვევით საქართველოს სახელმწიფოში შემავალი პუნქტია. ეს გარემოება გარკვევით ჩანს მსახურთუხუცესი ვარდან დადიანის სახელისუფლო ქონების დახასიათებაში. „ვარდან დადიანი ...ლიხთაქით პატრონი ორბეთისა და კენისა, ლიხთაქით ნიკოფსამდის უცილობელად მქონებელი“<sup>47</sup>. ნიკოფსია პუნქტია თანამედროვე კრასნოდარის მხარეში, ძველი ჯიქეთის ტერიტორიაზე<sup>48</sup>. ჯიქეთი კი საქართველოს შემადგენლობაშია უკვე ბაგრატ III დროს, რომელმაც „დაიპყრო ყოველი კავკასია... ჯიქეთითგან ვიდრე გურგანდამდე“<sup>49</sup>.

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა კავკასიის მთავარი ქედის თხემზე ვიდრე შამახიის მთამდე; ამ საზღვრის იქით ჩრდილოეთით განლაგებული იყო საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ლუნძეთი და ლეკე-

<sup>45</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 134.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, II, 94; 103.

<sup>47</sup> იქვე, 243.

<sup>48</sup> იქვე, 293.

<sup>49</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კვეციანის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 91, უკანასკნელი სიტყვა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში მოცემულია „ქონებასა“—ს ფორმით.

<sup>48</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio — გეორგეკა, ტ. IV., ნაკვ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1952, გვ. 231—233.

<sup>49</sup> სუმბატ დავითის ძე, ქცა, I, 382<sup>17</sup>.

თი. საქართველოს ფარგლებში კი რჩებოდა: დვალეთი, ხევი, ფხოვი (ხევსურეთი) და თუშეთი. უკიდურესი პუნქტი ჩრდილოეთით იყო დარიალის ციხის ჩრდილოეთით, მდინარე თერგზე მდებარე ჩიმი.

აღნიშნულ საზღვრებში მდებარეობდა საქართველოს სახელმწიფო, რომლის მიწა-წყალი, ბასილი ეზოსმოძღვრის ანგარიშის მიხედვით, ორჯერ უფრო მეტი იყო იმასთან შედარებით, რაც თამარ მეფეს დაუტოვეს მისმა წინაპრებმა: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მზღუარნი, რომელნი მას დახუდეს მას გარეთ მისსა სამეფოსა, ორად განფართებულნი. და ამისგან ცნას მეძიებელმან საქმეთამან“<sup>50</sup>.

\* \* \*

წერილს ერთვის XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს სახელმწიფოს სქემატური რუკა.

ამ რუკაზე მოცემულია საქართველოს სახელმწიფო („სამეფოდ დაჭერილი“ ტერიტორია), მისი ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნები. რუკაზე დატანილია საქართველოს სახელმწიფოში შესული ქართული და არაქართული უმთავრესი პროვინციები და წინამდებარე წერილში ნახსენები გეოგრაფიული სახელები; რუკაზე საორიენტაციოდ აღნიშნულია აგრეთვე ზოგი სხვა პუნქტიც.

<sup>50</sup> ქართლის ცხოვრება, II, 123-124.



ბ. ლომინაძე

## სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში

ეკლესიასა და მეფეს შორის დამოკიდებულების განსხვავებული ეტაპები საქართველოში ქრონოლოგიურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. IV საუკუნიდან—მეფობის გაუქმებამდე, 2. პოლიტიკური დაშლილობის ხანა (VI ს-დან) და 3. ერთიანი, ცენტრალიზებული, მონარქიის პერიოდი.

ეკლესია საქართველოში, როგორც ახალი ძალა, დახმარებას საჭიროებდა. ამიტომ პრაქტიკა თავისთავად ითხოვდა ეკლესიის კავშირს მეფესთან. ამ ურთიერთობაში მკაფიოდ ისახება ეკლესიის დამორჩილებული მდგომარეობა მეფის ხელისუფლებისადმი, რაც დასრულებული სახით ვახტანგ გორგასალის მეფობაში ვლინდება. ძველ რელიგიებზე ქრისტიანობის გასაბატონებლად და საეკლესიო ქსელის გასაფართოებლად ერთ-ერთ ძალას სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა. ქართლის მეფეთა პოლიტიკა მტკიცედ იყო მიმართული ერთიანი რელიგიის გაბატონებისკენ. ამ მიზნის განხორციელება მეფეს უხდებდა მოსახლეობაზე ძალდატანების გამოყენების გზითაც. მეფეები ებრძვიან ირანის ანტიქრისტიანულ პოლიტიკას დიპლომატიური ან პირდაპირი გზით. მეფე ვახტანგ გორგასალი აშენებს ახალ ეკლესიებს გარკვეული ტერიტორიული პრინციპით. იმ მიზნით, რომ ქრისტიანობამ მოიცვას ქვეყნის ყველა ნაწილი, საეკლესიო რაიონებს მტკიცედ უქვემდებარებს ქართლის ადმინისტრაციულ-საგამგეო დაყოფას (თორმეტი საეპისკოპოსოს დაარსება), ხოლო კათალიკოსობის შემოღებით აღწევს ეკლესიის ცენტრალიზაციას. 506 წლის დოკუმენტური წყარო ქართლში ასახელებს 33 საეპისკოპოსოს. ქართველი მეფის პრაქტიკულ მოქმედებასა და შეხედულებებში ეკლესიაზე ზრუნვა საერო საქმის თანატოლად არის მიჩნეული. მეფე განაგებს ეკლესიის ორგანიზაციულ საქმიანობას. ეკლესიის დაწინაურების პროცესი მშვიდობიანი არ ყოფილა. ეკლესია, როგორც მზარდი ფეოდალური ძალა, საბოლოოდ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. წინააღმდეგობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან გარკვეულად გამოხატულია. ვახტანგ მეფესა და

მცხეთის ეპისკოპოსს მიქაელს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ამ ბრძოლის ერთ-ერთი ანარეკლია. „ვერცხლის მოყვარე“ მიქაელის სახით მეფე ებრძვის ეკლესიის გაზრდილ მიწისმფლობელებს<sup>1</sup>.

ბიზანტიის

\* \* \*

ქართლში მეფობის გაუქმება (523 წ.) და ერისმთავრობის დაწესება (VI ს. დასასრული) ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეკლესიის შემდგომი გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის. გარეშე ძალაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკლესიის ამ მიმართულებით განვითარებისათვის, ჯერ კიდევ ადრიდანვე, სპარსეთი, ადგილობრივ წრეებში პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვების მიზნით, ახერხებდა საეპისკოპოსო კათედრებზე თავის მომხრეთა დასმას (ეპისკ. მობიდან), ხელს უწყობდა ეპისკოპოსთა უფლებების გაძლიერებას (გლონქორ ეპისკოპოსს უბოძა ქართლისა და ჰერეთის ერისთაობაც). ბიზანტიის გავლენის საწინააღმდეგოდ სპარსეთი ახერხებდა ქართლში სარწმუნოებრივი მიმართულების შეცვლასაც (506 წ. საეკლესიო კრების მიერ საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში მონოფიზიტობის გამოცხადება) და სხვ. ასევე, ბიზანტია, მისი პოლიტიკური ჰეგემონობის პერიოდში, მარჯვედ იყენებდა საეკლესიო წრეებს თავისი ორიენტაციის დასანერგად (608 წ. სომხეთისა და საქართველოს შორის საეკლესიო განხეთქილება, საქართველოში დიოფოზიტობის აღიარება).

სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ საქართველოში, როცა ქვეყანა მოკლებული იყო ერთ პოლიტიკურ ცენტრს, მცხეთის კათალიკოსი თავისი ვრცელი მიწისმფლობელობითა და მრავალრიცხოვანი საეკლესიო-ადმინისტრაციული ქსელით ქვეყნის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა.

ეკლესია ეკონომიურად ძლიერი იყო. ამ პერიოდის საეკლესიო ორგანიზაციაში ფეოდალური არისტოკრატია უკვე გაბატონებულია. კათალიკოსი და მისი ხელქვეითი ეპისკოპოსები საკუთარ საყდო-სამფლობელოებს ქმნიდნენ, რომელთაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები მოეპოვებოდათ. ეპისკოპოსები ცდილობდნენ, რომ ეს უფლებები საეპარ-

<sup>1</sup> ეკლესიის მდგომარეობა IV-V საუკუნეებში ვრცლად მიმოხილული ვაქვს ნაშრომში: „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღება და ეკლესიის პირველი ორგანიზაცია საქართველოში IV — V სს.“ ნაშრომი შესრულებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის 1960 წ. გვეგმის მიხედვით და იხანება ხელნაწერის სახით იმავე ინსტიტუტის ფეოდალიზმის ისტორიის განყოფილების არქივში.

ქიო-სამწყსოს მასშტაბითაც გაევრცელებინათ. საეკლესიო მიწის-მფლობელობა, როგორც უფრო ძველი და დიდი მოცულობის მქონე, უპირისპირდებოდა ერისმთავრებისა და მთავარეპისკოპოსების ახალ შემამულეობას. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ფაჩოქო სკანდინავიური მშენებლობანი, რომლებიც ეკლესიის სისტემაში მსხვილ და მოუკიდებელ გაერთიანებებად ყალიბდებიან (გარეჯა VI ს., ხანძთა VIII ს.).

ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდას ეპოქის განსაკუთრებულმა თავისებურებამაც შეუწყო ხელი. სპარსელების, არაბებისა და სხვა დამპყრობელთა ბატონობის პერიოდში, ქრისტიანობა ასრულებდა ენისა და კულტურის დამცველის როლს. ეკლესია ფართოდ იყენებდა ქრისტიანობის პროპაგანდას თავისი გავლენის ამალლებისათვის.

ეკლესია თავისი ფართო ორგანიზაციით და სასამართლო იურისდიქციით, რომელსაც განუჩევლად ყველა ქვეშევრდომი ემორჩილებოდა, სპობდა ქვეყნის შიგნით ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრებს. უკვე X ს-ში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო-კულტურული გაერთიანება ფაქტია. ქართული ეკლესიის მოღვაწეთა ქადაგება — „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღიორიციხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის“ — ეპოქის იმ პირობებში, მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის შეგნებას აღვივებდა.

პრაქტიკულ ვითარებაში ვხედავთ, რომ ეკლესია აქტიურადაა ჩაბმული ფეოდალურ დაჯგუფებათა ბრძოლებში, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, მისი პოლიტიკურ-მორალური გავლენა ადგილობრივ ხელისუფლებაზე (გარეშე ძალაზე დაყრდნობით თუ ისე) საკმაოდ დიდია<sup>2</sup>. ცენტრალურ საერო ხელისუფლებასთან ეკლესიის

<sup>2</sup> ტაო-კლარჯეთის სამთავროში: აშოტ კურაპალატისა და ანჩის ეპისკოპოსის ცქირის დამოკიდებულება, როცა აშოტი უძღურია წინაღუდგეს ეპისკოპოსის მოქმედებას; მთავრებს (აშოტს, გუარამს) უფლება არ აქვთ საეკლესიო თანამდებობიდან გადაყენონ ან არ დანიშნონ მათთვის არასასურველი პირი (ეპისკოპოსი ცქირი, კათალიკოსი არსენი), მთავარს უფლება არ აქვს ჩაერიოს საეკლესიო ორგანიზაციულ და სარწმუნოებრივ საქმეებში (VIII-IX სს.). სამცხეში ეპისკოპოსს გიორგი მაწყვერელს ფართო სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებები აქვს თავის ეპარქიაში (IX ს.); ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა შავშეთი აღიკირა და მისი მმართველი გახდა (XI ს.) და სხვ.

ბრძოლის ერთ-ერთი ანარეკლი უნდა იყოს ერთი ცნობა, რომელიც სტეფანოზ ერისმთავარს (VII ს.) ასე ახასიათებს: „ეკლესიათა ფრიად ძვირს უყოფდა“ („თხრობაჲ სასწაულთათვის შიოისთა“) და სხვ. ეკლესია ცენტრალური ხელისუფლების სეროზუფიკატული ქე იყო.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ (დაიწერა 951 წ.) ასახულია ტაო-კლარჯეთის სამთავროს ვითარება VIII-IX საუკუნეებში, აქ დახატულია ტიპური სურათი ეკლესიის დიდი გავლენიანობისა საერო ხელისუფლებაზე, სადაც ეკლესია წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი ძალა. რამდენადაც იმ დროის საქართველოს ისტორიულ სიტუაციაში ამის რეალური საფუძვლები შეგვიძლია დავინახოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ნაშრომში ჩვენ საქმე გვაქვს არა იმდენად ავტორის სუბიექტურ შეხედულებათა ლიტერატურულ-მხატვრულ გამოხატვასთან, არამედ, უფრო, არსებული სინამდვილის სწორ გადმოცემასთან. ეს ნაწარმოები მოწმობს, რომ X საუკუნისათვის უკვე თეორიულადაც ჩამოყალიბებული აზრი არსებულა საეკლესიო და საერო ხელისუფლებათა ურთიერთობაზე, რომელიც აღიარებდა საეკლესიო ხელისუფლების უპირატესობას საეროზე<sup>3</sup>.

აღნიშნულ თეორიაში ეკლესიის უპირატესობის აღიარება, ვითარების აშკარად გაიდევლება, ისე როგორც ეს შუა საუკუნეების თეორიებს სჩვეოდათ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის მაინც ეპოქის მიმართულების ამსახველად ჩაითვლება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ორიგინალურ მწერლობაში ჩერჩვრობით არ ჩანს ისეთი ნაშრომი, სადაც სისტემაში მოყვანილი იქნებოდა აღნიშნული მოძღვრება, ისე, როგორც ეს ჩვენ დასავლეთ ევროპამ მოგვცა<sup>4</sup>. მაგრამ გიორგი მერჩულეს ლიტერატურულ ნაწარმოებში ასე მკაფიოდ გადმოცემული ეს შეხედულებები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ქართულ მწერლობაში ხსენებული მოძღვრების შესახებ სპეციალური ნაშრომი არსებობდა.

<sup>3</sup> გ. მერჩულეს ნაწარმოებს ეხებიან: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1946, 114; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1, 1956, 356-357.

<sup>4</sup> V საუკუნეში ჩრდილო აფრიკის ქ. იპონიის ლათინმა ეპისკოპოსმა აგრელუს ავგუსტინემ (354—340) ნაშრომში, *De civitate Dei* ჩამოყალიბა მწვობრი მოძღვრება სასულიერო ხელისუფლების უპირატესობის შესახებ საერო ხელისუფლებაზე. XI—XV საუკუნეებში ავგუსტინეს ამ თეორიას რომის პაპები მარჯვედ იყენებდნენ საერო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ. მერჩულეს თხზულებაში ჩამოყალიბებული შეხედულებანი შეიძლება ასე გადმოვცეთ:

1. საერო ხელისუფლება ღმერთმა დააწესა, მეფეს მიღებული აქვს „ფლობაჲ კელმწიფებისაჲ ზეგარდმო“ (24)<sup>5</sup> ამიტომ მეფისადმი პატივისცემა ღვთისადმი პატივისცემას უმსგავსებდა. მეფობის დაწესებით ღმერთმა თავისი კეთილგანწყობილება გამოხატა ადამიანებისადმი. „სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ რამეთუ თქუნენ, კელმწიფენი, უფალ-გყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა, ვითარცა გულისხმა-ვჰყოფთ კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა“ (11). მეფის საქმიანობას ღმერთი უძღვის, „ნათელი დაუსაბამოჲ უძღვის“ (24).

2. მეფეები განაგებენ მხოლოდ „ქუეყანას“, მიწიერ სამეფოს. ისინი ბატონობენ მხოლოდ ერთ ხალხზე და მხოლოდ დროებით. ქრისტე ხელმწიფე კი ქვეყანასაც, ზეცასაც და ქვესკნელსაც განაგებს. მას ემორჩილება ყველა დაბადებული, ანგელოზნი და კაცნი, მისი მეფობა არის საუკუნო და უცვლელი. ქრისტე სრული ხელმწიფეა, ამიტომ მას უპირატესობა აქვს (მიწიერ) ხელმწიფესთან შედარებით.

ბაგრატ კურაპალატი სასახლეში იწვევს საბან იშხნელ მონაზონს, რომელიც „მეფის“ მიწვევაზე არ ცხადდება, განმეორებით მას სთხოვს მისი უფროსი გრიგოლი. ამის შემდეგ ის მიდის მეფესთან, ხოლო დაუმორჩილებლობის მიზეზს მეფეს ასე განუმარტავს:

„დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამთ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ, შენ წარმავალთა ამთ ეამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უეამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროჲს შენსა ჰერარს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა ვითარმედ: „ვერვის კელმწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“, არამედ აწ-სიტყუითა ძმისა და მოძღუარისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინა-შე შენსა“ (26). აქ საბანის მსჯელობა და მისი საქციელი, ორივე ერთად, ასაბუთებს აზრს ორი სახელმწიფოს შესახებ: მიწიერი—ქვეყნიერი სახელმწიფო და ქრისტეს—ღვთის სახელმწიფო. ქრისტე არის ქვეყნიერი მეფის ხელმწიფეც. მაშასადამე, მეფე

<sup>5</sup> ყველგან მითითებულია გამოცემა: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, 1964. აქ „მეფე“ იხმარება ქვეყნის მმართველის აღსანიშნავად. ტაო-კლარჯეთის გამგებელთა ოფიციალური ტიტული ის ჰერ კიდევ არაა.



ქრისტეს ემორჩილება, ხოლო ქრისტეს ნაცვალი ქვეყნად, ამ კონცეპციის მიხედვით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკლესიაა. ამრიგად, ქვეყნიერი მეფე და ყველა კაცი ეკლესიას უნდა დაემორჩილოს. ეკლესია თავის თავზე აღიარებს მხოლოდ ქრისტეს ხელმწიფობას.

ეს შეხედულება საბანის საქციელში იმ მხრივ არის გამოხატული, რომ იგი მიდის არა მეფის, არამედ გრიგოლის (ამ შემთხვევაში ეკლესიის წარმომადგენლის) გამოძახებაზე და პირდაპირ უცხადებს მეფეს: „უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუაჲა მისთაჲ (ქრისტეს, ბ. ლ.)... არამედ აწ სიტყუითა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

3. მიწიერ სახელმწიფოში ანუ ქვეყნიერ სამეფოში ხდება ხალხის მომზადება „უკანადასთვის ეამთა“ (22). ამას უშუალოდ ეკლესია აკეთებს. რომ ეს დანიშნულება ქვეყნიერმა სამეფომ შეასრულოს, მეფე უნდა იყოს „მორწმუნე“, „ღმრთის მსახური“. ეს კი გამოიხატება ეკლესიისადმი სამსახურში. ავტორის აზრით, ღმერთიც მხოლოდ ასეთი მეფეების „მთავრობას“ აღიღებს და ამრავლებს; ასეთი მეფეები არიან ხალხის კეთილდღეობისათვის მოვლინებულნი და სხვ. მაგალითად, ბაგრატსა და მის ძმებზე ნათქვამია: „ყოვლადვე კეთილად მსახურებითა და მადლითა ქრისტესითა განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათაკელმწიფეთაჲ“ (24); „ღმერთის მსახურნო მეფენო, ქეშმარიტად გულნი თქუნენი კელთა შინა ღმრთისათა არიან“ (24) და სხვ.

ამ ნაწარმოებში მეფე-მთავრები იხსენიებიან განუყრელი ეპიტეტით: „მორწმუნე მეფე“, „კეთილმსახური მეფე“, „ღმრთის მსახური მეფე“. ყველა ისინი დახასიათებული არიან ეკლესიისადმი გულუხვი სამსახურით, ეკლესიისაგან შემკობილი არიან ქება-დიდებათ, მათთვის აღვლენილია ლოცვა-ვედრება. ეკლესია უყოყმანოდ ადასტურებს ტაო-კლარჯეთის ამ „მეფეთა“ სისხლით წარმომავლობას ებრაელთა მეფის დავითისგან (თქმულება შეიძლება შეიძლება თვით ბაგრატიონებმა). გრიგოლ ხანძთელი მიმართავს „კეთილად მსახურ“ აშოტ კურაპალატს: „ქრისტემან უმეტესად დიდებით დაიცვეინ მეფობაჲ შენი... დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო კელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი (დავითის ბ. ლ.) დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შეილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქუეყანათა უკუნისამდელ ეამთა, არამედ იყვნენ ივინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ“ (11).

ბაგრატი პირადად შედარებულია დავით წინასწარმეტყველ-

თან და პეტრე მოციქულის მოწაფე ბაგრატ მღვდელ-მოწამესთან და სხვ. (24).

ამრიგად, ქართულმა ეკლესიამ მეფობა ვერ უარყო, მაგრამ მან არ მიიღო ისეთი მეფე, რომელიც ეკლესიას არ ემსახურებოდა და არ ემორჩილება.

გ. მერჩულეს ნაწარმოებში დახატულია „ღვთისმსახურ მეფეთა“ სახელმწიფო.

„ღვთისმსახურნი მეფენი“ თავიანთი „მოკვდავი მეფობით“ „უკვდავი მეფობის“ დამყარებას ემსახურებიან. ეს ნიშნავს მეფეების მიერ ეკლესიების „დანერგვას“ და მათთვის „შეწევნას“. ეკლესია მეფისათვის „უხილავი“ საომარი იარაღია და აღმატება მის ყოველ ხილულ იარაღსა და ლაშქარს. „ღმრთის მსახურნი მეფენო... თქუენ მოგცა უფალმან დანერგვაჲ უკუდავთა ჭელმწიფეთა წმიდათა ეკლესიათა მოკუდავითა მეფობითა. და შეწევნაჲცა მათი უხილავად საჭურველ ყო თქუენდა უფროჲს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მკედართა“ (27).

ეკლესია არის „უკვდავი ხელმწიფე“, რადგან იგი ქრისტეს განსახიერებაა ამ ქვეყნად: „წმიდასა ეკლესიასა სახელდევ გუამად შენდა და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა შეუძვრელად აღაშენენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი“. ეკლესია „მორწმუნე ერთა შესავედრებელია“ და აგრეთვე „შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვლად მათთა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთა, ქეშმარიტთა ქრისტიანთა, ვიდრემდის კულად მოხვიდე დიდებით წმიდათა თანა“ (10). ეკლესია განაგებს ქვეყანას ვიდრე დასასრულამდე.

მეფეთა უშუალო მოვალეობაა ეკლესიისათვის ზრუნვა, მეფობა განაგონ ღვთის კანონებით, „სიტყვისაებრ უფლისა“: „მოღვაწეობაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინის-ცემბა გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სმმართლით განკითხვაჲ სიტყვისაებრ უფლისა, ვითარმედ: „ნუ თუალხუმით შჯით, არამედ სასჯელო სამართალი საჯეთო“ (იქვე, 27).

„მორწმუნე“ მეფეები არიან „სიმტკიცე ეკლესიათა და ქრისტიანობის ზღუდე“ (13). ღმერთმა ასეთი მეფეები ხალხს დაუწესა, რათა ხალხმა შეძლოს ღვთის ვედრება, რომ ცოდვებში არ ჩაცვივდნენ: „მორწმუნე მეფენი... ყოველთა ერსა ზედა მთავარ-ყვნა, რაჲთა სიმართლით განკითხვიდენ მათ შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა, ხოლო რაჲთა არა დაუტეონ გონება მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა გულისკმაჲსყოფდენ“ (22).

4. ქვეყნიერ სამეფოში სჯულსა და სარწმუნეობას უშუალოდ

ემსახურება ეკლესია (სამღვდელოება); ხუცები, ეპისკოპოსები და მონაზვნები ამზადებენ ხალხს უკანასკნელი განკითხვისათვის. ვრ-გოლ ხანძთელი წყრომით უბასუხებს გუარამ ხელმწიფეს, როცა ის მას ეკითხება—აქვს თუ არა უფლება ერის კაცს შემოედგეს უფ-ლე მე საეკლესიო წესი ან ასწავლოს ხალხს და სხვ. „ტვირთვით შეტყობი-საჲ და წესი ქრისტეანობისაჲ... რომლისათვის ჩვენ ვართ თავს მღებნი უკეთუ ვინმე მტკიცედ იპყრას და შეუცვალებლად საქმით ჰყოფდეს და არა სიტყვით“ (42). სამღვდელოების, ეკლესიის, გა-რეშე შეუძლებელია ადამიანთა „ხსნა“: „აწ არა ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თვინიერ მღვდლობისა, რომლისათვის... უფალი ბრძანებს: უკეთუ ვინმე არა მეორედ იშვეს და არა შიილოს წმიდა საიდუმლოდ ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (3)<sup>6</sup>. მღვდელი (სამღვდელოე-ბა) ქრისტეს ნაცვალია ამ ქვეყნად: „მღვდელი უფროჲს არს ყოველ-თა დიდებათა სულიერთა და კორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცე-ლობა არს ჭეშმარიტისა ღმრთისა“ (3). ეკლესია ქრისტეს მაგიერია, „რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელსდევ გუამად შენდა... (10). ეკ-ლესია სიკვდილის შემდეგაც განაგებს სამწყსოს, ვიდრემდის ქრის-ტეს მეორედ მოსვლამდე (იქვე). ეპისკოპოსიც, როგორც მღვდელი, ღვთის ანგელოზია, მასწავლებელი, რომელიც ხალხს ჭეშმარიტე-ბას ასწავლის: „ბაგეთა მღვდელისათა დაიცვან სამართალი და სჯუ-ლი პირისა მისისაგან გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოე-ლისა მპყრობელისა არს იგი“ (3).

ამ კონცეპციითვე ადამიანთა „განწმენდის“ საქმეში საეპისკო-პოსო ეკლესიებზე ნაკლები როლი უდაბნოთა ეკლესიებსა და მონა-ზვნებს არ მიუძღვიო. მართალია მონაზვნებს მღვდლობა ეპისკო-პოსისაგან მიღებული არა აქვთ, მაგრამ მღვდლობის ძალა მათ ეძ-ღვეათ მონაზვნად შედგომის დროს. „უკუნადსათვის ჟამთა დაბადნა ივინი (მონასტრები, ბ. ლ.) მონაზონთა სამკვიდრებელად და ყოველ-თა ქრისტეანეთა შესავედრებლად ორკერძოვე“ (22). მონასტერი „უმანკოებს“ იცავს ვნებისაგან, ვნებულებს სინანულითა და სასჯე-ლით კურნავს. შევედრებულს „ღვთის შვილად“ გახდის (35). „მსო-ფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უმრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი, საყდარნი ღმრთისა დიდებისანი, დაღაცათუ მღვდელობაჲ ეპისკოპოსთაგან მიეცემის ყოველთა მღვდელთა, არა-მედ პირველთა წმიდათა მამათა მეუდაბნოეთაგან ესრეთ ვისწავ-ეთ, ვითარმედ, რომელი მადლი მიეცემინ კაცსა ჟამსა ნათლისღე-ბისასა, იგივე მადლი ვინილეთ, ოდეს ხატი მონაზონებისა მიაქუნ

<sup>6</sup> „მეორედ შობა“-ნათლობა, „წმიდა საიდუმლო“-ზიარება, „ცათა სასუფე-ველი“-ღვთის სამეუფო.

ახლად მონაზონსა და ეგრეთვე წმიდისა საქმისა მიღებასა... ვითარცა იგი ისრაჲლსა შორის ქალაქნი განეწესნეს შესავედრებელად კაცის-მკვლელთა, ეგრეთვე წმიდანი უდაბნონი ყოველთა შესავედრებელ არიან, რამეთუ უმანკოთა მფარველნია ვნებისაგან მსოფლიოჲსა და ვნებულთა ნავთსადგურნი არიან სასოვეებით სინანული-სა მიცემითა და შჯულის-დებითა“... (35).

5. საერო ხელისუფლება თავის უშუალო მოვალეობას (ეკლესიის სამსახურს) ახორციელებს ეკლესიისადმი მატერიალური დახმარებით. როგორც ზემოთ განვიხილეთ, „ღვთის სამსახური“ მეფისა გამოიხატება საეპისკოპოსო საყდრების აშენებაში, საყდრებსა და მონასტრებზე მატერიალურად დახმარებაში: „მისცა ღმერთმან კელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საეპისკოპოსოთა“... ხოლო მონასტრებს მონაზონნი აშენებენ „თვინიერ ქვეყნისა მეფეთა ბრძანებისა“ (22) და სხვ.

ღვთის სამსახურით ანუ ეკლესიისადმი მატერიალური დახმარებით მეფე „თანამონაწილე“ ხდება ეკლესიის საქმიანობისა: „ველმწიფენი კეთილად მსახურნი შრომასა მათსა (საეპისკოპოსო საყდართა და მონაზონთა, ბ. ლ.) თანამონაწილე იქმნებიან საფასეთა უხუად მიცემითა“ (22).

მეფემ ეკლესიას, ვითარცა თავის „თანამომარს“, ე. ი. თანაშემწეს, უნდა უნაწილოს სამეფო შემოსავალი. ეკლესიის მამები „ხელმწიფეებს“ მიმართავენ: „გულისხმა-ჰყავთ, ვითარცა იგი აბრაჰამ მამათ-მთავარმან და დავით წინასწარმეტყუელმან სწორად მეპომეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი, ეგრეთვე კეთილთაგან თქუენთა გლახაკნი და ეკლესიანი წაწილეულ არიედ მარადის“ (27).

არა მხოლოდ მეფე არის ეკლესიის სიმტკიცე (იხ. ზემოთ), ეკლესიაც არის მეფობის სიმტკიცე და იარაღი („უხილავი საჭურველი“). „უხილავად საჭურველი იგი (ეკლესია, ბ. ლ.) თქუენდა (მეფეთა, ბ. ლ.) უფროის ხილულთა საჭურჭველთა და უმრავლეს ბევრთა მხედართა“ არის (27. სრული ტექსტი იხ. ზემოთ). მეფისადმი ეკლესიის დახმარება იმაში გამოიხატება, რომ იგი მეფეს („ღვთის მსახურ მეფეს“) უნაწილებს თავის „კეთილს“, — „მოზიარეს ყოფს ლოცვასა თანა“. ეკლესია მეფეს მიმართავს: „საფასეთა უხუად მოცემითა... ყოვლადვე მოზიარე ხარ ლოცვასა ჩუენსა თანა“ (22). მეფე მიმართავს: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთა უნაწილებაჲ“ (20).

„ლოცვასა თანა“ მოზიარობა და „კეთილთა“ წილადობა როგორც მეფისადმი უხილავი დახმარება, გულისხმობდა ეკლესიის მიერ მეფობის წარმატებისა და განმტკიცებისათვის ლოცვა-

კურთხევას. ამგვარად, ეკლესიას მეფე ესაჭიროება ფიზიკური აღსებობისათვის. „ღვთის მსახურ“ მეფეთა მოვალეობაში ეკლესიისადმი მატერიალური „შეწვევა“ შედის აუცილებელ ნაწილად, რომელიც მას ეკლესიისაგან უნაზღაურდება. აქ არის საეკლესიო და საერო ხელისუფლების მოვალეობათა გაცვლა-შეზავება, რომელიც ორივეს თანაარსებობასა და საჭიროებას ასაბუთებდა ადამიანთა „საბოლოო ხსნისათვის“, მაგრამ, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ეკლესიის განუყოფელ უფლება-მოვალეობად იყო მიჩნეული, გამოდიოდა ამ გაერთიანებაში ეკლესიის უპირატესი მდგომარეობის აღიარება.

„შეზავების“ თეორია გ. მერჩულეს ნაშრომის სხვა ადგილას ასეა ჩამოყალიბებული: ადგილობრივი „მთავარი“ გაბრიელი მიმართავს გრიგოლ ხანძთელს: „...მოგუეცინ უფალმან გულს მოდგინეთ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისასა, რაათა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩვენ შორის აღესრულოს, ვითარმედ—„თქუენი ნამეტნავი მათისა ნაკლულევანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულევანებისა. აწ ჩუენ თანა არს ჳორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შეგზავნეთ ურთიერთას, თქუენ მონაწილე გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალნი ჩუენნი ღირს ჳყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა და ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნი-სამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა, და ჩუენ ადგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა“ (9)<sup>7</sup>.

6. საერო ხელისუფლებას ეკისრება ეკლესიის სამსახური, ეკლესიისადმი ზრუნვა, მაგრამ მას უფლება არ აქვს ჩაერიოს საეკლესიო საქმეებში. მეფეს უფლება არ აქვს განაგოს ეკლესიის არც ორგანიზაციული და არც სარწმუნოებრივი საქმე. ამგვარად, აქ ზრუნვა გათიშულია უფლებასთან. ეკლესია დამოუკიდებელია საერო ხელისუფლებისაგან. მთელი ეს შეხედულება ნაშრომში გადმოცემულია რელიგიურად შემდეგ ეპიზოდში: გუარამ ხელმწიფემ ჭავჭავთის კრებაზე ვერ დაიმორჩილა ეკლესიის წარმომადგენლები, რათა მათ საკათალიკოსო ტახტზე არ დაედგინათ მისთვის არასასურველი პიროვნება არსენი. ეკლესია განმარტავს: მორწმუნე მეფეები საეკლესიო კრებებს ძველადაც ესწრებოდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ უსმენდნენ მამებს და მათგან სწავლობდნენ: „მორწმუნენი მეფენი არა თუ მათ თანა შჯულის-მოძღურებასა იკადრებდეს, არამედ შჯულის გამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სატყვისა გამოცხადებაჲ“. ვინც მეფე ახლა ამას დაარღვევს, დაისჯება

<sup>7</sup> შტრ. ივ. ჭავჭავთვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1928, 92.

როგორც შულის შეურაცხყოფელი (42). მეფეებს არ აქვთ უფლება „საეკლესიო მოძღვრებისა“ „დადაცა—თუ სამართლად საგონებელ იყოს“. მათ არც საეკლესიო წესდების გადმოღების უფლება აქვთ, თუნდაც ის კარგი იყოს და არც იმის უფლება, რომ წმინდა წიგნებიდან თვითონ ასწავლონ ხალხს (იქვე). „შულის შეურაცხად ქრისტიანობის წესის“ მასწავლებელი და დამცველი მხოლოდ ეკლესიაა (იქვე). ერისკაცმა თუ „რაჰმე კეთილი წესი“ პპოვოს, მისი საქმე არ არს, „უმჯობეს დუმილი არს“, მაგრამ თუ ვერ ძაღედვას ეს... „აუწყოს თვისა ეპისკოპოსსა და თუ ჯერ იყოს, მან ასწავოს თვისა სამწყსოსა“ და სხვ. (იქვე).

მოტანილი შეხედულება სრულიად გამორიცხავს მეფის ჩარევას ეკლესიის შინაორგანიზაციულ-სარწმუნოებრივ საქმეებში. ამავე დროს, როგორც ზემოთ განვიხილეთ, მეფის მოვალეობა არც გულისხმობდა უშუალოდ საეკლესიო საქმიანობას (ეკლესიას მხოლოდ მატერიალურად ეხმარება). ამრიგად, გამოდის, რომ ეკლესია როგორც თავისი საგანგებო საქმიანობით, ისე უფლებრივად აღიარებულია როგორც მეფისაგან დამოუკიდებელი.

ზემოგანხილული მასალის საფუძველზე გიორგი მერჩულეს თხზულებაში წარმოდგენილი კონცეპცია შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ: საერო ხელისუფლება ღმერთმა დააწესა. მეფე განაგებს ქვეყანას დროებით, სრულყოფილი ხელმწიფე-მეფე არის მხოლოდ ქრისტე, რომელიც მარადიულად განაგებს ქვეყანას, ცას და ქვესკნელს. მიწიერი მეფე ემორჩილება ქრისტე-მეფეს. ეკლესია არის ქრისტეს ნაცვალი ქვეყნად, ამიტომ მეფე ეკლესიას უნდა დაემორჩილოს. მიწიერ სახელმწიფოში ხდება ხალხის განწმენდა-მომზადება უკანასკნელი ჟამისათვის. ამას უშუალოდ ეკლესია აკეთებს, ამიტომ, მიწიერ სამეფოში რომ ეს შესრულდეს, ქვეყნიერი მეფე უნდა იყოს „ღვთის მსახური“ ანუ ეკლესიის მსახური, ასეთი მეფეები აშენებენ ეკლესიებს, ეხმარებიან მას მატერიალურად და ხალხს მართავენ ღვთის კანონების მიხედვით.

„ღვთის მსახური“ მეფეები თავიანთ ასეთი მიწიერი საქმიანობით მონაწილე ხდებიან ეკლესიის სასულიერო საქმიანობისა: „ხორციელი კეთილის“ მისთვის განაწილებით უზრუნველყოფენ ეკლესიის არსებობას. სამაგიეროდ ეკლესია მეფეს უნაწილებს თავის „სულიერ კეთილს“, რასაც მეფობის დიდებასა და მისთვის ლოცვა-ვედრებაში გამოხატავს. მეფე ზრუნავს ეკლესიაზე, მაგრამ მას უფლება არ აქვს ჩაერიოს ქვეშევრდომთა სასულიერო საქმეში, რომელიც ეკლესიის განუყოფელი უფლებაა, მეფეს უფლება არ აქვს შეეხოს ეკლესიის არც შინაგან წყობილებას. ამგვარად, ამ კონცეპციის მიხედვით, მეფე მართავს ხორცს, ეკლესია—სულს, ისი-

ნი ერთიანდებიან ერთი მიზნის—„ადამიანთა ხსნის“—უზრუნველსა-  
ყოფად, მაგრამ ეკლესია საეროზე უპირატესია, რადგან მისი განუ-  
ყოფელი უფლებაა „ადამიანთა გადარჩენა“. მეფე არის ეკლესიის  
დამხმარე.

შეუძლებელია აქ არ დავინახოთ გარკვეული მსგავსება ავგუს-  
ტინეს იდეებთან. ავგუსტინე და მერჩულე აღიარებდნენ ღვთისმსა-  
ხურ მეფეთა სახელმწიფოს, ეკლესიის უპირატესობას საერო ხელი-  
სუფლებზე და სხვ. მაგრამ ქართულ კონცეფციაში ეკლესია და მე-  
ფე ერთმანეთთან უფრო დაკავშირებული არიან, ვიდრე ავგუსტი-  
ნეს მიხედვით. ქართული მეფე „მოზიარეა“ ეკლესიის სასულიე-  
რო საქმისა, რამდენადაც ის მას მატერიალურად ეხმარება. ავგუს-  
ტინესთან ასეთი პირდაპირი კავშირი აღიარებული არ არის. ამას-  
თანავე, ქართულში სახელმწიფოს მიწიერი მიზანი („ეკლესიების  
დანერგვა“) თვით არის ეკლესიასთან პირდაპირი კავშირის დამყა-  
რება, ავგუსტინესთან კი სახელმწიფოს მიწიერი მიზანი (ზავი და  
კეთილდღეობა) ეკლესიისათვის გამოდის როგორც საშუალება  
(„ღვთის სახელმწიფოს“ დამყარებისათვის საჭიროა მეფობა, ხოლო  
მეფე ასრულებს ეკლესიის ნებას). ნიშანდობლივ ფაქტად უნდა ჩაი-  
თვალოს, რომ დასავლეთის ეკლესია შემდგომ საუკუნეებშიც, (რო-  
ცა პაპების ხელში ავგუსტინეს თეორია მოქმედი იარაღი გახდა),  
საერო ხელისუფლებას მიიჩნევდა ეკლესიის „დამცველ“ ძალად  
(ქვეყანაში ზავისა და სამართლიანობის დამამყარებლად), სხვა კავ-  
შირს მასთან მაშინაც არ ცნობდა. ამასთანავე, საერო ხელისუფლე-  
ბას თუმცა აღიარებდა, მაგრამ ღვთისაგან დადგენილად ის თვლიდა  
მხოლოდ ეკლესიას, რომის პაპს. ყოველივე ეს განსხვავებულობა  
იმ სინამდვილის ანარეკლად უნდა ჩავთვალოთ, რომ დასავლეთში  
ეკლესია შედარებით ძლიერი იყო, მისი დამოუკიდებლობა პოლი-  
ტიკურად და ეკონომიურად გაცილებით ღრმა იყო, ვიდრე საქარ-  
თველოში. ამიტომაცაა, რომ დასავლურ თეორიაში ეკლესიისა და  
სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება უფრო მეტადაა გათი-  
შული, ვიდრე ქართულ თეორიაში.

იეროკრატული იდეების წარმოშობას საქართველოში, რო-  
გორც აღვნიშნეთ, თავისი სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები  
მოეპოვებოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ეკლესიის პოლიტიკუ-  
რი და ეკონომიური სიძლიერე ამ პერიოდში ერთი მხრივ, მეორე  
მხრივ, ბრძოლა ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის. ეკ-  
ლესიამ მოგვცა ამ სიძლიერის თეორიული დასაბუთება, მაგრამ  
მოგვცა ის გადაჭარბებულ ფერებში. ამავე დროს იმის მტკიცების  
საჭიროება, რომ ეკლესია მეფეს არ ემორჩილებო, მიუთითებდა  
საერო ხელისუფლების მისწრაფებას ეკლესიის დაქვემდებარები-

სათვის. ამ ბრძოლაში ეკლესიამ მეფობა ვერ უარყვა, რადგან მეფობას საქართველოში ძველი ტრადიცია ჰქონდა, მაგრამ აღიარა ისეთი მეფე, რომელიც ეკლესიას ემსახურება და მას ემორჩილება. ეკლესიის პოლიტიკური ბატონობის ეს იდეა შუა საუკუნეების ცხოვრების უაღრესად რეაქციული გამოხატულება იყო: იგი ეკლესიას პოლიტიკურ საქმესაც ხელში უგდებდა, მაშინ როცა მის საგამგეო პრივილეგიას მწერლობა და იდეოლოგია შეადგენდა.

გ. მერჩულეს თხზულებაში ჩამოყალიბებულ შეხედულებას მოეპოვება სრული ანალოგია სხვა ნაწარმოებშიც. XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში „თხრობაჲ სასწაულთათვის შიოისათა“ დაცულია VII ს-ის ცნობა სტეფანოზ ერისმთავარსა და ეკლესიას (შიომღვიმის მონასტერი) შორის ურთიერთობაზე<sup>8</sup>. თეორიული მსჯელობა, რომელიც ფაქტის აღწერას ახლავს, ნათლად გამოხატავს ეკლესიის უპირატესობის იდეას.

\* \* \*

XII საუკუნეში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებულებამ როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ გადაწყვეტაში საკმაოდ განვითარებული სახე მიიღო. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ ეკლესიისადმი აღებული კურსი თითქმის აღარ შეცვლილა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ კურსის დამახასიათებელი თვისება იყო საერო ხელისუფლების აშკარად გამოხატული უნივერსალური უფლებები საეკლესიო სფეროში. ეკლესიას რჩებოდა მხოლოდ მორალური ავტორიტეტი.

აღნიშნული გეზის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ეპოქის ისტორიულმა პირობებმა.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში ეკლესია მთლიანი ფრონტით ვერ გამოდიოდა, გარკვეული ნაწილი რეაქციონერ დიდგვარიან აზნაურთა მხარეზე იბრძოდა. ასეთი მდგომარეობა რჩებოდა ქვეყნის გაერთიანების, X საუკუნის მიწურულის, შემდეგაც კარგა ხანს<sup>9</sup>.

ეკლესიის მოკავშირეობისათვის ბრძოლის პროცესში ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩაითვლება

<sup>8</sup> ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955.

<sup>9</sup> ასე მაგალითად, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე საერო ფეოდალებთან ერთად ბაგრატ IV მეფის მოღალატეთა ჯგუფშია (მატიანე ქართლისაჲ 182); 1047 წელს მაწვერელი ეპისკოპოსი მეფეს ღალატობს (იქვე, 187); მეფე დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ მრავალი მონასტერი გამოსულა, ისინი მეფეს დაუსჯია: „მონასტერნი გამიმწარებიათ“; რუს-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მეფის მოწინააღმდეგე არაერთი ეპისკოპოსი გადააყენეს და სხვ.



პატრიარქობის დაწესება (XI-ს 20-იან წლებში პირველი პატრიარქი მეღქისედეკი), დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ეკლესიის დემოკრატიზაციის ცდებს მეფე ბაგრატ IV დროს.

პატრიარქობა გაერთიანებულ ქართულ მონარქიას დასაბამად ბოდა თავისი სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის დასადასტურებლად საერთაშორისო ასპარეზზე.

მაგრამ საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ ვერ დასრულდებოდა, თუ ეკლესიაც, ეს დიდი ფეოდალური ძალა, მონარქიას არ დაექვემდებარებოდა.

ერთიან მონარქიასთან ეკლესიის მოკავშირეობაში განსაკუთრებული როლი მცხეთის კათალიკოსმა და მეფეების მიერ ახლად დაარსებულმა საეპისკოპოსო ეკლესიებმა შეასრულეს. მცხეთის ამ ინტერესს ქვეყნის გაერთიანებისათვის უპირველესად განსაზღვრავდა ძველი დროიდანვე მიმდინარე მისი იერარქიული ცენტრალისტური წყობილება, რომელიც ისეთივე იყო, როგორც სახელმწიფო, და, რაც მთავარია, მისი უკვე საგრძნობლად გაზრდილი მიწისმფლობელობა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო შექრილი<sup>10</sup>.

ასეთ სიტუაციაში ეკლესიის დაქვემდებარებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების იმ საერთო ბრძოლის ნაწილს, რომელიც მიმართული იყო დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგ.

ერთიანი, ძლიერი ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა დიდგვარიან აზნაურთა შეხედულება, რომელიც თავისებურად განსაზღვრავდა მეფის ხელისუფლების წარმოშობასა და მის უფლებებს. ამ შეხედულებით აღიარებულია მეფის ხელისუფლების აუცილებლობა, მეფეებს ადგენენ ერისთავ-აზნაურები, მეფე აზნაურთა ხელისუფალია. ერისთავ-აზნაურებს შეუძლიათ გადააყენონ არასასურველი მეფე. მეფე მათთან თანხმობით განაგებს ქვეყანას, მხოლოდ ასეთი მეფე არის ღვთისაგან ნაკურთხი.

ეს აზრი გატარებულია ლეონტი მროველის თხზულებაში, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. ამასვე ეთანხმება ჯუანშერის თხზულება (ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა)<sup>11</sup>.

<sup>10</sup> ბ. ლომინაძე, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (მცხეთის საკათალიკოსო). წაითხულია მოხსენებლად ისტორიის ინსტიტუტში 1949 წ. 5 იანვარს, ოქმი № 6; ეკლესიის როლი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, წაითხულია მოხსენებლად ისტორიის ინსტიტუტში 1952 წ. 22 დეკემბერს, ოქმი № 28.

<sup>11</sup> ბ. ლომინაძე, შეხედულებანი მეფის ხელისუფლებაზე საქართველოში XI-XII საუკუნეებში. წაითხული იყო მოხსენებლად თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1945 წ. 20 თებერვალს.

ამგვარად, იქმნებოდა განსხვავებული ვითარება, რომელიც მეფის მომხრეთათვის უკვე აღარ კმაროდა მეფის ხელისუფლების ღვთისაგან მომდინარეობის აღიარება და ა. შ. საჭირო იყო უფრო მაკაცრი არგუმენტი მეფის თვითმპყრობელობის უფლებების დასაბამად. საჭირო იყო ერთმართველი მეფის ავტორიტეტის აღიარება ასეთი შეხედულება განვითარებულია დავით აღმაშენებლის თანამედროვე ისტორიკოსის ნაშრომში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (XII ს.), დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებულ ანდერძის შესავალში (1123 წ.) და რუის-ურბნისის ძეგლის წერაში (1103 წ.)<sup>12</sup>. მეფის თვითმპყრობელობის უფლებების მტკიცებას რეალური საფუძველიც ჰქონდა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.


დავითის ისტორიკოსი მრავალმთავრობას გმობს, ერთმპყრობელობას ღვთისაგან დადგენილად აცხადებს; მეფის ყოველ ღონისძიებას დიდაზნაურთა ხელმწიფობის წინააღმდეგ დადებითად აფასებს. ერთმართველობის მოწინააღმდეგე მეფე-მთავრებს და ერისთავებს ავტორი უწოდებს: „ნაშობნი იქედნეთანი“, „ცუნდრუკი“, „მეფეთ-მეფე ქმნილი ვნებითა“, „უმეკრად უსამართლო“, „უმჯულო“, „ავაზაკი“ და სხვ. დავითის ისტორიკოსის ნაშრომში დახატულია „თვითმპყრობელი მეფის“ სახელმწიფო. თვითმპყრობელი მეფე ღმერთის ნაცვალაა დედამიწაზე. მეფობა იგივე ღვთის გამგებლობაა, მეფე დავითი აცხადებს, რომ მის სამეფოს განაგებს თვითონ ღმერთი: „თვით მეფე-მეფეთაჲ (ღმერთი, ბ. ლ.) იქმოდა საჭირველთა უჭირველად; ცხადად წინააღმდეგომთა განმგეობისა თვისისათა მისცემდა (მას, დავითს, ბ. ლ.) მოსასრველად“ (დავითის ანდერძი)<sup>13</sup>; „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა“ (იქვე); „ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა“ (დავითის ისტორიკოსი, 208)<sup>14</sup>.

მეფის მოწინააღმდეგენი ღვთის წინააღმდეგებად ითვლებიან, მათ თვით ღმერთი სჯის: დავით მეფე თავის მტერს ძაგანს ღმერთის მოწინააღმდეგედ თვლის: „ძაგანმან შემაწუხებელმან ღვთისა“; იგი თვითონ ღმერთმა დასაჯა: „ესე არ ითნა ესრეთ ყოფად საშჯელმან გამოუძიებელმან, ცხად არს, რამეთუ ღვთისამან“, „შელტოლვილი მღვიმესა, მომცა ღმერთმაო“ (იქვე). მეფის მოქმედებას წინ მიუძღვის ზეციდან ჩამოსული წმინდანი, რომელიც მეფის საქმეს თვი-

<sup>12</sup> ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>13</sup> მითითებულია ყველგან გამოცემა: თ. ქორდანი, ისტ. საბუთები, შიომღვიმის მონასტრისა, 1897.

<sup>14</sup> მითითებულია ყველგან გამოცემა: ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1943.



თონ აკეთებს: „წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თუისითა მოსრვიდა ზედა მოწვეულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“ (დავითის ისტორიკოსი, 217). მეფეები იბადებიან ღვთისნებით, სამეფო გვირგვინს თვით ღმერთი გადასცემს მათ. ისტორიკოსი აცხადებს: „ამას, მარტოდ შობილსა გიორგისაგან, თუით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა, და უქვეშარიტესი ვთქუათა, თუით მამამან ზეცათამან ჰოვა დავით, მონა თუისი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას“ (იქვე, 205). დავითი ამბობს: „ბუნებითსა მას პორფირსა თვით მფლობელობისა თანა, მეფობისაცა თანა, შარავანდედი მარწმუნენ“ (გალობანი სინანულისანი, 514)<sup>15</sup>.

ეკლესიამ დავითი აღიარა: „ღვთის სახედ“, „საჩინო ვითარცა მზე“, „ვითარცა ეთერი ნივთთა შორის“, „ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთი ქმნულთა შორის“ (არსენი ბერი, 528, 529)<sup>16</sup>. დავითი მამაღმერთის მარჯვნივ ზის ქრისტესთან ერთად: „ესე გვირგვინოსანი მრჩობლ მარჯვენე“ (ძეგლის წერა, 522)<sup>17</sup>. ეკლესია ადასტურებს, რომ დავითი ებრაელთა მეფის ჩამომავალია: მას აქვს „სული დავითიანი“ (იქვე, 529; ამასვე იმეორებს დავითის ისტორიკოსიც). დავითი არის „მხნე, ბრძენი, მართალი და წმინდა“ (ძეგლის წერა, 522).

ამგვარად, მეფის პიროვნება აყვანილია ღვთაებამდე, ის ხორციელ ღმერთად არის გამოცხადებული, მაშასადამე, მისი ნება აბსოლუტურია და გაუზიარებელი. ეს არის მეფის თვითმპყრობელობის დასაბუთება. ამ თეორიის თანახმად ყველაფერი, სასულიერო და საერო საქმე, სამეფოში მეფის უზენაესობას ექვემდებარება. დავით აღმაშენებელი პირდაპირ აღიარებს, რომ ღმერთმა ის დაადგინა მატერიალურისა და სულიერის მეფედ და გამაერთიანებლად: „ხატსა თვისასა მამსგავსე და საკვრელად გრძნობადისა და გონიერისა მეფობისად დამიწესე“ (გალობანი სინანულისანი)<sup>18</sup>.

დავითის მეფობის სიდიადე შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან („მეორე ალექსანდრე“) აქილევსთან, მოსიმახოსთან, სოლომონ და დავით მეფეებთან. საეკლესიო მოღვაწეობით გატო-

<sup>15</sup> მითითებულია ყველგან გამოცემა: მ. საბინინი, საქართველოს სა-  
მოთხე, 1884.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> აქ არის თავისებური გადმოღება იმ საეკლესიო მოძღვრებისა, რომელიც აღიარებდა, რომ ღმერთმა პირველ ადამიანს მიანიჭა „საცნაურისა“ და „გრძნობადის“ ვაგების უნარი, მაგრამ მან დაჰკარგა ეს „მადლი“, „შეცოდების“ გამო.

ლებულია იმპერატორ კონსტანტინე დიდთან და იმპერატორ თეოდოსთან (დავითის ისტორიკოსი, ძეგლის წერა, არსენ ბერი).

მეფის თვითმპყრობელობისა და ღვთაებრივობის ეს აზრი გაიზიარა საერო პოეზიამ (შავთელი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი), ასევე შემდგომმა ისტორიოგრაფიამაც, მათ ახალი სრულფერო დაუმატებიათ<sup>19</sup>.

მეფის ხელისუფლებაზე XII საუკუნეში შემუშავებული ეს შეხედულებანი მსგავსებას პოეებს ბიზანტიურთან. ბიზანტიაში ჩვენ ვვაქვს სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული იმპერატორის კულტის განვითარება, მომდინარე წარმართული იმპერიიდან, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ უმტკივნეულოდ მიიღო და აკურთხა. საქართველოში მეფის „ღვთის გამგებლობისა“ და „ღვთისსწორობის“ იდეა შემუშავდა ცენტრალური ხელისუფლების ერთმართველობისათვის ბრძოლაში. ინტერესს იწვევს ზოგიერთი პირდაპირი დამთხვევები. ბიზანტიის სინამდვილეშიც იმპერატორი მიჩნეული იყო „ხორციელ ღმერთად“, „ღვთისსწორად“ ( *θεομιος* ), იქაც იმპერატორი განიხილებოდა როგორც ღმერთის მოადგილედ დედამიწაზე, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი იყო უმაღლესი ხელისუფალი, არამედ, როგორც პიროვნება ღვთისნიერი სულიერი თვისებებით აღჭურვილი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილი თითქოს პირდაპირი განმეორებაა ბიზანტიის იმპერატორის ბასილ დიდის (976—1025) მიერ ნათქვამისა შვილის გამეფებისას: „შენ გვირგვინი მიიღე ღვთისაგან ჩემი ხელით“ (იხ. ზემოთ). ბიზანტიის მსგავსად ქართველი მეფეებიც ხშირად შედარებული არიან კონსტანტინე დიდთან, თეოდოსთან, ალექსანდრე მაკედონელთან, სოლომონ ბრძენთან და ა. შ. მაგრამ განსხვავებაც ისაა, რომ ბიზანტიაში იმპერატორის ხელისუფლებამ X ს-დან მკვე-

<sup>19</sup> ასე, მაგ., თამარ მეფისდროინდელი ისტორიკოსის აღიარებით, თამარი არის ღვთისაგან „ცხებული“ (ისტორიანი და აზმანი, 78); „სამგზის სანატრელი და სამეხისაგან თოხად თანააღზვევებული, რომელი ვთეროვან იქმნა ხელმწიფეთა შორის“ (იქვე, 54); „მზეთა-მზე, ნათელი ნათლისა“ (იქვე, 92); თამარმა „შუა ძე სწორი ძისა ღმრთისასა“ (იქვე, 96). „ღმრთისაგან ღმერთქმნილნი დავით და თამარ“ (იქვე, 101); ანტონ ჭყონდიდელი წერს: „ღვთის სწორი მეფეთ მეფე თამარი“ (თ. გორდანი, შიომღვიმის ისტ. საბ.); პოეტი ჩახრუხაძე ამბობს: „თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად... თან-გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“ (გამოც. ივ. ლოლაშვილისა, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, 204). „ღმერთმა მით მოგვცა მისი საქნარი“ (იქვე). „ვეფხისტყაოსანში“ მეფე არის ღვთისაგან დაბადებული, ღვთის სახე: „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“. ავთანდილი მეფე როსტეკვანზე ამბობს „ღმრთისა სწორნი მოვიმღურევენ“ (იხ. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებრივმეტყველება“, 1958, 34—35).

ორად მიიღო გარეგნული ნიშნებით თეოკრატიული ხასიათი, საქართველოში კი ასეთი რამ არ ყოფილა.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ მეფის უზენაესი ხელისუფლების შესახებ ქართული თეორიული თვალსაზრისი ძირითადად ბიზანტიური სისტემის ანალოგიურია, ქართველ მეფეს ყველა სფეროში, მათ შორის ეკლესიაშიც, უმაღლესი სუვერენული უფლება უნდა სჭეროდა. ასეთი იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ზოგადი თეორიული გადაწყვეტა საქართველოში.

განვიხილოთ ქართველი მეფის საეკლესიო ხელისუფლება.

დავით აღმაშენებლის ვრცელი სახელმწიფო, რომელიც ეროვნულ საზღვრებს ბევრად გასცდა (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე), ხასიათდებოდა ცენტრალიზმით, შესაფერი მალალი დონის სამხედრო წყობითა და სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურით.

დავითის საეკლესიო პოლიტიკა იმ დიდი პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ქვეყნის გაერთიანებასა და კულტურულ წინსვლას ემსახურებოდა. დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში დავითმა შეძლო გადამწყვეტი გამარჯვება მოეპოვებინა ეკლესიაზეც. თვით ამ ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა მეფის საეკლესიო ხელისუფლება.

1. საეკლესიო მართველობაში მემკვიდრეობის წესი ცხოვრების მიერ კარგა ხნის დაკანონებული იყო, მაგრამ ახლა დაინტერესებულმა მხარემ ეს კანონიკური დარღვევა მარჯვედ გამოიყენა ეკლესიაში თავის მომხრეთა გასაყვანად. როგორც ცნობილია, დავითმა მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც ამ საბაბით მრავალი დიდგვარიანი ეპისკოპოსი და ხუცესი მოაშორა ეკლესიას. კრებას იწვევს უშუალოდ მეფე „დიდთა წყლულებათა კურნებად“. „საეკლესიოთა სამღუდლოთა და საქრისტიანოთა ძიებისათვის“. კრებას თვით მეფე ესწრება: „შემოკრიბნა ყოველნი წინაშე მისსა ქამსა და ადგილსა ჭეროვანსა“ (დავითის ისტორიკოსი, 207). „წყლულება“ ის იყო, რომ „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილნი უღირსთა და უწესოთა მამულობით დაეპყრნეს საეპისკოპოსონი ვითარცა ავაზაკთა“, „ყოველი ცდომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუთვნეს და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართავან, დაღათუ ძნელდა იყო ესე, რამეთუ იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები და მათ წილ ჰემარიტნი და სათნონი ღმრთისანი მწყემსნი დაადგინნეს და ძეგლი შემარბიტი სარწმუნოებისა აღწერეს“... (იქვე). მეფის მიერ საეკ-

ლესიო კრების მოწვევა ასეთი ფართო გეგმით თავისთავად აღასტურებდა მეფის უფლებებს საეკლესიო საქმეებში და ეკლესიაც შეურიგდა მეფის ჩარევას. მეფის ამ მოღვაწეობას კრება ადარებს ბიზანტიის იმპერატორების მოღვაწეობას, რომლებიც ასევე იწვევდნენ საეკლესიო კრებებს (ძეგლის წერა, 522). არსენ ბერიც ამ კრების გამო დავითს ადარებს იმპერატორ კონსტანტინე დიდს: „დასაბამ უცდომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვით მპყრობელთა შორის“ (არსენ ბერი, 529); ამასვე იმეორებს დავითის ისტორიკოსიც: — „ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით“ (დავითის ისტ. 204). ყურადღებას იპყრობს XIII საუკუნის ცნობა, სადაც მკაფიოდ არის გამოხატული სამღვდლოების შეხედულება მეფის ამგვარ დანიშნულებაზე. 1263 წლის საეკლესიო კრება მეფეს მიმართავს: „ჯრმლითა თანაუდექით სჯულთა და წესთა სამღვდლოთა სამღოთთა წერილთა მოძღურებისაებრ“.

2. ეკლესიაზე ცენტრალური ხელისუფლების „უშუალო გავლენის მოპოვების მიზნით“ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანება, რომელიც დავით მეფემ მოახდინა. ეს იყო, როგორც ნ. ბერძენიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა, მეფის საკუთარი მოხელისათვის (სამდივანმწიგნობროს უფროსის), მწიგნობართუხუცესისათვის, ჰყონდიდის ეპისკოპოსობის მინიჭება. ამის შედეგად საეკლესიო საქმეებზე მეთვალყურეობა მეფის მოხელის გზით იქნებოდა შესაძლებელი, ანუ მეფეს საშუალება ეძლეოდა უშუალოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. საერთოდ მწიგნობართუხუცესის ფართო საეკლესიო ხელისუფლების დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე დავითის მიერ ამ მოხელისათვის ერთხანს ბედიელავერდელი ეპისკოპოსის კათედრის მიმატებაც (დავითის ისტორიკოსი, 220; ანდერძი, 18, 19).

საყურადღებოა, რომ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელმწიფო-საეკლესიო ხელისუფლება დადასტურებული გვაქვს XIV საუკუნეშიც. მას ეკითხება, მეფის საკუთარი მონასტრის გარდა, სამეფოში არსებული ყველა მონასტერი, საეპისკოპოსო და სამრევლო ეკლესიები, ხუცები, მონაზონნი და საერთოდ „რაც საეკლესიო დასნი არიან“<sup>20</sup>. უეჭველია, ეს განგებულება მომდინარეობს დავით აღმაშენებლის დროიდან, ხოლო XIV ს-ში ცდილობენ

<sup>20</sup> „გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცენი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი. არიან ყველა ჰყონდიდელს და საწოლის მწიგნობარის საეკლოისა“ (9, კარის გარიგება).

აღადგინონ მონღოლებამდელი მდგომარეობა. აქვე მოსატანია XIII ს-ში ბასილ ჭყონდიდელ--მწიგნობართუხუცესის დიდი როლი საეკლესიო საქმეებში, რაც, მაგალითად, ეკლესიებისათვის მიმუდგების ჩამორთმევაში გამოიხატა.

3. ეკლესია მეფის ხელისუფლების უმეშვეო კონტროლსა და დამოკიდებულებაში მოექცა. ყოველ საეკლესიო საქმეს, როგორც დისციპლინარულს, ისე სასულიეროს, „ყოველ საეკლესიო განგებას“, სამეფო კარი, მეფის ხელისუფლება, აწესრიგებს. დავითის დროს: „მონასტერნი, საეპისკოპოსონი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კართ მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა. კეთილ-წესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ (დავითის ისტორიკოსი, 226).

4. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში გატარებულია აზრი, რომ მეფე თავის მოვალეობად თანაბრად თვლის სასულიერო და საერო საქმეებს. სამღვდლოება ისევე უშუალოდ განიცდის მეფის ზემოქმედებას როგორც „მსოფლიონი“. საინტერესოა ასეთი მითითება: „და კუალად მღდელთ-მოძღუართა, მღდელთა, დიაკონთა და მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერება, გზა ყოველთა სათნოებათა მიმართ, რამეთუ შიშითა მისთა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინადგან უწყოდნიან არა რას დაფარულობა წინაშე მისსა... რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მჭედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად“ (იქვე, 229).

„ღვთის სამსახური“ (ეკლესიების აშენება და სხვ.) ეს არის სანაცვლო-სამაგიერო, რომელსაც მეფე უხდის ღმერთს მის მიერ მეფობის წარმატებით წარმართვისათვის: „ვინადგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა და მოსცემდა ჟამადჟამად ძლევათა... არცა იგი უღებდა განმრავლებად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა... არამედ იქმნოდა მათ... (მოთხრობილია გელათის აშენება და სხვ.). მაგრამ, ამავე დროს, რათა მეფეს ღვთისაგან ხელი მოემართოს, მაწ ღმერთს უნდა ემსახუროს. მაგალითად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარებით დავითი „მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი იქნებოდა. რომლისა სანაცულოდ იხილეთ თუ რა განავო ღმერთმან“ (ჩამოთვლილია დავითის წარმატებები კახეთში და ა. შ.). ამგვარად, აქ ჩვენ გვაქვს მერჩულესაგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულება. გ. მერჩულესთან მეფეს ღვთისმსახურებისათვის (ეკლესიების აშენება და სხვ.) „ღვთის შემწეობა“ ეძლევა უშუალოდ ღვთისაგან კი არა, არამედ მხოლოდ ეკლესიის

მეშვეობით („სულიერი კეთილი“). რასაკვირველია, აქ უნდა დავინახოთ განსხვავებული პოლიტიკური სიტუაციების ერთგვარი ანარეკლი, სახელდობრ ის, რომ დავითის სახელმწიფოში საერო ხელისუფლება უკვე განთავისუფლებული იყო ეკლესიის პოლიტიკური ბრძოლებისაგან.

5. მეფის „კეთილმსახურება“, „ღვთისმსახურება“ დავითის სახელმწიფოში გამოხატულია მეფის მიერ ეკლესია-მონასტრების მშენებლობით (გელათი, შიომღვიმე, მშენებლობები კახეთში, საზღვარგარეთ); ეკლესიისადმი პრივილეგიების მინიჭებით მეფემ „გაათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჟირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა ყოვლისა ჳირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა სამღრთო მსახურება მიუბჳრან“ (დავითის ისტორიკოსი, 227).

საერო ხელისუფლებასთან ეკლესიის დაახლოების ერთ-ერთი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ეკლესიის წარმომადგენელნი მონაწილეობენ სახელმწიფო საქმეებში. სამეფო დარბაზს ესწრებიან: მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოსი და მონასტრების წინამძღვრები („ხელმწიფის კარის გარაგება“ და სხვ.) მეფის უახლოესი მრჩევლები ბერები არიან, მწიგნობართუხუცესიც ბერია (ვიდრე ჳყონდიდელობას მიიღებდა, მანამდეც ბერი იყო).

ეკლესიის დევიზი — რასაც ის დაგმობს, მას უფლება არ აქვს იარსებოს სახელმწიფოში — ახლა, დავითის დროიდან, მეფის მკაცრ კონტროლში ექცევა. იგი, ფაქტიურად, შებრუნებით სრულდება. 1263 წლის საეკლესიო კრება უსაყვედურებს მეფეს წესის დარღვევას: „წესი სახლისა და პალატისა თქუენისასა ესე ყოფილა: ვინცა ვინ დაკრულვილა, რაითაც მიზეზითა და საქმითა, თქუენ მიერცა შერისხულა, მამული დასჳირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა“. უეჭველია, ეს დევიზი ეკლესიის ბატონობის ძველი ნიშანია, რომელსაც ახლაც იყენებს სახელმწიფო.

6. ერთიანი რელიგიისათვის ბრძოლა დავითის საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში თავისებურადაა გადაწყვეტილი, რომელიც ანალოგიას ვერ პოულობს იმ დროის ქრისტიანულ სახელმწიფოებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფოში ერთიან სახელმწიფოს ერთიანი ეკლესია არ შეესაბამებოდა. მეფის პოლიტიკა ამ ჳხრივ მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფოში შემავალ ქართულ მოსახლეობას (ანუ საკუთრივ საქართველოს) არაქართული მოსახლეობისაგან, რომელთაც დაკარგული არ ჳქონდათ სახელმწიფოებრივი თუ ეთნიკური თვისებები.

ა) საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე გატარებულია ერთიანი ეკლესიის პრინციპი, მაგრამ იგი აბსოლუტური მაინც არ



რის. მეფე იბრძვის აქ ქართული ქრისტიანული ეკლესიის არა მარტო დაცვისათვის, არამედ გავრცელებისთვისაც. ჯერ კიდევ თავისუფალ თემებში ქრისტიანობის შეტანა მეფის პოლიტიკური უფლებების გავრცელებაც იყო (და ეროვნული შემდგომი კონსოლიდაციის დაჩქარებაც). საერთოდ ამ პოლიტიკის სიფართოვეს მიუთითებს ის ფაქტი, რომ თანამედროვენი დავითს ქრისტიანობის გავრცელებისათვის იმპერატორ კონსტანტინესა და მოციქულ პავლეს ადარებენ: „რაოდენნი ნათესავნი წარმართნი შვილად წმინდისა ემბაზისად შეაწყნარან ქრისტესა და დადვა მისთუის უმეტესი მოსწრაფება, რაჟთამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე“ (დავითის ისტორიკოსი, 227. აქ იგულისხმება საქართველოსა და იმიერ-ამიერ კავკასიის მთიანეთი). რასაკვირველია, ერთმორწმუნეობისათვის ბრძოლა, „წარმართთა“ გაქრისტიანება, ნებაყოფლობით არ მიმდინარეობდა, იარაღი და რეპრესიები ჩვეულებრივ მეთოდს წარმოადგენდა.

ამ პოლიტიკის შედეგია საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების გაქრისტიანებაც (მცირე ნაწილს გადმოსახლებამდეც ჰქონდა ქრისტიანობა მიღებული).

ქრისტიანობა დავითის პოლიტიკაში აღიარებულია პოლიტიკური დამოუკიდებლობის იარაღად. ამ კონცეფციით „რჯულის უარყოფა“ ღმერთისადმი დიდი შეცოდებაა, რომლისათვისაც ის მოავლენს სასჯელს და ასეთი ქვეყანა „უცხო თესლთ“ მიეცემა მოსაოხრებლად და მოსასვრელად: ღმერთი განრისხდა კახთა მეფის აღსართანის საქციელით, რომელმაც „დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა“, ხალხი „მიიქცა გზათაგან წრფელთა“ და მან ქვეყანას მოუვლინა „განჩინება ქადებული უსჯულოთათვის ესაიას მიმართ მეტყუელისა“: მოხდა ქვეყნის რბევა-აოხრება „სარკინოზთა“ მიერ და დიდი მიწისძვრაცო (იქვე, 203—204).

ბ) ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკა გამონაკლისს უწევდა საქართველოს ტერიტორიის იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველიდანვე საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. ასეთი მოსახლეობის კონტინგენტი ძირითადად შედგენილი იყო არაქართველი მოსახლეობისაგან. იმ ისტორიული სიტუაციის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიები ხანგრძლივად ეპყრათ მუსლიმან დამპყრობლებს, ქალაქებში შემორჩენილი იყო მუსლიმანი მოსახლეობის ჯგუფები.

ტოლერანტული პოლიტიკა მოსახლეობის ამ ფენისადმი, ჯერ ერთი, მოასწავებდა ანგარიშის გაწევას რეალობისათვის, მეორეც, იგი გონივრულად ეფარდებოდა მეფის საერთო სახელმწიფოებ-

რივ პოლიტიკას. ქართულ გაერთიანებაში არაქრისტიანულ ქვეყნებშიც შემოდინდა და პერსპექტივაში მათი რიცხვი უნდა გაზრდილიყო კიდევ. ასეთ ვითარებაში ამ სარწმუნოების მიმდევართა შეუწყნარებლობა მაგალითს ვერ მისცემდა ხსენებულ ქვეყნებს, რაც საბოლოოდ ძირს გამოუთხრია სახელმწიფოს შინაურ მშვიდობასა და ერთიანობას<sup>21</sup>.

ქალაქებში იყო სომხური მოსახლეობა, რომელსაც თავისი მონოფიზიტური ეკლესია ჰქონდა. ამ მოსახლეობისადმი რელიგიური შემწყნარებლობა მჭიდროდ უკავშირდება მათ პროფესიულ საქმიანობას. ქალაქებში სომხობა სავაჭრო-სახელოსნო საქმის მწარმოებლად გამოდიოდა. ქალაქების აღორძინების მიზნით ქართველი მეფეები მათ გამრავლებასაც კი უწყობდნენ ხელს (ქ. გორში სომხების გადმოსახლება). ამ წრისათვის რელიგია პროფესიულ საქმიანობაში კონკურენციისაგან თავდაცვისა და შეუვალობის საშუალებაც იყო. ყოველივე ეს ამართლებდა ქართველი მეფეების ტოლერანტულ პოლიტიკას მოსახლეობის ამ ჯგუფისადმი.

გ) ისეთი ერთეულებისათვის (მაგ., შარვანი, სომხეთი...), რომლებიც სახელმწიფოში საკუთარი ადმინისტრაციული წყობით შემოდინდნენ, დაცული იყო სარწმუნოებრივ-საეკლესიო თავისუფლება. ამ ქვეყნებს კულტურისა და რელიგიის ძველი ტრადიცია ჰქონდათ.

სარწმუნოებრივი თავისუფლება საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოხატული, რასაც არა მხოლოდ ისტორიული გარემო და მეფის პოლიტიკა, არამედ თვით ქართველი ხალხის ისტორიულად გამომუშავებული კულტურაც განსაზღვრავდა.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში დამპყრობელთა როლში მაჰმადიანი ქვეყნები გამოდიოდნენ, ქართულ შეგნებაში დამპყრობელთადმი პოლიტიკური მტრობა არ გადაზრდილა სარწმუნოებრივ-ეროვნულ მტრობაში. რელიგიური ფანატიზმი ქართველი მოსახლეობის თვისებას არ შეადგენდა. განათლებული ქართველობა პატივს სცემდა და იზიარებდა ისლამური ქვეყნების კულტურას. როგორც თვით უცხოელი „მუჰამედ ალ-ჰამავი ამბობს, მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო. განჯის ყადის ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოსდგაო“<sup>22</sup>. დავითი მფარველობდა და მატერიალურად ეხმა-

21 ნიშანდობლივია დავით მეფის სულგრძელი შემწყნარებლობა მაჰმადიანთა მოსახლეობის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ მოსახლეობამ მეფეს გააფთხრებული წინააღმდეგობა გაუწია თბილისის აღების დროს (1122 წ.). იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 204.

22 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 211.

რებოდა საქართველოში მყოფ მაჰმადიან პოეტებსა და მეცნიერებს. ალ-ჯაუზი მიუთითებდა, რომ „საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს მაჰმადიანებს ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ, ვიდრე თვით მაჰმადიანურ ქვეყნებში“<sup>23</sup>.

7. სახელმწიფოში შემავალი არაქართული ეკლესიები, როგორც სომხური, ისე მაჰმადიანური, საგარეო საქმეებში ექვემდებარებოდნენ მეფის უზენაეს ხელისუფლებას. სომხურ მოსახლეობას პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, საქართველოს მეფის ხელისუფლება გამოდიოდა იმ ძალად, რომელსაც შეეძლო დაეცვა სომხური ეკლესია მტრული მაჰმადიანური მოძალებისაგან. სწორედ ასე იქცეოდა დავით მეფე. შეიძლება დავასახელოთ ანისის მაგალითი. მას შემდეგ, რაც დავითმა ანისი აიღო (1123 წ.), მან იქ მაჰმადიანთა 60-წლიანი ბატონობით შევიწროვებული სომხური ეკლესიის აღორძინებას მიჰყო ხელი. როგორც სომხური და ქართული წყაროები მიუთითებენ, მან აღადგინა მიზგითად ქცეული ანისის საკათედრო ტაძარი, მისი საზეიმო კურთხევაც დიდი ცერემონიალით ჩაატარა. მეფე მატერიალურადაც ეხმარებოდა სომხურ ეკლესიას. როგორც სომეხი ავტორი მიუთითებს, დავითს სომხური მონასტრისათვის სოფელი შეუწირავს<sup>24</sup>.

უნდა ითქვას, რომ სომხური მოსახლეობა და ეკლესია, რომლებიც დავით მეფეს მფარველად აცხადებდნენ, მადლიერი იყვნენ მეფის საეკლესიო პოლიტიკით. ეს განწყობილება კარგად მქლავნდება „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის ტექსტიდან. სადაც თვით მთარგმნელს, დავითის თანამედროვეს, ასეთი რამ ჩაურთავს: დავითს „უყვარდა სომეხთა ტომი, ეკლესიები და ერთი ვინმე რიტორი (მონასტრის) წინამძღვარი ჰახბატს, სახელად სარკავაგი“. შემდეგ დასძენს: დავითი ამ სარკავაგთან აღსარებას ამბობდაო.

8. სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის ძველიდანვე მომდინარე განხეთქილება, როგორც ცნობილია, ორივე მხარეს გამუდმებულ პოლემიკაში აბამდა. ქართული ეკლესია არ ცნობდა სომხური ეკლესიის კანონიერებას, მას განიხილავდა როგორც ერესს, „მწვალებლობას“. ამ შემთხვევაში ქართული ეკლესია მიმდევარი იყო ბიზანტიისა, რომელმაც სომხური ეკლესია განკვეთა პართლმადიდებლობიდან. უეჭველია, ქართული ეკლესია შეეცდებოდა პოლიტიკური უპირატესობა გამოეყენებინა სომხური ეკლესიის

<sup>23</sup> იქვე, 416.

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოც. ი. აბულაძის, 1953, 255.

განსაღვენად; შეეცდებოდა, მრევლის გადიდების მიზნით, შეეც-  
ნრობებინა სომხური ეკლესია ქართულ ტერიტორიებზე მინც. მაგ-  
რამ დავითის პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, სულ სხვაგვარადაა  
იყო აგებული. მეფის პოლიტიკაში სომხური ეკლესია ქართული  
ფაქტი იყო, რომელსაც ანგარიში უნდა გაწეოდა მრავალ მიზეზთა  
გამო. ამ შემთხვევაში მეფე გამოდიოდა არა ეკლესიის მოთხოვნი-  
ლებათა გამტარებლად სახელმწიფოს ცხოვრებაში, არამედ სახელ-  
მწიფოს მოთხოვნათა გამტარებლად საეკლესიო ცხოვრებაში. მე-  
ფის პოლიტიკა გამოირიცხავდა რაიმე სახელმწიფო აქტებს სომხუ-  
რი მოსახლეობის მიმართ ქართულ ქრისტიანობაში გადასაყვანად.  
ასეთს პრაქტიკულადაც არ ჰქონია ადგილი.

მეფე ცდილობს მოაგვაროს ეკლესიათა წინააღმდეგობა ლო-  
იალური პოლიტიკით, დაიცვას მათი მშვიდობიანი თანაარსებობა.  
საყურადღებო ფაქტია, რომ დოგმატურ დავას, მისი მოწესრიგები-  
სათვის, მეფე ედგა სათავეში. დავითის ისტორიკოსი და მისი ნაშ-  
რომის სომეხი მთარგმნელი გვაწვდის ცნობას ქართველ-სომეხთა  
გაერთიანებული საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ. კრების  
მიზანს დავითის ისტორიკოსი ისე გადმოგვცემს, თითქოს აქ კამა-  
თი უნდა გამართულიყო იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ეკლე-  
სია უფრო სწორ გზას ადგას და თუ სომეხი სწავლულნი დამარ-  
ცდებოდნენ, მათ რჯული უნდა შეეცვალათ, ე. ი., მიეღოთ ქარ-  
თული სარწმუნოება. ეს პირობა ქართული ეკლესიის პრეტენზიის  
გამოხატულებაა და ამ შემთხვევაში ავტორი მისი დამცველია. ავ-  
ტორი თბრობაში ლოგიკურიც ვერ არის: სომეხები დამარცხდნენ და  
შერცხვენილები წავიდნენო, რჯულის უარყოფაზე კი არაფერს ამ-  
ბობს. აშკარაა, რომ კრებას ასეთი მიზანი არ ჰქონია. უფრო სწო-  
რია ამ ადგილის სომეხი მთარგმნელი, რომელსაც თავისი შენიშვნა  
ჩაურთავს. იგი კრების მიზანს ასე გადმოგვცემს: მეფემ „მოისურ-  
ვა სომეხთა და ქართველთა შეერთებაც“. მოწვეულმა მხარეებმა  
ბევრი იკამათეს დილიდან საღამომდეო, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ,  
მაშინ მეფემ სიტყვით „დააწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრება“.

მეფის ასეთი პოლიტიკა, როგორც ვთქვით, ხელს უწყობდა  
სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას.

ამგვარად, მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ დავით აღმა-  
შენებლის სახელმწიფოში ეკლესია მეფეს ემორჩილება. ეკლესია  
სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, სადაც საერო ხელისუფლება  
უზენაესობას ავრცელებს ეკლესიაზე. საეკლესიო საქმეების მო-  
მწესრიგებლად ორგანიზაციულ და სასულიერო დარგში გამოდის  
საერო ხელისუფლება მეფის სახით. ერთიან სახელმწიფოს არ ფა-

რავს ერთიანი ეკლესია. გარკვეულ პირობებში დაშვებულია სპეციალური ეკლესიო-სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა.

შედარების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ქართული ხელისუფლების სისტემაში შეიძლება დავინახოთ გარკვეულ მსგავსებებს როგორც ბიზანტიურ, ისე დას. ევროპის რეფორმაციის ხანის სისტემებთან. ბიზანტიაში იმპერატორი საეკლესიო ხელისუფლებაზე კონტროლს პრაქტიკულად, მსგავსად საქართველოსა, მოხელეების საშუალებით ახორციელებდა, მას კარზე ჰყავდა სპეციალური მოხელე, ადგილებზე — ეგზარხოსები და სხვ. მაგრამ ქართველ მეფეს არ ეწოდებოდა „საგარეო ეპისკოპოსი“, მის ხელისუფლებას არ ჰქონია თეოკრატიული სახე. ბიზანტიას ახასიათებდა რელიგიათა აბსოლუტური შეუთავსებლობა. იმპერატორი, იმპერიის დაშლის შიშით, ვერ ითმენდა უცხო რელიგიებს და ერესებსაც კი<sup>25</sup>. ევროპაში, რეფორმაციის პერიოდში რომის პაპის უფლებათა თანდათანობით მოსპობის პირობებში, როგორც პროტესტანტულ, ისე კათოლიკურ სახელმწიფოებში, ეკლესია გადაიქცა სახელმწიფო დაწესებულებად; ეკლესიის ყოველგვარი საქმე დაექვემდებარა სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალს. სხვა რელიგიებთან დამოკიდებულებაში ზოგან გაბატონდა ნაწილობრივი ტოლერანტობა, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ზოგან გაძლიერდა აბსოლუტური შეუთავსებლობა: სახელმწიფოს ტერიტორიაზე აიკრძალა სხვა რელიგიური საზოგადოებები. ამ პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის მიერ ჰუგენოტების სისხლიანი ქლეტა. ქართული სახელმწიფოებრივი სისტემა აბსოლუტურად გამორიცხავდა ასეთ აქტებს.

ასეთია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტა საქართველოში XII საუკუნისათვის; ეს ურთიერთობა, ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან შედარებით, გარკვეულად თავისებურ შინაარს ატარებს და განსხვავებულ ისტორიულ სიტუაციაში არის ჩამოყალიბებული. სახელმ-

<sup>25</sup> სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამოკიდებულების ის სისტემა, რომელიც ბიზანტიისათვის დამახასიათებელ თვისებად იქცა, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს (306—337), ხოლო დასრულებული სახე მან მიიღო გვიანი პერიოდისათვის. ბიზანტიაში გაბატონებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს მეტ-ნაკლები შერწყმა, სახელმწიფო და ეკლესია წარმოიდგინებოდა ერთ ორგანიზმად, ერთ გაერთიანებად. ეკლესია საერო ხელისუფლებას (იმპერატორის ხელისუფლებას) ემორჩილებოდა; თვით იმპერატორი ეკლესიის უმაღლეს მესაკმედ წარმოიდგინებოდა (მას უწოდებდნენ „მეფე-მღვდელმთავარს“, „პირველმღვდელმთავარს“ „მღვდელს“ „საგარეო ეპისკოპოსს“, „საზოგადო ეპისკოპოსს“); ამავე დროს სამღვდლოება (ეკლესია) სარგებლობდა ფართო პოლიტიკური უფლებებით.

წიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარების პრინციპი რჩება ქართული სახელმწიფოებრივობისათვის დამახასიათებელ თვისებად საქართველოს ერთიანობისა და, შემდეგ, პოლიტიკური დაშლილობის ეპოქებშიც.

ეკლესია, ისე როგორც საერო ფეოდალებიც, ცდილობდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენას. ასეთი გამოსვლის არა ერთი მაგალითი ვიცით, მაგრამ ეკლესიის ამ ცდებმა აღნიშნული პრინციპი ვერ შეცვალეს.

ამრიგად, XII ს-ში ეკლესიის პოლიტიკური დიქტატი დასაჯლეთ ევროპაში თუ ჯერ კიდევ დამახასიათებელ მიმართულებად რჩებოდა, საქართველოში, პირიქით, ეკლესიას მეფე იქვემდებარებდა; ჩვენში, ბიზანტიისაგან განსხვავებით, მეფის ხელისუფლებას არ ჰქონია თეოკრატიული ხასიათი. ყოველივე ეს კი საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონისა და გარკვეული უპირატესობის მაჩვენებელი იყო იმ დროის პირობებში.



რედაქცია კიკნაძე

## ქილევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის

XIII ს-ის პირველი მეოთხედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ეს ის ხანაა, როცა ეკონომიური და კულტურული განვითარების ზენიტში მყოფმა საქართველომ მთელს იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი მოიპოვა. მაგრამ ამავე ხანაში მისი დაქვეითების მაუწყებელი მოვლენებიც ნათლად გამოჩნდა. ამ დროს საქართველო ფეოდალური განვითარების კრიზისს განიცდიდა, „ქვეყანას შინაგანი სიმტკიცე აკლდა და ეს აშკარად იჩენდა თავს მის პოლიტიკურსა თუ სამხედრო წესწყობილებაში“<sup>1</sup>. ამას თან დაერთო ისიც, რომ მსოფლიო ისტორიის სარბიელზე მონღოლთა გამოჩენის შედეგად მკვეთრად შეცვლილმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით გაღალბებული ქვეყანა საკუთარი საზღვრების დაცვის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ასეთ რთულ საშინაო და საგარეო პირობებში მოუხდა ახალგაზრდა ლაშა გიორგის (გიორგი IV-ს) სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. ამიტომაც იყო, რომ მისი ზოგიერთი მარცხი თუ პირადი ნაკლი განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა თამარის ბრწყინვალე ეპოქის ფონზე. ამითვე შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ „ლაშა-გიორგის პიროვნების გამო და გარშემო, როგორც ირკვევა, დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა“<sup>2</sup>, რაც ისტორიოგრაფიაშიც სათანადოდ აისახა.

ლაშა გიორგის მეფობის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება ქართულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, ევროპულ წყაროებში. შედარებით უფრო ვრცლად არის მოთხრობილი ლაშას ამბები ქართულ ძეგლებში—ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრისა

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958, გვ. 218.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 21.

(XIII ს.) და ქამთააღმწერლის (XIV ს.) თხზულებებში ამავე დროს ეს ორი საისტორიო ნაწარმოები ლაშა გიორგის ისტორიის ორ სხვადასხვა რედაქციასაც წარმოადგენს<sup>3</sup>. კერძოდ, გარდა ფაქტობრივი განსხვავებისა<sup>4</sup>, ეს ორი წყარო არსებითად გიორგი IV-ის პიროვნებისა და მოღვაწეობის ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას იძლევა. XIII ს-ის ავტორი, მეფის თანამედროვე, აღფრთოვანებულია ლაშა გიორგით და მას დავით აღმაშენებელს ადარებს<sup>5</sup>, ქამთააღმწერელი კი, მართალია, აღიარებს ლაშას ზოგიერთ დადებით თვისებას<sup>6</sup>, მაგრამ საბოლოოდ მაინც უარყოფითად ახასიათებს<sup>7</sup> და მზად არის, ყველა იმ უბედურების მიზეზადაც გამოაცხადოს, რაც მომდევნო ხანაში დაატყდა საქართველოს<sup>8</sup>.

გიორგი IV-ის პიროვნების შეფასებაში არსებულ სხვადასხვაობასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მისი მეფური და ადამიანური ქცევა სხვადასხვანაირად ყოფილა განსჯილი და დაფასებული როგორც თანამედროვეთა მიერ, ისევე მომდევნო თაობათა განმავლობაში და მთელი XIII ს. სივრცეზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა... ამიტომ ლაშა-გიორგის პიროვნების შესახებ პირუთ-

<sup>3</sup> აკად. კ. კეკელიძეს ლაშა გიორგის ისტორიის შესამე რედაქციად მიიჩნედა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია და მასზე დამოკიდებული ისტორია ვახუშტისა. ამასთან ერთად, მკვლევარი შენიშნავდა, ამ შესამე რედაქციას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს (კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1956, გვ. 288).

<sup>4</sup> ეს განსხვავებანი აღნუსხული აქვს კ. კეკელიძეს (იქვე, გვ. 289).

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 370. იხ. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 21-22; კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, გვ. 289; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 113.

<sup>6</sup> „იყო ტანითა ძლიერი, მკნედ მოისარი...“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 151); „თუთ გოლიათი მკლავითა სკანითა და წელითა გოლიათითა“ (იქვე, გვ. 153); „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არვისთუჯ მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, და განმკითხველ და მოწყალე...“ (იქვე, გვ. 154); „იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი...“ (იქვე, გვ. 156).

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151, 154—157. იხ., აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22 შმდ., კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—114.

<sup>8</sup> „ამისთვის აღმოცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა ზოგჯერებისანი, რომელი ქუემორე სიტყუამან ცხად ყოს (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 157).



ნელი, დამშვიდებული, მიუდგომელი მსჯელობა არც მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ: ყოველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე თუ ისტორიკოსი უნებლიედ ან მომხრეთა, ან მოწინააღმდეგეთა დასში იქნებოდა. ეს მედასეობა ქართველ ეპითეტაღმწერლის წყაროსაც ემჩნევა<sup>9</sup>. აკად. კ. კეკელიძის აზრით, ეპითეტაღმწერლისეულ დახასიათებაში უფრო მისი მორალიზატორული ტენდენციისა და მისტიკურ-ასკეტური სულისკვეთების გამოვლინება უნდა დავინახოთ, ვიდრე რეალური სინამდვილის ანარეკლი<sup>10</sup>.

მომდევნო ხანის ქართულ ისტორიოგრაფიას უკრიტიკოდ არ გაუზიარებია ლაშა გიორგის პიროვნების გამკილავი დახასიათება და იყო ცდები მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებათა გაბათილებისა.

კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იოანე ბაგრატიონის „ისტორია ქართლისაში“ ლაშა გიორგის შესახებ დაცულ ცნობებს<sup>11</sup>. ეს თხზულება ძირითადად ვახუშტის ისტორიის მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ, ამასთან ერთად, ავტორს გამოუყენებია მრავალი სხვა ქართული თუ უცხოური წყარო და მათი მონაცემებით შეუქსნია თხრობა<sup>12</sup>. საგულისხმოა, რომ იოანემ მიაკვლია იმ წყაროსაც რომელიც თითქოს გამხდარა საფუძველი ლაშა გიორგის განმაქიქებელი დახასიათებისა. ამავე დროს მის თხზულებაში გაბათილებულია ის ბრალდებანი, რომლებსაც ქართველ მეფეს უყენებდნენ ეპითეტაღმწერელი და ვახუშტი<sup>13</sup>.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევვხებით კიდევ ერთ ქართულ წყაროს, რომელიც აგრეთვე ეხმაურება ლაშა გიორგის პიროვნების შეფასების საკამათო საკითხს.

მხედველობაში გვაქვს XVII ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულება, რომელშიც გიორგი IV-ის რეაბილიტაციის თავისებური, ორიგინალური ცდა არის მოცემული.

ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოები, როგორც ცნობილია, შეიცავს ძირითადად საქართველოს ისტორიის თხრობას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>10</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

<sup>11</sup> „ისტორია ქართლისა“ მოთავსებულია იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ როგორც მისი ორგანული ნაწილი და, მკვლევრის აზრით, 1825—1828 წლებში უნდა იყოს შედგენილი.

<sup>12</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287—288.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 292; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 122.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ეს თხზულება მისი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების მიხედვით პირობითად ოთხ ნაწილად დაყო და თითოეული ნაწილის შეფასება-დახასიათებაც მოკვდა. პირველ ნაწილად მან მიიჩნია თხრობა თამარის გამეფებამდე. მკვლევრის აზრით, „ეს ნაწილი განსაკუთრებით შეიძირსა და „გავრონილს“ ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული ხასიათი აქვს“<sup>14</sup>. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი. იგი თამარის გამეფებით იწყება და XIV ს-ის დამდეგამდე გრძელდება. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „ამ მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, საუცხოო ღირსებისამ, ჩვენამდის მოაღწია“<sup>15</sup>. მესამე ნაწილი თხზულებისა მოიცავს XIV—XVII სს-ის ისტორიას და ძირითადად სპარსულ წყაროებს ემყარება. „რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი თხზულების მესამე ნაწილისათვის ასეთი საუცხოო წყაროები ჰქონია დედნად<sup>16</sup>, რასაკვირველია, ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ და ახლაც-კი მნიშვნელობა არ დაუკარგავს“<sup>17</sup>. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს შეადგენს 1636—1696 წლების ამბების თხრობა. ფარსადანი თანადამხვდური და თვითმხილველია აღწერილი ამბებისა და თხზულების ამ ნაწილსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVII ს-ის საქართველოს ისტორიის შესასწავლად<sup>18</sup>.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამკვიდრდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ძველი ნაწილის მიმართ; მკვლევარნი იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთი კერძო საკითხის გასარკვევად, მიმართავენ ამ ნაწილს, რის გამოც იგი არათუ სათანადოდ შესწავლილი, არამედ საერთოდ გამოცემულიც კი არ არის დღემდე<sup>19</sup>.

14 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291.

15 იქვე, გვ. 292.

16 ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს შერეფ ედ-დინ ალი იეზდისა და ისქანდერ მუნშის თხზულებები.

17 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

18 იქვე, გვ. 288, 298.

19 1636—1696 წწ. ისტორიის შემცველი (ე. წ. მესამე) ნაწილი ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა 1854 წელს გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა (ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, სპბ., 1854), ხოლო მესამე და მეოთხე ნაწილები ერთად დაბეჭდა ს. კაკაბაძემ („საისტორიო მოამბე“, II, 1925). მალე გამოვი ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ სრული ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა ვ. ფუფუჩიძემ ამ სტრიქონების ავტორთან ერთად.

საისტორიო წყაროს მიმართ ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, თხზულების ტექსტისა და მისი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების სრული შეუსწავლევლობით უნდა აიხსნას. მართალია, როგორც სწავსებით სამართლიანად აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ძველ ნაწილში ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი თვით იმ წყაროთაგან მომდინარეობს, რომლებიც ხელთ ჰქონია ავტორს თხზულების შედგენის დროს<sup>20</sup>. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ პრინციპების თავისებურებათა გათვალისწინება, რომლებითაც სარგებლობდა ფარსადანი თავისი საისტორიო ნაწარმოების წერის დროს, მის მიერ გამოყენებულ წყაროთა გამოვლენა და დაშვებული შეცდომების სათავეს მოძებნა. ასეთი მუშაობის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიცვლება დამოკიდებულება ფ. გორგიჯანიძის ნაწარმოების ძველი ნაწილის მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, ფარსადანის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ან, ზუსტად, „ისტორიანისა და აზმანის“ და ქამთააღმწერლის ცნობებს ემყარება. ლაშა გიორგის მეფობის ამბები გ. გორგიჯანიძეს ძირითადად თითქოს ქამთააღმწერლის თხზულების მიხედვით გაუმართავს, მაგრამ ზოგი ადგილი გამოეტოვებია, ზოგი განუვრცია, ხოლო ზოგიც განსხვავებულად აქვს მოთხრობილი. განსაკუთრებით საყურადღებო კი მაინც ის არის, რომ ფარსადან გორგიჯანიძე არ ეთანხმება ქამთააღმწერელს ლაშა გიორგის პიროვნების შეფასებაში.

„აქა სიკეთით ქებული თამარ მეფის შვილი გიორგი<sup>21</sup> დედას უკან მეფედ აკურთხეს ქართველთა“, — ასე დაასათურა ფარსადანმა თხრობა ლაშა გიორგის გამეფების შესახებ. აქ ვკითხულობთ: „ლთით გამდიდრებულმან<sup>22</sup>, ქვეყანათა ზედან სიკეთითა დ[ა] სამართლით საკელგანთქმულმან, მტერთა მძლემან და არვისგან ძლეულმან, ღელათაი ში-

<sup>20</sup> ჩვენ არ ვიზიარებთ შეხედულებას თითქოს ფ. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. პირველი ნაწილი ზეპირგადმოცემებსა და ზღაპრებს ემყარებოდეს. ამ ნაწილის დასაწერად ავტორს გამოყენებული უნდა ჰქონდეს სომხური, სპარსული და ქართული წყაროები, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა თვითონვე აღნიშნავს — „წიგნი არ მინახავსო“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2492, ფ. 11 v.

<sup>21</sup> ხელნაწერში: შვილის გიორგის (H 2140, ფ. 33r).

<sup>22</sup> ფარსადანი „გამდიდრებულს“ — განდიდებულას, ხოლო „გამდიდრებას“ — განდიდების მნიშვნელობით ხმარობს.

გან მეფეთ კურთხეულმან, მრავალჯერ სახელოანათ ომგამორჯვე-  
ბულმან<sup>23</sup>, მადლმოქმედობით ქალწულთა<sup>24</sup> ზიარმან, დავით-სო-  
ლომონიანთ მეფეთა მეფემან თამარ“ თავის სიცოცხლეშივე მეფედ  
აკურთხებინა ცამეტი წლის გიორგი და „ასწავლად და დედა შვილსა  
კარგად საქემწიფოსა ზნე-საქციელსა“ (ფ. 33 v) „სამარტაქიმ“ გარ-  
დაიცვალა, გიორგი თვრამეტი წლისა იყო; „მოუდგნენ ქართველ-  
ნი და ერთგულათ ემსახურებოდნენ და მორჩილობდნენ და ისიც  
კარგად ეპყრობ[ო]და და არვის არა შეუშალა, არცა მამული და  
არცა საკელო, და სხვაც მრავალი წყალობა შეუმატა დედის მოცე-  
მულს ზედა, დაიპყრა საქემწიფო დედ-მამისა მისისა“ (ფ. 33v).

როგორც ვხედავთ, ფარსადანს ეამთააღმწერელთან შედარე-  
ბით უფრო ვრცლად აქვს მოთხრობილი ლაშა გიორგის ტახტზე  
ასვლის ამბავი, თუმცა არსებითი განსხვავება მათ შორის არ შე-  
იმჩნევა. სამაგიეროდ, ლაშას პიროვნების დახასიათებისას ფარ-  
სადანი პირდაპირ ეწინააღმდეგება ეამთააღმწერელს და ლაშა  
გიორგის დროინდელი მემატინის მსგავსად<sup>25</sup>, ისიც ქებით მოიხსე-  
ნიებს მეფეს: „იყო გიორგი მეფე ტანად ახოვანი, კელძრიელი და  
მკნე კეთილათ, კარგ ცხენოსან, კარგ ცეროსან, ნადირობაში ფი-  
ცხელი, კარგად მკვლელი, თავდაბალი, ლალი და მლთისგა[ნ] მოში-  
შარი, სამართლიანი, უხვი და უშურველი, ჭკვიანი და სიტყვა-  
მარჯვე, მობეზლართ მძულველი და ყურის არმიგდები“ (ფ. 33v).

ეამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, ლაშა გიორგი იმიტომაც  
იყო გათამამებული, რომ დედამისმა დამშვიდებული სამეფო და-  
უტოვა, მეზობლები მისი მოხარკენი იყვნენ და ძღვენსა და ხარა-  
ჯას მოართმევდნენ<sup>26</sup>. ფარსადანი ამ შემთხვევაშიც რამდენადმე  
განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს და აქაც წარმოაჩენს ლაშას  
დამსახურებას: „ვითაც დედამ და[ა]წყნარა ქვეყანა და მეზობელ-  
ნი დაიმორჩილა და ხარაჯა და წლის თავს ბეგარა აიღო, შვილმანც  
ისრე ქნა. არ[ა]წ[ხ]ს აქეთი აზრუამადისინ და ამ ზღვით იმ ზღვამდი-  
სინ ზძღვნიდენ და ბეგარას მოსცემდენ“ (იქვე).

ორივე ისტორიკოსი დაახლოებით ერთნაირად გამოგვეცემს  
განჯის განდგომისა და ხარკის გადახდაზე უარის შემოთვლის ამ-  
ბავს, რასაც გიორგი IV-ის მეფობის პირველ წლებში ჰქონია ად-  
გილი.

<sup>23</sup> ამ სიტყვის შემდეგ მეორდება „მტერთა მძღემან და არვისგან ძღულ-  
მან“ (H 2140, ფ. 33r).

<sup>24</sup> ხელნაწერში: ქალწულმან (იქვე).

<sup>25</sup> ამით იმის თქმა არა ვესურს, რომ ფარსადანი სარგებლობს ამ ნაწარმო-  
ებით. საამისო კვალი არსად შეინიშნება მის თხზულებაში.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.



მაშინ იწყეს განძით განდგომა და არღარა მოსცეს მეფესა ხარკი. ხოლო ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა, მკარგრძელს ივანეს... (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152).

ამ დროს განჯის ქალაქს შიგან მყოფთა ურჩობა დაიწყო და ნარაჯა აღარ მოსცეს. შმაზე გიორგი მეფემ იხმო მკარგრძელი ივანე ათაბაგი და შემოიყარა ლაშქარი იმერისა და ამერისა. (H 2140, ფ. 33 v).

სამაგიეროდ, ფარსადანს ვრცლად აქვს მოტანილი მეფის სიტყვა, რომლითაც მას ივანე ათაბაგისათვის მიუმართავს<sup>27</sup>. მოგვყავს ამ სიტყვის ტექსტი მთლიანად: „ბაგრატიონთ მეფე[ებს] არვის ჰყოლებია მამობილიო, რომე თურქნი ათაბაგობით იხმობენო. ვითაც შენ მრავალი ვალდებულობა და სამს[ა]ხური დასდევო დედასა და მამას ჩვენსაო, რომ არას დროს არ გაგონილო სხვათა საქართველოს მეფე[ებ]ის ყმათაგანო<sup>28</sup> ძველით აქნობამდისინო, რომ ერანი, არაყი და ხორასანი დაერბიოსო თქვენის მეტსაო, რომ თქვენ დაარბივეთო და ლაშქარი უზიანოთ გამარჯვებული მოასხიო და მრავალი აქლები[ს] და ჯორების ყათრებითაო ოქრო-ვერცხლი და ძვირფასის თვალ-მარგალიტნი აკიდებულნი მოიტანეთო და ჯერეც კელუხლებათ აწყვია ჩვენს სალაროშიგანო. ამ სამს[ა]ხურის სამუქაფოთო მრავალს სიკეთესა და სიმდიდრეს ღირსნი იყვენიო და, ვითაც ერანის საკემწიფოს შიგან ათაბეგობის უდიდესი სახელო არ იქნებისო, დედამან ჩემ[მ]ან თამარ მეფემანც ამისთვის მოგცა ათაბაგობაო, რომ ყველას უდიდესი იყვნეთ. და ახლა ნამეტნავად კართ ათაბაგი და მამო[ბ]ის ადგილს მისაჩენელი ჩვენი. და ახლა განჯელთ კარაჯა არ მოუცია და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრითა მოშველებია განჯელთა. და აწე მე მინდა მათზედ გალაშქრება, შურის მოგება სიახლობის ურჩობისათვის, ამისთვის რომე, თუ ამათ არ გარდავახდევინოთ, შორეულნი გაიგონებენ და ისინიც აღარ მოგვეცემნო“ (ფ. 33v—34r).

ივანე ათაბაგმა დაუმოწმა მეფეს განჯელთა განდგომის ამბავი და აცნობა, — „იმათი ათაბაგი“ თორმეტი ათასი მეომრით მოსულა განჯაში და ის არ აძლევინებს ხარკს, თორემ განჯელების ბრალი არ არისო. მან მოუწონა გიორგის განჯელთა დასასჯელად

<sup>27</sup> უამთააღმწერლის მიხედვით ლაშა გიორგის საგანგებოდ ათაბაგისთვის არ მიუმართავს სიტყვით. „მაშინ თქუა მეფემან, ვითარმედ“, — აღნიშნავს იგი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152).

<sup>28</sup> ზელნაწერში: ყმათაგანო რომ.

ლაშქრობის მოწყობა და დასძინა: „ვითაც ამას წინათ თავი საწამებლათ დამედვა მეფეთა გზაზედანო, ახლა უფრო ნამეტსავად მართებულია თქვენს გზაზედ თავისა და სულის გარდაცვალო“ (ფ. 34r).

როგორც ვხედავთ, ფარსადანს საინტერესო, განსხვავებული დეტალებით შეუვისია თავისი თბრობა. მეფესა და ათაბაგს შორის სრული თანხმობა და ურთიერთვაგება სუფევს. ლაშა დიდი მოწიწებით მიმართავს ივანეს და მამობილსაც უწოდებს მას. საყურადღებოა აგრეთვე „ერანის ათაბაგის“<sup>29</sup> თორმეტი ათასი კაცით განჯაში მოსვლისა და განჯელების განსადგომად წაქეზების ამბავი.

ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ფარსადანს განჯის დასამორჩილებლად ქართველთა ლაშქრობის აღწერა („აქა უწინ გალაშქრება მეფის გიორგისა განჯასზედა“). იგი მოგვითხრობს, რომ საქართველოს ჯარი თბილისში შეგროვდა, „შემოფიცეს მეფეს გიორგისა და ასრე მოახსენეს: მორჩილნი ვართ ბრძანებისა თქვენისაო და მლთისა შეწევნით ვანანიებთ ურჩსა თქვენსაო“ (ფ. 34r—34v). ქამთაღმწერლისგან განსხვავებით, ფარსადანის ცნობით, ქართველებს თითქოს ბარდავამდე მიულწევიათ. „გაუძახეს ლაშქარნი და ბარდა და ქვეყანანი არანისა მოარბივეს, და მოიღეს ტყვენი და ნაშოვარნი მრავალნი“. განჯის გარემოცვის, ლაშა გიორგის მიერ ქალაქის „გარშემოვლის“ და განჯელებთან ბრძოლის ამბავი დაახლოებით ერთნაირად აქვთ აღწერილი ქამთაღმწერელსა და ფარსადანს. სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა ლაშას სასარგებლოდ შეცვალა ამ ეპიზოდის ფინალი. ქამთაღმწერლის ცნობით, განჯელთა ათიათასიანი ლაშქრის დამარცხების მიუხედავად, „დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი“ უკმაყოფილო იყვნენ მეფის თვითნებობით და „დაამტკიცებდეს არლარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა“, რის გამოც გიორგი იძულებული შეიქნა ცხენიდან ჩამოხდარიყო და „უმეცრებით ქმნულისათვის“ შენდობა ეთხოვა<sup>30</sup>. ფარსადან გორგიჯანიძეს კი საერთოდ არაფერი აქვს თქმული ქართველ დიდებულთა უკმაყოფილებაზე და, ამგვარად, მეფეს ცხენიდან ჩამოხდომა და ბოდიშის მოხდაც აღარ სჭირდება. „მეფე იქნა მლთისაგან და ცულ-დაფარული თვით და მასთან მეომარნი თავადნი და აზნაურნი ომნაცადნი; გარდმოხდეს კარვებსა თავისასა, მოისვენეს და საჭმელი მოითხოვეს“ (ფ. 35r).

<sup>29</sup> იგულისხმება აზერბაიჯანის ილდეგიზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი უზბეკი (1210—1225).

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154.

ქამთალმწერლის მიხედვით, ამის შემდეგ განჯელებმა შეატყვეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა, კვლავინდებურად „ხარკის გაჩენა“ იკისრეს და საქართველოს ლაშქარიც თბილისში დაბრუნდა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154).

ფარსადან გორგიჯანიძე ამ შემთხვევაშიც მეტად მნიშვნელოვანი მონაცემებით ავსებს XIV ს-ის ავტორის ცნობებს. კერძოდ, მისი თხრობიდან ირკვევა, რომ მონღოლები არც თუ მთლად მოულოდნელად შემოსევიათ საქართველოს, რომ ქვეყნის მესვეურთ აღრევე მიუღიათ ცნობა აღმოსავლეთიდან დაძრული დამპყრობელი ურდოების შესახებ. ფარსადანთან კვითხულობთ: „ამ დროს გამოგზავნა განჯის ათაბაგმან კაცი ჭკვიანი, დღითაც უფროსი, და შემოუთვალა მეფესა გიორგის: ანბავი მოგვივიდაო ხვარაზმიდამენო, რომ დაძრულა ჩინეთიდანენო ლაშქარი ჩანგიზ-ხანისაო, ელი და ულუსიო ბევრჯელ ბევრი ათასიო, თათარი და თურქიო და ყალმუხიო. ასი ათასი ზორასანს ზედანო გამოუძახებიაო, ცოლ-შვილით მოდიანო, და ასი ათასი დარუბანდს ზედანო, ამათაც ცოლ-შვილნი თან ახლავთო. და ეს ამის ნიშანი არისო, რომ სადგომათ მოდიანო. და ჩვენ თქვენი მეძღვნე მეზობელნი ვართო, და სხვიგნით მოჩანს დიდი გაჭირვებაო, ჩვენ ვეშარებესო ამას იქით ერთმანერთის მოხმარებაო და ზურგის მობმაო. კმარაო ამდენი რბევა და სიკვდილი და აოხრებაო. რაც ძღვენი და ბეგარა გვდებიაო, ისრევე მოგართმევთო და თქვენს საბატონოზედ წაბძანდითო. მეფემანც იხმნო ივანე ათაბაგი და სხვანი დიდებულნი და შექნეს რჩევა, და მოიწონეს ნათქვამნი განჯის მოციქულისა და შეუჭრდნენ სიტყვასა მათსა. და მოიღეს ძღვენი მეფისათვის ცალკე და მეფეთა და ერისთვებთა და თავადთათვის ცალკე-ცალკე და აიყარნენ განჯით, გამარჯვებულნი მივიდნენ ქალაქს“ (გვ. 35r).

მონღოლთა ურდოების დასავლეთისაკენ გამოლაშქრების ამ მეტად საინტერესო ცნობის მიმართ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი აშკარა ანაქრონიზმად ჩანს, რადგან მონღოლები მხოლოდ 1218 წელს დაიძრნენ შუა აზიისკენ. საფიქრებელია, რომ ფარსადანმა რომელიღაც სხვა წყაროდან ამოღებული ცნობა არასწორად დაუკავშირა განჯელთა დასასჯელად მოწყობილ ამ ლაშქრობას. ამ ფაქტს, რომლის სისწორეში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, უფრო მოგვიანებით, ქართველთა სხვა ლაშქრობის დროს უნდა ჰქონოდა ადგილი<sup>31</sup>.

<sup>31</sup> ქამთალმწერლის თხზულებიდან ირკვევა, რომ ქართველებს გიორგი IV-ის მეფობაში კვლავაც ულაშქრიათ განჯის წინააღმდეგ. „სთუელთა შთავიდის ტფილისს, ხოლო საზამთროდ დადგის დურს სომხითისას, და მიერ ბრძოდის განელთა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 156).

ამის შემდეგ ფარსადანი უშუალოდ მონღოლთა ისტორიისა და მათი შემოსევების ამბების თხრობაზე გადადის („აქა ანბავი, ჩან[ნი]გიზ-ხანის ლაშქრის გამოძახება ხორაზმელთა ზედან“). მას მთლიანად გამოუტოვებია არანდების მიერ ლაშასთვის თვალის გამოთხრობისა და ვეღის ციხის აღების მოყვანის ამბები. გადაჭრით ვერ ვიტყვით, პირადად ფარსადანია ავტორი ასეთი რედაქციისა, თუ ქამთაღმწერლის თხზულების მის მიერ გამოყენებულ ნუსხაში უკვე შესრულებული იყო მსგავსი სამუშაო. მაგრამ ის გარემოება, რომ ფარსადანი აშკარად სიმპათიურად არის განწყობილი ლაშას მიმართ, გვაფიქრებინებს, რომ სხვადასხვა წყაროების საფუძველზე მას, ალბათ, საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა შემუშავებული გიორგი IV-ის მიმართ და ამის შესაბამისად შეცვალა ან სულაც გამოტოვა ქამთაღმწერლის ზოგიერთი ცნობა, რომელიც ზედმეტად მკაცრი ან დაუსაბუთებელი იჩვენა.

საკუთრივ მონღოლთა ისტორიას ფარსადან გორგიჯანიძე ქამთაღმწერლის მიხედვით გადმოგვცემს, მაგრამ რამდენადმე უფრო მოკლედ. ჯებესა და სუბუდაის ლაშქრობისა და ქართველების დამარცხების ამბავიც ორივე ისტორიკოსს ერთნაირად აქვს მოთხრობილი<sup>32</sup>. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ ფარსადანიც ქამთაღმწერლისებურად, ქართველთა „ურჯულობით“, ანუ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შერყვნით ხსნის მონღოლებთან ბრძოლაში საქართველოს ლაშქრის დამარცხებას: „მაშინ მოაწია რისხვა მლთისა ჩვენის ურჯულოებისათვის. მეფე გიორგი თვითან და სრულ ქართველნი ძალმიცემით იბძოდეს, მაგრა ამოსწყდა მრავალი ქართველნი... აქ იქნა რისხვა მლთისა ქრისტიანთ ზედან, გასწირა ქართველნი ურჯულებისათვის“, და ა. შ.<sup>33</sup> (ფ. 36v).

მონღოლებთან ბრძოლის შემდეგ „გახდა ავად მეფეთა მეფე გიორგი, დასნეულდა“. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მან სახელმწიფოს დიდებულნი იხმო, თავისი და რუსუდანიც მოიწვია და ანდერძი დაუბარა ცალ-ცალკე<sup>33a</sup> (ფ. 37r). რამდენადაც ქამთაღ-

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164—165; ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 35r.

<sup>33</sup> შტრ. ქამთაღმწერელი „მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულობათა და ცოდვათა ჩუენთათჳს, და ივტოდეს ქართველნი და სპანი და თუთ მეფე ლაშა, და ურიცხვ სული ქრისტიანე მოკულა... და აქა იქმნა მოწვეწა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათჳს უსჯულობათა ჩუენთასა...“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164—165).

<sup>33a</sup> „აქა ა[ნ] დერძის ქნა მეფის ლაშა გიორგისაგან თავისის დის რუსუდანისათვის“ (H 2140, ფ. 37r).



მწერელს საერთოდ არაფერი აქვს თქმული რუსუდანისათვის დატო-  
ვებული ანდერძის შესახებ, მთლიანად მოვიყვანთ ფარსადანისე-  
ულ ტექსტს: „დედამან ჩემმან მეფემ თამარმანო აჯობა ყოველთა-  
მეფეთა და კემწიფეთა ბაგრატიონთა და დამიგლო საკემწიფო<sup>34</sup> მამა  
რიგებულო. და სოფლის წესი ადამიანთზედ დაუცდენს<sup>35</sup> და ჩემზედანც აპირებს მასა, რაც სხვათა ზედან უქნია. აწუ თქვენ-  
თვის მამიბარებია საკემწიფო მამა-პაპათა ჩვენი, იქეც ტკილათ  
და ყველას პატივი ეც შეფერებითა, წყალობა უყავ უყვედრებელი,  
შეიბრალე გლახა და ქვრივ-ობოლნი, და ერთგულნი გასამდიდრე,  
თავგამზიდავნი მოამშვიდე და ორგულნი შეაშინეთ“ (ფ. 37r—37v).

ჩვენი აზრით, ეს ანდერძიც დადებითად ახასიათებს ლაშა  
გიორგის, როგორც ადამიანსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

შემდეგ ლაშამ ათაბაგსა და სხვა დიდებულთ მიმართა: „ვა-  
ტყობ თავსა ჩემსაო გარდასაქნადსა სოფლისასაო და ჩემად მაგიე-  
რად ჩემი და რუსუდან დედოფალი მეფობდესო ჩემის დავითის  
გაზღამდისინო. მონეთ, მორჩილეთ და ერთგულად ემსაჭურენით,  
ვითაც მამა და პაპანი თქვენნი ჩვენს მამა-პაპათათვის ემსაჭურები-  
ნოს. და ნათქვამი არის ძველითა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ  
იყოს, გინდა კვადია“<sup>34</sup>. და ეს სიტყვა მეფეთ-მეფეს დედას ჩემს  
თამარზედანც ითქვა. აწ მე მოვახსენებ დასა ჩემსა რუსუდანს ზე-  
და...“ (ფ. 37v).

აქ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ფარსადანის  
მიერ რუსთაველის ცნობილი აფორიზმის მოხსენიება. ცხადია, ამ  
ერთი აფორიზმის მიხედვით არ შეიძლება გადაჭრით თქმა, იცნობ-  
და თუ არა ფარსადანი „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ უთუოდ საგუ-  
ლისხმოა ის გარემოება, რომ ფარსადანი ლაშას ათქმევინებს, „ეს  
სიტყვა მეფეთ-მეფეს დედას ჩემს თამარზედანც ითქვაო“. მართ-  
ლაც, ფარსადანი თამარის გამეფების ამბის სათაურშივე აღნიშნავს:  
„მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფეთ  
აკურთხა. აქ თქმულა, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ  
იყოს, გინდა კვადია“ (ფ. 9v). კიდევ რომ დავუშვათ, რომ  
ფარსადანს ეს აფორიზმი ფოლკლორული გზით ჰქონდა შეთვისე-  
ბული<sup>35</sup>, თავისთავად ისიც უდავოდ საყურადღებოა, რომ XVII  
საუკუნის საქართველოში (და, იქნებ, ირანში მცხოვრებ ქართველ-  
თა შორისაც, რამდენადაც ფარსადანმა თავისი სიცოცხლის უდიდე-  
სი ნაწილი ირანში, სეფიანი შაჰების სამსახურში გაატარა) რუს-

<sup>34</sup> ხელნაწერში: კვადია.

<sup>35</sup> ასეთ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს სიტყვები—„ნათქვამი არის ძვე-  
ლითა“ და აგრეთვე თვით აფორიზმის რამდენადმე გახალხურებული ფორმა  
„გინდა“—„თუნდა“-ს) ნაცკლად.

თაველის აფორიზმი ანდაზად ყოფილა ქცეული და ხალხს მის გმირად თამარი ესახებოდა.

ასეთია, ძირითადად, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები ლაშა გიორგის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძვლზე ამჟამად ცნობები აზრით, მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს:

1. იოანე ბაგრატიონზე ბევრად უფრო ადრე, XVII ს-ის მეორე ნახევარში, ფარსადან გორგიჯანიძემ სცადა ლაშა გიორგის პიროვნების რეაბილიტაცია და წარმოგვიდგინა იგი არა მარტო როგორც გულადი მეომარი, არამედ როგორც თავმდაბალი, ღვთისმოშიში და გულუხვი, სამართლიანი, ჭკვიანი და ენერგიული გამგებელი ქვეყნისა.

2. გადასინჯვას საჭიროებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება, როგორც ისტორიული წყარო, თითქოს მოკლებული იყოს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას<sup>36</sup>.

---

<sup>36</sup> ამის შესახებ საუბარი გვექნება ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების სრული ტექსტის გამოცემისათვის წამძღვარებულ გამოკვლევაში.

## XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგადი საქმის იხსნა ალ-ასირის მშობლიური შუამდგომლობა

თურქ-სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლისა და ქვეყნის მესვეურთა სწორად გააზრებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წყალობით გაერთიანებული საქართველო გაძლიერდა. მან მტკიცედ განაგრძო დავით აღმაშენებლის აქტიური საგარეო პოლიტიკა, გააძლიერა მაჰმადიანური გარემოცვა, ერთიმეორეზე მიყოლებით დალაშქრა და დახარკა სელჩუკიანთა სამფლობელოები და თავისი საზღვრები არაჩვეულებრივად გაათართოვა. საქართველომ ევროპისა და აზიის ქვეყნების ყურადღება მიიპყრო.

მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედება საქართველოს ფარგლებს გასცდა, ქვეყნის შიგნით შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ინტენსიური მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის, რის შედეგადაც მოშენდა და დამშვენდა ეს მხარე, დაგროვდა დოვლათი და, საერთოდ, ქართველი ხალხი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული აღმავლობის გზით წავიდა.

საქართველოს XII-XIII საუკუნეების ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მოეპოვებათ როგორც ქართველ, ისე უცხოელ, კერძოდ, აღმოსავლელ ავტორებს, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არაბი მემატიანე აბუ-ლ-ჰასან 'ალი ბენ 'აბუ-ლ-ლ-ქარიმ მუჰამმად ბენ მუჰამმად ბენ აბდ ალ-ქარიმ იბნ 'აბდ ალ-ვაჰიდ აშ-შაიბანი, ცნობილი იბნ ალ-ასირ ალ-ჯაზირის ანდა, უფრო მოკლედ, იბნ ალ-ასირის სახელით<sup>1</sup>.

იბნ ალ-ასირი დაიბადა 1160 წელს, მესოპოტამიაში, ქ. ჯაზირათ იბნ 'უმარში. იგი დიდხანს ცხოვრობდა ქ. მოსულში, სადაც მსახუ-

<sup>1</sup> ზოგჯერ ის'იზ ად-დინ აბუ-ლ-ჰასან ალ-ჯაზირის სახელითაცაა მოხსენიებული (იხ. В. Тизенгаузен, Сборник материалов относящихся истории Золотой Орды. СПб, 1884, т. I; Ученые записки императорской Академии Наук по первому и третьему отделениям, СПб, 1854, т. II, вып. IV, стр. 636; Материалы по истории Азербайджана из Тарих ал-камль Ибн ал-Асира, Баку, 1940, стр. 5 — 7).

რობდა ათაბაგ ნურ ად-დინ არსლან-შაჰის კარზე მწერლად და გატაცებით მისდევდა მეცნიერულ საქმიანობას<sup>2</sup>. იბნ ალ-ასირმა/საფუძვლიანად შეისწავლა წინარე ხანის ვრცელი საისტორიო მწერლობა, რომელიც უხვ ცნობებს შეიცავს აღმოსავლეთურ ხელნაწილ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მსჯელობების შესახებ. ამავე დროს, იბნ ალ-ასირი თვალს ადევნებდა იმ მოვლენებსა და ამბებს, რაც მის დროს ხდებოდა ევროპასა და აზიაში და ყოველივე თავის დღიურებში შეჰქონდა.

იბნ ალ-ასირი რამდენიმე საყურადღებო ნაშრომის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის ისეთი თხზულებები, როგორიცაა „უსუდ ალ-ლაბბა („უღრანი ტყის ლომები“)—ბიოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ცნობებს მუჰამედ წინასწარმეტყველის თანამედროვეთა შესახებ, „მოსულის ისტორია“, „მოსულის ათაბაგთა ისტორია“ და „ისტორიის სრული კრებული“ („თარნხალ-ქამილ“), რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მის ავტორს.

„თარნხ ალ-ქამილი“ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ვრცელ კრებულს. ჰაჯი ხალფას ცნობით, „თარნხ ალ-ქამილის“ იბნ ალ-ასირისეული ხელნაწერი ტექსტი დაწერილი ყოფილა 13 ტომად<sup>3</sup>. ჩვენამდე მოღწეული ტექსტი კი შედგება 12 ტომისაგან. როგორც ირკვევა, ტექსტს გადამწერთა რედაქცია განუცდია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი ცნობა, რომელიც იბნ ალ-ასირის ტექსტში ყოფილა, დღეს მასში აღარ არის.

იბნ ალ-ასირის ეს ვრცელი თხზულება, სადაც თხრობა გრძელდება 1231 წლამდე, ძირითადად კომპილაციური ხასიათის ნაწარმოებია. მისი შედგენისას ავტორი უხვად სარგებლობდა წინამორბედი არაბი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ალი ას-სალამის, ტაბარის, იბნ ას-საჰირის, ალ-კალანისპის, იბნ მისკავეიჰისა და სხვათა ნაშრომებით<sup>4</sup>. მიუხედავად ამისა, მასში მრავლადაა ისეთი ცნობებიც, რომლებიც სხვა ავტორებს არ მოეპოვებათ. ეს ცნობები უმთავრესად იმ ხანის ამბებს შეეხება, რომლებიც უშუალოდ იბნ ალ-ასირის სიცოცხლეში (1160—1234 წწ.) მოხდა. ამიტომ „თარნხ ალ-ქამილი“ წარმოადგენს პირველწყაროს, საიდანაც

<sup>2</sup> Ibn Khalikans Biographical Dictionary, translated from the arabic by B. Mac Guckin de Slane; Notice sur la vil et les ouvrages d'Ibn-al-Athir el Djezeri; Recueil des histor. Orient. des croisades, Paris, 1872, t. I, pp. 752 — 756; B. Тизенгаузен, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

<sup>3</sup> Lexicon Bibliographicum a. Hagī Khalifa compositum. Editit G. Flugel, London, 1840, t. IV, pp. 25.

<sup>4</sup> П. Жузе, Материалы по истории Азербайджана из „Тарих-ал-Камиль“ Ибн ал-Асира, гв. 7. ბროკელმანმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ნაშრომთა დამოკიდებულების საკითხის გარკვევას. („Das verhältnis von Ibn al-Athir ar-rusul wal-muluk“, Strasburg, 1890).

ცნობებს კრებდნენ მომდევნო ხანის ისტორიკოსები: ან-ნუვაირი, იბნ ხალდუნი, რაშიდ ად-დინი (ამ უკანასკნელიდან იწერდა აბუ-ლ-ლაზი), იბნ ალ-ჯაუზი, აბუ-ლ-ფიდა და სხვ<sup>5</sup>.

„თარნ ალ-ქამილის“ ავტორი თავს არიდებს მის ქრონიკონობას<sup>6</sup> ხდარი ისტორიული ფაქტების გამომწვევი მიზეზების [სხვადასხვა] მხრივ მაგიეროდ, იგი ცდილობს დაიცვას ქრონოლოგიური სიზუსტე და თხრობას თანმიმდევრულად ალაგებს.

ქ. მოსულში მყოფი იბნ ალ-ასირი ცნობებს აგროვებდა სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შემთხვევის გამო. იგი ისმენდა ამა თუ იმ ქვეყნების ელჩების, ვაჭრების, მისიონერების, ტყვეებისა და ლტოლვილთა ნაამბობს, ერთმანეთს უდარებდა მათ და, როცა მოყოლილის ჭეშმარიტებაში დარწმუნდებოდა, ის თავის დავთარში შეჰქონდა.

იბნ ალ-ასირი ისეთ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა აღმოსავლეთში მეტად რთული ვითარება სუფევდა და აზიის პოლიტიკური რუკა ხშირად იცვლებოდა. ამიტომ მის „თარნ ალ-ქამილში“ მოცემულია ისეთი ცნობები, რომლებიც სხვა წყაროებს არ შემოუნახავთ. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასია ნაშრომის ის ნაწილი, სადაც მოცემულია ვრცელი ცნობები ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკების, თათარ-მონღოლთა, ხვარაზმელთა შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ აღმდგარი ქართველი ხალხის გამართულ ბრძოლებზე. ერთი სიტყვით, „თარნ ალ-ქამილის“ სახით ჩვენ გვაქვს ძვირფასი ისტორიული წყარო, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ სხვა წყაროებში დაცული ცნობების ჭეშმარიტება ანდა შევაკოთ ისინი. ჩვენც სწორედ ამ კუთხით ვუდგებით მას და ვუდარებთ XII-XIII ს-ის ქართულ მატეანეებს.

როგორც ცნობილია, ეს სამუშაო თავის დროზე შეასრულა ივ. ჯავახიშვილმა, როცა „ქართველი ერის ისტორიას“ წერდა. ამდენად ჩვენი ცდა უკვე შესრულებული სამუშაოს განმეორება შეიძლება იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აღებული ხანის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი რამდენადმე ახლებურად გვესახება.

\* \* \*

თბილისის აღებისა (1122 წ.) და თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყლის განთავისუფლე-

<sup>5</sup> Ученые записки императорской Академии Наук по первому и третьему отделениям, СПб., 1854, т. II, вып. IV, гл. 637.

ბის შედეგად გაერთიანებული საქართველოს გამგებელთა მთავარი ამოცანა იყო განემტკიცებინათ თავიანთი მდგომარეობა, დაეცათ ქვეყანა მტრების ხელყოფისაგან და შეექმნათ ხელსაყრელი პირობები მისი მშვიდობიანი განვითარებისათვის. ყოველფეხე მშვიდობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა [[მეჩხადრან]] დამპყრობთა განდევნა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან. ამ მიზნით გიორგი III-მ სამხედრო მოქმედება, პირველ რიგში, სამხრეთისაკენ წარმართა. იგი ენერგიულად შეუდგა სომხეთის მფლობელ შაჰ-არმენისა და სხვა მუსლიმანი ამირების შემუსვრას და სომხეთის ტერიტორიის განთავისუფლებას. იმ ალ-ასირის ცნობით, 1161 წელს გიორგის ანისზე მიუტანია იერიში და ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია: „556 წლის შა'ბანის თვეში (1161 წლის ივლის-აგვისტოში), — ამბობს იგი, — ქართველები თავიანთი მეფის წინამძღოლობით ანისისაკენ დაიძრნენ, აიღეს ის და მრავალი ხალხი გაწყვიტეს“<sup>6</sup>. არაბი მემატიანის ეს ცნობა მთლიანად ეთანხმება, ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობებს<sup>7</sup> და რამდენაღმე აზუსტებს კიდევ მათ. თუ ქართულ წყაროში ბრძოლის თარიღი საერთოდ არ არის ნაჩვენები, ხოლო სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი „ზაფხულს“ ამბობს<sup>8</sup>, იმ ალ-ასირის ცნობიდან ირკვევა, რომ ანისის ბრძოლა უნდა მომხდარიყო ივლის-აგვისტოში, რადგან 556 წ. შა'ბანის თვე დაიწყო 26 ივლისს.

ანისის დაკარგვა მუსლიმანი ამირებისათვის იოლი საქმე არ იყო. ანისის გარეშე ისინი არა თუ საქართველოზე თავდასხმას, საკუთარი სამფლობელოების შენარჩუნებასაც ვეღარ შეძლებდნენ, რადგან ამიერიდან ჩრდილოეთით კედელი მორღვეული რჩებოდა. ამიტომ მათ ანისის დაბრუნება უცდიათ და იმავე 1161 წლის აგვისტოში ქართველების წინააღმდეგ ულაშქრიათ: შეიტყვეს თუ არა ქართველთა მიერ ანისის აღება, „იმავე (556) წლის შა'ბანის თვეშიო“, — ამბობს იმ ალ-ასირი, — მათ წინააღმდეგ „იხმეს ხლათის გამგებელი იბრაჰიმ სუქმანის ძის ვაჟი, შაჰ-არმენი“, რო-

تاريخ الكامل للعلامات أبي الحسن علي بن أبي الكرم محمد بن محمد بن عبد الكرم ابن عبد الواحد الشيباني المعروف بابن الأثير الجزري، الطبعة الأولى بالمطبعة الأزهرية المصرية سنة ١٣٥١، ص. ١٢٥ (შემდეგში მოკლედ- „იმ ალ-ასირი“).

<sup>7</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩი ი შვილის რედაქციით), თბ., 1959, II, გვ. 6 და შმდ.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II, თბ., 1913, გვ. 553.

<sup>9</sup> ვ. ე. უ. ე. იმ ალ-ასირის თხზულების ამ ადგილს კითხულობს ასე: „Про-

მელიც თავისი ლაშქრითა და დიდძალი შოხალისით მაშინვე მოვიდა, ქართველებისაჲს დაიძრა, მათ შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცაო“<sup>9</sup>. მისივე ცნობით, შაჰ-არმენი მარტო 400 მხედრით გაქცეულა, სხვა დანარჩენები „ქართველების მეფეჲს მხოლოდ და დაატყვევაო“<sup>10</sup>. არაბი ისტორიკოსის ამ ცნობის სიზუსტე ტურდება ქართული და სომხური წყაროებით<sup>11</sup>, სადაც იგივე ამბავი შედარებით ვრცლადაა მოთხრობილი.

\* \* \*

შაჰ-არმენის დამარცხების შემდეგ ანისში მტკიცედ ფეხმოდგმულ ქართველთა მეფემ არზრუმზე გაილაშქრა. არაბი ისტორიკოსის ცნობით, ეს ლაშქრობაც 1161 წელს მომხდარა: „იმავე (556) წელს გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და არზან არ-რუმის მფლობელ მეფე სალთიკს ('ალის ვაჟიშვილს — ბ. ს.) შორის. ქართველებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაანადგურეს სალთიკის ლაშქარი. თვითონ სალთიკი შეიპყრეს და ტყვეობიდან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ, შაჰ-ბანუეარმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ხლათის მპყრობელ შაჰ-არმენ ბეს სუქმან ბენ იბრაჰიმ ბენ სუქმანს<sup>12</sup>, ქართველთა მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ძმის გაათავისუფლება სთხოვა“<sup>12</sup>.

\* \* \*

არზრუმელთა დამარცხებით მეფე გიორგი III-ს საშუალება მიეცა ღვინისაჲს დაეძრა ლაშქარი, რადგან მან კარგად იცოდა სტრატეგიული მნიშვნელობა ამ ქალაქისა და ციხე-სიმაგრისა, „აწ რომელ არს არარატიისა ძირსა ზღუარი სომხეთისა და აღარბაღავანისა“<sup>13</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობით, ღვინზე ლაშქრობა ქართველებს 1162 წლის ივლის-აგვისტოში უნდა მოეწყოთ: „557 წლის შაბანს ქართველები მუსლიმანთა წინააღმდეგ მოემზადნენ და 30.000-იანი

тив них (ქართველებს—ბ. ს.) Шах-Армен, сын Ибрахима, сына Сукмана, вызвал владетеля Хилата (Материалы по истории Азербайджана, გვ. 125). ტექსტის ასეთი გაგება არაა სწორი. შაჰ-არმენი თვითონ იყო ხლათის გამგებელი, რაც გარკვევით ჩანს თვით ეუზეს თარგმანიდანაც (იქვე, გვ. 126).

<sup>9</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6 — 10; Вардан Великий, Всеобщая история, М., 1861, გვ. 155.

<sup>12</sup> ე. ი. შაჰ-არმენი იყო იბრაჰიმ სუქმანის ძის შვილის (სუქმანის) შვილი.

<sup>13</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125—126.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 557.

ლაშქრით აზერბაიჯანში შეიჭრნენ. მათ იქ დაიკავეს ქალაქი დვინი, გაძარცვეს, დაატყვევეს მრავალი და ამოწყვიტეს დაახლოებით 10.000 კაცი<sup>14</sup>.

ქართულ წყაროში დვინის ბრძოლა ანისისა და მარზოუშის ამბებზე წინაა მოთხრობილი<sup>15</sup>. მაშასადამე, იგი უნდა მიხედვით არა 1162 წელს, როგორც ამას არაბი ისტორიკოსი ამბობს, არამედ 1161 წლის ივლის-აგვისტომდე, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება სომხური წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ გიორგი III-ს დვინი ანისის შემდეგ აუღია<sup>16</sup>. ამდენად, არაბი ისტორიკოსის ცნობის სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს<sup>17</sup>.

მართალია, გიორგი III-მ დვინი აიღო და ის თავის სამეფოს შემოუერთა, მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. როდესაც ქართველთა თავდასხმის ამბავი აზერბაიჯანის, ალ-ჯაბალისა და ისფაჰანის გამგებელმა შამს ად-დინ ილდეგიზმა შეიტყო, სასწრაფოდ ლაშქარი შეჰყარა. მას შეუერთდნენ ხლათის მფლობელი შაჰ-არმენ სუქმან კუტუბის ძე, მარადის პატრონი აყსანკორის ძე, აგრეთვე სხვებიც და როგორც კი სამზადისს მორჩა, 50.000-იანი ლაშქრით საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. იბნ ალ-ასირის ცნობით, „558 წლის საფარის თვეში (1163 წ. იანვარ-თებერვალი) ილდეგიზის ლაშქარი საქართველოს შემოესია, გაძარცვა იგი და დაატყვევა მრავალი ქალი, კაცი და ბავშვი. მის დასასჯელად გამოვიდა ქართველების ჯარი. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა. ორივე მხარე თავგამეტებით იბრძოდა, მაგრამ ბოლოს მუსლიმანებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს. დამარცხებული ქართველები უკუიქცნენ. მუსლიმანები მათ დაედევნენ და დიდად აზარალებდნენ. გამარჯვებული ილდეგიზი შინ გაბრუნდა და თან წაიღო აურაცხელი სიმდიდრე“<sup>18</sup>.

როგორც ირკვევა, ქართველების დამარცხების მიზეზი ლალატი და მეტისმეტი თავდაჯერებულობა ყოფილა. რომელიღაც ქართველი მუსლიმანთა მხარეზე გადასულა, გამაჰმადიანებულა და ილდეგიზისათვის უთქვამს: „თუ ლაშქარს მანდობ, მე წაიყვან მას ჩემთვის კარგად ცნობილი გზით და ქართველებს ისე წამოვადგები,

<sup>14</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5.

<sup>16</sup> Вардан Великий, დასახ. ნაშრომი, გვ. 155 — 156; მათე ურპაელი, ისტორია, გვ. 546 — 547 (ვიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით („ქართველი ერის ისტორია“ წ. I — II, გვ. 558).

<sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 558.

<sup>18</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—129.



ზურგიდან, რომ ვერაფერი გაიგონო<sup>19</sup>. ილდეგიზი ნღობია მის, ლაშქარი მიუცია და დღეც დაუთქვამს. თუ როდის უნდა დას-  
მოდნენ თავს ქართველების ბანაკს. „როდესაც ეს დღე დადგა და  
მუსლიმანებმა შეტევა დაიწყესო, — ამბობს იბნ ალ-ასირი<sup>20</sup> ქარ-  
თველები ისე იოლად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეს, [რომ] უკ-  
გამარჯვება აუცილებლად მათ უნდა რგებოდათ, მაგრამ სწორედ  
ამ გადამწყვეტ მომენტში ზურგს უკან გაისმა შეძახილები „ალაჰი  
დილია!“ და მუსლიმანთა რაზმები მოღალატე ქართველის წინა-  
მძლოლობით ქართველებს ეკვეთნენ. ზურგში მუსლიმანთა მოუ-  
ლოდნელმა გამოჩენამ ქართველთა რიგებში არეულობა გამოიწვია,  
ლაშქარი დაიფანტა და ბოლოს უკუიქცა... თავიანთი მრავალრი-  
ცხოვნების გამო გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებულ ქართვე-  
ლებს ღმერთმა გაუცრუა იმედი“, — დაასკვნის მემათიანე<sup>20</sup>.

არაბი ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმაზე, თუ სად მოხდა  
ბრძოლა ან რა ადგილები დაიკავეს მაჰმადიანმა ამირებმა, მაგრამ,  
ეტყობა, აქ იგულისხმება ის ბრძოლა, რომლის დროსაც მათ დაი-  
კავეს გაგი, ავიდნენ გელაქუნს და იქიდან ანისისაკენ წავი-  
დნენ<sup>21</sup>.

\* \* \*

1163 წლის ზამთარში ქართველებზე გამარჯვებამ საყოველ-  
თაო ზეიმი გამოიწვია მაჰმადიანურ ქვეყნებში. ისინი გათამამდნენ  
და საქართველოზე თავდასასხმელად ხელახალ მზადებას შეუდგ-  
ნენ, მაგრამ გიორგი III-მ დაასწრო მათ და ქართველთა დიდი ლაშ-  
ქარი აღმოსავლეთისაკენ დასძრა. თავდასხმის ობიექტი ამჯერად აზერ-  
ბაიჯანის ტერიტორია იყო. იბნ ალ-ასირის ცნობით, ეს ლაშქრო-  
ბა უნდა მომხდარიყო 1165 წლის ბოლოს ან 1166 წელს: „561  
წელს ქართველთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მუსლიმანების  
სამფლობელოში შეიჭრა და დაიკავა აზერბაიჯანი განჯამდე. [ქართ-  
ველებმა] მრავალი მუსლიმანი მოკლეს, ბევრი დაატყვევეს, ქვეყანა  
გაძარცვეს და უთვალავი სიმდიდრით უკან გაბრუნდნენ“<sup>22</sup>.

ქართულ წყაროებში ამგვარი ცნობა არ მოიპოვება. ისე კი  
ჩანს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ნაწილი იმ „უცხო ლაშქრობისა“,  
რომელიც 1163 წლის მარცხიანი ბრძოლების შემდეგ მოეწყო და  
რომლის დროსაც, სხვათა შორის, ამირსპასალარსა და სომხითართ

<sup>19</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>20</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 11—12.

<sup>22</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

ებრძანათ მორბევა ტერიტორიისა „მტყუარს აქეთ, ვიდრე განძამ-  
დის“<sup>23</sup>.

1165—1166 წლის ლაშქრობა აზერბაიჯანში და ათაბაგ შამს ად-დინ ილდეგიზის დამარცხება უდავოდ დიდქმედებად ითვლება. ამ ლაშქრობის შედეგად ილდეგიზი დაიხრებოდა „თვით შეხვეწნოდა“ გიორგი III-ს და ზავი ეთხოვა<sup>24</sup>. მანვე იკისრა შუამავლობა სულთან არსლან მაჰმუდის ძესა და ქართველ მეფეს შორის და დააზავა კიდეც ისინი. „შეიქმნა მშვიდობა... ეამ რაოდენიმე“<sup>25</sup>. შეწყდა მაჰმადიანთა გაუთავებელი თავდასხმები ანისზე, აქამდე 4 წლის მანძილზე რომ გრძელდებოდა. ის ქართველი მეფის ყმადნაფიც მაჰმადიან გამგებელს, არსლან მაჰმუდის ძეს გადაეცა სამართავად.

მ. ბროსესა და ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი მეფეს ანისი უნდა გადაეცა არსლანისათვის 1165 წელს<sup>26</sup>, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს ამბავი მოხდა შედარებით უფრო გვიან, დაახლოებით 1167 წელს. ამ დასკვნამდე მივყავართ ვარდანის იმ ცნობას, სადაც ნათქვამია: „1163 წელს საქართველოში ლაშქრობის შემდეგ ივერიელთა მეფის შიშით უკანვე გაბრუნებულმა ილდეგიზმა... ანისში მოიყვანა მაჰმუდის ძე სულთანი არსლანი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მოსვენებას აღარ აძლევდა ქალაქს და ამის გამო გიორგი მეფესაც სულ უფრო უძნელდებოდა მაჰმადიანობასთან ბრძოლა“<sup>27</sup>. თუკი მართლა არსლანი 4 წლის განმავლობაში სისტემატურად ესხმოდა თავს ანისს და ეს თავდასხმა დაზავების შემდეგ შეწყდა, როგორც ამას ქართული წყარო ამბობს<sup>28</sup>, მაშინ ზავი სულთანსა და ქართველ მეფეს შორის უნდა დადებულიყო არა 1165<sup>29</sup>, არამედ 1167 წელს.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, 1165/1166 წელს<sup>30</sup> მიმდინარეობდა ომი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ილდეგიზსა და ქართველებს შორის, რის გამოც აზერბაიჯანის ათაბაგი მაშინ სულთან არსლანისა და გიორგი

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 16.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 564.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

<sup>29</sup> როცა მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი ამ თარიღს ასახელებენ, ისინი 4 წელიწადს ანისის აღების (1161 წ.) დროიდან ანგარიშობენ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 564).

<sup>30</sup> 561 წელს ჰიჯრით (1165 წ. 1 ნოემბრიდან 1166 წ. 4 სექტემბრამდე).

III-ის მომრიგებლად ვერ გამოვიდოდა. მათ მომრიგებლად მისი გამოსვლა ბრძოლის დამთავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა ქართველების ლაშქარმა გამარჯვება მოიპოვა.

ქართული  
ბიბლიოთეკა

• • •

მაშინ, როცა საქართველოს სამეფო სულ უფრო ძლიერდებოდა და გიორგი III მეზობელ ქვეყნებშიც კი შიში და პატივისცემა დაიმსახურა, საკუთარ ქვეყანაში მის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ ჯერ საერო დიდებულები უფლისწულ დემნას მეტაურობით (1177 წ.), ხოლო მერმე სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენლები. ამ შინაურმა არეულობამ მეოთხედი საუკუნით შეაფერხა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამიტომ იბნ ალ-ასარიც სდუმს და 1166 წლის ლაშქრობის შემდეგ 1202 წლამდე საქართველოს შესახებ აღარაფერს წერს. ამ დროს კი საქართველოს უკვე განაგებდა თამარ მეფე, რომელმაც მოიგერია ყუთლუ-არსლანისა და სხვა დიდებულთა იერიშები, მეფის ხელისუფლების შეზღუდვას რომ ითვალისწინებდნენ, დაამყარა წესრიგი ქვეყნის შიგნით და მამისეული საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას შეუდგა. ამას ნაწილობრივ მოითხოვდა აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიც შარვანსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბული ვითარებაც. როგორც ცნობილია, ყიზილ არსლანის შემდეგ (1191 წ.) მისი ვრცელი სამფლობელო განაწილდა მის მემკვიდრეებს (ძმისწულებს) შორის. „უფროსსა ხუტლუ ინანჩის ხუვდა ერაყი ჭუარასნამდის და ბაბილოანამდის; შემდგომსა, ამირ-ბუბაქრს — აღარბადაგანი სომხეთამდის; და უმცროსსა, ამირ მირანს<sup>31</sup> არანი გურგანის ზღვით გელაქუნის ზღუამდე“<sup>32</sup>.

სამ ნაწილად გაყოფილი ილდეგიზიანთა სამეფოს თითოეული ნაწილის მფლობელი პირველობას იჩემებდა და თვალს მუდამ მეზობლის სახელოს მიტაცებაზე ეჭირა. ამ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლაში „სძლია შუალმან ამირა აბუ ბაქრმა, უფროსი ძმა აოტა და თვით დაჯდა ათაბაგად“. ამირ-მირანსაც რომ ხუტლუ ინანჩის ბედი არ სწოვდა, ამისათვის შირვანშაჰს შეესიძა, მაგრამ საფრთხე მაინც ვერ აიციდინა თავიდან. აბუ ბაქრი თვით შირვანშაჰს და მას დაესხა თავს და ორივე დაამარცხა<sup>33</sup>.

<sup>31</sup> ყიზილ არსლანის ძმის შვილებს შორის ყველაზე პატარას უზბეკი ერქვა (იხ. *Стенли Лен-Пауль, Мусульманские династии, 1899, გვ. 144*). მასსადაც ამირ-მირანი ასაკით აბუ ბაქრის მომდევნო უნდა ყოფილიყო.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 62—63; ივ. ჯავახიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 601.

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 63.

8. საქართველო რუსთაველის ხანაში

ვინაიდან შირვანშაჰი აღსართანი (გიორგი III-ის დისწვილი) ქართველების ყმადნაფიცი იყო, ამიტომ მან და მისმა სიძემაც ვანსაცდელის ეპის შეველა ქართველ მეფეს სთხოვეს და დასტურიც მალე მიიღეს. თამარმა და ქმარმა მისმა დავითმა „უბრძანეს უშვილი შევლისა და ხელის-აპყრობისა“, ლაშქარი შეჰყარეს და ანაჰურის დასასჯელად დასძრეს. როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, ბრძოლა ქართველებსა და აბუ ბაქრის ლაშქარს შორის უნდა გამართულიყო 1195 წელს შამქორში<sup>34</sup>. ქართველებმა ომი მოიგეს დაიკავეს შამქორი, განძა და დასვეს იქ „თავთავის ადგილას“ შირვანშაჰი აღსართანი და სიძე ამირმირანი<sup>35</sup>.

მიუხედავად სასტიკი დამარცხებისა, აბუ ბაქრი მაინც არ წყნარდებოდა და ნახიჩევანში თავშეფარებული ახალი ომისათვის ემზადებოდა. მას დახმარებას უწევდნენ მთელი რიგი მაჰმადიანი ქვეყნები, რადგან ომი ქართველების წინააღმდეგ იყო დაგეგმილი.


ხანგრძლივი სამზადისის შემდეგ აბუ ბაქრი თავის ლაშქრით განძისა და დვინის ასაღებად გამოსულა, მაგრამ, როგორც იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, „საქმეში ქართველების მეფის ჩარევის გამო“ მას წაღილი ვერ შეუსრულებია. ივანე მხარგრძელს მცირე რაზმით დაუმარცხებია იგი და 1196 წელს გელაქუნ-ამბერდი დაუკავებია, ხოლო 1201 წელს კი ბიჯნისიც<sup>36</sup>. ამასთან, როგორც იბნ ალ-ასირი ამბობს, ქართველებს მოუწყვიათ დიდი ლაშქრობა მუჰამედ ჯეჰან ფეჰლევანის ვაჟის, აბუ ბაქრის წინააღმდეგ და 1202 თუ 1203 წელს აზერბაიჯანში შეჭრილან: „599 წელს ქართველებმა დაიპყრეს ქალაქი დვინი აზერბაიჯანში, აიკლეს იგი და გაწყვიტეს მრავალი ხალხი. ქალაქსა და მთელ აზერბაიჯანს მამინ მართავდა ფეჰლევანის ვაჟი ამირა აბუ ბაქრი, კაცი ყოვლად უქნარა და ლოთი... როდესაც ქართველებმა ალყაში მოაქციეს დვინი, ქალაქის რამდენიმე მცხოვრები აბუ ბაქრს ეახლა და შეველა სთხოვა, ამირამ კი პასუხიც არ გასცა. ქართველებმა ისარგებლეს ამით. აიღეს ქალაქი და გაძარცვეს, მაგრამ დამთავრდა თუ არა ომი და ქართველებმა განიმტკიცეს მდგომარეობა ქალაქში, ისინი დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ იმათ, ვინც ომის შემდეგ ცოცხალი დარჩენილიყვნენ“<sup>37</sup>.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 607.

<sup>35</sup> ქართლის ცხოვრება II, გვ. 73.

<sup>36</sup> ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169. გელაქუნ-ამბერდისა და ბიჯნისის აღება მოთხრობილი აქვს ლაშა გიორგის ისტორიკოსსაც (ქართლის ცხოვრება I, გვ. 368).

<sup>37</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 85.



ქართულ წყაროში ეს ლაშქრობა მოხსენიებულია უთარილოდ და თანაც მხოლოდ სამი სიტყვით: «თამარ ჩავიდა დვინამდისათ»<sup>38</sup> ამიტომ არაბი ისტორიკოსის ცნობა ქართველთა მიერ დვინის აღების შესახებ მეტად საყურადღებოა. დვინი რომ ქართველებს წელს აუღიათ, ეს დასტურდება ვარდანის ცნობითაც, სადაც აღნიშნული ლაშქრობის თარიღად დასახელებულია აგრეთვე 652 (1203) წელი<sup>39</sup>.

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ქართველები „დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ იმათ, ვინც ომის შემდეგ ცოცხლები დარჩენილიყვნენო“. მაშასადამე, ქართველები რელიგიურ ომებს კი არ ჭადაგებდნენ, როგორც ამას ჩადიოდნენ მაჰმადიანები ქრისტიანების მიმართ, არამედ მტრულად განწყობილი ამირების დასჯა სურდათ. თავიანთ ყმადნაფიც ქვეყნებს კი დახმარების ხელს უწყვიდნენ და, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებსაც იფართოებდნენ. ამ მიზნით მათ 1204—1205 წელს დაულაშქრავეთ აზერბაიჯანი და სომხეთი, რაზეც იბნ ალ-ასირი წერს: „601 წელს ქართველები კვლავ შეიჭრნენ ისლამის სამყაროში აზერბაიჯანიდან, სადაც ჩაიდინეს ძალადობა, მოაწყვეს ძარცვა-რბევა, ნკრევა და წაიყვანეს მრავალი ტყვე. შემდეგ ისინი თავს დაესხნენ ხლათის მხარეს სომხეთში და ისე ღრმად შეიჭრნენ ამ ქვეყანაში, რომ მანასკერტამდე მივიდნენ. იმას იქით ისინი აღარ წასულან. ისე როგორც სხვაგან, მათ ეს ოლქებიც გაძარცვეს და დიდძალი ნადავლით შინისაკენ გაბრუნდნენ. იმავე წელს ისინი ხელმეორედ შევიდნენ ხლათის მხარეში, აიღეს არჯიში და წავიდნენ ატ-ტიხის ციხე-სიმაგრისაკენ, რომელიც იმყოფებოდა არზან არ-რუმის საზღვართან ახლოს“<sup>40</sup>. როგორც ჩანს, 1204/1205 წელს ქართველებს ორჯერ დაულაშქრავეთ ხლათის სასულთნო, დაუპყრიათ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი — არქეში, მანასკერტი, ატ-ტინი და უშუალოდ დამუქრებიან არზრუმის საამიროს. ცხადია, მუსლიმანი ამირები ამ ამბავს მშვიდად ვერ შეხვდებოდნენ და ვინაიდან ქართველებთან შებმას სათითაოდ ვერ ბედავდნენ, ხლათისა და არზრუმის გამგებლებს გადაუწყვეტიათ ერთად გამოსულიყვნენ ქართველთა წინააღმდეგ. „ხლათის მფლობელმა, რომლის შეიარაღებული რაზმები ქართველებთან შებმას ვერ ბედავდნენ და უკან იხევდნენ, — მოგვითხრობს არაბი მემატიანე, — შეკრიბა მთელი თავისი ძალები

<sup>38</sup> ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 77.  
<sup>39</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს 1204 წ. აქვს ნაჩვენები (დასახ. ნაშრომი, გვ. 609).  
<sup>40</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 95.

და, გარდა ამისა, დახმარება სთხოვა არზან არ-რუმის მმართველს, თორღულ-შაჰს, კილიჯ არსლანის ძეს. თორღულმა თანხმობა განუცხადა და თავისი ლაშქარი მეზობელს აახლა. ამრიგად, ხლათის გამგებელმა თავი მოუყარა დიდძალ ლაშქარს და ქართველების დასასჯელად დაიძრა.


იოლი გამარჯვებებით გათამამებულმა ქართველთა ლაშქრის სარდლობამ მუსლიმანთა იერიშები არაფრად ჩააგდო და ბოლოს სასტიკი დამარცხება განიცადა. ამ ბრძოლას შეეწირა მრავალი ქართველი, მათ შორის ჯარის სარდალი ზაქარია უმცროსი. უკუქცეულმა ქართველთა ჯარმა მტერს დაუტოვა მთელი თავისი იარაღ-საჭურველი, ცხენები და ნაალაფევი. თვითონ კი შერცხვენილი წავიდა სამშობლოში<sup>41</sup>. მაგრამ იმ ანგარიშით, რომ სულ მალე ისევ დაბრუნდებოდა. მართლაც იმავე ავტორის ცნობით, „602 (1205/6) წელს ქართველების მრავალრიცხოვანი ჯარი“ კვლავ სწვევია სომხეთს და ხლათის განთავისუფლება უცდია.

ხლათს მაშინ მცირეწლოვანი გამგებელი ედგა სათავეში და ქვეყნის მართვა არ შეეძლო, არც მისი მოადგილე იყო ისეთი კაცი, რომ თავისი სახელით მოქმედება შეძლებოდა. მას ჯარში ავტორიტეტი არ ჰქონდა და ანგარიშს არავინ უწევდა. ასეთი მდგომარეობით სარგებლობდნენ ქართველები, არბევდნენ ქვეყანას და აგროვებდნენ ნადავლს. ხლათელებმა გადაწყვიტეს აღმდგარიყვნენ ქართველთა წინააღმდეგ და ან ისინი გაეძევებინათ თავიანთი ქვეყნიდან ან თვითონ დახოცილიყვნენ. ამ რწმენით გაერთიანებულ მუსლიმანთა დიდი ლაშქარი ქართველებთან შესაბამელად დაიძრა, და როცა მათ მიუახლოვდა, შეჩერდა, უნდოდა მტრის განლაგება დაეზვერა. ქართველთა ლაშქარი ამ დროს ხევში გაშლილიყო, რომ შებინდებისას, მოახლოებულ მოწინააღმდეგეზე იერიში მიეტანა. მაგრამ მუსლიმანებმა დაასწრეს, ხევის თავ-ბოლო დაიკავეს, ქართველები შუაში მოიმწყვდიეს და ყოველი მხრიდან შეუტყეს. ქართველთა ლაშქარი მუსლიმანთა მოულოდნელი თავდასხმის გამო დაიბნა, მხნეობა დაჰკარგა, სასოწარკვეთილებას მიეცა და მოწინააღმდეგეს დანებდა. მუსლიმანებმა ხლათი გაათავისუფლეს<sup>42</sup>.

ქართულსა და სომხურ პირველწყაროებში ხლათისა და მანასკერტის ბრძოლებზე არაფერია თქმული, ამდენად არაბი ისტორიკოსის ცნობები ერთადერთია, რომლითაც შეიძლება თამარის ისტორიკოსის ნაშრომის ხარვეზის შევსება და საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის აღდგენა.

<sup>41</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 112.



\* \* \*

მაჰმადიანთა მიერ ხლათის დაკავებას და ქართველების ორგანიზაციის არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ემოქმედა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე, თუ იგი მდგომარეობის გამოსწორებას დროზე ვერ მოახერხებდა. ასეთი აუცილებლობა, აგრეთვე ერთმორწმუნე სომეხი ხალხის ინტერესებიც<sup>43</sup>, რომ თავი დაეღწიათ მუსლიმანთა ბატონობისაგან, ქართველებს კვლავ სამხრეთისაკენ უხმობდა და, მართლაც, როგორც იბნ-ალ-ასირი ამბობს, „603 (1206/7) წელს ქართველთა მეფემ დალაშქრა ხლათი, ალყა შემოარტყა ყარსის ციხე-სიმაგრეს და ძლიერ შეავიწროვა ისინი, ვინც მას იცავდა. ციხისთავმა არაერთხელ მიმართა ხლათის გამგებელს. დახმარება გაეწიათ მეციხოვნეთათვის, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა; მაშინ ადგა და დაუზავდა ქართველებს, რომლებსიგანაც ყარსის ჩაბარებისათვის მიიღო დიდძალი ფული. ამრიგად ეს მხარე შეუერთდა საქართველოს“<sup>44</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობის სისწორე მთლიანად დასტურდება ქართული და სომხური წყაროებით<sup>45</sup>. ვარდანი<sup>46</sup>, ისე როგორც იბნ ალ-ასირი, ქართველების ლაშქრობას ყარსში ათარიღებს 655 (1206) წლით<sup>47</sup>. ყარსის გადასვლა ქართველთა ხელში ისეთივე დიდი მარცხი იყო მუსლიმანთათვის, როგორც ანისის დაკარგვა, რადგან ამიერიდან მათ დაკარგეს საქართველოზე თავდასხმის მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი და ქართველებს გზა გაუხსნეს სამხრეთისაკენ სალაშქროდ.

\* \* \*

ქართველთა წარმატებები ყველა მაჰმადიან ამირას, ათაბაგსა და სულთანს აწუხებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც რუმის სულთანს უკარგავდა მოსვენებას. საქართველოს სამეფოს გაძლიერება შეუძლებელს ხდიდა სულთანის ზრახვების სისრულეში მოყვანას, დაუსტებელი ბიზანტიის შავი ზღვის სამხრეთ სანაპი-

<sup>43</sup> История армянского народа, Ереван, 1951, ч. I, гл. 159, 161.  
<sup>44</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 119.  
<sup>45</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92; ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.  
<sup>46</sup> ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

<sup>47</sup> თუ არაბი და სომეხი ისტორიკოსების მიერ ყარსის ბრძოლის შესახებ მოცემული თარიღის სისწორეს სადავოდ არ გავხდით, მაშინ უნდა შესწორდეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს სათანადო ადგილი, სადაც ეს ამბავი დათარიღებულია 1204 წლით (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958 წ. I, გვ. 207).

რო ტერიტორიის მიტაცების შესახებ<sup>48</sup>. სწორედ ამ გარემოებათა გამო რუქნ აღ დინმა იკისრა ქართველი ქრისტიანების მოსპობისა და მუსლიმანთა ხსნის მისია, რის განსახორციელებლადაც დიდალაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა, მაგრამ *გეოგრაფიკული* სატიკად დამარცხდა და უკუიქცა.

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, ბასიანის ომი რუქნ აღ-დინსა და ქართველებს შორის მომხდარა 602 წელს ჰიჯრით<sup>49</sup> (1205 წ. 18 აგვისტო—1206 წ. 7 აგვისტო). ამ ბრძოლის თარიღის გამო ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რაკი ქართველი ისტორიკოსისა და იბნ აღ-ასირის მოწმობით ეს ბრძოლა კარის აღებისა და დაპყრობის შემდეგ მომხდარა, ამიტომ უეჭველი ხდება, რომ რუქნ აღ-დინთან ომი ქართველებს 1206 წ. უნდა ჰქონოდათ“<sup>50</sup>. მაგრამ ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ იბნ აღ-ასირთან ასეთი ცნობა არ გვეგულება, ხოლო ქართულ წყაროში ყარსისა და ბასიანის ბრძოლები შესაძლებელია ისევე იყოს არეული, როგორც დვინისა და ანისის ომები. ანდა ეგების აქ საუბარია ყარსის სხვა რომელიმე ბრძოლაზე, რომელიც შეიძლება მართლაც წინ უსწრებდა ბასიანის ამბებს, თორემ რუმის სულთან რუქნ აღ-დინის ლაშქრობა საქართველოზე ნამდვილად უნდა მომხდარიყო ქართველების მიერ ყარსის დაპყრობაზე (1206 წ.) გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 1203-1204 წლებში. ამას გვაფიქრებინებს იბნ აღ-ასირის ნაშრომის ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „600 წლის ზულკადას (1204 წ. ივლისი) რუქნ აღ-დინ კილიჯ არსლანის ძე გარდაიცვალა და მეფედ გახდა მისი ვაჟი“<sup>51</sup>. რუქნ აღ-დინის ლაშქრო-

<sup>48</sup> История армянского народа, Ереван, 1951, ч. I, გვ. 162.

<sup>49</sup> Hamdullah Mustaf-i Qazwini, *Tariche Gozide*, (ე. ჯანტენის გამოცემა), წ. 1, გვ. 344—345; საქართველოს ისტორიის წყაროები, სერია IV, ირანელი ავტორები ისთახრი, ჰოდუდ აღ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუტურაძისა (სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1937, გვ. 33).

<sup>50</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1948, გვ. 278.

<sup>51</sup> იბნ აღ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91. რუქნ აღ-დინის გარდაცვალების შესახებ ასეთსავე ცნობებს იძლევა აგრეთვე ნასირ აღ-დინ იაჰია თავის „სელჯუკ-ნამეში“ (იხ. Charles Schefer, *Quelques chapitres des l'abregé de Seldjong Nameh, composé par l'emir Nassir eddin Iahia: Recueil de textes et de traductions publié par les professeurs Vivantes à l'occasion du VIII-e Congrès international des orientalistes tenu à Stockholm en 1889, Paris, MDCCCXIX, tome premier*, სპარსული ტექსტი, გვ. 79—81, ფრანგული თარგმანი გვ. 38—42. ვიმოწმებთ ივ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 279). შდრ. ვლ. გორდლეცკის „Государство Сельджуки до Малой Азии“, М.—Л., 1941, გვ. 27. სტენლი ლეინ ჰელთან რუქნ აღ-დინი გარდაცვლილი ჩანს 1203 წელსაც (Мусульманская династия, СПб., 1899, გვ. 128).



ბა საქართველოზე რომ ნამდვილად წინ უსწრებდა ქართველების მიერ ყარსის დაპყრობას, ამას ზ. ავალიშვილიც ადასტურებს. მისი თქმით, ფრანგი რაინდის—დე ბუას უზომო სიხარული გამოიწვია ქართველების მიერ კარის აღებამ და უფრო მეტად კი ~~ქართვლებს~~ რომელშიც უფრო ადრე სასტიკად დამარცხდა რუმის ~~სულთანს~~ რუქნ აღ-დინიო<sup>52</sup>.

რაკი ირკვევა, რომ რუქნ აღ-დინის გალაშქრებას საქართველოზე ადგილი ჰქონია ქართველთა მიერ ყარსის დაპყრობამდე და რუქნ აღ-დინი 1204 წელს გარდაიცვალა, მაშინ ბასიანის ომი უნდა მომხდარიყო იმავე (1204)) წელს ან ცოტა ადრე, 1203 წელს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს „სომხეთის ისტორია“, სადაც ნათქვამია: „რუმის სულთანმა რუქნ-ედ-დინმა დაიპყრო რა 1201 წ. ვანანდის მოსაზღვრე კარინისა და ერზინკის საემიროები, იწყო მზადება საქართველოზე გასალაშქრებლად. მას უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო ქართული ძლიერებისათვის, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო დასუსტებული ბიზანტიის შავიზღვისპირეთის ხელში ჩაგდება. რუქნ-ედ-დინი უზარმაზარი ლაშქრით კარინიდან ბასიანის ველსაყენ გაემართა. აქ მას შეხვდა... ამირსპასალარი ზაქარია... და სასტიკად დაამარცხა... ბასიანის ველი გაათავისუფლეს სელჩუკებისგან. საქართველოს სახელმწიფოს გავლენა გავრცელდა ლაზისტანსა და ტრაპიზონზე“<sup>53</sup>. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, რუქნ აღ-დინმა გაილაშქრა საქართველოზე ტრაპიზონის საკეისროს შექმნამდე. სწორედ ამ დასკვნამდე მიდის ა. გამყრელიძეც, რომლის დაკვირვებითაც რუქნ აღ-დინი ტრაპიზონის საკეისროს ჩამოყალიბებისას უკვე დამარცხებული უნდა ყოფილიყო<sup>54</sup>, თორემ ის შავი ზღვის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას უომრად არავის დაუთმოზდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ რუქნ აღ-დინთან ომი ქართველებს ჰქონიათ არა 1206 წელს (ყარსის დაპყრობის შემდეგ), არამედ შედარებით უფრო ადრე — 1203-1204 წლებში, ტრაპიზონის საკეისროს შექმნამდე.

<sup>52</sup> ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 141.

<sup>53</sup> История армянского народа, Ереван, 1951, ч. I, გვ. 162.

<sup>54</sup> ა. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების „ზოგიერთი საკითხი („კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 247—257).

რაც მშვენივრად დასტურდება თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობებითაც<sup>55</sup>.

ქართული

რუქნ აღ-დინის მარცხმა იმდენად ჩააფიქრებდა დაწარჩენე მკამდიანი ამირები, რომ მათ გადაწყვიტეს ტაქტიკის შეცვლა და ქართველთა წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის ნაცვლად სომხეთის ტერიტორიის იმ ნაწილის შეერთება განიზრახეს, რომელიც საქართველოს საზღვრებთან იყო. ასე მოიქცა, მაგალითად, მაიაფარიკინის (ქალაქი და ოლქი მესოპოტამიაში) გამგებელი ადილ აბუ ბაქრ აიუბის შვილიშვილი, ავჰად ნეჯმ აღ-დინ აიუბი, რომელმაც იბნ ალ-ასირის თქმით, 604 (1207/1208) წელს ხლათის დაპყრობა განიზრახა და ქალაქ მუშისაკენ დაიძრა. მუში და მთელი ხლათის მხარე იმ ხანად ტახტზე ახალ აღზევებულ მეფე ბალბანის ხელთ იყო. მაგრამ მას იქ თავისი ხელისუფლების განმტკიცება ჯერ ვერ მოესწრო, რამაც ნაჯმ აღ-დინს რამდენადმე გაუადვილა ბრძოლა. ამ უკანასკნელმა სრულიად თავისუფლად დაიკავა მუში ახლომხლო რაიონებითურთ და უშუალოდ ხლათისაკენ გასწია, მაგრამ ბალბანმა სასტიკი დამარცხება აგემა მას და აიძულა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

მაიაფარიკინს დაბრუნებული ნეჯმ აღ-დინი კვლავ საომარ მზადებას შეუდგა. მან დახმარება სთხოვა თავის მამას, აბუ ბაქრს, რომელმაც მას უარი არ უთხრა, ვაჟს არმია მიაშველა. ნაჯმ აღ-დინმაც დიდხანს აღარ დააყოვნა. 604 (1207/1208) წელსვე მან დიდძალი ლაშქრით მეორედ გადალახა ხლათის საზღვარი, სძლია ბალბანის ლაშქარს და დაეუფლა მის ქვეყანას.

ხლათის ციხე-სიმაგრეში თავშეფარებულმა ბალბანმა დახმარება სთხოვა არზრუმის გამგებელს, მულის აღ-დინ თორღრულ-შაჰს კილიჯ არსლანის ძეს. თორღრულ-შაჰი დიდი ხანია თვითონ ოცნებობდა ხლათის მიტაცებაზე. ამიტომ, რაკი ახლა საბაბი იშოვა, დაუყოვნებლივ ბალბანს ეახლა. ორივემ ერთად გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს მოწინააღმდეგე და უკუაქციეს. მულის აღ-დინ თორღრულ-შაჰისა და ბალბანის ლაშქარი მუშს გარს შემოადგა და ის იყო იგი უნდა გაეთავსუფლებინათ, რომ ან დროს თავი იჩინა არზრუმის გამგებლის ვერაგობამ. მან მოკლა ბალბანი, რათა თვითონ დაპატრონებოდა ხლათის საამიროს, მაგრამ მიზანს ვერ მიადწია. მუხანათური საქციელისათვის ის ხლათის მოსახლეობამ

<sup>55</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება ზეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 132—139, 142 და 143.

არ დაინდო, გაჰკიცხა და გააძევა. ხლათი კი ნეჯმ აღ-დინს გადას-  
ცეს საგამგებლოდ.

ქ. ხლათის მოსახლეობის ამ გადაწყვეტილებამ ოლქის მთელი  
მოსახლეობის გულისწყრომა და საყოველთაო აჯანყება გამოიწვი-  
ა აჯანყებულებმა დაიკავეს ვანი და არქეში. მათ მიეშველნენ ქა-  
ველები, რომლებმაც აიღეს ხლათიც და ჩააბარეს აჯანყებულთ.  
მაგრამ ამ უკანასკნელთ ის ვერ შეინარჩუნეს. ნეჯმ აღ-დინმა ქა-  
ლაქი დაიბრუნა და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს: „აჯანყე-  
ბის ჩაქრობის შემდეგ ხლათში ცოტა ხალხი დარჩაო“, — აღნიშნავს  
იბნ ალი-ასირი<sup>56</sup>. მისივე ცნობიდან ირკვევა, რომ ხლათში საშინე-  
ლი ანარქია დაწყებულია: „ამ ამბების შემდეგ ხლათის მცხოვრებნი  
მეტად დამცირებული იყვნენ და დაიწყო უთანხმოება ახალგაზრ-  
დობაში. მათ იწყეს ერთი მეფის გამეფება და მეორის მოკვლა,  
რადგან... ანარქია სუფევდაო“<sup>57</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის აშკარა მანიშნებელია, რომ  
სომხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ სელჩუკიანთა საამირო—  
სასულთნოებს შორის გამუდმებულმა ბრძოლებმა მეტად მძიმე  
მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის მოსახლეობა. მაშასადამე, საჭირო  
იყო ძალა, რომელიც ალაგმავდა თვითნებობას და იხსნიდა ხალხს  
გადაშენებისაგან. ასეთ ძალას მაშინ, XIII ს. დასაწყისში, წარმო-  
ადგენდა სომეხი ხალხის ერთმორწმუნე საქართველოს ძლიერი სა-  
მეფო. განსაცდელის ეჟამს სომეხი ხალხი ყოველთვის მას მიმართავ-  
და დახმარებისათვის<sup>58</sup>. როგორც იბნ ალი-ასირი ამბობს, ქართვე-  
ლები მხარს უჭერდნენ ნეჯმ აღ-დინის წინააღმდეგ ამბოხებულ  
სომხებს, ხოლო როცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სელჩუკიან-  
მა ამირამ ამბოხება სისხლში ჩაახრჩო, მაშინ ქართველები სერიო-  
ზული ბრძოლისათვის მოემზადნენ. არაბი ისტორიკოსის ცნობით,  
„605 (1208/9) წელს ქართველთა დიდი ლაშქარი ხლათში შეიჭრა  
ნაჯმ აღ-დინის შესამუსრავად. ქართველების ჯარმა, რომლის შე-  
მადგენლობაში ბევრი სომეხიც იბრძოდა, იერიში ქ. არჯიშზე მი-  
იტანა. მათ შეტევას მეციხოვნე რაზმმა ველარ გაუძლო და ფარხმა-  
ლი დაჰყარა“<sup>59</sup>.

არქეშის დაკავების შემდეგ ქართველთა ლაშქარი ხლათისაკენ  
წასულა და გარს შემორტყმია, მაგრამ მეტისმეტი წინდაუხედაო-  
ბის გამო მშვენივრად დაწყებული ლაშქრობა წაუგიათ. იბნ ალი-ასი-

<sup>56</sup> იბნ ალი-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 126—128.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> История армянского народа, Ереван, 1951, ч. I, гв. 159, 161.

<sup>59</sup> იბნ ალი-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

რი არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რაში გამოიხატებოდა ქართველთა წინლაუხედაობა და მეტისმეტი თამამი მოქმედება. მაგრამ ამას სხვა ავტორებიდან ვგებულობთ. XIII ს. მეორე ნახევარში მოღვაწე ცნობილი არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი აბულ-ფიდა ქართველთა ბრძოლის წაგების მიზეზად ამიროსასსაქსასსაქსანე მხარგრძელს ასახელებს. „ქართველების მეფემ (უნდა იყოს „სარდალმა“ — ბ. ს.) დალია, დათვრა და სიმთვრალემ შთააგონა მას ოციოდე მხედრით წასულიყო ხლათისაკენ. მუსლიმანები გამოეგებნენ მას, დაატყვევეს და თავიანთ მეფე ალ-ავჰადს მიჰგვარესო“, — ამბობს აბულ-ფიდა<sup>60</sup>. მისგან განსხვავებით, კირაკოს განძაკელა ქართველთა მარცხისა და ივანეს დატყვევებას რამდენადმე სხვაგვარად აღწერს: „ხლათის კედლებთან სეირნობის დროს ივანეს ცხენს ფეხი ჩაუვარდა ორმოში, წაიფორხილა, პატრონი გადმოვარდა და იქვე ჩასაფრებულმა მუსლიმანებმა შეიპყრეს“<sup>61</sup>. ივანეს დატყვევება ზაქარია ყაზვინისაც აქვს მოხსენიებული. იგი წერს: „ალ-მალიქ ალ-ავჰადის დროს ხლათის ასაღებად მოვიდნენ ქართველნი და მის ახლოს დაბანაკდნენ, რომ გარს შემორტყმოდნენ. ქალაქს გვერდით მდინარე ჩაუდიოდა და ზედ ხიდი იღო. ხლათელებმა ხიდი აპყარეს და თივა გადააფარეს, რომ ხიდზე შემდგარი ქართველები წყალში ჩაცვენილიყვნენ. თვითონ ხიდქვეშ მიიმაღნენ და მოემზადნენ დაეტყვევებინათ, ვინც ძირს ჩავარდებოდა. ქართველთა მეფეს, ივანეს ერთი გამოჩენილი ვარსკვლავთმრიცხველი ჰყავდა... მისი წინასწარმეტყველება ყოველთვის მართლდებოდა. ამ კაცმა უთხრა ივანეს: „შეჯექ ცხენზე და დაჰკარი მტერს! ამ საღამოს ხლათის ტახტზე აბრძანდებიო. ივანე მართლა წამოდგა და თუმცა ნასვამი იყო, მაინც ცხენზე შეჯდა, ხიდზე პირველი შედგა და წყალში ჩავარდა. მას მტრები შემოეხვივნენ და დაატყვევეს“<sup>62</sup>. როგორც ვხედავთ, ზაქარიას ეს ცნობა თითქმის მთლიანად ადასტურებს აბულ-ფიდას ცნობის სისწორეს და ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის ყველაზე სანდო უნდა იყოს<sup>63</sup>.

როგორც უკვე ვთქვით, იბნ ალ-ასირს ხლათის გარემოცვის

<sup>60</sup> *أبي الفداء من كتاب المختصر في أخبار البشر، الطبعة الأولى بالمطبعة الحسينية المصرية، ج-٢، ص-١١٣.*

<sup>61</sup> კირაკოს განძაკელი, ისტორია, გვ. 180.

<sup>62</sup> *Geographica Caucasia von Dr. Bernh. Dorn. SPb., 1847 (in: Memoires de l'Académie Impériale des Sciences de St. Petersburg, VI-me Serie, tome IV. გვ. 30 — 31).*

<sup>63</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 622.

თარიღი არ აქვს დასახელებული. აბულ-ფიდა კი ხლათში ქართ-  
ველთა ამ ლაშქრობის თარიღად სდებს 607 (1210/1211) წელს<sup>64</sup>.  
არაბი ავტორის ამ თარიღს იზიარებს ივ. ჯავახიშვილიც<sup>65</sup>. მაგრამ  
ვფიქრობთ, რომ ის არ უნდა იყოს ზუსტი, რადგან არქეოლოგებმა<sup>66</sup>  
და ხლათის გარემოცვა წინ უსწრებდა არდებილის სუღრანს<sup>67</sup>.  
ქრობას ანისში და ამ ლაშქრობის საპასუხოდ ქართველთა ლაშქ-  
რობას არდებილში<sup>68</sup>. ხოლო ეს ორი ლაშქრობა (ანისისა  
და არდებილის) მომხდარა 1209 და 1210 წლებში<sup>69</sup>. მაშასადამე  
ხლათის გარემოცვა ქართველთა მიერ მომხდარა არა 1210/1211  
წელს, არამედ უფრო ადრე, 1208 ან 1209 წელს<sup>68</sup>. ამრიგად, არდე-  
ბილში ქართველთა ლაშქრობის თარიღად 1208 წელი<sup>69</sup>, რომელიც  
მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, დაზუსტებას საჭიროებს.

1209 წელს, ამირსპასალარ ივანეს დატყვევების შემდეგ, ქარ-  
თველებს ბრძოლა შეუწყვეტიათ და ხლათის გამგებელს დაზავებიან,  
რის შესახებაც არაბი ისტორიკოსი იტყობინება: დატყვევებულმა  
სარდალმა ხლათის მეფეს, ალ-ავჰადს უკან დაუბრუნა რამდენიმე  
ციხე, გაათავისუფლა ხუთი ათასი ტყვე, აღუთქვა ასი ათასი დინა-  
რი, დაუზავდა ოცდაათი წლით და პირობა მისცა, რომ მიათხოვებ-  
და თავის ქალიშვილს. ალ-ავჰადმა მიიღო ეს პირობები და დაზავე-  
ბის შემდეგ იგი გაათავისუფლდა<sup>70</sup>. ეს ამბავი მოთხრობილი აქვს  
ზაქარია ყაზვინისაც, რომლის მიხედვით ივანე მუსლიმანებს უნდა  
დაზავებოდა იმის შიშით, რომ ქართველებს სარდლად სხვა არ და-  
ესვათ და თანამდებობა არ დაკარგვოდან: ივანემ უთხრა — „თუ  
ჩემი გათავისუფლება გინდათ, აჩქარდით, ვიდრე ქართველებს არ  
შეუტყვევიათ ჩემი ტყვედ ჩავარდნა და ჩემს ადგილას სხვა არ დაუს-  
ვამთო“<sup>71</sup>.

64 აბულ-ფიდა, დასახ. თხზულება, გვ. 113.

65 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 622.

66 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130; ვარდანი, დასახ. ნაშრო-  
მი, გვ. 171—172; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261—83.

67 იბნ ბაშიტი (დეფტერმერი. **Frag.** 520. შენიშვნა I; ვარდანი, დასახ.  
ნაშრ. გვ. 171; *История армянского народа*, გვ. 162.

68 სენ-მარტენიც ამ თარიღს ასახელებს და თან დასძენს: „ეს იმავე ხანებ-  
ში მოხდა, როცა აგრე უბედურად დაიღუპა ხლათზე წასული ივანეს მხედრობით  
(*Mémoires Historiques et Géographiques sur d'Arménie par M. I. Saint-  
Martin, Paris, 1818, tome I, გვ. 382*).

69 იბ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 630; საქართველოს ისტო-  
რია გვ. 204.

70 აბულ-ფიდა, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

71 *Geographica Caucasica von Dr. Bernh. Dorn.* გვ. 31.

ხლათის ზავით დასრულდა ქართველთა გამათავისუფლებელი ლაშქრობა სომხეთში, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მანასკერტამდე და ცახჯანცის მთებამდე გაიწმინდა სელჩუკიანებისაგან. ჩრდილოეთ სომხეთი, კერძოდ, ანისის, ტაშირ-ძორაგეტისა და სიუნიკის ყოფილი სამეფონი, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. წყადა ომები, აღსდგა მშვიდობა, მაგრამ სულ მალე მშვიდობა ისევ ომებით შეიცვალა. დაირღვა აზერბაიჯანის ის კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რასაც იბნ ალ-ასირის ცნობით, ადგილი ჰქონდა ქართველთა მეფის ასულზე აბუ ბაქრის ქორწინების შემდეგ, ე. ი. 1205 წლიდან<sup>72</sup>, და არდებილის სულთანმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ამას მოჰყვა ქართველების საპასუხო ლაშქრობა ჯერ აზერბაიჯანში (1210), ხოლო მერმე ხორასანში.

ორივე ეს ლაშქრობა, რომელიც ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა, იყო დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რამაც კიდევ უფრო ასწია საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და აჩვენა, რომ აღარც აღმოსავლეთით და აღარც სამხრეთით მისი წინსვლის შემაჩერებელი ძალა აღარ არსებობდა. ამიტომ ამ ლაშქრობებს უნდა მოჰყოლოდა უფრო ფართო დაპყრობითი ოპერაციები, რომ შეცვლილ ვითარებას, კერძოდ, ჯერ თამარის სიკვდილს, ხოლო მერმე მონღოლებისა და ხვარაზმელების გამოჩენას ეს საქმე საბოლოოდ არ ჩაეშალა. თუმცა თამარის სიკვდილს აქ იმის მიხედვით ვასახელებთ, როგორც თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშია პირობითად მიღებული, თორემ ისე კი იგი ამ დროს კარგახნის გარდაცვლილი ჩანს.

\* \* \*

იბნ ალ-ასირის ცნობით, თამარი 603 (1206/7) წელს გარდაცვლილა: ქართველთა მიერ ყარსის აღების და მუსლიმანთა გაწყვეტის შემდეგ „ყოვლის უზენაესმა ალაჰმა იხილა რა ისლამის მომხრეთა სიმცირე, — ამბობს ალ-ასირი, — თვითონ იკისრა მისი მფარველობა, მოკლა ქართველთა დედაფალი, ჩამოაგდო უთანხმოება მათ შორის და იხსნა [მუსლიმანები] მათი ცუდი საქციელი-საგან წლის დასასრულამდე“<sup>73</sup>. არაბი მემატრიანის ამ ცნობას ქარ-

<sup>72</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., ტ. XII, გვ. 112—113.

<sup>73</sup> ثم ان الله تعالى نظر الى قلة ناصر الاسلام فتولاه فامات ملكة الكرج و اختلفوا فيما بينهم و كفى الله شرهم آخر السنة (ج-١٢, ص-١١٩).

აული და სომხური წყაროებიც ეთანხმებიან. ლაშა გიორგის ისტორიკოსის თქმით, თამარი თავისი მეფობის ოცდამესამე წელს გარდაიცვალა: „მეფობასა შინა დაჰყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისაო“<sup>74</sup>. კ. კეკელიძის აზრით, ეს ცნობა მართლაც მეორე ქმრის დავით სოსლანის გარდაცვალებას უნდა ეხებოდეს. მკვლევარი ფიქრობს, რომ ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსის ტექსტი თავდაპირველად იკითხებოდა ასე: „მეფობასა შინა თამარისსა დაჰყო დავით სოსლანმა ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა...“<sup>75</sup>, მაგრამ წყაროს ცნობის ამგვარი წაკითხვა, ჩვენი შეხედულებით, რამდენადმე ხელოვნურად გამოიყურება. „ისტორიანისა და აზმანის“ მიხედვით დავით სოსლანს ბასიანის ბრძოლის შემდეგ დიდხანს აღარ უტოცებია<sup>76</sup>. ბასიანის ომი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1204 წელს აქვთ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაშასადამე დავითიც იმ ხანებში, დაახლოებით 1204-1205 წლებში უნდა მომკვდარიყო. ამას ადასტურებს ქართლის ცხოვრების ერთი ადგილიც, სადაც ნათქვამია: გიორგიმ სიცოცხლესავე თამარისსა დაიდგა გვირგვინი<sup>77</sup> და იყო მაშინ წლისა ათ-სამ-მეტისა<sup>78</sup>. რაკი გიორგიმ გვირგვინი მეფისა 13 წლისამ დაიდგა და ვიცით, რომ ის 1192/3 წელსაა დაბადებული, ამიტომ გვირგვინი მისთვის 1205 წელს უნდა დაედგათ<sup>79</sup> მამის გარდაცვლის შემდეგ. თამარი მაშინ 21 წლის გამეფებული იყო (1184+21=1205) და არა 23 წლისა.

ასე რომ, ჩვენი აზრით, ლაშა გიორგის დროინდელი მემატია-ნის ცნობა ზუსტი უნდა იყოს და ეხება არა დავით სოსლანის, არამედ თამარის გარდაცვალებას, რაც მისი მეფობის ოცდამესამე ანუ 1207 წელს მომხდარა, ყარსის ალების შემდეგ. ამას სხვათა შორის ადასტურებს აფხაზური ქრონიკის ერთი კვინკლოსიც, სადაც წერია: „ქრონიკონსა: უკზ: (427) დასაბამითავან: ხყია: (6811) ამას წელსა კარი აიღეს და თამარ დედოფალი გარდაიცვალა“<sup>80</sup>.

<sup>74</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

<sup>75</sup> კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ელა ტექსტის აღდგენისა, თბ., 1941, გვ. 40—41.

<sup>76</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100.

<sup>77</sup> ე. ი. ვახტა თამარის თანამოსაყდრე.

<sup>78</sup> ქართლის ცხოვრება II, გვ. 151.

<sup>79</sup> ეს დასტურდება იოანე ბაგრატიონის ცნობითაც, სადაც ლაშა გიორგი 1205 წელს უკვე მეფედ იხსენება (კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისი, 1956, ტ. I, გვ. 294).

<sup>80</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1948, წ. II, გვ. 280—281; თ. ქორღანია, ქრონიკები, წ. 1, გვ. 294.

თამარი რომ ყარსის ბრძოლის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ეს თვით თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდანაც კარგად ჩანს<sup>81</sup>.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოაღნიშნულ წყაროში თამარის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1207 წელს<sup>82</sup>. მაგრამ „ისტორიანსა და აზმანში“ თამარი ამის შემდეგაც ცოცხალი ჩანს. ამ წყაროს ცნობით თამარ მეფე დიდოელთა და ფხოველთა ამბოხების ჩაშობის შემდეგ უნდა გარდაცვლილიყო<sup>83</sup>. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს ყველაზე სანდო ცნობა უნდა იყოს და ამიტომ მან, ამის საფუძველზე, თამარის გარდაცვალების დროდ პირობითად მიიჩნია 1213-1214 წლები<sup>84</sup>, რაც შევიდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოშიც და მიღებულია დღესაც. მაგრამ თვით „ისტორიანსა და აზმანზე“ და სხვა ახალ მიკვლევულ ცნობებზე დაკვირვება უფლებას გვაძლევს ეპვის ქვეშ დავაყენოთ ამ თარიღის სისწორე.

მართალია, „ისტორიანი და აზმანი, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „საზოგადოდ შინაარსიანი თხზულებაა (და) ამ მხრივ იგი არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება“<sup>85</sup>, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ თხზულებაში დარღვეულია თანმიმდევრობა ისეთი ამბებისა, როგორცაა, მაგალითად, ანისისა და დვინის, აგრეთვე ბასიანისა და ყარსის ბრძოლები; თითქმის მთლიანად გამოტოვებულია ქართველების მიერ არჭეშის, მნასკერტის ალებისა და ხლათში ივანე მხარგრძელის დატყვევების ამბები; თითქმის არსად არ არის მითითებული თარიღი და სხვ. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ეს თხზულება თამარის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი, როცა მის ავტორს არათუ ამა თუ იმ ამბის თარიღი, არამედ თვით ამბების თანმიმდევრობაც აღარ სცოდნია. ამიტომ ასეთი წყაროს მონაცემებს, თუ ისინი სხვა წყაროებით არ დასტურდება, არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. განსაკუთრებით ითქმის ეს მასში მოცემული იმ ცნო-

<sup>81</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143—144, 150.

<sup>82</sup> მათგან განსხვავებით საეკლესიო მუზეუმის 1233 წლის ეტრატის ხელნაწერში (№ 85) თამარის გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1206 წელი (თ. ეორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 294).

<sup>83</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 112.

<sup>84</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 634, კ. კეკელიძე თამარის გარდაცვალების თარიღად 1215—1216 წ. ასახელებს (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ცდა ტექსტის აღდგენისა, გვ. 42—43).

<sup>85</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 241; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 014.



გების მიმართ, რომლის მიხედვითაც თამარი დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების შემდეგ უნდა გარდაცვლილიყო. ამ ცნობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ არა მარტო ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი წყაროები, არამედ სხვა მონაცემებიც. მაგალითად ვასილანის ცნობით, რომელიც გამოუყენებიათ მ. ბროსეს<sup>86</sup> და სენ-პარტენს<sup>87</sup>, თამარი 1207 წელს გარდაცვლილა<sup>88</sup>. თამარი რომ 1209-1210 წლებში ცოცხალი აღარ იყო, ეს ჩანს მისი თანამედროვე მხრითარ აირივანცის ცნობიდანაც, სადაც ვკითხულობთ: „გარდაიცვალა თამარი და გამეფდა ვაჟი მისი ლაშა, რომელმაც მოაწყო თავდასხმა არეშზე და ვარაგზე, (ხოლო) სპარსელების ქვეყანაში<sup>89</sup> ის ზრეხამდე მივიდა“<sup>90</sup>.

თამარის გარდაცვალების თარიღის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ფრანგი რაინდის დე ბუას ცნობას, რომელიც, მართალია, ძირითადად ლაშა გიორგის შეეხება, მაგრამ იმასაც მოწმობს, რომ მეფე თამარი 1207/8 წლის შემდეგ ცოცხალი აღარ ყოფილა: „ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა ა(მედეს)<sup>91</sup>, ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ...დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ, ნებითა ღვთისათა, მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით... აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე და საქმის სიქე შმარტიც საანდო მოციქულთაგან გავიგეთ<sup>92</sup>, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით ძალითა ფრიად აღტურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ

<sup>86</sup> იხ. Bulletin Scientifique, t. X, სვეტი 317, და 327, შენიშვნა.

<sup>87</sup> M. I. Saint Martin. Memoires Historiques et Geographiques Sur l'Arménie, Paris, 1819, t. II, გვ. 294.

<sup>88</sup> ი. მ. აკაკიანი, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, „მოამბე“, თბილისი, 1898, № 1, გვ. 26.

<sup>89</sup> იგულისხმება დიდი ლაშქრობა ხორასანში 1210—1211 წლებში.

<sup>90</sup> Хронологическая история составленная отцом Мехитаром, вардапетом Ариванским (пер. с армянского К. Патканова), СПб., 1869, გვ. 413.

<sup>91</sup> იგულისხმება ანუ დეტრემლევი, რომელსაც სფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსის კათედრა ეკავა 1195—1220 წლებში (შ. ამირანაშვილი, რას მეტყველებს რუსთაველის პორტრეტი? გაზ. „კომუნისტი“, 1961, 7 იანვარი, № 5).

<sup>92</sup> ხაზესმა აქ და შემდეგაც ჩვენი—ბ. ს.

სწრაფად აღდგენენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტინე ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდნი...<sup>93</sup>

კერძოდ, რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ქაბუკი ესე დედის მისის დედოფლის უძლიერესის თამარის ძვლებს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცილებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი, დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება<sup>94</sup>.

დე ბუას ამ წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ რაკი მასში აღნიშნულია: „მეფე მათი... თექვსმეტი წლისაა“ და აგრეთვე წერილის ბოლო ნაწილში მოხსენიებულია მცირე აზიაში (1207 წელს) მომხდარი დიდი მიწისძვრა, რომელთან დაკავშირებითაც ავტორი წერს: „ეს ამბავი აგვისტოს ბოლო შვიდეულში შევიტყუეთ“<sup>94</sup>, ეს იმას მოწმობს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1207 წლის უკანასკნელ მეოთხედში<sup>95</sup> ანდა ცოტა უფრო გვიანაც. 1208—1209 წლებში<sup>96</sup>. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ირკვევა, რომ ამ დროს თამარი ცოცხალი აღარ ყოფილა და იბნ აღ-ასირის ცნობა სწორია. თამარ მეფე 1207 წელს გარდაიცვალა. ამის ერთგვარ მტკიცე დადასტურებაა ბეთანის კედლის მხატვრობაც, სადაც „ლაშა გიორგი უწვერულვაშო ქაბუკია, დაახლოებით 15 წლის“

<sup>93</sup> ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 137—138. დე ბუას ამ წერილის დედანი ინახება პარიზის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში: სათანადო აღწერითა და განმარტებებით იგი მოთავსებულია *Histoire litteraire de la France. Ouvrage commence par des religieux benedictins... et continue par des Membres de l'Institut (Academie des inscriptions et Belles — lettres)*, t. XXI, Paris, 1847. წერილის ლათინური ტექსტი პირველად გამოსცა რეინჰოლდ რერხტმა თავის კრებულში: *Regestra Regni Hierosolymitani (MXCII — MCCXC) edidit Reinhold Röhricht. Oeniponti. 1893*, გვ. 233 — 234, 868.

<sup>94</sup> ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.  
<sup>95</sup> ზ. ავალიშვილის ვარაუდით ის 1207 წ. სექტემბერში უნდა იყოს დაწერილი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 141).

<sup>96</sup> ე. ი. იმ დროს, როცა ლაშა გიორგი დაახლოებით 16 წლისა იქნებოდა.

და უკვე „მეფეთ მეფედ“ არის მოხსენიებული<sup>97</sup>. კიდევ სხვა პირ-  
დაპირი თუ არაპირდაპირი მასალაც არსებობს<sup>98</sup>, რომელიც საკმაოდ  
მტკიცე საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ გადაისინჯოს, თამარის  
გარდაცვალებისა და ლაშა გიორგის ტახტზე ასვლის აქამდე ვიღე-  
ბული თარიღი — 1212 ან 1213 წელი და მიღებულ იქნას, ჩვენი  
აზრით, უფრო უტყუარი და მართებული 1207 წ. თუ ამ უკანას-  
კნელ თარიღს გაიზიარებს ჩვენი ისტორიოგრაფია, მაშინ 1207—  
1213 წწ. მომხდარი ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა თამარის ძისა  
და მემკვიდრის ლაშა გიორგის სახელს დაუკავშირდება ნაწილობ-  
რივ მაინც. ამას კი, სხვათაშორის, უთუოდ დიდი მნიშვნელობა  
აქვს გიორგი IV-ის პიროვნებისა და სახელმწიფო მოღვაწეობის  
შესაფასებლადაც.

საქართველო როგორც ადრე, ისე ლაშა გიორგის დროსაც, ძლიერ  
სახლემწიფოს წარმოადგენდა და აღმოსავლეთში ჰეგემონობას  
არავის უთმობდა XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისამდე. მაგრამ  
შემდეგ თათარ-მონღოლთა სახით ამოვარდნილმა გრიგალმა, რო-  
მელმაც მოსრნა ჩრდილო ჩინეთი, შუა აზია და ირანი, ბოლოს სა-  
ქართველოსაც გადაუქროლა და სერიოზული ზიანი მიაყენა. იბნ  
ალ-ასირის თქმით, მონღოლთა გამოჩენა იყო უდიდესი „უბედუ-  
რება, რომლის მსგავსი დღესა და ღამეს არაფერი უშვია. ის თავს  
დაატყდა ყველა ხალხს... თუ ვინმე იტყვის, რომ ადამისა და ევას  
გაჩენიდან დღემდე სამყაროს ასეთი საშინელება არ განუცდია,  
მართალი იქნება, რადგან მატთანებებში ამის მსგავსი რაიმე არ  
არის. ერთადერთი უდიდესი (უბედური) მოვლენა, რაზეც ისტორია

97 შ. ამირანაშვილი, ქართული ზელოვნების ისტორია, „ზელოვნება“,  
თბ., 1961, გვ. 283. მართალია, შ. ამირანაშვილის აზრით, თამარ მეფეს ლაშა გი-  
ორგი მეფეთ მეფედ დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, თავის სიცოც-  
ხლემდე, უნდა დაესვა, მაგრამ ეს შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ამას  
დამტკიცება სჭირდება, რადგან ორი მეფეთ მეფის არსებობა ერთდროულად  
არც წყაროებით დასტურდება და არც მაშინდელი ქართული სამეფო წესის მი-  
ხედვით არის დასაშვები. ქართული წყაროს მიხედვით ლაშა თამარის გარდაცვა-  
ლებამდე მეფეთ მეფე კი არა, მეფე და თამარის თანამოსაყდრე იყო (ქართლის  
ცხოვრება, II, გვ. 151).

98 ამ მასალის ერთი ნაწილი გამოყენებული აქვთ ივ. ჯავახიშვილს (ქართ-  
ველი ერის ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 280, 291—92) და ს. კაკაბაძეს, რომე-  
ლიც თამარის გარდაცვალების თარიღად ასევე 1207 წელს მიიჩნევს. (С. Кака-  
бадзе, Год смерти грузинской царицы Тамары Великой, Изв. Тифл.  
Высш. Жен. Курс. Тифл., 1914, кн. I, вып. I, გვ. 163—168; ვუხუცაძისა-  
ნი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, თბ. 1927, გამოც. II, გვ. LXVIII—LXIX).

9. საქართველო რუსთაველის ხანაში

მოვეთხრობს ისაა, თუ როგორ მოექცა ბახტ ან-ნასირი იზრაილიანებს, როგორ სცემდათ და როგორ დაანგრია ბაით ალ-მაყდისი. მაგრამ რას წარმოადგენს ბაით ალ-მაყდისი იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ამ დაწყევლილებმა დაანგრიეს? ქვეყნების თითოეული ქალაქი ხომ რამდენჯერმე [დაღბ] [იყრ] ვიდრე ბაით ალ-მაყდისი. ანდა რანი არიან იზრაილის შვილები იმათთან შედარებით, ვინც (მონღოლებმა) დახოცეს? მართო ერთი რომელიმე ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მათ მოსპეს, გაცილებით მეტია იზრაელის ყველა შვილზე. ალბათ, ხალხი სამყაროს მოსპობამდე ვეღარ იხილავს ასეთ მოვლენას... (თათრები) არავის არ ზოგავდნენ. ისინი ჰკლავდნენ კაცებს, ქალებსა და ახალშობილთ; მუცელს ფატრავდნენ ორსულებს და სპობდნენ ჩანასახებს... ღმერთო, ეს რა საშინელება იყო, რომლის ნაპერწკლები ყოველი მხრივ განიფანტნენ და საყოველთაო ზიანი მოიტანეს! ის გავრცელდა ქვეყნებში მსგავსად ქარის მიერ ამორეკილი ღრუბლებისა. (აბა დაუფიქრდი): ჩინეთიდან გამოსული გაემართნენ თურქესტანისაკენ, სახელდობრ, კაშღარისა და ბალასალუნისაკენ, იქიდან კი მავარანაპრისაკენ, კერძოდ: სამარყანდისაკენ, ბახარისაკენ და სხვ. და რპურეს ისინი და მოექცნენ ისე, როგორც ქვემოთ ვიტყვით, შემდეგ ნაწილი მათგან გადავიდა ხორასანში. მთლიანად დაიკავეს, ამოუუქეს და გაძარცვეს ის. იქედან ისინი გადავიდნენ რეიში, ჰამადინში, ალ-ჯაბალის ოლქში და მათ შორის ერაყამდე მყოფ სხვა ოლქებში. ამის შემდეგ ისინი გაემართნენ აზერბაიჯანსა და არ-რანს, სადაც ერთ წელზე ცოტა ხანში ანგრევდნენ და გაწყვიტეს მოსახლეობის უმეტესობა... ეს იყო რაღაც გაუგონარი რამ<sup>99</sup>. მათ ვერავინ წინაღუდგა, ისე მოიწივნეს საზღუართა საქართველოსათა<sup>100</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობით, მონღოლები საქართველოში პირველად 1220 წლის შემოდგომაზე გამოჩენილან. მისივე თქმით, მათ წინააღმდეგ გამოსულა ქართველების 10000-იანი ლაშქარი<sup>101</sup>, მაგრამ მონღოლებს ის დაუმარცხებიათ<sup>102</sup>, უკუუქცევიათ და თვითონაც უკუქცეულან აზერბაიჯანისაკენ.

99 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 164—165.

100 ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 164.

101 ქართველთა ლაშქარში რომ 10000 კაცი ყოფილა, ამას ვარდანიც ალ-ნაშნავს (იხ. История монголов по армянским источникам, пер. с арм. К. П. Патканова, СПб., 1873, გვ. 2).

102 არაბი ისტორიკოსი ბრძოლის ადგილს არ ასახელებს. ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის ცნობით, ის ბალის წყალთან უნდა გამართულიყო (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 370), ხოლო კირაკოს ტანძაყეცის მიხედვით, — ხუნანის

ა. ალი-ზადეს აზრით, რომელსაც ქართველი მეცნიერებიც<sup>103</sup> თანხმებიან, ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო მანამდე, სანამ თავ-  
 რიზიდან წამოსული მონღოლები მულანს მივიდოდნენ და იმოწმებ-  
 იბნ ალ-ასირს: „Согласно Ибн-ан-Асиру, — წერს ალი-ზადე, —  
 отряды Джебе и Субутая до прибытия в Муган сражались с  
 грузинскими войсками, количество которых доходило до  
 10000 человек“<sup>104</sup>. ნამდვილად კი იბნ-ალასირი სულ სხვანა-  
 ირად წერს. ის გარკვევით მოგვითხრობს, რომ — 617 წლის...  
 ზამთრის დადგომისთანავე თათრებმა ჰამადანსა და ჯაბალში  
 (მიღია — ბ. ს.) ძლიერი სიცივე იგრძნეს, თოვლიც ბლომად ნა-  
 ხეს, ამიტომ ისინი აზერბაიჯანში წავიდნენ. გზაზე, სოფ-  
 ლებსა და მცირე ქალაქებში ეწეოდნენ ძარცვა-გლეჯასა და მკვლე-  
 ლობას. ასე მივიდნენ ისინი თავრიზამდე, სადაც იმყოფებოდა  
 აზერბაიჯანის გამგებელი, უზბეკი ძე ფაჰლავანისა, რომელიც მათ  
 წინააღმდეგ არ გამოსულა და არც ფიქრობდა ამაზე, რადგან  
 ის, როგორც ყოველთვის, ახლაც დღედაღამ მთვრალი იყო... (ამის  
 შემდეგ) თათრები გამოსაზამთრებლად წავიდნენ ზღვის სანაპირო-  
 საკენ, სადაც არც მაინცდამაინც ციოდა და საძოვრებიც უხვად  
 იყო მათი ცხენებისათვის. მივიდნენ ისინი მულანში და გადაუხვი-  
 ეს ქართველების ქვეყნისაკენ“<sup>105</sup>. ამ ვრცელი ცნობიდან აშკარად  
 ჩანს, რომ თავრიზიდან გამოსულ მონღოლებს, რომლებიც გამო-  
 საზამთრებლად კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ მოდიოდნენ,  
 ჯერ მულანი დაუბყრიათ (რაკი იქ მივიდნენ), ხოლო შემდეგ საქარ-  
 თველოსაკენ უქნიათ პირი.

შეიძლება ა. ალი-ზადეს უნდოდა რაშიდ ად-დინის დამოწმება  
 და შეცდომით იბნ ალ-ასირი დაასახელა. თუ ეს ასეა, მაშინ რაშიდ  
 ად-დინი ამ ამბებთან დაკავშირებით მართლაც იძლევა ცნობას, რო-  
 გელშიც ნათქვამია: „Они (монголы) прибыли в Тебриз..., (где)  
 заключив мир, вернулись назад и направились в Арран, что-  
 бы пробыть там зиму. Путь их лежал через Гурджи-

ვლზე (იხ. Вардан, Всеобщая История, М., 1861, გვ. 173), რაც არის ის  
 დღელი, სადაც ალგეთი ანუ ხრამი (იგივე ქცია) ერთვის მტკვარს (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ-  
 ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, ტ. 2, გვ. 26).

<sup>103</sup> ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბილისი, 1960,  
 გვ. 117; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-  
 XIV სს.), თბილისი, 1962, გვ. 154.

<sup>104</sup> А. Али-заде, дасახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>105</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

стан<sup>106</sup>. მაგრამ სანამ აქედან რაიმე დასკვნას გავაყვებდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ რაშიდ ად-დინი ამდროინდელ ცნობებს კრებს იბნ ალ-ასირიდან. იბნ ალ-ასირთან კი, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი არაფერია. ხოლო თუ, მიუხედავად ამისა, მაინც რაშიდ-ად-დინის ამ ცნობის ჭეშმარიტებას ვალიარებთ, მაშინ — გმორისკ — რომ აზერბაიჯანი საქართველოს ფარგლებში შემონავალა, თორემ ისე როგორ შეიძლებოდა თავრიზიდან არრანისაკენ წამოსულ თათარ-მონღოლებს გზა საქართველოზე ჰქონოდათ?

მონღოლთა გამოჩენამ, მათმა არაადამიანურმა მოქმედებამ დაპყრობილი ქვეყნებისა და ქალაქების მოსახლეობისადმი. ერთობ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა არა მარტო საქართველო ან ამიერკავკასიის ქვეყნები, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანებები და ხალხები. ყველა მიხვდა, რომ შექმნილი რთული მდგომარეობიდან თავის ხსნის ერთი იმედილა რჩებოდა. ეს იმედი საერთო მტრის — მონღოლების წინააღმდეგ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო ძალის შექმნა და გაბედული მოქმედება იყო. ამას მოითხოვდა თითოეული ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები და საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორად შეუფასებიათ შექმნილი ვითარება. ისინი გამოსულან აგრეთვე ასეთი გაერთიანების ინიციატორებად, რის შესახებაც იბნ ალ-ასირი პირდაპირ ამბობს: „ქართველებმა ელჩები გაუგზავნეს აზერბაიჯანის მფლობელს, უზბეკს დასაზავებლად და თათართა წინააღმდეგ ერთად ლაშქრობის მოწყობის სათხოვნელად. ისინი შერიგდნენ და შეთანხმდნენ, რომ შეკრებილიყვნენ, როცა ზამთარი გავიდოდა მათ (ქართველებმა) ელჩები გაუგზავნეს აგრეთვე ხლათისა და ალ-ჯაზირის (მესოპოტამიის — ბ. ს.) მფლობელს ალ-აშრაფს, ალ-ადილის ძეს და მასაც მათთან გაერთიანება სთხოვეს“<sup>107</sup>.

ამრიგად, მზადდებოდა ქრისტიანი და მუსლიმანი ქვეყნების კოალიციური ლაშქრობა თათარ-მონღოლების წინააღმდეგ. ლაშქრობა უნდა დაწყებულიყო გაზაფხულზე, მაგრამ მტერს დროზე შეუტყვია ამის შესახებ და დაუსწრია მათთვის. კოალიციური ლაშქრობის მონაწილენიო, — აღნიშნავს იბნ ალ-ასირი, „ფიქრობდნენ, რომ თათრები გამოსაზამთრებლად დარჩებოდნენ გა-

<sup>106</sup> Рашид ад-дин, Сборник летописей, М.-Л., 1952, т. I, кн. II, 33. 227.

<sup>107</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

ზატხულამდე, მაგრამ ისინი სხვანაირად მოიქცნენ, გაემართნენ გურჯთა ქვეყნისაკენ. მათ შეუერთდა უზბეკის ერთ-ერთი თურქი მამლუქი, სახელად აკუში, რომელმაც შეკრიბა იმ მთებსა და ველებში მცხოვრები თურქმანები, ქურთები<sup>108</sup> და სხვები. დაუკავშირდა თათრებს, მოიწვია თავისთან და ისინიც დათანხმდნენ, რადგან წარმოშობით ერთნაირები იყვნენ. თავმოყრის შემდეგ ის (აკუშის ლაშქარი) წინ წარუძღვა თათრებს ქართველების წინააღმდეგ. მათ დაიკავეს (ქართველთა) ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე, დანგრეის ის, გაძარცვეს ქვეყანა, დააცარიელეს, გაწყვიტეს მოსახლეობა და წაიღეს მათი ქონება. როდესაც ისინი თბილისს მიუახლოვდნენ, იქ შეკრებილი ქართველები კბილებამდე შეიარაღებული გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ. ქართველებს პირველი შეხვდა აკუში მისი რაზმით და გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიც ყველა მედგრად იბრძოდა. აკუშის მხარეს ბევრი დაიხოცა, მაგრამ მას დროზე მიეშველნენ თათრები. ქართველების მხარეზეც იყვნენ მოკლულნი. გარდა ამისა, ისინი ერთობ მოიქანცნენ, ამიტომ თათრებს ვეღარ გაუმკლავდნენ და დაიწყეს უწესრიგოდ გაქცევა. თათრებმა ყოველი მხრიდან შეუტიეს მათ და უმოწყალოდ ჩეხდნენ ხმლებით, რის შედეგადაც უამრავი ქართველი დაიღუპა. ეს მოხდა იმავე (617) წლის ზუ-ლ-კა' დას თვეში<sup>109</sup>. 617 წ. ზუ-ლ-კა' დის თვე კი დაიწყო 1220 წლის 28 დეკემბერს და გრძელდებოდა 1221 წ. 27 იანვრამდე<sup>110</sup>.

არაბი მემატიანის ამ ვრცელი ცნობიდან ჩანს არა მარტო ის, რომ მონღოლებს თავიანთი უეცარი ლაშქრობით ჩაუშლიათ მათ წინააღმდეგ მიმართული კოალიციური ლაშქრობის მოწყობის გეგმა, არამედ ისიც, რომ მათ აკუშის სახით ჰყოლიათ საიმედო მოკავშირე და მეგზური, რომელსაც დიდი დახმარება გაუწევია მონღოლებისათვის ქართველების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში<sup>111</sup>. ამასთან, ირკვევა, რომ ეს ბრძოლა მომხდარა 1221 წლის იანვარში და გამარჯვებული მონღოლები თბილისამდე მოსულან.

მიუხედავად იმ გამარჯვებისა, რომელიც მონღოლებმა მეორე

<sup>108</sup> იბნ ალ-ასირის ცნობის ეუზესეულ რუსულ თარგმანში ამ ადგილას შეცდომით სწერია „გურჯები“ (იხ. Материалы по истории Азербайджана из „Таих-ალ-Камиль“ Ибн-ал-Асира, Баку, 1940, გვ. 138).

<sup>109</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

<sup>110</sup> იხ. Синхронические таблицы хиджры и европейского летоисчисления, М. — Л., 1961.

<sup>111</sup> ეს მთლიანად ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მონღოლები ქართველების წინააღმდეგ მარტო საკუთარი ძალებით არ იბრძოდნენ (იხ. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120).

თავდასხმის დროს მოიპოვეს, ისინი საქართველოში დიდხანს ათარ  
დარჩენილან. იბნ ალ-ასირის ცნობით, 618 (1221) წლის დასაწყის-  
შივე<sup>112</sup> გასცლიან საქართველოს<sup>113</sup>.

იმავე მემატიანის მიხედვით, საქართველოდან წასული მონ-  
ლოლების შემდეგი ლაშქრობების მარშრუტიან ასე გამარჯვებულნი  
თავრიზი, მარაღა<sup>114</sup>, ჰამადანი<sup>115</sup>, არდებილი<sup>116</sup>, თავრიზი, ქ. სერაფი,  
ქ. ბაილაყანი<sup>117</sup>, განჯა და ისევ საქართველო<sup>118</sup>. „გაუსწორდნენ

112 618 წ. პიჯრით დაიწყო 1221 წ. 27 იანვარს ქრ. წელთაღრიცხვით.

113 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—174.

114 იბნ ალ-ასირთან (ტ. XII, გვ. 174) მარაღის დაპყრობა მონღოლების მიერ  
დათარიღებულია 618 წ. საფარით ანუ 1221 წ. მარტით.

115 რაშიდ-დინის ცნობით, მონღოლებს ჰამადანი დაულაშქრათ 618 წ. რა-  
ჯიბს ანუ 1221 წ. აგვისტო-სექტემბერში (Рашид ад-дин, Сборник лето-  
писей, М. — Л., 1952, т. I, გვ. 228).

116 სპარსელი ისტორიკოსის, ჟუვეინის მიხედვით, მონღოლთა ნოინები ჯებე  
და სუბუდაი ჰამადანიდან არდებილზე კიარა, პირდაპირ თავრიზზე წასულან  
(В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к Золотой  
Орды, СПб., 1884, т. I, გვ. 116), ხოლო რაშიდ ად-დინი კი ამბობს—ნახიჩევანზე  
(იხ. მისი დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 228).

117 ბაილაყანი მონღოლებს აუღიათ 618 წ. რამადანს ანუ 1221 წ. ოქტომ-  
ბერ-ნოემბერში (იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177).

118 იქვე, გვ. 173—174. არაბი ისტორიკოსის ეს ცნობა, რომელსაც რაშიდ  
ად-დინიც ზუსტად ეთანხმება (იხ. Рашид ад-дин, Сборник летописей,  
М. — Л., 1952, წიგნ. II გვ. 228), ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს  
ამიერკავკასიაში მონღოლთა პირველი გამოჩენის მიზნის გასარკვევად.  
ემათაღმწერლის თქმით, ჰინგიზ-ყაენმან წარმოაგლინა ორნი თავადნი... იამა და  
სალჰიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან, რათა მოვლონ ქვეყა-  
ნა ხორასნისა და ერაყისა, სადამდის ეძლო სლვად, და განიხილონ ქვეყანა“ (ქარ-  
თლის ცხოვრება II, გვ. 164). აქედან გამომდინარე საქართველოს ისტორიის  
სპეციალისტები აყეთებენ დასკვნას, რომ მონღოლთა პირველი გამოჩენის მიზანი  
იყო აღნიშნული ქვეყნების დაზვერვა და არა მათი დაპყრობა (ივ. ჯავახიშვილი,  
ქართველი ერის ისტორია, თბ., 1941, წ. III, გვ. 4; ნ. ბერძენიშვილი,  
ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ, „საქართვე-  
ლოს ისტორია“, თბ., 1958, ტ. I, გვ. 220; ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი., გვ.  
114). მაგრამ თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ რაშიდა დასვირდათ იგივე ჯებესა და  
სუბუდაის ერთხელ გამოვლილი ქვეყნებისაკენ კვლავ გაბრუნება და მათი ხელ-  
ახლა დალაშქრება—დაპყრობა? იმიტომ ხომ არა, რომ მათ ისინი პირველად ვერ  
დაზვერეს ხეირიანად? რა თქმა უნდა არა. მონღოლების გაბრუნება უკან ნაქარ-  
ნახები იყო ზემოჩამოთვლილი ადგილების მოსახლეობის ვანდგომით, რაც მშვე-  
ნიერად ჩანს იბნ ალ-ასირისა და რაშიდ ად-დინის ცნობებიდან (იხ. იბნ ალ-  
ასირი, დასახ. ნაშრ., გვ. 176—177; Рашид ад-дин, დასახ. ნაშრ.-  
გვ. 228). ამ ცნობებიდან ირკვევა ამიერკავკასიიდან მონღოლთა წასვლის ნამდვი-  
ლი მიზეზიც, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.



რა აზერბაიჯანისა და არ-რანის მუსლიმანურ ქვეყნებს... თათრებზე  
ქართველების ქვეყნისაკენ წავიდნენო“ — გვამცნობს იბნ ალ-ასირი<sup>119</sup>, რომელსაც რაშიდ ად-დინიც ემოწმება<sup>120</sup>.

საქართველოს მეფეს მონღოლთა წამოსვლის ამბავს შეუტყვია და თავისი დიდი ლაშქარი მტრისათვის ზედსაბუთებდა დაუხვდომებია, რათა მონღოლები შიდა არ შემოეშვა, მაგრამ ქართველები სასტიკად დამარცხებულან და თბილისისაკენ გაქციულან. მონღოლთა შეჩერება ვერც მაშველ ჯარს მოუხერხებია. საქართველოსაკენ წამოსულ თათრებს ქართველები ისე დაუხვდნენ, როგორც უნდაო, ამბობს ამ ლაშქრობის შესახებ იბნ ალ-ასირი და განაგრძობს: „მათ ჯარი თავიანთი ქვეყნის საზღვრისაკენ გაგზავნეს, რათა თათრები საზღვრებს შიგნით არ შემოსულიყვნენ. მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელნი მოვიდნენ და მას შეეჯახნენ, ქართველებმა ველარ გაუძლეს და უკუიქცნენ, ხოლო ამის მხილველმა მონღოლებმა ისე ამოქმედეს ხმლები, რომ არცერთი ქართველი აღარ გადარჩენილა, გარდა იმათისა, ვინც გაქცევა მოასწრო. ჩემამდე მოვიდა ცნობა, რომ დახოცილთა რიცხვმა ოცდაათ ათასს მიაღწია. როგორც კი ლტოლვილები მივიდნენ თბილისს, სადაც მათი მეფე იმყოფება, (ამ უკანასკნელმა) ხელახლა შეკრიბა ლაშქარი და მაშინვე მათ (თათრების) წინააღმდეგ გაისტუმრა, რომ მტერი ქვეყნის სიღრმეში მანაც არ შემოსულიყო, მაგრამ ისინი ამ დროს უკვე შემოსული იყვნენ და მათი შეკავება აღარც მთებს შეეძლო, აღარც ხევებსა და აღარც სხვა რამეს. ამიტომ ქართველების ჯარმა დატოვა ქვეყანა (უფრო სწორად ბრძოლის ველი — ბ. ს.) და თბილისს დაბრუნდა. რაც შეეხება თათრებს, მათ იქ გააკეთეს ის, რაც უნდოდათ: ძარცვადნენ, ჰკლავდნენ, ანადგურებდნენ“<sup>121</sup>.

ეტყობა ეს იყო მონღოლთა ყველაზე დიდი ლაშქრობა ჩვენში (მათ წინა ორ ლაშქრობასთან შედარებით) და ქართველთა სერიოზული მარცხი, რასაც შიშით მოუტყავს მთელი მოსახლეობა. ამასთან დაკავშირებით იბნ ალ-ასირი ამბობს: „ქართველები საშინელმა შიშმა შოიცვა. მე მოვისმინე ელჩად ჩამოსული მათი ერთ-ერთი დიდებულის ნაამბობი: „თუ თქვენ ვინმემ გითხრაო, რომ თათრები უკუიქცნენ ანდა ტყვედ ჩავარდნენო, არ დაუჯეროთ მას, მაგრამ თუ გეტყვიან დაიხოცნენო, მაშინ ერწმუნეთ, რადგან ეს ხალხი არასდროს არ გარბის. ჩვენ როგორღაც ხელში ჩაგვივარდა ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ ცხენიდან ჩამოვიდა და ურტყა თავი ქვას

119 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

120 Рашид ад-дин, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

121 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 177.

მანამდე, სანამ არ მოკვდა, ტყვედ კი არავითარ შემთხვევაში არ დაგვნებდა“<sup>122</sup>.

მონღოლთა ამ ლაშქრობის შესახებ ცნობებს იძლევიან ქართველი, სომეხი და სპარსი მემკვიდრეები. რაშიდ ად-დინის ცნობა თითქმის მთლიანად ეთანხმება იბნ ალ-ასირისას. განსხვავება მხოლოდ ტაქტიკურ მონახაზშია. ბრძოლის წინ მონღოლთა ლაშქრის ერთი ნაწილი ჯებებს მეთაურობით (სულ 5000 კაცი) ერთ მოხერხებულ ადგილს, გუშე-ი-პანხანს ჩასაფრებულა, ხოლო სუბუდაი წინ წასულა და მტერთან შებმისთანავე უკუქცეულა. ამით გახარებული ქართველები მას დასდევნიან, მაგრამ სულ მალე ორცეცხლს შუა მომწყვდეულან და დამარცხებულან. ქართველებს 30 ათასი კაცი დალუპვიათ<sup>123</sup>. ვარდანის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო 1222 (671) წელს, მაგრამ მისი ცნობით მონღოლები ამ დროს საქართველოში არ შესულან, არც რაიმე შეტაკებას ჰქონია ადგილი: „თათრები ფიქრობდნენ ჩვენზე წამოსვლას, მაგრამ, როცა მათმა მზვერავებმა ნახეს, რომ ქართველები და სომხები ომისათვის მზად იყვნენ და ამის შესახებ მათ (უფროსს) მოახსენეს, თავდასხმა აღარ უცდიათ, ისე წავიდნენო“<sup>124</sup>. ასეთივე ცნობა აქვს კირაკოს განძაკეცსაც<sup>125</sup>, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს ნამდვილი, რაც, იბნ ალ-ასირისა და რაშიდ ად-დინის ცნობების გარდა, ჩანს აგრეთვე ქამთააღმწერლის თხზულებიდანაც, სადაც ვკითხულობთ: „იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა... იქმნა უკუქცევა სუე-სვანისა ბედისა... ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა..., ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშვილდემდე და მიერ უკუნ იქცეს“<sup>126</sup>. როგორც ვხედავთ, მონღოლები არა თუ არ ცდილან საქართველოს ხელახლა დალაშქვრას და ქართველებთან ომის გამართვას, არამედ, პირიქით, თავს დასხმიან მას, დაუმარცხებიით ქართველთა ლაშქარი და სამშვილდემდეც მოწეულან. ამიტომ არაბი ისტორიკოსის ცნობის სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს<sup>127</sup>.

<sup>122</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., ტ. XII, გვ. 177.

<sup>123</sup> Рашид ад-дин, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

<sup>124</sup> История монголов по армянским источникам, СПб., 1873, вып. I, გვ. 3. (პერ. с армянского К. П. Патканова).

<sup>125</sup> История монголов по армянским источникам, СПб., 1874, вып. II, გვ. 3. (პერ. с арм. К. П. Патканова).

<sup>126</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

<sup>127</sup> არაბი ისტორიკოსი არც ამ ბრძოლის ადგილს ასახელებს. ქამთააღმწერლის ცნობით, ეს უნდა მომხდარიყო „წყაროსა ზედა ბერდუჯსა აწ საგამადწოდებულსა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164). ვახუშტის მიხედვით, ბერდუჯი „სამნაირად იწოდებოდა: ბერდუჯი, საგიმი და დებედა“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 34). კ. პატკანოვის განმარტებით, საგამი

მართალია, მონღოლებმა ეს ბრძოლა მოიგეს და ქართველებს ლაშქარი უკუაქციეს, მაგრამ მათთვის სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ერთი შეტევით ქართველთა წინააღმდეგობის გატეხვა და საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ხანგრძლივი ომისათვის კი ისინი მაშინ მოწყობდნენ, როცა იყვნენ და ამჯობინეს საქართველოს ამჯერადაც გასცლოდნენ. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს იბნ ალ-ასირის ცნობა: „მონღოლებმა ნახეს, რომ ქართველები ფლობენ დიდ ძალებსა და საშინელი ხევებით დასერილ ქვეყანას, რომლის დასაპყრობად აუცილებელია ხანგრძლივი ბრძოლა და სისხლისღვრა... ამიტომ მათ ვეღარ გაბედეს მის (ქვეყნის) სიღრმეში შეჭრა და წავიდნენ“<sup>128</sup>.

ამრიგად, იბნ ალ-ასირის ცნობებიდან ირკვევა, რომ ლაშა გიორგის დროს ჩვენში ადგილი ჰქონია მონღოლთა სამ შემოტევას და თუ ამ ცნობების სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება მათი ორი ლაშქრობისა, ქართველების ლაშქრის მიერ დამარცხებისა და გაძევების შესახებ, ალბათ, დასაზუსტებელი იქნება.

\* \* \*

საქართველოდან წასული მონღოლები აღარც ამიერკავკასიაში დარჩენილან დიდხანს. დარუბანდის გზით ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ, ყივჩაღთა, ალანთა და რუსთა ქვეყნებს ეწვივნენ და ისინიც საშინლად ააფორიაქეს. მათ სასტიკად დაამარცხეს!

ფივე მდინარე კოტმანი არის, ხოლო ეს უკანასკნელი მტკვარს ერთვის მარჯვნიდან შამქორის დასავლეთით (იხ. *История монголов по армянским источникам*, пер. К. П. Патканова, СПб., 1873, გვ. 2, 70, შენიშვნა 111). ცნობილია აგრეთვე საგამის ველი—სომხეთის მხარეს, ვავის ციხის რაიონში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, თბ., 1949, ტ. III, გვ. 16). მაშასადამე, ბრძოლა მონღოლებსა და ქართველებს შორის ამ რაიონში უნდა მომხდარიყო. ლაშა გიორგის მემკვიდრე დაახლოებით ამას გულისხმობს, როცა ამბობს „მეორესა წელსა კელაჲ მომართეს და დადგეს ბარდავის ქალასაო“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370).

ბ. ცინცაძისა და დ. გვრიტიშვილის მოსაზრებით, საგამის ბრძოლა უნდა ყოფილიყო 1221 წლის იანვარში, მონღოლთა მეორე თავდასხმის დროს. და შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ჩვენ მას შესაძლებლად ვუკავშირებთ შემდეგი გარემოების გამო: 1. წყაროებიდან არ ჩანს, რომ საგამის ბრძოლა იყო ჰაინცდამაინც 1221 წელს, მეორე თავდასხმის დროს; 2. ეპითაღმწერელისა და ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსის ცნობით, ამ ბრძოლის შემდეგ მონღოლები ამიერკავკასიიდან წასულან; 3. მათი წასელა აქედან კი, იბნ ალ-ასირის ცნობით, მოხდა 1222 წელს, საქართველოზე მესამე თავდასხმის შემდეგ.

<sup>128</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—174, 177.

ყივჩალები, რომლებიც მტრის შიშით თავიანთი ქვეყნიდან აიყარნენ და ნაწილი რუსთა ქვეყანას შეეხიზნა, ხოლო ნაწილიც სამხრეთისაკენ წამოვიდა, დერბენდ-შირვანს დაბინავდა და, როცა მომაგრდა, სხვათა სამფლობელოების დაპყრობა განაგრძობდა. მიზნით მათ ილაშქრეს ჯერ ქართველთა მფლობელობაში მყოფ ქაზახებზე, შემდეგ განჯაში, ხოლო იქიდან ორჯერ სცადეს საქართველოში შემოსვლა, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ამიერკავკასიასაც გასცლოდნენ.

ყივჩაღთა ამ ლაშქრობაზე ვრცელ ცნობებს გვაწვდის იბნ ალ-ასირი. მისი თქმით, დერბენდში ფეხმოდგმულმა ყივჩაღებმა შეკრიბეს ყველა თავისი თანამემამულე და წავიდნენ ყაბალაზე.

როდესაც ყივჩაღებმა ალყა შემოარტყეს ყაბალას, მისმა გამგებელმა მათ უთხრა: „მე ქართველების მეფეს ვაცნობებ, რომ მან გამოგიგზავნოთ საპატიო ხალათები და ფული. შემდეგ ჩვენ ერთად გავერთიანდებით და დავიპყრობთ მთელ ქვეყანას“<sup>129</sup>. ეტყობა, ეს იყო დროის გაყვანის ტაქტიკა, რომელიც ყაბალის მმართველს სჭირდებოდა მტრის მოსატყუებლად, ქართველთა მეფისაგან პაშველი ჯარის მისაღებად და ყივჩაღთა დასამარცხებლად. მაგრამ მათი მთლად მოტყუება მას ვერ მოუხერხებია: „ყივჩაღებმა მართლაც შეწყვიტეს რამდენიმე დღით იმ მხარის დარბევა, ხოლო შემდეგ ისევ განაგრძეს მისი ძარცვა-განადგურებაო“. ამბობს იბნ ალ-ასირი და განაგრძობს: „გაძარცვეს რა ყაბალის მხარე, შემდეგ ისინი დაიძრნენ არ-რანის პროვინციაში მყოფ განჯისაკენ, მუსლიმანთა ხელში რომ იყო, და დაბანაკდნენ იქ. მერმე განჯის ამირამ დაასახლა ისინი კილკუნის მთაზე.

ქართველებს ეშინოდათ ყივჩაყებისა და შეკრიბეს დიდძალი ლაშქარი, რათა მოულოდნელად დასხმოდნენ მათ თავს, მაგრამ განჯის ამირამ, ქუშხარამ შეიტყო თუ არა ეს, ყივჩაყებს უბრძანა დაბრუნებულიყვნენ და დაბანაკებულიყვნენ განჯასთან. მათ შეასრულეს ეს ბრძანება. ოღონდ ყივჩაყების ერთ-ერთმა უფროსმა გადაწყვიტა ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა დიდი რაზმით. იგი მოულოდნელად დაესხა თავს ქართველებს, დაამარცხა ისინი უკუაქცია, წამოიყვანა მრავალი ტყვე და წამოიღო, თუ რამე ჰქონდათ. ამის შემდეგ ყივჩაღებმ დაბრუნდნენ კილკუნს და დაბინავდნენ იქ ისე, როგორც ადრე იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ასევე მოიქცა ყივჩაღთა მეორე მეთაური. ქუშხარამ აუკრძალა მას გალაშქრება ქართველების მდგომარეობის გაგებამდე, მაგრამ მან ვერ მოითმინა, თავისი რაზმით დაიძრა ქართველებისაკენ, გაძარ-

<sup>129</sup> იბნ ალ-ასირი, დსახ. ნაშრ., გვ. 187.

ცვა, გაანადგურა და ხელთ იგდო ნადავლი. ქართველები მათთვის  
ნაცნობი (მოკლე) გზით, მოულოდნელად დაესხნენ მათ თავს,  
დაატრიალეს ხმლები, გაწყვიტეს მრავალი და აართვეს ნადავლი.  
ასე რომ, ყივჩაღების ამირა, საშინლად სირცხვილნაჭამამს თანვესნამ  
ნებთან ერთად დაბრუნდა ბერდაას, საიდანაც ქუშხარამს მამარამს ქუშხარამს  
მისვლა სთხოვა, რომ ერთად მოეწყოთ ლაშქრობა ქართველთა წინა-  
აღმდეგ. მაგრამ ქუშხარამ მას უარი შეუთვალა. მაშინ ყივჩაღები აუ-  
ჯანყდნენ მას. მუსლიმანმა მოსახლეობამაც ასეთივე აჯანყებით უბა-  
სუხა მათ და გაწყვიტეს მრავალი (ყივჩაღი). შეშინებული ყივჩაღები  
ჯერ შირვანისაკენ წავიდნენ, შემდეგ კი ლაჯზების ქვეყნებისაკენ. ამ-  
ით გათამამებული მუსლიმანები, ქართველები, ლაჯზები და სხვები  
დაედევნენ მათ, გაანადგურეს, დახოცეს, გაძარცვეს და იმდენი და-  
ატყვევეს, რომ ყივჩაღი მონა (მამლუქი) ყველაზე მცირე ფასად  
იყიდებოდა დერბენდ-შირვანში<sup>130</sup>.

არაბი მემატიანის ამ ვრცელი ცნობიდან ვარკვევით ჩანს რო-  
გორც ყივჩაღთა მოსვლის მიზეზი და მათი შემდგომი მოქმედების  
მიზეზები, ისე მათი მოძრაობის მარშრუტი და განჯის გამგებლის პო-  
ლიტიკა. ამ უკანასკნელის მიერ მათთვის თავშესაფრის მიცემა და  
საქართველოს საზღვრებთან ახლოს, კილკუნის (ქილქუნის) მთაზე  
დასახლება, ნამდვილად იმას ნიშნავდა, რომ უზბეკსა და მის მორ-  
ჩილ ამირა ქუშხარასაც უნდოდათ ყივჩაღების გამოყენება ქართვე-  
ლების წინააღმდეგ, რომ ქართველებს შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ  
თავს დასხმოდნენ განჯას. ისინი ანგარიშს აღარ უწევდნენ იმას,  
რომ ყივჩაღები, ისე როგორც მონღოლები, მეჯოგეები იყვნენ და  
მტრები ინტენსიური მეურნეობისა; ივიწყებდნენ იმასაც, რომ ექს-  
ტენსიურ მეურნეობას დაჩვეული ტომის ძირითადი საქმიანობა მე-  
ჯოგეობასთან ერთად იქნებოდა ყაჩაღობა და მუდმივი ომები, რაც  
უარყოფითად იმოქმედებდა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონო-  
მიკაზე, მათ სოფლის მეურნეობაზე. მართლაც, მოხდა ის, რაც  
თავიდანვე მოსალოდნელი იყო. ქართველების მიერ სასტიკად  
დამარცხებული ყივჩაღები შემდეგ მათ მწყალობელ ქუშხარას სამ-  
ფლობელოს მისდგნენ საძარცვადად, რის გამოც ადგილობრივი მუს-  
ლიმანები აჯანყდნენ და ნიადავი მოუმზადეს მათ გაქცევას ამიერკავ-  
კასიის ტერიტორიიდან.

საქართველოზე ყივჩაღების შემოსევის შესახებ ქართულ მა-  
ტიანეში არაფერია ნათქვამი; არც სომეხი ისტორიკოსები იძლე-  
ვიან ვრცელ ცნობებს ყივჩაღთა შემოსევის თაობაზე ამიერკავკა-  
სიაში. მაგრამ ის, რასაც ისინი ამბობენ, სრულიად ადასტურებს

იბნ ალ-ასირის ცნობათა სიზუსტეს. იბნ ალ-ასირთან ყოველგვარი შე-  
 მოსევა ამიერკავკასიაში 619 წლის ამბებთანაა მოთხრობილი  
 (პიჯრით) და შეესატყვისება ქრისტ. კალენდრის 1222 წელს. ვარ-  
 დანიც სწორედ ამ წელს ასახელებს: „იმავე 671 (1222) წელს  
 მრავალრიცხოვანი ლაშქარი ყივჩაღებისა გამაჩვიდა ქუქუ-  
 ნიდან და მოადგა განძაკო“<sup>131</sup> — ამბობს იგი. მისივე ცნობიდან  
 ირკვევა, რომ ქართველთა ლაშქრის სარდალი ამ დროს ყოფილა  
 ივანე. ყივჩაღთა ლაშქრობაზე, ვარდანთან შედარებით, უფრო  
 ვრცელ ცნობებს იძლევა კირაკოს განძაკელი. მისი თქმით, ჰუნთა  
 ქვეყნიდან გამოსული ყივჩაღები (ხუჩახ) პირველად საქართველო-  
 ში მოსულან მეფე ლაშასთან და „დიდ ათაბაგ“ ივანესთან თხოვ-  
 ნით, რათა მიეცათ მათთვის ადგილი დასასახლებლად, ხოლო  
 როცა ქართველებს უარი უთქვამთ ამაზე, შემდეგ წასულან განძა-  
 კში<sup>132</sup>. როგორც ვხედავთ, კირაკოსისეული მარშრუტი ყივჩაღებისა,  
 ერთი შეხედვით, განსხვავდება იბნ ალ-ასირის მიერ მოთხრობილი-  
 საგან. იბნ ალ-ასირის ცნობით, დერბენდიდან წამოსული ყივჩაღე-  
 ბი ჯერ სწვევიან ყაბალას, ხოლო შემდეგ განჯას, კირაკოსის მიხედ-  
 ვით კი პირველად — საქართველოს და მერე განჯას. სწორედ  
 ამ მოჩვენებითმა სხვაობამ მისცა საბაბი ა. ალი-ზადეს, შეეტანა  
 ექვი კირაკოსის ცნობათა სისწორეში და ეთქვა, რომ ყივჩაღები  
 არანაშინ საქართველოდან კი არ მოსულან, არამედ შირვანიდანო<sup>133</sup>.

ჩვენი აზრით, კირაკოსი ზუსტად იმას ამბობს, რასაც იბნ ალ-  
 ასირი, ოღონდ სხვა სიტყვებით. არაბი ისტორიკოსი საქართველოს  
 არ ასახელებს, მგრამ იგი საქართველოს გულისხმობს, როცა ყაბა-  
 ლაზე ლაპარაკობს და იქვე განმარტავს კიდევ, რომ ყაბალა მაშინ  
 საქართველოს ეკუთვნოდა. რაკი ყაბალა საქართველოში შედიოდა,  
 კირაკოსმა (მის მაგიერ) პირდაპირ თქვა: ყივჩაღები საქართველო-  
 ში მივიდნენ და იქიდან განძას გაემართნენო. ამიტომ ა. ალი-ზადეს  
 ექვი კირაკოსის ცნობის მიმართ საფუძველს მოკლებულია. კირა-  
 კოსის ცნობა ყივჩაღების შემოსევის შესახებ სწორია და ადასტუ-  
 რებს იბნ-ალ-ასირის მიერ უფრო ვრცლად მოთხრობილი ამბის

<sup>131</sup> История Монголов по армянским источникам, СПб, 1873, вып. I, 33. 3.

<sup>132</sup> История Монголов по армянским источникам, вып. II, СПб, 1874, 33. 4, 6.

<sup>133</sup> А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, 33. 101 — 102.

ქეშმარიტებას. ყივჩაღები დერბენდიდან ჯერ საქართველოში (ქა-  
ბალას)<sup>134</sup> მოსულან, ხოლო აქედან განჯას სწვევიან.

\* \* \*

ქართული

ყივჩაღებზე გამარჯვებას არ შეუწყვეტია ფეოდალურ-ფეოდალურ  
1222 წლიდან საქართველო ცდილობს მონღოლებისა და ყივჩაღე-  
ბის თავდასხმების დროს უკუშედილი მოხარკე ქვეყნების დაბრუნ-  
ებას და ახალი ქვეშევრდომების შექმნას, რისთვისაც აწარმოებს  
მცირე ომებს მეზობელი მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულე-  
ბის წინააღმდეგ. იბნ ალ-ასირის ცნობით, „1222 წლის სექტემბერ-  
ოქტომბერში (619 წ. საფარს) ქართველები გამოვიდნენ თავისი  
ქვეყნიდან არ-რანის ქვეყანაში და გაემართნენ ქ. ბაილაკანისაკენ  
იმ დროს, როცა მოსახლეობა დასაქმებული იყო მონღოლების მი-  
ერ დანგრეული ქალაქის კედლების აღდგენით. ქართველებმა დაი-  
კავეს ქალაქი. მუსლიმანები ქართველებს ყველაზე კეთილ მტრად  
პიიჩნევდნენ, რადგან ისინი გამარჯვების შემდეგ ღებულობდნენ  
მოსახლეობიდან რაღაც ფულად თანხას და კვლავ ბრუნდებოდნენ თა-  
ვიანთ ქვეყანაში. ასე იყო ყოველთვის და ასე ეგონათ ახლაც, მაგ-  
რამ ამჯერად ეს იმედი აღარ გამართლდა. დაიკავეს თუ არა ქალაქი,  
ქართველებმა იწყეს მოსახლეობის განადგურება და ძარცვა-რბევა  
ისე მკაცრად, როგორც მონღოლები აკეთებდნენ“<sup>135</sup>. არაბი ის-  
ტორიკოსი არაფერს ამბობს ქართველთა ასეთი სისასტიკის მიზე-  
ზზე, მაგრამ ის კი ჩანს, რომ ქართველები ქალაქში გამაგრებუ-  
ლან, უკვან არ ვაბრუნებულან.

ქართველების ლაშქრობას ბაილაყანში ქართველი და სომეხი  
მემკვიდრეანი არ იხსენიებენ. ა. ალი-ზადეს მიხედვით, ეს ლაშქრობა  
უნდა მომხდარიყო 1220 წელს და იმომებს იბნ ალ-ასირის ქუ-  
ზესეულ რუსულ თარგმანს<sup>136</sup>. მართალია, ქუზე შეცდომას უშ-  
ვებს პიჯრით მოცემული თარიღის წაკითხვაში (რამადანის ნაცვ-  
ლად კითხულობს საფარს) და 1222 წ. სექტემბერ-ოქტომბრის მა-  
გიერ წერს 1222 წ. თებერვალს, მაგრამ 1220 წელი მას ნამდვილად  
არსად არ უწერია<sup>137</sup>.

<sup>134</sup> ალი-ზადე აღბად იმანაც შეაცდინა, რომ ქ. ყაბალა მანამდე არრანში შე-  
დიოდა. მაგრამ მოვლენის შეფასებისას კონკრეტულად არსებული ვითარებიდან  
უნდა ამოვიდეთ.

<sup>135</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. XII, გვ. 188—189.

<sup>136</sup> А. А. Али-заде, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>137</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., ტ. XII, გვ. 190.



ბაილყანის ლაშქრობის შემდეგ ბრძოლის კერამ რამდენადმე სამხრეთით გადაინაცვლა. იმის იმედით, რომ მონღოლებთან მარცხიან ბრძოლებში დასუსტებული საქართველოს ლაშქარი მტერს საკადრის შეხვედრას ვეღარ მოუწყობდა, სომხეთის ოლქის, სარმარის დროებითა ამირამ დაარღვია ათიოდე წლის წინათ (1209 წ.) ხლათისა და საქართველოს მეფეებს შორის დადებული ზავი და ქართველებს ომი აუტეხა. იბნ ალ-ასირის ცნობით, 1223 წ. აგვისტოს (620 წ. შა'ბანს) არმინიის ოლქის, სარმარის მმართველი, რომელიც ხლათის გამგებელს აიუბის ძე ალ-ადილ აბუ ბაქრის ვაჟიშვილს შიპაბ ად-დინ დაზის მორჩილებდა, სიუხერენთან წავიდა, ხოლო სარმარის ციხისთავობა თავის ერთ-ერთ ამირას მიანდო. ამ უკანასკნელმა თავი მოუყარა ლაშქარს, საქართველოსაკენ გაემართა, გაძარცვა იქ რამდენიმე სოფელი და უკან გამობრუნდა. ცხადია, ამას საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ და, მართლაც, როგორც იბნ ალ-ასირი ამბობს, „შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი ქართველებმა და მათმა ერთ-ერთმა უდიდესმა სარდალმა ივანემ, რომელიც დვინს განაგებდა, თავისი ლაშქრით მაშინვე სარმარისაკენ გაემართა მტერზე შურის საძიებლად. იგი მივიდა ქალაქთან, გარს შემოერტყა, გაძარცვა როგორც ის, ასე მისი გარეშემონი და შემდეგ უკან დაბრუნდა<sup>138</sup>. როგორც ირკვევა, სანამ ის საქართველოს საზღვარს მოაღწევდა, მანამ გზაში ხიფათი შემთხვევია: „სწორედ იმ დღეს, გვამცნობს იბნ ალ-ასირი, — როდესაც ქართველებმა სარმარი დატოვეს და შინისაკენ გაბრუნდნენ, სარმარის უფროსი ხლათიდან თავის რეზიდენციაში დაბრუნდა და მაშინვე ლაშქრით ქართველებს გამოუდგა. იგი თავს დაესხა მათ არიერგარდს, მოსპო რამდენიმე მათგანი და აართვა ნადავლი, რომელიც მათ მისი ქვეყნიდან წაეღოთ“<sup>139</sup>. დამარცხებული ქართველთა ლაშქრის სარდალი დვინს დაბრუნებულა. მაგრამ, ჩანს, სულ მალე ისევ სარმარისაკენ ულაშქრნია: „რამდენიმე ხნის შემდეგ, ამბობს არაბი მემატრიანე, — შეაგროვა რა ლაშქარი, დვინის გამგებელი სარმარისაკენ დაიძრა ალყის შემოსარტყმელად, მაგრამ როგორც კი ეს შეიტყო, (სარმარის) უფროსმა, მაშინვე თავი მოუყარა იქ სურსათ-სანოვაგესა და ყოველივეს, რაც საჭირო იყო. ამ დროს მას მოახსენეს, რომ ქართველები დვინსა და სარმარს შორის ვიწრო ხეობაში დაბანაკებულანო და ისიც, თავისი ლაშქრით, სასწრაფოდ

<sup>138</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., ტ. XII, გვ. 190.

<sup>139</sup> იქვე.



წავიდა, რათა მოულოდნელად დასხმოდა თავს. იმ ხევთან, სადაც ქართველები განლაგებულებოდნენ, ის დილით შივიდა და თავისი ჯარი ორ ნაწილად გაჰყო; ერთი ნაწილი დააყენა ხევის თავს, მეორე — ბოლოს და მოულოდნელად ეკვეთა მტერს, ზომილი მას არ მოელოდა. მისმა მეომრებმა მრავალი ქართველი მრავალიც დაატყვევეს. დატყვევებულთა შორის იყო დვინის გამგებელი შალვა, სხვა მის წარმომადგენლებთან ერთად. ვინც დაღუპვასა და ტყვეობას გადარჩა, თავის ქვეყანას დაუბრუნდა საშინელ ფორმაში<sup>140</sup>.

ქართველთა ლაშქრის განადგურებისა და ივანეს დატყვევების ამბავმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია დედოფალ რუსუდანის კარზე. ამიტომ მან თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა ალ-ჯაზირის მხარის მფლობელ აშრაფ მუსას ალ-ადილის ძეს (რომელმაც ხლათი და მისი რაიონი შიპაბ ად-დინს უწყალობა) და შეუთვალა: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ დაზავებული ვიყავით თქვენთან, მაგრამ ახლა თქვენ ხედავთ, თუ როგორ მოიქცა სარმარის გამგებელი. თუ ჩვენ დაზავებული ვართ, მაშინ მოვითხოვთ, რომ ჩვენი ტყვეები გაათავისუფლონ. უკეთუ ზავი ჩვენს შორის დარღვეულია, გვაცნობეთ ამის შესახებ, რომ მივიღოთ სათანადო ღონისძიება“<sup>141</sup>. რუსუდანის ამ მიმართვიდან ჩანს, რომ სარმარისა და დვინის გამგებლებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი ფართო მასშტაბის ომად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ, ეტყობა, მუსლიმანი ამირები ასეთი ბრძოლისათვის მომზადებული არ იყვნენ და ქართველთა მეფის სურვილი დააკმაყოფილეს: „მაშინ აშრაფმა სარმარის უფროსს უბრძანა, გაეთავისუფლებინა ტყვეები და აღედგინა მშვიდობა ქართველებთან, რაც მაშინვე შესრულდა; მშვიდობა აღსდგა და ტყვეები გაუშვესო“, — ამბობს იბნ ალ-ასირი<sup>142</sup>.

რუსუდან მეფის ნება-სურვილის ესოდენ უსიტყვოდ შესრულება ალ-ჯაზირის მბრძანებლის მიერ იმას ნიშნავს, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რაც მას მონღოლებმა დაჰართეს, მაინც ძლიერი სახელმწიფო იყო. თუმცა აშკარად ჩანს ისიც, რომ მონღოლების მიერ მიყენებული მძიმე ჭრილობა მას მაშინ კიდევ მოუშუშებელი ჰქონდა და აღრინდელი ძალა აღარ შესწევდა. ეს დასტურდება იმ ბრძოლებითაც, რომლებიც მას ჰქონდა 1225 წელს ჯერ არ-რანში, შემდეგ შარვანში და, ბოლოს, ხვარაზმელებთან.

140 იქვე.

141 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., ტ. XII გვ. 190.

142 იქვე.



ზურაბ ანჯაბაძე, მარინო ცინცაძე

## საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში

ჩრდილოეთ კავკასია უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ისტორიაში. ჩრდილოეთ კავკასიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთან ურთიერთობას, რაც დასაბამს უძველესი ხანიდან იღებს. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში ჩრდილო კავკასიასთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აღის.

როგორც წინა პერიოდში, ისე შუა ფეოდალურ ხანაშიც, ჩრდილო კავკასიაში ეთნიკურად მეტად ჭრელი მოსახლეობა იყო. მათ შორის თავისი მრავალრიცხოვნებით, შინაგანი პოტენციითა და აქტივობით გამოირჩეოდნენ ის ხალხები, რომლებიც განსახლებული იყვნენ კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობებისა და მთისძირა ვაკე-ტრამალეების მთელ სიგრძეზე — მდ. ყუბანის შესართავიდან მოყოლებული, ვიდრე კასპიის ზღვამდე. ესენი იყვნენ: ადიღე-ჩერქეზები, ალანები, ვეინახები, დაღესტნელები და ყივჩაყები.

რა თქმა უნდა, გარდა ზემოჩამოთვლილი უმთავრესი ეთნიკური გაერთიანებებისა და ხალხებისა, ჩრდილო კავკასიაში ნაკლებსიძლიერის სხვა ტომებიც სახლობდნენ, მაგრამ ამიერკავკასიასთან ურთიერთობაში ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ.

შუა ფეოდალური ხანისათვის განსაკუთრებით დაწინაურდნეს ალან-ოსები და ყივჩაყები, რომლებიც თავიანთი მრავალრიცხოვნებით, ბრძოლისუნარიანობით, საკმაოდ განვითარებული პოლიტიკური ორგანიზაციით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით საგრძნობლად გამოირჩეოდნენ დანარჩენთაგან.

ამ დროს ჩრდილო კავკასია ყურადღებას იქცევს, როგორც მდიდარი ეკონომიური რაიონი, რომელთანაც და რომლის საშუალებითაც ხდებოდა აღებ-მიცემობა. გარდა ამისა, ჩრდილო-კავკასიაზე (ოსეთის და ძურაქუკეთის ტერიტორიაზე) გადიოდა კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა, რომელმაც მის გასწვრივ მცხოვრებ ხალხთა ეკონომიურ განვითარებას ხელი შეუწყო. ჩრდილო კავ-

კასიის (ყერძოდ, ოსეთის) გავლით იხსნებოდა ფართო გზა რუსეთის, ვოლგისპირეთისა და სხვა ქვეყნებისაკენ.

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ძალების გამოყენებას მოხდა.

XI საუკუნეში საქართველოს ორი ძირითადი მეტოქის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. ესენი იყვნენ ბიზანტია და თურქ-სელჯუკები.

ამ საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევარი საქართველომ ბიზანტიასთან ომს შეაღია. გაძლიერების გზაზე მდგომი ქვეყანა არაფრად ექაზნიებოდა ბიზანტიას. იგი საქართველოში ხელდავდა თავის მეტოქეს და, მიუხედავად „ერთმორწმუნეობისა“, დაუღალავად ებრძოდა მას. ამ ბრძოლებში საქართველოს ესაჭიროებოდა დამხმარე ძალა, რადგანაც ქვეყნის გაერთიანება ჯერ დასრულებული არ ყოფილა, ხოლო საგარეო მტერთან ბრძოლა, ამავე დროს, შინაურ მტერთა დაძლევისაც გულისხმობდა; მართლაც, როგორც ქართული საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, ამ მძიმე და რთულ ბრძოლებში სათანადო მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ძალების გონივრულად გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ ამ დროის საქართველოს თავის ძირითად ამოცანად მიაჩნდა თავდაცვითი პოლიტიკის წარმოება. მართალია, სამხრეთის მიმართულელებით ეწყობოდა დაპყრობითი ლაშქრობები. მაგრამ ჩრდილოეთისაკენ, კავკასიის მთის გადაღმა, ასეთი ბრძოლების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ქართულ წყაროებში გვხვდება ცნობები II-V სს-ში ჩრდილო კავკასიაში ქართველ მეფეთა ლაშქრობებზე, რომელთაც დამსჯელი ექსპედიციების ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ არც ერთ მათგანს ტერიტორიის მომატება არ მოჰყოლია. საქმე ისაა, რომ ჩრდილო კავკასიის ველებზე ხშირად მოძრაობდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მეჭოგე ტომები, რომლებიც გზაზე ნიაღვარივით ლეკავდნენ ყველაფერს. ეს ფაქტორი ანელებდა საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს ჩრდილო კავკასიის მიმართ<sup>1</sup>. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სეზონურად გამოსადეგ გადასასვლელებს, რომელთა ნაწილი ჩრდილო კავკასიის მცხოვრებთა ხელში იყო. ამ ხანებში საქართველოსათვის ჩრდილოეთისაკენ შეტევა ინტერესმოკლებული არ ყოფილა, მაგრამ ქართული სახელმწიფოს მთავარ ყურადღებას ჩრდილო კავკასიის სამხედრო ძალების გამოყენება იმსახურებდა.

<sup>1</sup> გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 127.

10. საქართველო რუსთაველის ხანაში

ახალი ეტაპი საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობაში დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო.

XI ს-ში თურქ-სელჯუკები თანდათანობით გამაქრნენ ამიერ-კავკასიის დიდ ნაწილში და ქვეყანა სამეურნეო, გადამკარტმის საფრთხის წინაშე დააყენეს. ასეთ ვითარებაში საქართველომ, რომლის სათავეში მოექცა ენერგიული და ჰკვიანი მმართველი დავით აღმაშენებელი, ითავა თურქ-სელჯუკებთან ბრძოლის მედროშეობა, გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები და კიდევაც მიაღწია სასურველ შედეგს.

ამ ისტორიულ ბრძოლებში, დავით აღმაშენებლის ბრძნული პოლიტიკის განხორციელებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩრდილო კავკასიის ხალხებმაც—განსაკუთრებით ოსებმა და ყივჩაყებმა.

ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის ოსები შედარებით უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ფეოდალურ საქართველოსთან.

აღრეფეოდალური ხანის გასულისათვის ოსეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით საკმაოდ განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა. მის დაწინაურებას რამდენადმე ხელი შეუწყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ ოსურ მოსახლეობაში.

როგორც ცნობილია, ოსთა გაქრისტიანება X ს-ში მოხდა. ეს ფაქტი დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის და აფხაზთა მეფე გიორგის (921-955) სახელთან. ამ ფაქტიდან ჩანს ოსეთის და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიის ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მისწრაფება საქართველოსადმი, რომელიც ამიერკავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იყო. ამავე დროს, მისი მეშვეობით შეიძლებოდა დაკავშირება იმდროინდელ მოწინავე სამყაროსთან. რაც შეეხებოდა კიევის რუსეთს, ის ოსეთიდან დაშორებული და ამ დროისათვის ფაქტურად დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. გარდა ამისა, ოსეთსა და კიევს შორის მაშინ მდებარეობდა ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური ქვეყანა — ყივჩაყეთი. ეს მოვლენა მარტო XII საუკუნისათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ უფრო აღრეული პერიოდისათვისაც, როცა ხსენებულ ქვეყნებს ერთიმეორისაგან ხაზართა სახელმწიფო ჰყოფდა.

ოსებში ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების საქმე საქართველოს საზრუნავი იყო. ეს კი მას საშუალებას აძლევდა მთის ძლიერი მოსახლეობა თავისი იდეოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. შექმნილი მდგომარეობა კარგად ესმოდა დავითის სამეფო კარს და ამიტომაც იყო, რომ ოსეთში გ

დასვლის დროს დავითს თან ახლდა ვაზირთა უპირველესი გიორგი  
კუონდიდელი. ბუნებრივია, ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის ოსეთ-  
ში გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვის მომენტი უნდა და-  
ვინახოთ<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, საქართველოსათვის ოსებთან მეგობრული კავ-  
შირის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როცა და-  
ვით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაყთა გადმოყვანა მოინდო-  
მა, ღლის წესრიგში დადგა არა მარტო ოს-ყივჩაყთა შორის უთანხ-  
მოების დაძლევა და ოსთა იძულება — გზა გაეხსნათ ყივჩაყთათვის,  
არამედ დარიალის გზის კონტროლის საკითხიც. მეფეს ამ ამოცანის  
განხორციელება სამხედრო ძალითაც შეეძლო, მაგრამ საქმე მშვი-  
დობიანი გზით მოაგვარა. სავარაუდებელია, რომ დავითის ქალიშვი-  
ლის ოსეთში ქორწინება ამ მოლაპარაკებების უშუალო შედეგი ან მისი  
წარმატების ერთი წინაპირობათაგანი იყო. ამის შემდეგ ოსეთის სა-  
მეფო დინასტია საქართველოს სამეფო დინასტიას — ბაგრატიონთა  
საგვარეულოს დაუნათესავდა დედის ხაზითაც.

დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს გავლენა ოსეთ-  
ზე განუზომლად გაიზარდა და ამიერიდან ამ ორი ქვეყნის ურთიერ-  
თობა ყმადნაფიცობის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დამყარებული<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ოსეთს და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიის ტო-  
მების ყმადნაფიცობა საქართველოს მიმართ სამხედრო ექსპედი-  
ციების ან დაპყრობის გზით არ დამყარებულა. იგი აღმოცენდა  
ეკონომიური და პოლიტიკური მომენტების ბაზაზე. ეს, პირველ  
რიგში, იმით უნდა აიხსნას, რომ თვით ამ ხალხებს საკუთარი ინ-  
ტერესები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ. განვითარებულა  
მეურნეობის მქონე და ძლიერი საქართველო სულ უფრო მეტად  
იზიდავდა თავისკენ მთის მოსახლეობას.

ყმადნაფიცობის პრინციპზე აგებული ურთიერთობა ოსეთ-სა-  
ქართველოს შორის მტკიცდებოდა მთელი XII ს-ის მანძილზე და  
XIII ს-ის I ნახევარშიც გაგრძელდა.

ოსებთან ურთიერთობის განმტკიცების ამოცანა არა მარტო  
საგარეო პოლიტიკის საკიროებიდან გამომდინარეობდა, არამედ  
შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტიდანაც. საქართვე-  
ლოს ისტორიაში ცნობილია შინაკლასობრივ ბრძოლაში ოსთა გა-  
მოყენების ფაქტები. შესაძლებელია, რომ 1177 წ. დემნას აჯანყე-  
ბის დროს გიორგი III-ს ოსთაგან სამხედრო დახმარება მიეღო<sup>4</sup>.

<sup>2</sup> გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. 245.

<sup>4</sup> გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

ასეთივე დახმარება აღმოუჩინეს ოსებმა გიორგი მეფეს მგზობელ მამადიანური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც.


XII ს. ბოლოსათვის, როცა თამარ მეფე დავით სოსლანზე დაქორწინდა, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა უკიდურესად გაძნედა. შთამომავლობით ბაგრატიონი-ოსის უკუღმართული დავით სოსლანი თამარ მეფის შესაფერისი საქმრო უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს გარეგნულად მიმზიდველი მოყმე საკმაოდ განსწავლული და სამეფო საქმეებისათვის მომზადებული იყო. წარმოშობით დავით სოსლანი უკავშირდებოდა გიორგი I-ის შვილის დემეტრეს შტოს, რომელიც XI ს. 40-იან წლებში, თავისი ნახევარძმის — ბაგრატ IV-ის მიერ დამარცხებული, ოსეთში გადავიდა. სოსლანი დედითაც ახლო იდგა ბაგრატიონთა საგვარეულოს. თან — დავით აღმაშენებლის ოსეთში გათხოვილი ქალიშვილა შთამომავალი იყო.

მართალია, საქართველოში დავით სოსლანის მომხრეთა დასი ძლიერი იყო, მაგრამ მისი თამართან შეუღლება მაინც საკმაოდ გაძნელდა. ამის მიზეზი იყო ის მძაფრი სოციალური ბრძოლა, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში. ამ დაძაბულ ვითარებაში თამარის მთხოვნელთა შორის გაიმარჯვა ოსმა უფლისწულმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დავით სოსლანის მომხრეთა დასი ძლიერი იყო და მხარს უჭერდა ისეთ საქორწინო აქტს, როქელიც ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას ხელს შეუწყობდა.

კეთილმეზობლური და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ძურძუკებთანაც. ეს კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილიდან, სადაც ლაპარაკია ფხოველებისა და დიდოელების აჯანყებაზე, რომელთა წინააღმდეგ თამარ მეფემ ივანე ათაბაგი გაგზავნა: „ცნეს რა მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძლუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუად; მოსწყუდეს ურიცხვ კაცი დიდოი და ფხოვი, და დაყვნეს სამნი თუენი...“<sup>5</sup>

ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს დაღესტანთანაც. დაღესტნის მოსახლეობა შედგებოდა ერთმანეთის მონათესავე რაზდენიმე ხალხისაგან, რომლებიც თავისი განვითარებით ადრეფეოდალურ ურთიერთობათა საფეხურზე იდგნენ. ადგლობრივი ბუნებრივი რესურსების, სახნავ-სათესად და საცხოვრებლად ვარგისი მიწების სიმცირე დაღესტნელ ტომებს ბარზე დამოკიდებულ

<sup>5</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, თბ., 1959), გვ. 111.



ხლიდა. მაგრამ თუ ბარი ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი არ იყო, მაშინ დაღესტნელთა კავშირი ბართან ნორმალურ ხასიათს კარგავდა და ბარზე მძარცველურ თავდასხმებში გადაიზრდებოდა. განსახილველ პერიოდში ეს ურთიერთობა კეთილმეზობლურ ხასიათს ატარებდა.

დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველო დაინტერესდა ჩრდილო აზერბაიჯანში არსებული ძლიერი სამთავროებითა და დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზით.

დავით აღმაშენებელსა და სელჯუკიან სულთანს შორის ბრძოლის ობიექტი შარვანის სამეფო სახლი და დარუბანდის გასასვლელი იყო. 1123 წ. სულთანი შარვანს მოვიდა, შეიპყრო შარვანში, აიღო შამახია და დავით აღმაშენებელს საომრად იწვევდა. დავითმა იგი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ამით არ დამცხრალა მისი რისხვა. როგორც ჩანს, მომდევნო წლის აპრილში მან ახალი ლაშქრობა მოაწყო, ამჯერად დარუბანდისაკენ: „და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყუდნეს ქურდნი, ლეკნი და ყიფჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“<sup>6</sup>.

დავით მეფე დაჟინებით უტევდა დარუბანდს, ის სათანადოდ აფასებდა კასპიის კარის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას და ცდილობდა ეს მხარე თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. დარუბანდელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითი მარტო ძალას როდი მიმართავდა. იგი ფართოდ იყენებდა სხვა ხერხებსაც, კერძოდ: „...დავსანა კეთილითა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“<sup>7</sup>... ეკონომიური საშუალებები და კეთილითა და საბოძვართ ალვისება იმის პირველი პირობა იყო, რომ ისინი შეძლებისდაგვარად მშვიდად მსხდარიყვნენ მთაში. გარდა ამისა, დაწინაურებული ბარი მთის ქარბ მოსახლეობას დაბლობისაკენ გზას უხსნიდა.

მეფე გიორგი III-ის დროსაც შარვანში, რომელიც მის ყმად ითვლებოდა, შემოეხვეწნა საქართველოს და გიორგი „...მივიდა ვიდრე კართამდის დარუბანდისათა. მოაოჭრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი“, რომელიც თავის დისშვილს უწყალობა.

დაღესტნელები ზოგჯერ საქართველოს ფეოდალურ შინაომებშიაც მონაწილეობდნენ. როცა გიორგი III-ს დემნა ბატონიშვილი

<sup>6</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. I, თბ., 1955), გვ. 344.  
<sup>7</sup> იქვე, გვ. 345.

აუჯანყდა, დემნას, სხვა დიდებულებთან ერთად, ჰერეთ-კახეთის ფეოდალებიც მიემხრნენ, მაგრამ გიორგიმ ძალა მოიკრიფა და ვაიმარჯვა: „მუნით მოვიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეიქმნეს ომნი ფეოდალნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყვნესცა გამოცდენი და სომხთა კაბუჯნი. ამას შინა სძლო მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან, და გააქცივნეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი“<sup>8</sup>.

თამარ მეფის დროს ლეკურ-დაღესტნური ტომები საქართველოს უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ. მართალია, კავკასიის მთიანეთი ვერ ეგუებოდა ბარის უცილობელ ბატონობას და ხშირად სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებებშიც მონაწილეობდა (გიორგი რუსის პირველი აჯანყება), მაგრამ, როგორც ცნობილია, აჯანყებულები და მათთან ერთად „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“ სამეფო ხელისუფლებამ დაიმორჩილა. ამიტომაც იყო, რომ თამარმა და დავითმა ბასიანის ომში „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“<sup>9</sup>.

ლეკური მოდგმის იმ სამხედრო ნაწილებს, რომლებსაც ქართულ ფეოდალურ ლაშქარში უხდებოდათ ბრძოლა, არ შეიძლება არ განეცადათ ფეოდალური საქართველოს კულტურული გავლენა. ბასილი ეზოსმოძღვრის გადმოცემიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ერეოდა დაღესტნის ხალხის საშინაო ცხოვრებაში, ცდილობდა ხელისუფლების სათავეში მისთვის სასურველი პიროვნება დაესვა<sup>10</sup>. საქართველო თამარ მეფის შემდეგაც აგრძელებდა ამ ტრადიციას.

საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ადიღებთანაც (ქართული წყაროები მათ ჯიქების სახელით იცნობდნენ). მათთან ურთიერთობას საქართველო აფხაზეთის ტერიტორიის მეშვეობით ახორციელებდა. საქართველო-ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დამაკავშირებელ გზა უხსოვარი დროიდანვე იყო ცნობილი. ეს გზა იწყებოდა აწინდელ ანაბასთან, მიჰყვებოდა მდ. ყუბანს, რომლის სათავედანაც ქლუხორის ვადასავლელით გადმოდიოდა საქართველოში. ეს გზა შეესაბამება აწინდელ სოხუმის სამხედრო გზას. ყუბანის შენაკად

<sup>8</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 19.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.



ლაბას მეშვეობით შეიძლებოდა ბზიფის ხეობაში გადმოსვლა. ამა-  
გარდა, იყო მარუხის გადასასვლელიც, რომელიც აფხაზეთიდან გა-  
დადიოდა მდ. დიდი ზელენჩუკის ხეობაში და შემდეგ უკავშირდებოდა  
ყუბანის გზას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო-ადიღეს ურთიერთობის  
ისტორიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა აფხაზეთი, რომელიც  
მელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მათ დამაკავში-  
რებელ რგოლს წარმოადგენდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ადიღურ  
ტომებსა და საქართველოს შორის სხვადასხვა დროს საზღვრები  
საკმაოდ მერყევი ყოფილა. ეს მომენტი უნდა იყოს ასახული ვახუშ-  
ტის გეოგრაფიის იმ ნაწილში, სადაც იგი საკუთრივ ჭიქეთის შესა-  
ხებ წერს: „ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის-წყლის დასავლეთს, ბა-  
გრატიონთ ეამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჭიქეთს, არამედ გორგას-  
ლის ცხორება უწოდებს ჭიქეთს ამ ჭიქეთის ჩრდილოთ კერძოს, კავ-  
კასის მთის იქითს კერძს ზღვამდე. და ამ აწინდელს ჰიქეთს მზღვ-  
რის: აღმოსავლით კაპპეტის-წყალი; დასავლით შავი ზღვა; სამ-  
კრით იგივე ზღვა; ჩდილოთ კავკასი“<sup>11</sup>.

აღნიშნულ ცნობაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვახუშტი  
„აწინდელ ჭიქეთს“ განასხვავებს გორგასლის დროინდელი ჭიქეთს-  
საგან. მისი აზრით, გორგასლის დროს ჭიქები უფრო ჩრდილოეთით  
მოსახლებოდნენ, ხოლო „ბაგრატიონთა ეამს აქეთ“ უფრო სამ-  
ხრეთ-დასავლეთისაკენ წამოწეულან და აფხაზეთსა და ჭიქეთს შო-  
რის საზღვრად მდ. კაპპეტი ანუ ბზიფი ქცეულა. ცნობილია, რომ  
შუა და გვიანფეოდალურ ხანაში ბზიფსა და ქერჩის სრუტეებს შო-  
რის არაერთი ადიღური ტომი მოსახლებოდა. ქართველთათვის ჭი-  
ქეთად შეიძლება წოდებულიყო ან ერთი კონკრეტული ტომი, რო-  
მელიც ემეზობლებოდა საქართველოს, ან კიდევ მონათესავე ტომთა  
კრებული. ქართულ საისტორიო წყაროებში ჭიქეთად მეტწილად  
ადიღურ ტომთა კრებული იგულისხმება. უნდა აღინიშნოს, რომ  
ადიღე-საქართველოს ურთიერთობაზე ქართულმა წყაროებმა ძალ-  
ზე მცირე ცნობები შემოინახა. ამას გარკვეული მიზეზი უნდა ჰქონ-  
დეს. ქართული საგარეო პოლიტიკის მედროშე ქართლი, შემ-  
დგომში კი გაერთიანებული საქართველო, უძველესი დროიდანვე  
უკავშირდებოდა ცენტრალურ კავკასიონს და არაგვის კარის გავ-  
ლით ახორციელებდა ურთიერთობას, როგორც ჩრდილოეთ კავკა-  
სიის ხალხებთან, ისე მის მიღმა მდებარე მოსახლეობასთან თუ სა-  
ხელმწიფოებთან.

<sup>11</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172.

შუა ფეოდალურ ხანაში ადიღე ტომების გარკვეული ნაწილი უშუალოდ იყო მოქცეული საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული წერილობითი წყაროები საქართველო-ადიღეს ურთიერთობის შესახებ ამ პერიოდში ძალზე მცირე ცნობებს გვაწვდიან.

ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ადიღეებმა კმთავითვე მოექცნენ „აფხაზთა სამეფოს“ გავლენის ქვეშ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გიორგი II-მ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი მოწინააღმდეგე დაამარცხა და „წარს-ცა პყრობილად ჯიქეთს“<sup>12</sup>. როგორც ჩანს, ჯიქეთი გიორგი II-ს მტკიცედ ეპყრა, რადგანაც საშიში პოლიტიკური პირი თავის სამფლობელოს ყველაზე უშიშარ ადგილას გადახვეწა.


საქართველოს გაძლიერება-განმტკიცების საქმეში არანაკლები წვლილი შეიტანეს ყივჩაყებმაც.

ყივჩაღები თურქული მოდემის ხალხი იყო<sup>13</sup>, ეკავათ სამხრეთ რუსეთის ვრცელი ტერიტორია და გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ რუსებთან. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს (1103 წ.). მთავარმა ელადიმერ მონომახმა დაამარცხა ყივჩაყები. ყივჩაყთა ერთი ნაწილი სირჩანის მეთაურობით გადავიდა დონს გაღმა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც მისი ძმა ოტროკი (რუსული წყაროებით), ანუ ათრაქა (ქართული წყაროებით) სარდლობდა, მოვიდა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, სადაც ისინი ოსებს დაუმეზობლდნენ. მათ შორის მაშინვე იჩინა თავი უთანხმოებამ. ამ ქიშხის საფუძველი ის იყო, რომ ყივჩაყებმა დაიკავეს ჩრდილო კავკასიის ბარის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მანამდე ოსებს ეკავათ. მოსულები განვითარების ნახევრად პატრიარქალურ-ნახევრად ფეოდალურ საფეხურზე იდგნენ, ძირითადად მისდევდნენ მეჯოგეობას. ოსეთი კი ამ დროისათვის საკმაოდ დაწინაურებული მიწათმოქმედი ქვეყანა იყო. განვითარებული იყო აგრეთვე მესაქონლეობაც. ამიტომ ყივჩაყების მიერ ოსთა საძოვრების მითვისებას არ შეიძლება არ გამოეწვია მათი უკმაყოფილება. ამ ქიშხს თავდაპირველად, ალბათ, საქართველოც უწყობდა ხელს, რადგან ჩრდილო-კავკასიაში ახალი, ძლიერი მეომარი ტომის გამოჩენა საფრთხეს შეუქმნიდა მთელს ამიერკავკასიას, ოსებს კი მათი შეჩერება, კავკასიის ცენტრალური გასასვლელის მიმართულებით, შედარებით ადვილად შეეძლოთ.

მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა წამოიწყო მეტად რთული და მძიმე ბრძოლა თურქ-სელჯუკთა გასადევნად, დაისვა არანაკ

<sup>12</sup> მატჩანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268.

<sup>13</sup> მ. შურდულია, ყივჩაყთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. ოსუ შრომები 113, თბილისი, 1965.



ლებ მნიშვნელოვანი პრობლემა — საქართველოს მეთაურობით ამოქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება.

უცხოელთაგან ქირით დამხმარე ჯარის მოწვევა საქართველო-სათვის, ძველთაგანვე, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. აღმაშენებელმა კი გადაწყვიტა გადაედგა მეტად გაბედული ნაბიჯი — საქართველოში ყივჩაყები მასობრივად ჩამოესახლებინა.

საქართველოს მოსახლეობა ვერ იძლეოდა დავითის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საკმარის ძალებს. საჭირო იყო მეფის ერთგული, ფეოდალთაგან სავსებით დამოუკიდებელი, რეგულარული სამხედრო ძალა, რომელსაც გამოიყენებდნენ არა მარტო საგარეო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ შინაური მტრების — მსხვილი ფეოდალების დასათრგუნავად<sup>14</sup>.

ყივჩაყებთან წარმოებული მილაპარაკება წარმატებით დასრულდა. ისტორიკოსის სიტყვით, დავით მეფე „...“შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ოვსთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუდობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშუდობისა, ყივჩაყთათჳს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი“<sup>15</sup>.

გარდა 45 ათასი ყივჩაყი მეომრის (ოჯახებიანად) გადმოყვანისა, მან მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეც გააკეთა; საუღელტეხილო გზებზე კონტროლი დააწესა და ციხე-სიმაგრეებში თავისი ჯარები ჩააყენა. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა ხელი არ ახლო ყივჩაყთა სამხედრო ორგანიზაციას და ისინი სათანადო აღკვეთებში დაასახლა გვარებისა და იმ ჯგუფების მიხედვით, რომლის ბაზაზეც ხდებოდა ცალკეული სამხედრო შენაერთების გამოყვანა. ყივჩაყთა სწრაფი ასიმილაციის მიზნით, დავით აღმაშენებელს ისინი დაქსაქსულად დაუსახლებია. ეს სიფრთხილითაც იყო ნაკარნახევი. კომპაქტურად დასახლებულ ყივჩაყებს შეეძლოთ თვით საქართველოსათვის შეექმნათ საფრთხე. ფიქრობენ, რომ დავითმა ყივჩაყები დაასახლა მუხრანის ველზე<sup>16</sup>. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ყივჩაყები დასახლებული იყვნენ აგრეთვე ივრის ქვემო წელში და

14 З. Анчабадзе, Кипчаки Сев. Кавказа по данным грузинских источников XII—XIV вв. Сборник материалов научн. сессии, Нальчик, 1960.

15 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336).

16 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

აწინდელ საინგილოში, სადაც დღესაც შემონახულია ტოპონიმი „კიპჩაკი“.

ყივჩაყების ჩამოსახლება არც ისეთი საშიში გამოდგა, როგორც ეს დავითის ზოგიერთ თანამედროვეს ეგონა. მათი მიწაზე დაფუძნებით დაიწყო ყივჩაყთა მასიური გაქრისტიანება. საქართველოს მეფემ ამით ორი დიდი საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, გაამარჯვლა შემთხვევლური მოსახლეობის რიცხვი, და რაც მთავარია, შექმნა საიმედო დასაყრდენი ძალა 45.000 მხედრის რაოდენობით, რომელიც ყოველთვის მზად იყო სამხრად. მართლაც, დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში არ ჩატარებულა არც ერთი ცოტად თუ ბევრად სერიოზული სამხედრო ღონისძიება, რომელშიც ყივჩაყთა ლაშქარს არ მიუღო მონაწილეობა. 1121 წ. დავითმა ყივჩაყები გამოიყვანა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ბარდავში, რაზეც ისტორიკოსი წერს: „გაზაფხულ განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისათა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან ივინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყთა დაუმზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა“<sup>17</sup>.

1121 წ. ყივჩაყებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდგორის ომშიც. ამ ბრძოლის დაწვრილებითი აღწერა აქვს იბნ ალ-ასირს, ის წერს: „შეხვდა რა ორი მხარე ერთმანეთს, მოემზადნენ საბრძოლველად; ამ დროს დაწინაურდა 200 ყივჩაყი. მაჰმადიანებს ისინი დანებებულნი. ეგონათ და არავითარი ზომები არ მიუღიათ მათ შესაჩერებლად, და მიუახლოვდნენ მათ, მაგრამ ყივჩაყებმა ისრები სტყორცნეს. ამან არია მტერი; უკან მდგარ მეომრებს ეგონათ, რომ მოწინავენი მირბიან და სტოვებენ ბრძოლის ველსო და თვითონაც უკუიქცნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და თელავდნენ. მრავალი მათგანი დაიღუპა“<sup>18</sup>. იმავე ავტორის ცნობით, ყივჩაყები მონაწილეობდნენ თბილისისათვის ბრძოლაშიაც.

1123 წ. მათ მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობაში შარვანში, რომელიც თურქ-სელჯუკთა სულთანს დაეპყრო: „ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ კმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებდასავე მისსა თანამოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ აღთჟალულ იყვნეს მაშინ, და იყო შემბმელი კაცა ორმოცდაათი ათასი“<sup>19</sup>. შემდეგ ისტორიკოსი გვიყვება, თუ როგორ განდევნა ქართველთა მეფემ შარ-

<sup>17</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 340.

<sup>18</sup> Ибн-а-л-Асир, Из Тарых-ал-Камил. Материалы по истории Азербайджана, Баку, 1940, гв. 123—124.

<sup>19</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 343.

ვანიდან თურქები, რის შემდეგაც ყივჩაღები სისტემატურად არბენდნენ სულთანის სამფლობელოებს; ბოლოს, დამარცხებულმა სულთანმა დავითს საჩუქრები გაუგზავნა და მშვიდობა სთხოვა.

ცნობილია, რომ ყივჩაღები ერთნაირი ერთგულებით არ ემდებოდნენ დავითს. ისტორიკოსი წერს: „რაოდენ-გზის ყივჩაყურთვსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მკნენი, რომელნიმე კრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“<sup>20</sup>.

ყივჩაღთა ურჩობის ფაქტზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი<sup>21</sup>. იბნ ალ-ასირი ერთი ასეთი კონკრეტული ფაქტის შესახებ ვაძმოგვცემს: „ამ წელს (1123 წ.) გაძლიერდა გურჯების ბოროტებანი ისლამის ქვეყანაში და ადამიანები განიცდიდნენ შევიწროვებას, განსაკუთრებით კი შირვანის და დარუბანდის მცხოვრებნი. ამის გამო ადგილობრივი წარმომადგენლები წავიდნენ სულთანთან საჩივრულად... სულთანი გამოვიდა შარვანში და ქართველებიც გამოვიდნენ შესახვედრად. ბრძოლის წინ მაჰმადიანთა ჯარმა შფოთიანი ღამე ვაატარა, მაგრამ ღმერთმა შეამსუბუქა მათი ბედი; მან ჩამოავდო მტრობა გურჯებსა და ყივჩაყებს შორის და ისინი წაიკიდნენ ერთმანეთში იმ ღამეს, ხოლო შემდეგ წავიდნენ, როგორც გაქცეულები და ამრიგად ღმერთმა უშველა მაჰმადიანებს და გაათავისუფლა ამ ბრძოლისაგან“<sup>22</sup>.

ყივჩაყთა ასეთი მოქმედება არ არის გასაკვირი. ისინი შეჩვეული იყვნენ ყაჩაღურ თავდასხმებს და არ შეეძლოთ დიდხანს დამორჩილებოდნენ მტკიცე დისციპლინას. ისინი უპირატესად დანტერესებულნი იყვნენ სამხედრო ნადავლითა და ტყვეებით, რომელთა განთავისუფლებისათვის საზღაურს იღებდნენ. ამიტომ არის, რომ ისტორიკოსი, დავითის ღირსებების ჩამოთვლისას, აღნიშნავს: „ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიქსნა თვსთა ყივჩაყთაგან ფასითა“<sup>23</sup>.

დავითის შემდეგ ყივჩაყურ სამყაროსთან ურთიერთობა საქართველოს არ შეუწყვეტია. გიორგი ლაშას დროინდელი მემკვიდრე წერს: „და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“<sup>24</sup>.

ყივჩაყების ძირითადმა ნაწილმა, საქართველოში ვადმოსახლების შემდეგ, შეავსო გლეხთა რიგები, ხოლო მათი ზედაჟენა ქართ-

20 იქვე, გვ. 362.

21 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

22 Ибн-ал-Асир, დასახელებული ნაშრ., გვ. 124—125.

23 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 354.

24 ლაშა გიორგისდროინდელი მემკვიდრე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

ული ფეოდალური კლასის შემადგენლობაში შევიდა. ცხადია, ეს აღზევებული ფენა მეფის ხელისუფლების მომხრე და მისი განმტკიცების მოსურნე იქნებოდა. სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითია ამირსპასალარად დანიშნული ნაყივჩაყარი ყუბასაძე.<sup>25</sup>

ამრიგად, იყო შემთხვევები, როცა ყოფილ ყივჩაყებში მდებარე ნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე ინიშნებოდნენ.

წყაროებში იხსენიებიან აგრეთვე ახლად ჩამოსახლებული ყივჩაყები—„ყივჩაყნი ახალნი“. მაგალითად, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი აღწერს თბილისში შარვანის მმართველ აღსართანთან შეხვედრის მომენტს და აღნიშნავს, რომ მის პატივსაცემად გამართული სამხედრო აღლუმში გახსნეს ოსებმა და ახალმა ყივჩაყებმა<sup>26</sup>. ეს ახალი ყივჩაღები თანდათან გარდაიქმნენ „ყოფილ ყივჩაყებად“ და შემდეგში გაითქვიფნენ ქართველებში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესს ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც ესოდენ დამახასიათებელია ფეოდალური ხანისათვის, ასიმილაციის ხანგრძლივობა საქართველოში ყივჩაყთა ახალ-ახალი მასების ჩამოსვლითაც აიხსნებოდა.

საინტერესო ცნობებს ქართველ-ყივჩაყთა ურთიერთობის შესახებ გვაწვდის XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი. ის გვამცნობს ყივჩაყთა ახალი გადმოსახლების შესახებ ამიერკავკასიაში მას შემდეგ, რაც ისინი დამარცხდნენ ჩრდილო-კავკასიაში მონღოლებთან ბრძოლას დროს. კირაკოსი წერს: „ამის შემდეგ (მხედველობაშია მონღოლთა I შემოსევა ამიერკავკასიაში) სხვა რაზმები, რომლებსაც ეწოდებოდათ „ხუჩახ“ (ე. ი. ყივჩაყები) გამოვიდნენ ჰუნების ქვეყნიდან (იგულისხმება იმერკავკასია) და მივიდნენ საქართველოში მეფე ლაშასთან და ივანე დიდ ათაბაგთან, სთხოვეს მათ ადგილი დასასახლებლად, სამაგიეროდ დაჰპირდნენ ერთგულ სამსახურს“<sup>26</sup>. როგორც ჩანს, ყივჩაღთა გადმოსახლება საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად, სამხედრო სამსახურის პირობით, უკვე ტრადიციად იქცა. მაგრამ ამჯერად ქართველებმა უარი შეუთვალეს. ქართველთა ამ უარის მიზეზებზე კირაკოსი არას ამბობს. მაშინ, „როცა ქართველები არ დათანხმდნენ მიეცათ მათთვის თავშესაფარი, მათ თხოვნით მიმართეს განძის მმართველებს, რომლებმაც სიამოვნებით მიიღეს მათი წინადადება, რადგანაც ქართველებსაგან შევიწროებას განიცდიდნენ... და განძელებმა მისცეს მათ საცხოვრებლად ქალაქის განაპირა მხარეები“<sup>27</sup>.

<sup>25</sup> ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 65.

<sup>26</sup> История монголов по армянским источникам, вып. II, СПб., 1874.

<sup>27</sup> იქვე.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში ყოველთვის მიღებული უარის თქმის მიზეზი ის იყო, რომ ქართველ დიდებულებს არ სურდათ მოსულთათვის მიწის დათმობა.

თათარ-მონღოლთა შემოსევების პერიოდში ყოველთვის თანდათან ჩამოსცილდნენ ისტორიულ სარბიელს. მონღოლთა მიერ დადგენილი ყოველთვის ნაწილი კავკასიის მთიან რაიონებში შევიდა. შეერია ადგილობრივ მთიელ მოსახლეობას და წვლილი შეიტანა ჩრდილო კავკასიის ზოგი ხალხის — ყარაჩაელების, ბალყარელების და ყუბუხების ჩამოყალიბების პროცესში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ XIV ს-ის შემდეგ საქართველოში ყოველთვის გადმოსახლებას ადგილი აღარ ჰქონია.

საქართველოში დასახლებული ყოველთვის ნაწილობრივ გაითქვიფნენ ქართულ მოსახლეობაში. მათ არა მარტო ქართული ენა მიიღეს, არამედ ქართულ კულტურასაც ეზიარნენ. ამ სრულ ასიმილაციას მოჰყვა ის, რომ გვიანფეოდალური ხანისათვის საქართველოში ნაყოფიერად კი აღარ იხსენიება. ყოველთვის სახელი შემორჩა მხოლოდ ერთ ქართულ ხალხურ ლექსში, რომელიც ეროვნული ლირიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს<sup>28</sup>.

XI-XII სს-ში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის არსებულ პოლიტიკურ კავშირს შეუძლებელია თავისი კვალი არ დაემჩნია ამ ხალხთა ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე.

რაც შეეხება ადიღე და ქართველ ხალხებს შორის ეკონომიურ კავშირს, შესაძლოა, ამ საქმეში გარკვეული შუამავლის როლი ეთამაშათ იმ სომეხ ვაჭრებს, რომლებიც XI საუკუნიდან დასახლდნენ ყუბანისპირეთში.

იმ ხანგრძლივ და უწყვეტ ურთიერთობათა შედეგად, რაც აფხაზეთს და დასავლეთ საქართველოს ჰქონდა ადიღურ ტომებთან, მათ ბევრი რამ გაუჩნდათ საერთო როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ სფეროშიც. ამიტომ იყო, რომ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: ჯიქეთი არის „ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქცევითაცა... გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ეამად იმერნიცა ხმარობენ“<sup>29</sup>.

მაგრამ საქართველოსა და ადიღელ ტომებს შორის არა მარტო სამოსელის, იარაღის და ზნეთა სიახლოვე შეიმჩნეოდა. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკ-

28 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934. გვ. 74.

29 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 172.

კოთ მათ სამეურნეო გამოცდილებათა და ჩვევათა სიახლოვეს<sup>30</sup>. ადიღეელთა და ქართველთა საერთო ჩვევები დადასტურებულია ფეიქრობაშიც, მატყლის, შალის, სელის წარმოების ქართულ-დადიღურ წესებში და სხვ<sup>31</sup>. ადიღურ ენაში ქართული წარმოშობის ბევრი სიტყვაც შევიდა.

დიდ ინტერესს იწვევს ჩეგემის ხეობაში დაცული ეკლესია, რომელიც დღეს „ბაირამის“ სახელწოდებით არის ცნობილი, წინათ კი მას წმ. მარიამის სახელით იცნობდნენ. საინტერესოა აგრეთვე მეორე ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ქართული წარწერა აქვს.

საქართველოს მხედრობაში მონაწილე ოსური რაზმები არა მარტო მდიდარ დავლას იღებდნენ, არამედ ფულად სახსრებსაც. მართალია, საქართველო-ოსეთის ძველი ეკონომიური ურთიერთობის შესახებ კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის საულელტეხილო გზის იქით და აქეთ მდებარე ორი ქვეყანა ეკონომიურადაც მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ქარაველი ვაჭრები XI-XII სს-ში ოსეთის მეშვეობით უკავშირდებოდნენ რუსეთის ბაზრებს. ასეთ ვაჭართა წარმომადგენლად გამოიყურება ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც დაევალა თამარისათვის საქმროდ რუსი უფლისწულის ჩამოყვანა.

უფრო მეტი რამის თქმა შეიძლება საქართველოსა და ოსეთის კულტურული ურთიერთობის შესახებ. ოსეთის მეფის ასულები, რომლებიც საქართველოში თხოვდებოდნენ, ხელს უწყობდნენ არა მარტო ოსეთ-საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას, არამედ თავიანთ სამშობლოში ქართული რელიგიისა და კულტურის დიდი პროპაგანდისტებიც იყვნენ. ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს ოსეთიდან მოყვანილი ისეთი დედოფლების სახელები, როგორც იყვნენ ბორენა—ბაგრატ IV-ის მეუღლე, ბურდუხან—გიორგი III-ის მეუღლე, რომლებიც დიდი სიმპათიით სარგებლობდნენ საქართველოში და, ამავე დროს, ხელს უწყობდნენ ქართველთა და ოსთა კულტურული დაახლოების საქმეს.

ქართული ენა გზას იკაფავდა მეზობელ ხალხებში, განსაკუთრებით კი ჩრდილო კავკასიის ხალხებში.

<sup>30</sup> Г. С. Ч и т а я, Некоторые итоги экспедиц. работы 1957 г. отд. этнографии института истории Академии наук Груз. ССР. (მასალები საქართველს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960), გვ. 191.

<sup>31</sup> გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ეთნოგრაფიული მარაღელები ხალხურ ფეიქრობაში (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963, გვ. 363—372).



ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გავლენით-ოსეთში საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული ძეგლების მშენებლობას. ასეთებია, მაგალითად, ნუშალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რეკონსტრუქციის მიხედვით ქართულწარწერიანი ფრესკებია შემონახული, რეკონსტრუქციის მიხედვით ხეობაში, ძივგისის ტაძარი ქურთათინის ხეობაში და სხვ. ოსეთში ქრისტიანული ხუროთმოძღვრება ყალიბდებოდა უშუალოდ ქართველ მისიონერთა ჩარევითა და ხელშეწყობით.

გარდა სასულიერო ტერმინოლოგიისა, ოსებმა ქართველებისაგან აითვისეს მებაღეობა-მებოსტნეობის ტერმინები. ოსური ფოლკლორი და ხალხური მუსიკა არანაკლებ სიახლოვეს იჩენს ქართულთან.

იგივე ითქმის ყივჩაყებზეც. საქართველოსთან მათი ურთიერთობა მარტო სამხედრო საქმეებით არ ამოიწურებოდა. ხშირად ეს კავშირი ეკონომიურ ხასიათსაც ატარებდა. საქართველოს სავაჭრო წრეები კარგად იცნობდნენ ჩრდილო კავკასიას, კერძოდ, ყივჩაყეთს; იქ ვაჭრობდნენ და საქიროების შემთხვევაში პოლიტიკურ დავალებსაც ასრულებდნენ.

XI-XII სს-ში საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ვეინახურ ტომებთანაც. ვაჭრებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მიდიოდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ, უპირველეს ყოვლისა, ოსებთან და შემდეგ, ვეინახებთანაც. ვეინახებს აკლდათ ტანსაცმელი და სხვა საქირო საქონელი. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი დაინტერესებულნი იქნებოდნენ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობით. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული სამეურნეო-კულტურული გავლენა ვეინახებზე.

საქართველოს პოლიტიკური მესვეურები ცდილობდნენ ქრისტიანობის გავრცელების გზით განემტყიცებინათ თავის იდეურ-პოლიტიკური გავლენა ძურძუკ ტომებზე. ამ მიზნით ხელს უწყობდნენ იქ ეკლესიების აშენებასა და სამისიონერო საქმიანობას. ასის და არდუნის ხეობებში დაცული ქრისტიანული ეკლესიების არქიტექტურა და სამშენებლო მასალა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტიანობა აქ საქართველოდან ყოფილა გავრცელებული. ამის ნათელი მაგალითია მთიან ინგუშეთში XII ს. საინტერესო არქიტექტურული ნაგებობა თხაბა-ერდი, რომელიც ქართველების აშენებულია. ასეთი ძეგლები ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთშიაც მოიპოვება. აღსანიშნავია აგრეთვე ლექსიკური პარალელები ქართულსა და ვეინახურ ენებში<sup>32</sup>.

<sup>32</sup> А. И. Шавхелашвили, Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963, 33-53.

დაღესტან-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაზე მიუთითებს მთელი რიგი ფაქტები. მაგალითად, შემორჩენილია ქრისტიანული ეკლესია სოფ. დათუნასთან. ასევე მრავლადაა ქრისტიანული საფლავები ხუნძახში, სოფ. ტინდში—ცუმადინის რაიონში; სოფ. უროდაში — კახიბის რაიონში. აქვე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქვის ჯვრები ქართულ—ავარული წარწერებით<sup>33</sup>. ასეთივე ორენოვანი წარწერა აღმოჩნდა ხუნძახში. მთიან დაღესტანში XIII-XIV სს. გავრცელებული ყოფილა ქართული ენა და იყო ცდები ქართული ანბანის შეთანხმებისა მშობლიურ ენასთან.

როგორც აღვნიშნეთ, XI ს-დან მოკიდებული XIII ს-ის I მეოთხედამდე საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას შორის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი არსებობდა. XIII ს. 20-იანი წლებიდან საქართველოსა და მთელი კავკასიის პოლიტიკური ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. მონღოლმა დამპყრობლებმა კავკასიის ხალხთა ნორმალური ურთიერთობა მოშალეს და მათი სამეურნეო-ეკონომიური განვითარებაც დიდი ხნით შეაფერხეს.

---

<sup>33</sup> Д. М. Атаев, Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. 30, 1954. Т. Е. Гудава, Две надписи (груз. и грузино-аварская) из Дагестана. Арх. Чикобава, Грузинско-аварская надпись XIV в. из Дагестана. Сообщения АН Груз. ССР, т. 1, № 4, 1940, 33. 324—327.



მედიკალინური ინსტიტუტი

## უხსოვლები XII საუკუნის საქართველოს სამხედრო

საქართველოს ფეოდალურმა სახელმწიფომ XII საუკუნეში პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ზენიტს მიაღწია. შესაბამის დონეზე იდგა იმ დროს საქართველოში სამხედრო საქმეც. წინა აზიაში გაბატონებულ თურქ-სელჯუკებთან წარმატებით მებრძოლ ქართველთა საბრძოლო დიდება აზიისა და ევროპის უშორეს მხარეებს აღწევდა. წინა აზიის მაკმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის განადგურება დიდგორთან, შამქორისა და ბასიანის ომები და ძველამოსილი ლაშქრობანი ბიზანტიასა და ირანში ქართული სამხედრო ხელოვნების მაღალი დონის შესანიშნავი დადასტურებაა.

XII საუკუნის ქართული ლაშქარი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი სამხედრო ტრადიციების მემკვიდრე იყო. XII ს-ის საქართველოს სამხედრო ისტორიაში დიდი როლი ითამაშა დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმამ და ბრწყინვალე მხედართმთავრულმანიქმა, რომლებმაც განსაზღვრეს რუსთაველის ეპოქის ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების გეზი. მაგრამ არცერთ რეფორმას, არცერთ დიდ სარდალს არ შეეძლო წარმატების მიღწევა სათანადო დასაყრდენის გარეშე, რადგანაც „არაფერი არაა ისე დამოკიდებული ეკონომიურ წინაპირობებზე, როგორც სწორედ არმია და ფლოტი. შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტაქტიკა და სტრატეგია, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია განსაზღვრულ დროის წარმოების საფეხურზე“<sup>1</sup>. „შეიარაღებული ძალის ხასიათი დამოკიდებულია სახელმწიფოს არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ ფიზიონომიაზე, მას ზუსტად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების საერთო ეკონომიური და კულტურული დონე, მისი ნაციონალური სიმდიდრე, მისი სამობილიზაციო და საბიუჯეტო შესაძლებლობანი“<sup>2</sup>. (მ. ვ. ფრუნზე). XII საუკ. საქართველოს სამხედრო წარმა-

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 197.

<sup>2</sup> მარქსიზმ-ლენინიზმი ომისა და არმიის შესახებ, თბ., 1935, გვ. 41.

11. საქართველო რუსთაველის ხანაში

ტებებსაც სათანადო ეკონომიური და კულტურული საფუძველი  
ქონდა.

ისტორიული განვითარების გრძელი გზა საქართველომ გარეშე  
მტრებთან ბოლომოუღებელ ომებში გამოიარა. ~~საქართველომ~~ გართ-  
ნათესავით მკნენი და მკედრობითა აღზრდილნი და მტრადიქი კირე-  
ულსა ცხოვრებასა ჩვეულნი... მცირედნილა ვინ ჩუშნი მომკულდარ  
არიან სარეცელსა ზედა თუსსა მშვიდობით<sup>3</sup>. მუდმივი ომიანობა  
ქართველ ხალხს დიდ ზიანს აყენებდა. XI ს-ის მიწურულისათვის  
ქართველ მოლაშქრეთა რიცხვი ძალიან შემცირდა. მართალია, და-  
ვით აღმაშენებელმა ადგილობრივი ძალებით შეძლო საქართველოში  
თურქთა თარეშისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ აღმოსავლეთ საქარ-  
თველოს ქალაქებიდან (თბილისი, დმანისი...) მათ განსაღვენად და  
იმ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც XI ს-ის მიწუ-  
რულს წინა აზიაში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ საქარ-  
თველოს წინაშე დააყენა, ქართული ლაშქარი საკმარისი აღარ იყო.  
საჭირო გახდა დამხმარე სამხედრო ძალების გამონახვა.

დავით აღმაშენებლის დროიდან მონღოლთა შემოსევამდე სა-  
ქართველოს ლაშქარში დიდი რაოდენობით ვხედავთ მეფის (ზოგ-  
ჯერ ცალკეულ ფეოდალთა) სამსახურში მყოფ უცხოელ მოლაშ-  
ქრეებს. თუ ადრე უცხოელთა დაქირავება იშვიათად, მოკლე დროი-  
თა და მცირე რაოდენობით ხდებოდა, XII საუკუნეში ეს წესად  
იქცა. საიდან არ იყვნენ ეს უცხოელი მოლაშქრეები: არაბეთიდან,  
შვეციიდან, ქურთისტანიდან, დაღესტნიდან, რუსეთიდან, ყივჩაყთა  
ველიდან... მათი დიდი უმრავლესობა განსაზღვრული დროის შემ-  
დეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი საქართვე-  
ლოს შეეთვისა და გაქართველდა.

<sup>3</sup> ბეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიბიკონიდან 1084 წლისა. იხ. **Tipi-  
con Gregorii Pacuriani. Edidit Michael Tarchnišvili, Luvain, 1954**  
გვ. 2.

<sup>4</sup> დავით აღმაშენებლის გამეფებისას საქართველოს ლაშქარში შემდეგი ნა-  
წილები შედიოდნენ: 1. მეფის ლაშქარი, რომელშიაც ტაძრეულები—სამეფო  
დომენის მოლაშქრეები შედიოდნენ. XII ს-ის წყაროებით ამ ლაშქარს „სამეფო  
სპა“ „ხასნი“, „ხასაგანიანი, „შიდა ლაშქარი“ „შიდა სპა“ ერქვა;  
2. საპატრონუმი ლაშქარი — „საქართველოს ყოველ კუთხეთაგან და თემ-  
თაგან გამოშავალი სააზნაურო და მოყმეთა ჯარი“ (ი. ჯავახიშვილი, ქარ-  
თული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 145) ანუ „ლაშქარი თემისა და  
თემისა“, „ლაშქარნი ქვეყანისანი“. როგორც სამეფო, ისე სათემო (ერისთავთა)  
ლაშქარი ტიპური ფეოდალური ჯარი იყო, რომელსაც საჭიროებისამებრ იწვევ-  
დნენ და ომის დამთავრებისთანავე დაითხოვდნენ. საქართველოს ლაშქარი „შემ-  
მულეთა“ და „მოსაქარგავეთა“—დიდებულთა, აზნაურთა და მსახურთაგან შედგ-  
ბოდა.

უცხოელი მოლაშქრეები იყვნენ როგორც მეფის მცველ რაზმშიც, ისე ცალკე თემთა ლაშქარშიაც. პირველი დიდი სამხედრო შენაერთი, რომელშიც მრავალი უცხოელი შედიოდა, სამეფო გვარდია იყო.

დავით აღმაშენებელმა ჯერ კიდევ ყივჩაყთა გაღმრთების შემდეგ შექმნა სამეფო გვარდია, ე. წ. „მონა-სპა“, რომელშიც დავითის მიერ გამოზრდილი და გაწვრთნილი 5000 მხედარი შედიოდა. „მონა-სპაში“ შემავალ მოლაშქრეთა უმრავლესობა არაქართული წარმოშობისა იყო, რადგანაც, მემათიანის სიტყვით, — „მონანი... ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი“ იყვნენ<sup>5</sup>. მონა-სპა მეფის ძირითადი დასაყრდენი ძალა იყო. „მონათა“ კორპუსის მხედრები იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი..., მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“<sup>6</sup>. თუ რამდენად ახლო იდგა მონა-სპა მეფესთან, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ერთხელ, თბილისის აღების (1122 წ.) წინა წლებში, დავით აღმაშენებელმა განძიდან თბილისს შესული თურქების გამოტყუება და გაჟლეტა გადაწყვიტა. მეფემ 15 რჩეული „მონა“ ლოქინის ხევისკენ გაგზავნა, იქ თბილისელთა მიერ საბალახოდ გამოშვებული ნახირის მოსატაცებლად. თვით მეფე სამასი მონით ავჯალის ხევის სამალავში დადგა. მონებმა ნახირი გამორეკეს. თბილისიდან გამოსული 100 თურქი მათ დაეწია, შეებრძოლა და ცხენები დაუხოცა. დაქვეითებული „მონები“ ბრძოლას განაგრძობდნენ. მეფეს, რომელიც ამ დროს თავისი რაზმიდან მოშორებით ჩამოქვეითებული იდგა, მებრძოლთა ყვირილი მოესმა, იგი მაშინვე ამხედრდა. რაზმს აღარ დაელოდა და „მონათა“ მისაშველებლად გაეშურა. მემათიანის სიტყვით, დავითი ასე იმიტომ ჩქარობდა, რომ იგი „აშორვიდა სპათა თვსთა და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო, მონათა დაუტოცდეს“<sup>7</sup>.

„მონა-სპა“ — „მეფის სპა“, მეფის მცველი კორპუსი იყო, მაგრამ მისი დანიშნულება მარტო მეფის დაცვით არ ამოიწურებოდა: იგი ზოგჯერ დამოუკიდებელ, მეტად საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა. 1123 წ. რანის ათაბაგის ლაშქარი (4.000 კაცი) „მოსპეს მონათა მეფისათა“<sup>8</sup>. მეფის მიერ საგანგებოდ გაწვრთნილ „მონათა“ საბრძოლო თვისებები მეტად მაღალი იყო.

დავით აღმაშენებლის მიერ სამეფო გვარდიის შექმნას წინ უსწრებდა ისეთივე სახის კორპუსის შექმნა ბიზანტიაში. ალექსი I

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, I, გვ. 337.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 350.

<sup>8</sup> იქვე, 344.

კომნენმა (1081—1118) 1090 წლის წინახანებში შექმნა ე. წ. არქონტოპულთა კორპუსი, რომელშიაც 2 ათასი მეომარი შედიოდა ანა კომნენის სიტყვით, წინანდელ იმპერატორთა უზრუნველობის გამო ბიზანტიას თითქმის აღარ ჰყავდა ჯარი. ალექსი კომნენმა შეკრიბა დალუბულ მეომართა ვაეები, მათ იარაღის ხმარება და ბრძოლის ხელოვნება შეასწავლა და მათგან „არქონტოპულთა“ კორპუსი შექმნა<sup>9</sup>. არქონტოპულები უწვევრული ქაბუკები იყვნენ და თავგანწირულად იბრძოდნენ. ბრძოლაში მათი შეტევა შეუკავებელი იყო. ალექსი I ძირითადად ამ კორპუსს ეყრდნობოდა და მას დიდად აფასებდა. 1090 წელს, როცა პაქანიკებთან ბრძოლაში 300 არქონტოპული დაიღუპა, იმპერატორი დიდად დაალონა ამ დანაკლისმა და სათითაოდ დაიტირა თითოეული მათგანი<sup>10</sup>.

მონა-სპისა და არქონტოპულთა კორპუსის შექმნა ორივე ქვეყნისათვის დამახასიათებელ ანალოგიურ ვითარებაში მოხდა, რაც მეტად ნიშანდობლივია.

დავით აღმაშენებლის შემდეგ მონა-სპა დიდ როლს აღარ თამაშობდა. მისი მნიშვნელობის შემცირება განსაკუთრებით თამარის მეფობაშია სავარაუდებელი. 1184 წლის შემდეგ მონა-სპა აღარ იხსენიება. როგორც ჩანს, „მონათა“ უმეტესობა მოსაკარგავეთა რიგებს შეემატა და თანდათან რიგით ფეოდალებად იქცა. ზრებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გიორგი III-ის დროს სამეფო კარზე უეცრად გამოჩენილი და დაწინაურებული პირები, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს (ყუთლუ-არსლანი, აფრიდონი, მხარგრძელები...), მეტწილად დავით აღმაშენებლის „მონათა“ წრიდან იყვნენ. ზაქარია და ივანე მხარგრძელების მამა — სარგისი, რომელიც უეცრად გამოჩნდა ისტორიის სარბიელზე, სწორედ „მონათაგან“ დაწინაურებული უნდა იყოს. სომეხი ისტორიკოსების კირაკოსისა და ვარდანის (XIII ს.) ცნობით, მხარგრძელები იყვნენ „შთამომავლობით ქურდნი“ (ქურთები)<sup>11</sup>, რომელთა წინაპარსაც სომხური ქრისტიანობა მიუღია<sup>12</sup>. XII ს-ში მხარგრძელები ხოკორწში (ქვემო ქართლში) ცხოვრობდნენ<sup>13</sup>. გიორგი III ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან კონფ-


<sup>9</sup> Анна Комнина, Алексада, М. 1965, გვ. 216.

<sup>10</sup> ანა კომნინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

<sup>11</sup> ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. 1, 1914, გვ. 61—62.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, II, 82.

<sup>13</sup> ხოკორწი იმ ტერიტორიაზე მდებარეობდა, სადაც სომხური (ანტიქალკედონური) ქრისტიანობა იყო გავრცელებული და ამიტომ ამ მხარეს—ძველ „ქართველთა ველს“—ქართველები სომხიოს ეძახდნენ (ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1920 წ. გვ. 222).



ლიქტის დროს „აზნაურთა ყმებს“ და მსახურეულ პირებს აწინაურებდა. სწორედ მის დროს დაწინაურდა სარგისი.

სარგისი რომ წარმოშობით „უაზნო“ იყო, იქიდანაც ვარაუდობ ჩანს, რომ მის სახელოვან მემკვიდრეებს წინაპარი საძიებელი გაუხედათ. თვით მხარგრძელები თავიანთ წინაპრად არტაქსერქსეს თვლიდნენ, ე. ი. აქემენიანთა დინასტიას უკავშირდებოდნენ<sup>14</sup>. სომხებს, როგორც ვნახეთ, ისინი ქურთებად მიაჩნდათ, ზოლო ჰალარწინის ერთი წარწერით მხარგრძელნი „ბაგრატიონთა გვარისანნი(!)“ არიან<sup>15</sup>.

ის ფაქტი, რომ მხარგრძელნი სომხურ ქრისტიანობას აღიარებდნენ, ჩვენს მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება. მხარგრძელები XII საუკუნეში სამეფო ხელისუფლებისადმი მტკიცე ერთგულებას იჩენდნენ. ს. ერემიანის აზრით, გიორგი რუსის საქართველოში მოწვევის ინიციატორები თბილისელი სომეხი ვაჭრები იყვნენ<sup>16</sup>. გიორგი რუსის განდევნის შემდეგაც (1188 წ.), ს. ერემიანის მტკიცებით, სომხეთის მოსახლეობა 1192 წლამდე (ჩათვლით), მეფედ გიორგის სცნობდა<sup>17</sup>. ამავე დროს ცნობილი ფაქტია, რომ მხარგრძელებმა გიორგი რუსის მომხრეთა დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს<sup>18</sup>. თამარის ისტორიკოსები, როგორც ამას აღნიშნავს ს. ერემიანიც, სიმპათიით იხსენიებენ ზაქარიასა და დავით სოსლანს, ზოლო მტრულად უტკებრიან აბულ-ასანსა და გიორგი რუსს<sup>19</sup>. ყოველივე ზემოთქმული საკმაოა იმისათვის, რომ მხარგრძელთა წარმოშობა „მონა-სპას“ დავუკავშიროთ.

XII ს-ში საქართველოს ლაშქრის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს ყივჩაყთა რაზმები შეადგენდნენ.

თურქული მოღდმის ხალხს — ყივჩაყებს XI ს. შუა წლებიდან უზარმაზარი ტერიტორია — დნეპრიდან თურანის მთიანეთამდე გადაქიმიული ველები — ეკავათ. სამხრეთით მათი „საზღვარი“ კავკასიის მთებამდე წვდებოდა. ყივჩაყები განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. ისინი მეჯოგე-მომთაბარენი იყვნენ, მიწათმოქმედებას მხოლოდ ერთეულები მისდევდნენ.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, II, 110.  
<sup>15</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა“ სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, თბ., 1928 წ., გვ. 38.  
<sup>16</sup> С. Еремиан, Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках, 395—398, 402, 408 (Научные труды Ереванского Гос. университета, т. XXIII, 1946 г.).  
<sup>17</sup> იქვე, გვ. 410.  
<sup>18</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, (1948 წ. გამოც.), გვ. 262—263.  
<sup>19</sup> ს. ერემიანი, დასახ. ნაშ., გვ. 410.

ციფრებს განვითარებული სახელმწიფო ორგანიზაცია არ ჰქონიათ. განვითარების გვაროვნულ-ტომობრივ საფეხურზე მდგომი ციფრები ურდობად, ტომთა დიდ კავშირებად ცხოვრობდნენ. ამ კავშირებში უკვე შესამჩნევი იყო კლასობრივი საზოგადოების ჩანასახი, მიწაზე დამკვიდრება და სამხედრო-არისტოკრატიული ზედაფენის (მთავრების) გამრავლება. ციფრებში გავრცელებული იყო პატრიარქალური მონობა, მიცვალებულის საფლავზე ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და პატრიარქალური ყოფის დამახასიათებელი სხვა წეს-ჩვეულებანი. ჩრდილოკავკასიელ ციფრათა ურდოვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, სადაც სომხები, ალანები და მაჰმადიანური აღმოსავლეთიდან მოსული პირები ვაჭრობდნენ. ციფრები შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, მოხრილი ხმლებით, მშვილდ-ისრითა და ქამანდით, მათ ჰქონდათ რკინის მუზარადები და მჭიდროდნაქსოვი ჯაჭვის პერანგები. ციფრებს ჯიშინი და კარგად შეკაზმული ცხენები ჰყავდათ.

ციფრები განთქმული მეომრები იყვნენ. კ. მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ ხშირად იხსენიებს „კუმანთა საშინელ ურდოებს“, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ აღმოსავლეთი ევროპის ხალხებს. ციფრათა უპარატესობა მათ სისწრაფეში მდგომარეობდა, ყოველ ციფრს ომში რამდენიმე ცხენი მიჰყავდა და წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობდა. ციფრათა ჯარი მტერს მარშიდან შეუჩერებლივ თავს ესხმოდა<sup>20</sup>. ციფრები კარგად იყვნენ დაუფლებულნი იმ დროს არსებულ სამხედრო ტექნიკას. ისინი იყენებდნენ ე. წ. ცოცხალ ცეცხლს—ნავთობიან ნარევს და მისი სატყორცნი მანქანებიც ჰქონდათ<sup>21</sup>. საყურადღებო იყო ციფრათა ბრძოლის ორიგინალური წესებიც. მათი ტაქტიკის თავისებურებანი ქართულ საისტორიო წყაროებშიაც აისახა<sup>22</sup>. ამასთანავე, მათ ახასიათებდათ „სიმძნე წყობათა შინა, სიმსუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა... ადვილად დამჭირველობა“<sup>23</sup>. მათი ძირითადი საკვები ხორცი და რძე იყო; საკვების შერჩევაში ისინი დიდი რიდით არ გამოირჩეოდნენ<sup>24</sup>. მონებით ვაჭრობა ციფრათა ჩვეულებრივი საქმიანობა იყო.

ციფრები წარმართები იყვნენ. მაჰმადიანობამ მათში ფეხი ვერ მოიკიდა. ჩვეულებრივ, ისინი იცვლიდნენ სარწმუნოებას იმისდა მიხედვით, თუ ვის სამსახურში იყვნენ.

<sup>20</sup> Ф. Успенский, История Византийской империи, III, 325.

<sup>21</sup> Византийский Временник, XXV, 69.

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება, I, 336.

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, II, 70.

<sup>24</sup> «Полвцы... ядуше мертвечину и всю нечистоту, хомяки и сусола»<sup>25</sup>

ПСРЛ, Ипатьевская летопись, ст. 12.



ასეთი იყო ის ხალხი, რომელიც დავით აღმაშენებელმა 1119 წლებში თავის სამსახურში ჩააყენა<sup>25</sup>. საქართველოში გადმოყვანილი ყივჩაყები, რუსთაგან მათი დამარცხების გამო, „უპოვონი“ იყვნენ, მათ იმ დროს ცხენები და საქურველი აკლდათ<sup>26</sup>. მოც მეფეს მათი ცხენებითა და საქურველით „გასრულდნენ“<sup>27</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს თვით ქართველ მოლაშქრეებს აკლდათ ცხენები და საქურველი<sup>27</sup>, ცხადი გახდება, რომ ყივჩაყთა გადმოყვანას საქართველოს სამეფოს წინაშე რთული ეკონომიური პრობლემები უნდა წამოეჭრა.

ცნობილია, რომ საქართველოში გადმოყვანილი ყივჩაყები დავით აღმაშენებელმა მკვიდრ მოსახლეობად აქცია, დაასახლა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ყივჩაყთა მოსახლეობის კვალი არ შემონახულა; ასეთი რამ არ ჩანს არც ტოპონიმისა და ყოფაში და არც ისტორიულ დოკუმენტებში.

დავითის ისტორიკოსი საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსვლის აღწერისას არ უთითებს, სად იყო ის „მარჯუე“ (ე. ი. ყივჩაყთათვის შესაფერი) ადგილები, სადაც ისინი პირველად მეფემ დააყენა, მაგრამ შემდეგ. 1123 წ. აგვისტოში ანისის ალების აღწერის ბოლოს, აღნიშნავს, რომ დავითმა „განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხეთისა და ანისისა“ და „ყივჩაყთა თვსთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელნი და კაცი ზედამდგომნი მათნი“<sup>28</sup>. როგორც ჩანს, დავითის ისტორიკოსი ამ შემთხვევაში ყივჩაყთათვის დასახლებული ადგილის მეორედ, საბოლოოდ, მიჩენაზე ლაპარაკობს.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ საისტორიო წყაროებში ყივჩაყთა დაბინავების ადგილი არსად აღნიშნული არ იყო და ფიქრობდა, რომ, რადგანაც თურქთა შემოსევების დროს ქართლი დიდად აოხრდა, „უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელს... ყივჩაყნი ქართლში დაუსახლებიაო“<sup>29</sup>. ამ შეგნდულებას

25 უფრო ადრე ყივჩაყთა დიდი რაზმი დაიქირავე ბიზანტიამ. „კომანთა გამოყვანებაში“ მთავარი როლი გრიგოლ ბაქურიანისძემ ითამაშა.

26 ქართლის ცხოვრება, I, 336—337.

27 იქვე, გვ. 358.

28 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345—346. დავით აღმაშენებლისა და ვლადიმერ მონომახის სიკვდილის (1125 წ.) შემდეგ საქართველოში მყოფ ყივჩაყთა ნაწილი მათი წთავრის, დავით აღმაშენებლის სიმამრ ატროკ შარუკანოვიჩის („ათრაქა შარალანის ძე“) მეთაურობით სამშობლოში დაბრუნდა. იხ. ს. ერეკლიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 392.

29 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 209 (1948 წ. გამოც.).

იზიარებენ პროფ. შ. მესხია<sup>30</sup> და რ. მეტრეველი<sup>31</sup>. ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართველებმა ყივჩაყების ასიმილაცია მოახდინეს, ვადმოსახლებული 225 ათასი ყივჩაყის არცერთი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალადაუტანებლად უნებლედ გაქართველდნენ<sup>32</sup>.

პროფ. ს. ერემიანმა გამოაქვეყნა პარიჟის შიდამოვებში (სომხეთის სსრ, ლენინაკანის რაიონში) ყივჩაყთა ბინადრობის დამადასტურებელი ეპიგრაფიკული მასალები. პარიჟში 1206 წ. ზაქარია მხარგრძელს აუგია მონასტერი, რომელიც დღე ჩახვანჯის სახელითაა ცნობილი. იქვეა სოფელი დღე ჩახი<sup>33</sup>. პარიჟის მონასტრისათვის 1304 წ. ზეთსახდელი შეუწირავთ ელზუთლუ ჩაგანის ძეს, მის ვაჟს აბაშს და ელზუთლუს ხათუნს (ცოლს) — ხოდლუს. პარიჟის მეორე წარწერაში ვილაც ტრიტურ-ი აღნიშნავს, რომ მან ეკლესიას შესწირა ხუპასარიანთაგან ნასყიდი ვენახი<sup>34</sup>.

როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, პარიჟის პირველ და მეორე წარწერაში მოხსენებული პირები ყივჩაყები არიან; მეორე წარწერაში მოხსენებული ხუპასარელები კი, ცხადია, გიორგი III-ის მიერ ამირსპასალარად დანიშნული ყივჩაყის — ყუბასარის საგვარეულოა<sup>35</sup>.

სომხეთში ყივჩაყთა მოსახლობასთან დაკავშირებული უნდა იყოს ჰალარწინის 1184 წ. წარწერაც (ჰალარწინი სომხეთის სსრ იჯვანის რაიონშია). ამ წარწერის შინაარსი ასეთია: საქართველოს მეფე გიორგი III-მ 1184 წ. ჰალარწინის ეკლესიას მამული უბოძა. წარწერაში ამ წყალობის დასამტკიცებლად იხსენიებიან გიორგი III-ის დიდი იშხანები (დიდებულები): სარგისი (მხარგრძელი). ამირ-ქურდი, ანტონ ჭყონდიდელი (საქართველოს მწიგნობართუხუცესი) და ელბეკი<sup>36</sup>.

ს. ერემიანის აზრით, წარწერაში მოხსენებული ერთ-ერთი დიდებული ელბეკი უნდა იყოს საქართველოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყივჩაყი ყუბასარი; როგორც ჩანს, ყუბასარი იწოდებოდა ელ-ბეკად, ე. ი. ყივჩაყთა ელის (მომთაბარე ტომის) მეთაუ-

30 შ. მესხია, დიდგორის ზრძოლა, თბ., 1965, გვ. 34.

31 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1964 წ., გვ. 70.

32 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 216 (1959 წ. გამოც.).

33 ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., 393.

34 იქვე, გვ. 394.

35 იქვე.

36 С. Еремян, Агарцинская надпись 1184 г., გვ. 83 (Исследования по истории культуры народов Востока. Сборник в честь акад. И. А. Орбели, 1960).

რად<sup>37</sup>. ელბეკი წარწერაში რაიმე ხელის მფლობელად არ ჩანს, მაგრამ ეს ს. ერემიანის მოსაზრების სისწორეს ხელს არ უშლის, რადგანაც სხვა დიდებულებიც მათი ხელის მიუთითებლად არიან მოსენებული.

ქართული

ელბეკის მოხსენიება ჰალარწინის წარწერაში მარტოკუბაშაძის ამირსპასალარობით არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ დაკავშირებული უნდა იყოს ჰალარწინის მიდამოებში ყივჩაყთა მოსახლობასთან.

ჰარიჭის მიდამოებში ყივჩაყთა მოსახლობა, მათი მევენახეობა და სომხური ეკლესიისათვის მიწების შეწირვა იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ყივჩაყები დღევანდელი ლენინაკანის მიდამოებში დაპყვიდრებულან და მათ სომხური ქრისტიანობა მიუღიათ. ყივჩაყთა ზედაფენის (ყუბასარის საგვარეულო!) ჰარიჭის მიდამოებში მოსახლობა იმის მაჩვენებელია, რომ ყივჩაყთა ძირითადი მასა დავით აღმაშენებელს სომხეთის ტერიტორიაზე დაუსახლებია. ს. ერემიანის სიტყვით, „როგორც ჩანს, გიორგი III-სა და თამარის დროიდან ყივჩაყები დასახლებული იყვნენ ჰარიჭში<sup>38</sup>. ჰარიჭის წარწერის დეტალები ექვს არ ტოვებენ იმაში, რომ ჰარიჭის მიდამოებში მყოფი ყივჩაყები დიდი ხნის დასახლებული არიან.

ჰალარწინისა და ჰარიჭის მიდამოებში ყივჩაყთა დასახლებას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებანი:

სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა თურქებთან ომში „გავის, ტერუნაკანის, ტავუშის, კაენისა და კაფონის, ლორესი და ტაშირის, მაჰკანაბერდის და კვირიკესა და აბასის სომეხთა ყოველი სამფლობელო დაიკავა“, ეს მხარეები უშუალოდ საქართველოს შეუერთა და ამით „გააფართოვა ქართლის საზღვრები“<sup>39</sup>. სომხეთის ის ოლქი, სადაც ჰალარწინის მონასტერია<sup>40</sup> — კაენის მხარე — საქართველოს მეფის სამეფო დომენს წარმოადგენდა. „ჰალარწინის მონასტრის განახლების პერიოდში კაენის ოლქი (ახლა სომხეთის სსრ, იჯევანის რაიონი) სამეფო დომენში შედიოდა და ქართული ფეოდალური სამართლის შესაბამისად, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის უშუალო გამგებლობაში იყო. ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ წარმოებდა საერო და საეკლესიო

<sup>37</sup> С. Еремян Агарцинская надпись 1184 г., გვ. 85—86.

<sup>38</sup> С. Еремян, Юрий Боголюбский..., 393.

<sup>39</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა“ სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, გვ. 33.

<sup>40</sup> ჰალარწინის მონასტერი გვიან ცნობილი იყო, როგორც თამარ მეფის შეწირულებით აშენებული. იხ. „ივერია“, № 22, 1895. ტ. ინასარიძის წერილი „აგარციონის მონასტერი“.

მშენებლობა მეფის მიწებზე<sup>41</sup>. საქართველოს მეფისავე დომენს წარმოადგენდა პარიკის მიდამოებიც.

ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ დავითს ყივჩაყები იქ უნდა დაესახლებინა, სადაც „ბინადრობის ნაკლებობა ყველაზე უფრო სავარაუდო იყო“<sup>42</sup>. თურქებმა სომხეთი საქართველში<sup>43</sup> შეტრიალეს და გააუკაცრიელეს. XI ს. 60-იან წლებში სელჯუკთაგან მოხრების შედეგად სომხეთის ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია მოისპო და ქვეყანას ეროვნული კატასტროფა დაემუქრა: სელჯუკთა შემოსევების დროს სომხეთი საშინლად აოხრდა. მისი მოსახლეობა ან ისპობოდა, ან სხვა ქვეყნებში სახლდებოდა<sup>43</sup>. „მოსახლეობის ნაწილი შავი ზღვის სანაპიროსკენ გაიქცა და ყირიმში დასახლდა... სომხები დიდი რაოდენობით გადასახლდნენ მცირე აზიასა და ბიზანტიის სხვა ოლქებში“<sup>44</sup>. სომხების განთესვა იმ ხანებში ისე დიდი იყო, რომ შეიქმნა დიდი სომხური დასახლებანი ყირიმში, კიევის რუსეთში, პოლონეთში, ჩრდილო კავკასიასა და მცირე აზიაში. თუ როგორ გაუკაცრიელდა ჩრდილო სომხეთის ტერიტორია ეს კარგადაა ნაჩვენები სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში.

პალარწინისა და პარიკის მიდამოებში ყივჩაყთა დასახლებას ხელს უწყობდა ამ მიდამოების თურქთაგან აოხრება და კოლონიზაციისთვის შესაფერისი პირობების შექმნა<sup>45</sup>. ჩრდილო სომხეთში ყივჩაყები უკაცრიელ ან მცირედ დასახლებულ ადგილებში იქნენ ჩასახლებული.

როგორც ცნობილია, ყივჩაყთა დასახლება შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც მათ მესაქონლეობისათვის ხელსაყრ-

<sup>41</sup> С. Еремян, Агарцинская надпись..., გვ. 85, ს. ერემიანის სიტყვით, კონსტანტინის ოლქი გიორგი III-ის დროიდან იყო საქართველოს მეფის დომენი. ს. ერემიანი ამ შემთხვევაში არაა სწორი. თუ ჩვენ მიერ ვარდნის ზემოთ მოყვანილ ცნობას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ თურქთაგან განთავისუფლებული ჩრდილო სომხეთი სამეფო დომენად დავით აღმაშენებელმა აქცია.

<sup>42</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 209.

<sup>43</sup> История армянского народа, I, 169 (Ереван, 1944 г.).

<sup>44</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>45</sup> ს. ერემიანის სიტყვით, «Монастырь Агарцы принадлежал к числу обитателей Армении, разрушенных и разоренных в период нашествия турок-сельджуков во второй половине XI века» (агарцинская надпись... 83.) XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ჩრდილო-სომხეთი აყვავებას განიცდიდა მკვრივად, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია (ი. მანანდიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი...), ეს ამ მხარის საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შესვლით გამოწვეული მშვიდობიანი განვითარების შედეგი იყო.

ლი პირობები ექნებოდათ. ჩრდილო სომხეთის ტერიტორია ამ მხრივაც შესაფერი ადგილი იყო. სომხეთის ჩრდილო ოლქები სწორედ მესაქონლეობით იყო და არის განთქმული, აქ მრავლადაა როგორც საზაფხულო საძოვრები, ისე საზამთრო სადგომებიც. უკვე ასრის ხუთვერსიან რუკაზე ჰარიქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მსაჩვენებია იალალი ყიფჩაყი (Яйла кичак), აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მხარეებში დასახლდნენ უფრო გვიან სულ სხვა მომთაბარე-მესაქონლე ტომები (ყაზახ-შამშადილისა და ტაშირ-ბამბაკ-შორაგალის ელები).

დავით აღმაშენებლის მიერ ყიფჩაყთა ჩრდილო სომხეთში დასახლება გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებითაც იყო გამოწვეული. ჩრდილო სომხეთი და ლორე-ტაშირი („ქართველთა ველი“ ანუ „სომხითი“) უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მხარეები იყო. სამხრეთიდან თბილისზე მომავალი მტრისთვის ლორე-სამშვილდის გზა, „საქართველოს ბუნებრივი კარი“ იყო<sup>46</sup>. „ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის ე. წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ“<sup>47</sup>. „ლორეს კარი“ ყოველთვის იყო ქართველთა ზრუნვის საგანი<sup>48</sup>. ჩრდილოეთ სომხეთის ოლქებს გარდა, ყიფჩაყთა ჩასახლება ლორეს მხარეშიაც უნდა მომხდარიყო. ამ მხარის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ „ლორე საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის-ამირსპასალარის „საჯდომად“ ანუ რეზიდენციად იქცა, უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრებისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფეხიზლად ექირებოდა თვალი ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე“<sup>49</sup>. თურქთაგან გათავისუფლებული ლორეს მხარე ამირსპასალარს გადაეცა, ჩრდილო სომხეთი კი მეფის დომენად იქცა. გიორგი III-მ ლორეს ოლქი კვლავ სამეფო დომენს შეუერთა, მაგრამ თამარის გამეფებიდანვე ეს მხარეები „საპატრონოდ“ ებოძა ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, რომლებიც „ქართველ მეფეთა

46 ი. გეგუაღლი (გედევანიშვილი), სამხედრო ხელოვნება საქართველოში (ნიშუები სამხედრო ისტორიიდან), თბ., 1915, გვ. 31.

47 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 22.

48 ქართლის ცხოვრება, II, 19. ლორეს ციხის მნიშვნელობის შესახებ. იხ. აგრეთვე С. Джанашиа, Давид Стронтель, 354 (послесловие к книге К. Гамсахурдиа «Давид Стронтель», М., 1961).

49 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები... გვ. 23.

მოადგილენი იყვნენ სომხითში<sup>50</sup>. ამ მხარეში დასახლებულნი ყივჩაყები მხარგრძელთა საპატრონო მოლაშქრეებად იქცნენ.

აქედან გამომდინარე ექვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ სომეხ ისტორიკოსთა მიერ სომხეთის ლაშქრად წარდგენული ის საბუნდრო შენაერთები, რომლებიც მხარგრძელთა საპატრონო ლაშქარს შეადგენდნენ, ძირითადად ყივჩაყური ლაშქარი იყო. ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც 1195 წ. თამარ მეფემ შარვანშას დასახმარებლად საქართველოს მთლიანი ლაშქარი შეჰყარა, ამ ლაშქარში იხსენიებიან: „ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკურ-მარგუელითურთ და თუთ კარვის კარსა ჯელისუფალნი და შინაურნი“<sup>51</sup>. როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილ მოლაშქრეთა შორის არსად ჩანან მრავალრიცხოვანი ძველი ყივჩაყები, რომლებიც მხარგრძელთა საგამგეო მხარეებში სახლობდნენ. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში სომხითარნი, რომელნიც მხარგრძელთა საპატრონო ლაშქარს შეადგენდნენ<sup>52</sup>, სწორედ ძველი ყივჩაყები არიან.

არის კიდევ ერთი გარემოება, რამაც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყივჩაყთა სომხეთში ჩასახლებას:

სომხებს უკვე XI საუკუნიდან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ყივჩაყებთან, სომხები ერთ-ერთი იმ ხალხთაგანი იყვნენ, „რომელთა ისტორიული ბედიც ასე თუ ისე ყივჩაყებთან იყო დაკავშირებული. ამ ხალხთა შორის იყვნენ სომხებიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, სომხეთის დედაქალაქ ანისის სელჩუკთაგან დაპყრობის (1064) შემდეგ მასობრივად წავიდნენ ემიგრაციაში შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე. აქ ისინი ყივჩაყთა პოლიტიკურ დამოკიდებულებაში მოექცნენ“<sup>53</sup>. ყირიმში, გალიციაში, პოდოლის მხარესა და ვოლინში მცხოვრები სომხები სამი საუკუნის განმავლობაში იყვნენ ყივჩაყთა პოლიტიკურ დამოკიდებულებაში. ყივჩაყები მემობარი ხალხი იყო და მათ საკუთარი საჯარო ფენა არ გააჩნდათ.

<sup>50</sup> ლ. მელ იქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა“..., გვ. 39.

<sup>51</sup> ქართლის ცხოვრება, II, 65.

<sup>52</sup> იქვე, 16. სომხეთში დასახლებული ყივჩაყები, ს. ერემიანის სიტყვით, გასომხდნენ («слились с армянами». С. Еремян, Юрий Боголюбский... 393). რაც შეეხება სომხეთის მოსახლეობას, რომელიც ჯერ კიდევ თურქთა შემოსევებამდე გამოირჩეოდა სიჭრელით, ყივჩაყთა ჩასახლებამ იგი კიდევ უფრო ჭრელი გახადა. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით, „სომხითს ვრანად უწოდენ მრავალ გვარობისათვის და მრავალთესლობისა“. „ერანი... იწოდების... მრავალ ერად შეკრებილად“ (იხ. „სიტყვის კონა“, სიტყვასთან — „ერანი“).

<sup>53</sup> Т. И. Грунин, Памятники половецкого языка XVI века, 90 (акт-демику В. А. Гордлевскому к его семидесятилетию. М., 1953).

ამიტომ ყივჩაყებით დასახლებულ ტერიტორიაზე ვაჭრობა სომხეთის ხელში მოექცა<sup>54</sup>. ემიგრანტმა სომხებმა ყივჩაყური ენაც შეითვისეს: კამენც-პოდოლსკის სომხური თემის საქმისწარმოება XVI-XVII ს-შიაც კი სომხურსა და პოლონურ ენებთან ერთად ყივჩაყურ ენაზედაც წარმოებდა, იქაური ყივჩაყური დოკუმენტები კი სომხური ასოებით იყო დაწერილი.

ყივჩაყ-სომეხთა სიახლოვემ გარკვეული როლი ითამაშა გიორგი რუსის საქართველოში მოწვევასა და საქართველოში სამინიარტულობის დაწყებაშიაც.

როგორც დავინახეთ, შეხედულება ყივჩაყთა ქართლში დასახლების შესახებ არ დადასტურდა; უფრო სწორედ, ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში შესაძლოა ვივარაუდოთ ყივჩაყთა მხოლოდ მცირე ნაწილის დამკვიდრდება. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „დავით აღმაშენებლისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივ კეთილდღეობის მოსაზრებასაც უნდა ეკარნახა, რომ ჩრდილოეთიდან გადმოყვანილი ყივჩაყები სწორედ ქართლში დაესახლებინა“<sup>55</sup>. ჩვენი აზრით, ყივჩაყთა ქართლში დასახლება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც გამართლებული არ უნდა ყოფილიყო. ნახევრადველურ მომთაბარეთა დიდი მასა (200-225 ათასი კაცი) ქვეყნის ამ ცენტრს საფრთხეს შეუქმნიდა. უცხოელ მოლაშქრეთა მოწვევა აღრიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ ასეთ მოლაშქრეებს ყოველთვის ქვეყნის განაპირა მხარეებში ასახლებდნენ. ძველ რომაელებს მოკავშირენი და დაჭირავებულნი საზღვრებზე ეყენათ; ასევე იყო ბიზანტიაშიც. კონსტანტინე მონომახმა (1042-1054) და ალექსი I კომნენმა (1081-1118) ბაჰანიევი მოლაშქრეები იმპერიის ტერიტორიაზე გადმოასახლეს, მაგრამ საცხოვრებლად განაპირა სასაზღვრო ოლქები მიუჩინეს<sup>56</sup>. ასევე იქცეოდნენ კიევის მთავრებიც. მათ თურქული ტომებით დაასახლეს ველის სასაზღვრო ზოლი და ამით შექმნეს ჯებირი სხვა მომთაბარეთა წინააღმდეგ. საზღვარზე მოსახლე თურქები საზღვრებს დარაჯობდნენ<sup>57</sup>. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის მთელი ძალღონის დაძაბვით შეძლო საქართველოდან თურქთა განდევ-

<sup>54</sup> ი. ქვე («Армяне, как наиболее культурный народ того времени (რულისხმება იმდროინდელი სამხრეთ-დასავლეთი რუსეთის ვითარება ქ. ჩ.). выполняли у половцев роль торговых посредников и обслуживали их в культурном отношении»).

<sup>55</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 209.

<sup>56</sup> Этнические процессы и состав населения в странах Передней Азии, М.-Л., 1963, გვ. 33.

<sup>57</sup> К. Кудряшев, Половецкая степь. — «Записки В. Г. О., т. 2, М. — 1948, გვ. 134; Древнерусское государство и его международное значение, М, 1965, გვ. 102—107.

ნა და ამიტომაც მას თავი უნდა შეეკავებინა ქვეყნის შიგნით ყივჩაყ-  
თა თურქული ტომის დასახლებისაგან.

ყივჩაყთა დასახლების კვალი შემორჩა საქართველოს აღმოსავ-  
ლეთ საზღვრისპირა ზოლშიაც. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტო-  
რიაზე, კახის (ძველი პერეთის, ახლანდელი საინგილოს, მხარე-  
რეში) სამხრეთით, არის დასახლებული პუნქტი ყივჩაყი და მდინა-  
რე ყივჩაყ-ჩაი (იხ. კავკასიის მხარის 5-ვერსიანი რუქა). პერეთი  
XII ს-ში საქართველოს ერთ-ერთი სანაპირო იყო და ყივჩაყთა  
იქ ჩასახლება სავსებით მოსალოდნელია. საინგილოს მოსახლეობი-  
საგან ძველთაგანვე „რკინის ჭიშკრად“ წოდებული ქურმუხის ხეობა  
ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოსასვლელ ერთ-ერთ  
მთავარ გზას წარმოადგენდა. „მასზე გადმოდიოდა დალესტინიდან  
დიდი გზა, რომელიც საინგილო-გალმამხრისათვის იგივე დარიალის  
კარი იყო“ (ზ. ედილი). როგორც ჩანს, სწორედ ამ „რკინის ჭიშკ-  
რის“ დასაცავად ჩაასახლეს პერეთის ამ განაპირა მხარეში ყივჩაყები.  
საყურადღებოა, რომ სოფელ ყივჩაყის მცხოვრებლები ახლაც გან-  
სხვავდებიან საინგილოს სხვა მცხოვრებლებისაგან.

რაკი გაირკვა ყივჩაყთა დასახლების ტერიტორია, ვასაგები ხდე-  
ბა, თუ რატომ თითქმის არ ჩანს ყივჩაყთა კვალი საქართველოს მი-  
წაზე. არსებობს ცნობილი ხალხური ბალადა—„შემომეყარა ყივჩა-  
ყი“—რომელშიაც არაფერია ნათქვამი ყივჩაყთა ქართლში მკვიდ-  
რობის თაობაზე. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერზე  
დართულ აღაპებში იხსენიება არსენი ყივჩაყი, რომელიც, შეიძლე-  
ბა, ბიზანტიელი, გაქრისტიანებული ყივჩაყი იყოს<sup>58</sup>; ერთ გვიანდელ  
დოკუმენტში (დას. საქართველოდან) იხსენიება გლეხი დემეტრა  
ყივჩაყიძე<sup>59</sup>, რომლის გვარის წარმოშობა ეთნიკური სახელიდან შე-  
საძლოა სადავო იყოს, თუმცა მისი ყივჩაყური წარმოშობა გამორიცხ-  
ული არაა. სხვა ცნობას, რომელიც საქართველოს ცენტრალურ  
რაიონებში ყივჩაყთა დასახლებას ან მათ გაქართველებას შეეხებო-  
დეს, არ ჩანს.

ზემონათქვამი, რასაკვირველია, ცალკეულ ყივჩაყთა გაქარ-  
ველებას არ გამორიცხავს.

საქართველოში ყივჩაყი მოლაშქრეები შემდეგშიაც მოდიოდ-  
ნენ, როგორც დაქირავებული მეომრები. გიორგი III-ის დროს, „ყივ-  
ჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“<sup>60</sup>. 1191—1192

<sup>58</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებითურთ, თბ., 1901, გვ. 217.

<sup>59</sup> ს. კ ა კ ბ ა ძ ე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 4. 1621 წ. შედგენილ ამ დოკუმენტში იხსენიება ს. ჩხარის მცხოვრები დემეტრა ყივჩაყიძე.

<sup>60</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.



წლებში საქართველოში ჩანან „ცივიჩაყნი ახალნი“<sup>61</sup>, მაშინ თვით „ძმე ცივიჩაყთა მეფისა სალავეთი აქა იყო სამსახურად“<sup>62</sup>. ივ. ჯავახიშვილი საკვებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ ეს ცივიჩაყები საქართველოში დასასახლებლად კი არ მოდიან, არამედ დაქირავებულნი არიან, საქართველოში „სამსახურად“ არიან<sup>63</sup>. კირაკოს განმარტების ვარდანისა და იბნ-ალ-ასირის ცნობით, 1122 წ. დარუბანდის გზით გამოვიდა ცივიჩაყთა დიდი ურდო, რომელმაც ლაშა გიორგის დასასახლებელი ადგილი სთხოვა; როცა უარი მიიღეს, ცივიჩაყებმა ქართლ-კახეთისა და შარვანის რბევა დაიწყეს და ქართველებმა, ლეკებმა და შარვანელებმა ისინი გაელიტეს<sup>64</sup>. ჩრდილო-კავკასიელი ცივიჩაყები დაიქირავა საქართველომ ჯალალედინის შემოსევის დროსაც (1225 წ.)<sup>65</sup>. მომთაბარე ცივიჩაყთა ერთი რაზმი ჩანს საქართველოში 1300-1308 წლებშიც<sup>66</sup>.

დასასახლებელი ადგილების გამონახვაზე არანაკლებ ძნელ საზრუნავს წარმოადგენდა ცივიჩაყთა შენახვა. მართალია, ცივიჩაყები სომხეთში მიწათმოქმედებას მოეკიდნენ, დამკვიდრდნენ და კიდევ გაქრისტიანდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა ისე დიდი იყო და მათი მომთაბარული ჩვევები ისე განმტკიცებული, რომ ეს პროცესი მეტად ნელა უნდა წარმართულიყო და ცივიჩაყთა რჩენის საკითხი მწკავედ იდგა. დავით აღმაშენებელმა აქაც მონახა გამოსავალი: მან ანისის აღების შემდეგ, „მშვიდობიანობის“ წლებში ცივიჩაყები მარბიელ რაზმებად განაწესა. ცივიჩაყთა მიერ მტრის ტერიტორიის რბევა მათი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა (მარბეველთ ალადი რჩებოდათ); თუ რა ზასიათისა და ზომისა იყო ცივიჩაყთა მარბიელობა, კარგად ჩანს დავითის ისტორიკოსის ცნობიდან, რომ „სპარსეთის სულტანი“ (ე. ი. სელჯუკთა გამგებელი) „ზედას-ზედას წარმოავლენდის მოციქულთა ძღვენითა... და ეძიებნ მშვიდობასა და სიყვარულსა და ცივიჩაყთაგან არა რბევასა“<sup>67</sup>.

მომდევნო ხანებში, XII ს-ის მიწურულს, ცივიჩაყებით დასახლებული ტერიტორია საქართველოს სამეფოს ოთხ სანაპიროს წარმოადგენდა (ჰერეთი, კამბეჩიანი, ვავი, ტაშირ-ძორაკერტი) — გრიგოლისძეთა, მახატლისძეთა და მხარგრძელთა საგამგებლოებს. თუ მონაპირეთა მოვალეობას გავითვალისწინებთ, ცხადი ვახდება.

61 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 65.

62 იქვე, გვ. 64.

63 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 146.

64 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 37.

65 იქვე, გვ. 52.

66 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 316—317.

67 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 346.

რომ ყოჩაყთა მარბიელობას თამარის დროს კიდევ უფრო მეტი გასაქანი უნდა მისცემოდა<sup>68</sup>.

ს. ჯანაშიას სიტყვით, დავით აღმაშენებლის მიერ ყოჩაყთაგან შექმნილი ჯარი დაქირავებულ იქნა მსხვერპლად და მკვლელობის უფრო მუდმივი ხასიათით<sup>69</sup>. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით კი „დავით აღმაშენებელმა ყოჩაყები ნაქირავებ ლაშქარსავით კი არ მოიწვია, არამედ მთელის ოჯახობით, „დედაწულითა მათითა“ გადმოსახლა საქართველოში და დააბინავა.... ხოლო ეს ლაშქრის დაქირაება კი არ არის, არმედ გადმოსახლება“<sup>70</sup>.

ი. ჯავახიშვილის ეს დებულება სავსებით სწორია: მართლაც, ყოჩაყები არ შეიძლება დაქირავებულ ლაშქარად ჩავთვალოთ. „ფეოდალური ჯარი ნატურალური მეურნეობის პროდუქტია: ის, რომ მასთან ერთად და მისგან ვითარდებოდა დაქირაება, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფულადი მეურნეობის რამდენადმე აღორძინების პირობებში, ეს უკანასკნელი კი ბრუნვაში კეთილშობილი ლითონის გარკვეული მასის არსებობას გულისხმობს“<sup>71</sup>. დავით აღმაშენებ-

<sup>68</sup> XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII ს-ის 20-იან წლებამდე საქართველოში არსებულმა მონაპირეთა ინსტიტუტმა (რომელიც ზუსტად იგივეა, რაც დას. ევროპის მარკგრაფთა ინსტიტუტი) საქართველოს სამხედრო თავდაცვით სისტემაში უდიდესი როლი ითამაშა. სანაპიროს გამგებელი—მონაპირე მოვალე იყო ქვეყნის საზღვრის უზრუნველყოფაზე ეზრუნა და მტრისთვის თვალყური ედევნებინა. ზოგჯერ, დარბაზის ნებართვით, მონაპირეები საკმაოდ დიდი მასშტაბის საომარ ოპერაციებს აწარმოებდნენ. მონაპირენი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რის გამოც, მოლაშქრენი, „რომელნი შიგნით იყვნეს, იგინი სანაპიროთა იაქდეს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129). მონაპირის მოვალეობა კარგადაა დახასიათებული „ვეფხისტყაოსანში“ (ავთანდილი მონაპირე იყო): „შე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო, მორჩილქმნილი გავახარო, ურჩი ყოვლი ავატირო, ძღვენი გკადრო ზედაზედა, არ სალამი დავაძვირო“ (სტროფი 143, 1953 წ. გამოც.). „ლაშქართა და დიდებულთა ილაშქრებდი, ჰპატრონობდი; დარბაზს კაცსა გეგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი, წიგნსა სწერდი ზემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი“ (სტროფი 156) „სანაპირო გამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა“ (სტ. 163) ავთანდილს „ქალაქი ჰქონდა მაგარი, საზაროდ სანაპიროსა“ (სტ. 149), სამეფოს დედაქალაქიდან 20 დღის სავალზე (სტ. 147).

საქართველოს სამეფოს სანაპიროები მთავარი საფრთხის მიმართულებით—სამხრეთ საზღვრებზე იყო განლაგებული. სულ 9 სანაპირო იყო: პერეთის, კამბეჩიანის (ახლანდელი ქიზიყი), გავის, ტაშირისა და ძორაკერტის (სომხეთში), თმოგვისა (ჯავახეთში) და თორის, სამციხის ანუ არტაანის და შავშეთ-საგრის ანუ ფანასკერტის (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129—130); შდრ. საქართველოს ისტორია, I, დამხ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 212.

<sup>69</sup> С. Джанашиа, Давид Строитель... гв. 355.

<sup>70</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 215 (1948 წ.).

<sup>71</sup> Г. Дельбрюк, История военного искусства, III, 175.

ლის მიერ გადმოყვანილ ყივჩაყთა მასის სიდიდეს და საქართველოს  
გაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი  
გახდება, რომ 40-42 ათასი ყივჩაყის დაქირავება საქართველოს სა-  
მეფო ხელისუფლებას არ შეეძლო. სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებელს  
ყებს სამსახურის სანაცვლოდ მიწა მისცა და ისინი რიგით მოლაშქრე-  
ებად აქცია. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, XII ს-ის მიწუ-  
რულს, როცა საქართველო ბევრად უფრო ძლიერი და მდიდარი ქვე-  
ყანა იყო, დაქირავებულთა რაზმების რაოდენობაც გაიზარდა.

ყივჩაყთათვის ქირის ნაცვლად მიწების მიცემა გარკვეული პო-  
ლიტიკური მოსაზრებითაც იყო ნაკარნახევი: სტრატეგიულად უკ-  
ნიშვნელოვანეს სასაზღვრო ოლქებში ჩასახლებული ყივჩაყები სა-  
კუთარი საცხოვრებელსა და საქონებელს, ცხადია, თავგამოდებით  
დაიცავდნენ და ამით სამსახურს გაუწევდნენ იმას, ვინც მათ ეს მი-  
წები უბოძა.

საქართველოს ლაშქარში XII ს. მთელ სიგრძეზე ჩანს დაქირა-  
ვებული რაზმებიც. ე. წ. „როქის სპა“ (ბერძნული სიტყვიდან —  
„როგა“ — ქირა, ჯამაგირი. ბიზანტიაში „როგას“ სხვადასხვა მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა: ეს იყო სახელმწიფო მოხელეთა სარგო, ზოგჯერ  
კი ხაჩუქარი)<sup>72</sup>.

ფეოდალიზმის ეპოქაში დაქირავებული მოლაშქრეები თითქმის  
ყველა სახელმწიფოს ჰყავდა. მოლაშქრეთა დაქირავება უფრო მე-  
ტად მაინც აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო გავრცელებული. ქირაზე  
საღაშქროდ წასვლას ქართველებიც არ თავილობდნენ. მრავალი  
ქართველი დაქირავებული მოლაშქრე იყო XI ს-ის ბიზანტიის ჯა-  
რებში<sup>73</sup>.

ჯარის დაქირავებას სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიმართავდა,  
როცა საკუთარი ძალები არ ყოფნიდა თავისი პოლიტიკის განსახო-  
რციელებლად. დაქირავებულთა რაოდენობა სახელმწიფოს ეკონო-  
მიურ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული. ვახუშტი ბაგრატიონის  
სიტყვით, „მეფესა ჰყავდა (ჯარი) როქითა, რაოდენი ძალებდა“<sup>74</sup>.

XII ს-ის საქართველოს ლაშქარში შედიოდა დაქირავებულ  
ნორმანთა-ვარანგთა (ვარიანგთა) რაზმი. ვარანგები უკვე IX საუკუ-  
ნიდან მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებზე თავდასხმებში.  
შემდეგ, X ს-ში, როცა ნორმანებისა და სლავების რაზმები ბიზანტი-  
ის იმპერატორებმა დაიქირავეს, მათგან ვარანგთა კორპუსი — სასა-  
ხლის გვარდია — შექმნეს. ვარანგები საქართველოს პოლიტიკურ

<sup>72</sup> Анна Комнина, Сокращенное сказание о делах царя Алексая  
Комнина, ч. I, 153 (1859).

<sup>73</sup> Никита Хониата, История, т. III, 37 (1882).

<sup>74</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 114.

12. საქართველო რუსთაველის ხანაში

ცხოვრებაშიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ. ბაგრატ IV-ის წინა-  
აღმდეგ მებრძოლმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა XI ს. 40-  
იან წლებში 3000 ვარანგი დაიქირავა, მათგან ბრძოლებში 700 ვა-  
რანგი მონაწილეობდა <sup>75</sup>. XI ს-ში „ვარანგთა სამხედრო კოლონიე-  
ბი ბინადრობდნენ თვით აზიის ნაწილში“ (მცირე აზიაში) <sup>76</sup>. ბიზან-  
ტიელ ისტორიკოსს კედრენეს ცნობით, 1052 წ., როცა სელჩუკთა  
სულთანი თოღრულ-ბეგი იბერიაში შეიჭრა და ქვეყნის აოხრება  
დაიწყო, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ ვარანგთა რაზმის  
უფროსს (აკოლითოსს) უბრძანა, რომ იბერიაში (ამ შემთხვევაში  
იგულისხმება სამხრეთი საქართველო — ტაო-კლარჯეთი) წასული-  
ყო. მიხეილ აკოლითოსი იბერიაში ჩავიდა და შეუდგა ამ ქვეყანასა  
და ხალხიაში გაფანტული ფრანკებისა და ვარანგების შეგროვებას,  
რათა სულთანს მებრძოლებოდა <sup>77</sup>.

უცხოელ მოლაშქრეთა დაქირავებული რაზმი ჰყავდა დავით  
აღმაშენებელს. დიდგორის ბრძოლაში საქართველოს ლაშქარში  
იბრძოდა 100 თუ 200 უცხოელი მეომარი, რომელთაც სომეხი ის-  
ტორიკოსი მათეოს ედესელი (ურჰაელი) და ფრანგი ისტორიკოსი  
გოტიე „ფრანკებს“ უწოდებენ <sup>78</sup>. მ. ბროსეს მათეოს ედესელის  
მიერ მოხსენიებული 100 ფრანგი მოლაშქრე ვარანგებად მიაჩნდა <sup>79</sup>  
ამ აზრს ეთანხმებოდა ვლ. მიქელაძე <sup>80</sup>. თ. დადეშქელიანი დავით  
აღმაშენებლის ჯარში ჯვაროსანთა ყოფნას ვარაუდობდა, რადგანაც  
მისი სიტყვით, დავითის ეპოქა ის დრო იყო, „როცა მოხდა პირ-  
ველი ჯვაროსანთა ომი, როცა დაეხეტებოდნენ უგზო-უკვლოდ  
ჯგუფ-ჯგუფად ჯვაროსანნი მცირე აზიაში ხანდახან განზრახ წმინდა  
ადგილისაკენ მიმართულ ვზას გადაცილებულნი“ <sup>81</sup>. შემდეგდრო-  
ინდელ გამოკვლევებშიც დავითის ჯარში მყოფი „ფრანგები“  
ჯვაროსნებთან არიან გაიგივებული. <sup>82</sup>

<sup>75</sup> ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.) გვ. 39 (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 23, 1952.).

<sup>76</sup> დ. ბაქრაძე, ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ 1885 წ. გამოცემა წინასიტყვაობა, გვ. 156.

<sup>77</sup> გეორგიკა, ტ. V, გვ. 81.

<sup>78</sup> შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 62-63.

<sup>79</sup> M. Rousset, Additions et éclaircissements a l'Histoire de la Geographie, St.—Petersbourg, 1851, p. 229.

<sup>80</sup> В. Микеладзе, О древне-грузинском войске (Кавказ, 1884 г. № 92).

<sup>81</sup> თ. დადეშქელიანი, მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობის 1089—1224 წლებზე („დროება“, 1885, № 65).

<sup>82</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, გვ. 210 (ქუთათ

საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა ამ საკითხზე ს. ერემიან-  
 გა. მისი აზრით, მათეოს ედესელის ტექსტის *ქიანუ* (ფრანგ)  
 უნდა გასწორდეს როგორც *ქიანუ* (ერანგ) ან *ქაიანუ* (ვან-  
 რანგ). ს. ერემიანის აზრით, დავით აღმაშენებლის ჯარში მჭიდროდ ვა-  
 რანგებად რუსები უნდა იგულისხმებოდნენ <sup>83</sup>.

მოსაზრება საქართველოში ვარანგთა ყოფნის თაობაზე უსა-  
 ფუძვლო არ ჩანს. დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში  
 ჯვაროსანთა ყოფნა მოსალოდნელი არაა. ჯვაროსნებმა პირველი  
 ლაშქრობის დროს წინა აზიის ზღვისპირა ვიწრო ზოლი დაიკავეს  
 და ქვეყნის სიღრმეში შესვლის ძალა აღარ შესწევდათ, რადგანაც  
 მათი რიგები ძალზე შეთხელებული იყო. XII საუკუნის დასაწყის-  
 ში აზიაში ჯვაროსანთა მიერ დაპყრობილი მიწების შენარჩუნების  
 უზრუნველყოფა მხოლოდ ევროპიდან მოსულ შევესებას შეეძლო <sup>84</sup>.  
 ამ დროს თურქებმა ჯვაროსნებთან ბრძოლაში რამდენიმე სერი-  
 ოზულ წარმატებას მიაღწიეს. (1101, 1104, 1108 და 1110-1111  
 წლებში). მომდევნო ხანებში ჯვაროსნები იძულებული გახდნენ  
 თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ყველაზე დიდ წარმატებას თურქებ-  
 მა 1119 წელს მიაღწიეს. ისინი ანტიოქიას მიაღდგნენ და მის კედ-  
 ლებთან ჯვაროსნები სასტიკად დაამარცხეს <sup>85</sup>. ძნელი წარმოსადგე-  
 ნია, რომ ასეთ ვითარებაში ჯვაროსნებს საქართველოსთვის დახმა-  
 რებაზე ეფიქრათ.

დაქირავებული ევროპელი მეომრები საქართველოში აღრევე  
 უნდა ყოფილიყვნენ. ს. კაკაბაძეს სავსებით საფუძვლიანად მიაჩნია,

სის ალ. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, IV, 1942 წ.);  
 შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 64.

<sup>83</sup> С. Еремян, Юрий Боголюбский..., 390 აზრი ამ შემთხვევაში  
 ვარანგთა და რუსთა იგივეობის შესახებ არაზუსტია. XI საუკუნიდან  
 ბიზანტიელები ასხვევდნენ რუსებს და ვარანგებს და ამ ორ სახელწოდებ-  
 ბას არასოდეს არ ურევდნენ. იხ. В. Василевский, Варяго-русская и  
 Варяго-английская дружины в Константинополе XI и XII вв. გვ. 107 (Жур-  
 нал Мин. Нар. Просвещения, 1874, ноябрь) ასევე ასხვევდნენ „ვარანგებს“  
 და რუსებს („ტალმანი რუსნი“) ქართველებიც. იხ. ქართლის ცხოვრება, I, 201  
 და 284. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, დავითის ისტორიკოსის მიერ ნახსენებ  
 ფრანგებში (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360) ვარანგები იგულისხმებიან.  
 Л. М. Меликсет-Бек, Из истории русско-армянских отношений, გვ.  
 24 (Известия АН Армянской ССР, 1954 г., № 4).

<sup>84</sup> Э. Лавис, А. Рамбо, Эпоха крестовых походов, ч. I, М., 1914,  
 გვ. 302.

<sup>85</sup> Б. Куглер, История крестовых походов, СПб, 1895, გვ. 119.

რომ ევროპელი მეომრები საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში იყვნენ უკვე 1104 წ., ერწუხის ომის დროს <sup>86</sup>.

XII საუკუნეში საქართველოში დაქირავებულ ნორმანთა ყოფნის კვალი შემორჩა ისლანდიურ საგებსა და საქანდინავიურ გადმოცემებში. ისლანდიურ საგაში მოგზაური ინგვარსს (ინგვარსს) *Ingvar enn vidhöfli*) შესახებ აღწერილია ნორმანი ინგვარის მოგზაურობა სამხრეთის ქვეყნებში. ინგვარი, მოგვიტობს საგა, ფათერაკებით სავსე მოგზაურობის შემდეგ ჩავიდა აზიის ერთ ქვეყანაში, ძლიერი ქრისტიანი დედოფლის სამფლობელოში. ინგვარი ამ დედოფალზე დაქორწინდა <sup>87</sup>. შვედი მეცნიერის კ. გრიმბერგის აზრით, ინგვარის საგაში დაცულია ცნობა XII ს-ის საქართველოს შესახებ, ხოლო საგაში მოხსენებული „ძლიერი ქრისტიანი დედოფალი“ — თამარ მეფეა. კ. გრიმბერგი, როგორც ჩანს, სკანდინავურ გადმოცემებზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ თამარის სამსახურში იყო 3 ათასი ნორმანი <sup>88</sup>.

ინგვარის სამხრეთის ქვეყნებში მოგზაურობაზე ცნობები შემონახა მის რაზმელთა სახსოვრად (მოსახსენებლად) დადგმული სტელების რუნულ წარწერებში. ამ წარწერებში მოთხრობილია, რომ ესა და ეს ნორმანი ინგვართან ერთად შორს, აღმოსავლეთის ქვეყნებში ოქროს საშოვნელად გაემგზავრა და სამხრეთის ქვეყანაში — სერკლანდში მოკვდა <sup>89</sup>.

სერკლანდი ისლანდიურ საგებში ზოგადად მთელ არაბულ აღმოსავლეთს აღნიშნავდა და მკვლევართა მიერ გაგებული იყო

<sup>86</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი..., 210. ს. კაკაბაძე დავით აღმაშენებლის სამსახურში 1000-2000 დაქირავებულ რაინდს ვარაუდობს. ეს ვარაუდი უსაფუძვლოა: ვერ ერთი, ყველა დაქირავებული მოლაშქრე არ შეიძლება რაინდად ჩაეთვალოს, ამასთანავე 100-200 რაინდის დაქირავება წარმოუდგენელია, რადგანაც რაინდთა ფენა მეტად მცირერიცხოვანი იყო. იხ. E. G. Бор-Раменский, Феодальное ополчение, М., 1947, გვ. 8; A. Lüders, Die Kreuzzüge im Urteile sirischen und armenischen Quellen, Berlin, — 1944, გვ. 51 — 52.

<sup>87</sup> C. Grimberg, Svenska folkets underbara öden, I, გვ. 207 (Stockholm, 1959). ფ. ბრაუნის მიხედვით, ნორმანი, რომელიც ქრისტიან დედოფალზე დაქორწინდა, იყო არა ინგვარი, არამედ ინგვარის ვაჟი სვეინი, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ რუსეთის გავლით იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. იხ. Ф. Браун, Кто был Ингвар-путешественник? стр. 133 (Записки Неофилологического общества при С.-Петербургском университете, вып. IV, СПб., 1910).

<sup>88</sup> C. Grimberg, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 208.

როგორც სარაციონთა ქვეყანა<sup>90</sup>. სერკლანდის ასეთი ვაგებობას გაუგებარი რჩებოდა, თუ როგორ მოხვდა ინგვარი და მისი რაზმი სერკლანდში ძლიერ ქრისტიან დედოფალთან. ახლა უკვე დადგენილია, რომ სახელწოდება სერკლანდი წარმოდგენს ქრისტიანთა თინური სიტყვიდან Sericum — აბრეშუმი. ჩრდილოეთის ქვეყნების მოსახლეობა ამ სახელით იცნობდა მთელ არაბულ აღმოსავლეთს, მაგრამ, როგორც კერძო სახელს, სერკლანდს უწოდებდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ტერიტორიას, რომელიც განსაკუთრებით განთქმული იყო მაღალგანვითარებული მეაბრეშუმეობით<sup>91</sup>. ამრიგად, სერკლანდში საქართველოც, კერძოდ კახეთის მხარე, იგულისხმებოდა.

ინგვარის საგაში მოხსენიებული ქრისტიანი დედოფლისა და თამარ მეფის გაიგივებას მხარს უჭერს ძველი გერმანული ქრონიკების („Gesta Saxonum“...) ცნობებიც. მათ მიხედვით, ნორმანები — ინგვარი და ანუნდი ამაზონთა ქვეყანაში დაიღუპნენ<sup>92</sup>.

ისლანდიურ საგებში, რომლებიც XII-XIV საუკუნეებშია შემქმნილი, გამოყენებულია XII-XIII საუკუნისა და უფრო ადრინდელი ლიტერატურული წყაროები და ზეპირგადმოცემანი. საგები შემქმნილია ამ ცნობათა შერევით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაუცველად, სიუჟეტურ ქარგაში მრავალი ფანტასტიური თხრობის ჩართვით<sup>93</sup>. როგორც დადგენილია, ინგვარის საგის შემქმნელს ხელთ არ ჰქონდა ზუსტი და ნათელი გადმოცემები. როგორც ჩანს, ინგვარის საგის შემქმნელმა ერთმანეთში ჩააქსოვა XI ს. I ნახევარში მცხოვრები რეალური პიროვნების — ინგვარის და რიურიკელთა დინასტიის წარმომადგენლის — გიორგი რუსის თავგადასავალი.

ინგვარის საგის, ძველი გერმანული ქრონიკების და რუნული წარწერების ცნობები არ იძლევიან ნორმანთა ამიერკავკასიაში ყოფნის ზუსტ ქრონოლოგიას, მაგრამ ნორდული გადმოცემები (ე. გრინბერგის მიხედვით) საკმაო საფუძველს გვაძლევს ნორმანთა ყოფნა ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, ვივარაუდოთ

<sup>90</sup> Ф. Браун, Кто был Ингвар-путешественник? 33- 131; В. Василевский Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI и XII веков, 33- 427 (Журнал Министерства Народного Просвещения, 1875 г., ч. XXXVII, № 2).

<sup>91</sup> С. Grimberg, დასახ. ნაწრ., 33- 208.

<sup>92</sup> Ф. Браун, Кто был Ингвар-путешественник? 33- 151.

<sup>93</sup> В. Василевский, Варяго-русская..., 33- 410; R. Heller. Litterarisches Schaffen in der Laxdoela Saga, 33- 4. (Halle/Saale, 1960).

არა მარტო XI ს (ამისათვის საკმაოა თუნდაც ვ. ვასილევსკის მიერ შეკრებილი ცნობები), არამედ XII საუკუნეშიც, თამარის ეპოქაში. ამ საკითხის შემდგომი კვლევა, როგორც ჩანს, მრავალ საინტერესო ფაქტებს გამოავლენს.

XII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო სწრაფად განვითარდა. ნააზიელი მაჰმადიანებიც უნდა ყოფილიყვნენ. ცნობილია, რომ დემეტრე I-ის სამსახურში იყო ცნობილი არაბი ისტორიკოსი ალ-აზრაყი. იგი მონაწილეობდა იმ ექსპედიციაში, რომელიც დემეტრე I-მა თავისი სამფლობელოების მოსახილველად მოაწყო. სავარაუდებელია, რომ (როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა ბიზანტიაში, კიევის რუსეთსა და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში) საქართველოს ლაშქარში დაქირავებულ მოლაშქრეებად იყვნენ აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლებიც.

XII ს-ის საქართველოს ლაშქარში მრავლად იყვნენ მეფის კარზე სამსახურად მყოფი მოლაშქრეები საქართველოს ყმადნაფიცი და მისივე გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნებიდან (რანი, შარვანი, სომხეთი (შაჰ-არმენის სახელმწიფო), ჩრდილო-კავკასია) მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XII-XIII სს. მიჯნაზე. დავით აღმაშენებლის ჯარში იყვნენ „ქურდნი (ქურთები—ქ. ჩ.), ლეკნი და თარასნი“<sup>94</sup>. დიდგორის ომში მონაწილეობდა 500 ოსი<sup>95</sup>. ოსები გიორგი III-ის ლაშქარშიც იყვნენ, როგორც დაქირავებულნი<sup>96</sup>. 1162 წელს თურქებთან ბრძოლის წინ გიორგი III-მ „გამოასხნა ოგსნი და ქუეყანანი დიდძალნი“<sup>97</sup>. ოსები იყვნენ თამარის ლაშქარშიც. საქართველოს ლაშქარში ჩანან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელებიც: თამარის ხალხურ „ეპიტაფიაში“ ნათქვამია: „ვინაც შემება, შევები ალალითა (ალანითა) და ჯიქითა“. გიორგი რუსის მხარეზე მებრძოლმა ვარდან დადიანმა სანიგი და ქაშაგი მოლაშქრეები გამოიყვანა<sup>98</sup>.

თამარის დროს ქართულ ლაშქარში უნდა ყოფილიყვნენ ბერძნები (ალექსი კომნენის რაზმი) და რუსები (გიორგი რუსის რაზმი). დაქირავებული მეომრები საქართველოს ლაშქარში დროებით მსახურობდნენ: ჩვეულებრივ, ლაშქრობის დამთავრებისა და გასამრჯელოს მიღების შემდეგ, მათი უმეტესობა თავის ქვეყანაში ბრუნდებოდა.

<sup>94</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345.

<sup>95</sup> შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 62.

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

<sup>97</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 11.

<sup>98</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.



რა როლი ითამაშეს უცხოელებმა-გადმოსახლებულებმა და დაქირავებულებმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში? დაქირავებულ რაზმებში, ჩვეულებრივ, ბედის მაძიებელი მხეტიალე რაინდები და სხვა მოლაშქრები შედიოდნენ, რომელთათვის სულ ერთი იყო. ვისთვის და რატომ იბრძოდნენ, — ოდნებდასამრჩელო მიეღოთ. დაქირავებულები ზოგჯერ მტრის მხარეზე გადადიოდნენ, თუ იქ მეტ გასამრჩელოს მოელოდნენ. ამ გარემოების გამო სახელმწიფო დაქირავებულ ჯარებს ვერ დაეყრდნობოდა. მაგალითად, ბიზანტიის ჯარი სხვადასხვა ტომის მეომართაგან შედგებოდა და ასეთ ჯარში, ანა კომნენის სიტყვით, არ შეიძლებოდა მტკიცე თანხმობა ყოფილიყო<sup>99</sup>. იგივე ავტორი შენიშნავს, რომ ყივჩაყი მოკავშირეები არასანდონი იყვნენ<sup>100</sup>. დაქირავებული მოლაშქრეები მართლაც ყოველთვის ნაკლები ნდობით სარგებლობდნენ<sup>101</sup>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საეჭვოა იმის მტკიცება, რომ დავით აღმაშენებელი ფეოდალურ პარტიკულიარიზმთან ბრძოლაში უცხოელთგან შემდგარ ჯარსა და სომეხ ფეოდალებს ეყრდნობოდა<sup>102</sup>. ამ დებულების ავტორი პროფ. ს. ერეშიანი, ჩვენი აზრით, სათანადოდ ვერ ითვალისწინებს ჯარის უცხოელთაგან შემდგარი ნაწილების ბუნებას და დაპირისპირებულ ძალთა განაწილებას საქართველოში, — თითქოს ერთ მხარეს მეფე, ხოლო მეორე მხარეს — ყველა ქართველი ფეოდალი იყო. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მეფეს ოპოზიციაში ედგა მხოლოდ ფეოდალთა უმცირესობა — უაღრესად განდიდებულ ფეოდალთა ერთი ნაწილი. გარდა ამისა, სწორად არაა გაგებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები ყივჩაყთა გადმოყვანის მნიშვნელობაზე. ქართველი მემკვიდრე ყივჩაყებზე აღნიშნავდა, რომ მეფემ „მათითა კელითა მოსრნა სრულიად სპარსეთის ძალნი, და მისცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანადგომითა ქმნა საქმენი დაურწმუნებულნი“<sup>103</sup>. ერთი შეხედვით. მემკვიდრის ეს სიტყვები თითქოს ამართლებს პროფ. ს. ერეშიანის მტკიცებას, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: ზემოთ მოტანილი სიტყვები დავითის ისტორიკოსისა პოლემიკურია, მიმართულია იმ „მაბრალობელთა“ მიმართ, რომლებიც მეფის სიკვდილის შემდეგ

<sup>99</sup> Анна Комнина, Алексиада, 33. 109.

<sup>100</sup> იქვე, 33. 233-237.

<sup>101</sup> Ф. Мерино, Очерки по истории военного искусства, М., 1941.

33. 114.

<sup>102</sup> С. Еремян, Юрий Боголюбский.... 33. 391.

<sup>103</sup> ქართლის ცხოვრება, I, 33. 336.

მის მოღვაწეობას აკრიტიკებდნენ და ამბობდნენ, რომ დაგიტო ყივჩაყთა გადმოყვანით „ცუდად დაშურა... (უღ იქმნა გამრყვანება ყივჩაყთაო<sup>104</sup>. ეს „მამბრალობელი“ იყვნენ ქართველი დიდებულები, რომლებიც დავითის გამეფებამდე თავის ნებაზე ეყვანენ და სამშობლოს დაცვაზე ზრუნვის ნაცვლად „ძილითა ანუ ადგილითა მწუხანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა“ ერთობოდნენ<sup>105</sup>. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ მეფე მათ შეუსვენებლად ალაშქრებდა და მეფის წინააღმდეგ „განზრახვად ბოროტისა ... შეკრებად და ქმნად ესევეითარისა“<sup>106</sup> დროს არ უტოვებდა. ადარებს რა დავითს ალ. მაკედონელს, მემატიანე აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ (როგორც დავითმა) „პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა“ და ამით დაიკავა თავისი სახელმწიფო, უცხოელები კი („სპარსთა ძალი“) მხოლოდ შორეული ქვეყნის, ინდოეთის დასაპყრობად მოიხმარა<sup>107</sup>. აქ აშკარად ჩანს პარალელი დავითის მოღვაწეობის ორ პერიოდთან; 1118 წლამდე დავითმა ამიერკავკასია თითქმის მთლიანად გაათავისუფლა საკუთარი ძალებით, ყივჩაყები კი თურქთა საბოლოოდ დასამარცხებლად და შემდგომი დიდი გეგმების განსახორციელებლად გადმოიყვანა.

ყივჩაყებზე დაყრდნობა რომ არ შეიძლებოდა, ეს აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ მათ დახასიათებას თანამედროვე ისტორიკოსთა მიერ. ანა კომნენის სიტყვით, ალექსი კომნენი არ ენდობოდა მის მოკავშირე ყივჩაყებს, რადგანაც იცნობდა მათ მერყევ ხასიათს და შესაძლებლად თვლიდა, რომ ისინი მოკავშირეებიდან მტრებად ქცეულიყვნენ<sup>108</sup>. ცნობილია თუ რა მოჰყვა ყივჩაყთა ღალატს რუსთათვის კალკაზე ბრძოლის დროს 1223 წელს.

დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა „მთავრის“ ასული შეირთო ცოლად. ხომ არ გახდნენ ამის გამო ყივჩაყნი დავითის ერთგულნი?

დავითის ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყები საქართველოს სამსახურშიც თავიანთ ზნეს არ ღალატობდნენ: „რაოდენ-გზის ყივჩაყთა თვისთა (დავითის . ქ. ჩ.) განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მკნენი. რომელნიმე ჳრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალ-გზის“<sup>109</sup>. საქართველოს სამსახურში მყოფ ყივჩაყთა დახასიათები-

<sup>104</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 358.

<sup>106</sup> იქვე, გვ. 359.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 358.

<sup>108</sup> Анна Комнина, Алексиада, გვ. 233.

<sup>109</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362.

სათვის მეტად მნიშვნელოვანია მემატინის ცნობა, რომ ზოგიერთი ყივჩაყი მეფის მორჩილებას ივიწყებდა და ქართველთა რბევას იწყებდა: „ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან (დავითმა, ქ. გ.) განათავისუფლა და რომელნი უკუმოისხნა თუსთა ყივჩაყთაგან“<sup>110</sup> სითა“<sup>110</sup>. თუ რას ნიშნავს მეფის მიერ ყივჩაყთაგან „უკუმოისხნა“, კარგად ჩანს ცნობილი ქართული ხალხური ბალადიდან „შემომეყარა ყივჩაყი“. მასში აღწერილია ქართველი მოლაშქრის შებრძოლება ყივჩაყთან, რომელმაც მას გაძარცვა და ცოლის წაგვრა დაუპირა.

ცხადია, ასეთ მოლაშქრეებზე დაყრდნობა მეფეს არ შეეძლო და რომ ეს ასე იყო, კარგად გამოჩნდა 1121 წ. 12 აგვისტოს, დიდგორის ბრძოლის დროს. მაშინ, როცა მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი საქართველოს დასაპყრობად მოადგა და ქვეყნის ბედი გადამწყვეტ გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული, დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამსახურში მყოფი 40 ათასი ყივჩაყიდან ბრძოლის ველზე მხოლოდ 15 ათასი მოლაშქრე გაიყვანა. ჩანს, დავითის „მაბრალობელ“ დიდებულთა საყვედური — „ცულ იქმნა“ მეფის მიერ ყივჩაყთა „გამოყვანებო“ — მთლად უსაფუძვლო არ იყო.

ყივჩაყები მეფის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლასაც კი არ ერიდებოდნენ. 1123 წ. დავით აღმაშენებლის ლაშქრობა (რომელშიაც ყივჩაყთა დიდი რაზმი მონაწილეობდა) შარვანში შემოყრილ თურქთა განსადევნად ჩაიშალა. იბნ-ალ-ასირის სიტყვით: ღმერთმა „ქართველთა და ყივჩაყთა შორის უთანხმოება და უსიამოვნება ჩამოაგდო, და სწორედ იმ ღამეს ერთმანეთს დაერივნენ და იქიდან ვითარცა ოტებულნი აიყარნენ“<sup>111</sup>.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, თუ რამდენად უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ თითქოს XII საუკუნეში საქართველოსათვის უცხოელ შემორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. „დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მუღმივი ლაშქარი არასოდეს არ გაუხდია თავის ძირითად და დასაყრდენ ძალად“, „მეფე ძირითად საყრდენ ძალად ისევ „სამეფო სპას“. ქართველთა ლაშქარს თვლიდა“<sup>112</sup>. აგივე, რაც ყივჩაყებზე ითქვა, შეიძლება გავიმეოროთ დაქირავებულ მოლაშქრეთა შესახებაც. დაქირავებული მეფის „თანამდგომნი“ იყვნენ და არა მისი დასაყრდენი<sup>113</sup>.

<sup>110</sup> იქვე, გვ. 354.

<sup>111</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 205.

<sup>112</sup> შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 63.

<sup>113</sup> რაც შეეხება პროფ. ერმიანის შენიშვნას, რომ დავით აღმაშენებელი ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდა სომეხ ფეოდალებს, ამის დასამტკიცებელი ცნობები ჩვენ არ გვაქვანია.

უცხოელმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს საშინაო ცხოვრებაში. ხშირად (დემნას აჯანყება, გიორგი რუსის მომხრეთა შემოჭრა ბიზანტიიდან) სამეფო ხელისუფლება ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი მხარდაჭერას პოულობდა. მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას და ძლიერ ფეოდალებს შორის ბრძოლაში მეფე უმთავრესად არა დაქირავებულ ლაშქარს, არამედ წვრილ ფეოდალებსა და ადგილობრივ რიგით მოლაშქრეებს ეყრდნობოდა. მეფის სპა — „მონათა“ კორპუსი და სამეფო დომენის მოლაშქრეები—აი, ის ძირითადი ძალა, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ეყრდნობოდა.

---



იოსებ ბაქლიშვილი

## რუსთაველის აპოქის ქართული სოფელი

ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში ნაკლებადაა შემონახული ცნობები საქართველოს ქალაქების შესახებ და კიდევ უფრო ცოტაა ნათქვამი სოფლებზე. ამიტომ მხოლოდ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით თითქმის შეუძლებელია აისახოს შუა საუკუნეების ქართული ქალაქისა და სოფლის ისტორია. ამ ხარვეზის შესავსებად განსაკუთრებით ძვირფასი მასალა შეიძლება მოგვცეს ნაქალაქარებისა და ნასოფლარების არქეოლოგიურმა შესწავლამ (1).

ნასოფლარების არქეოლოგიურ შესწავლას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მიექცა. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ნასოფლარია. ამ უკანასკნელების წარმოშობა სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული. მათ გაჩენაში არც თუ მცირე როლი ენიჭება უცხოელი დამპყრობლების გამანადგურებელ შემოსევებს. ქართველი მემატიანეების ცნობით, თემურ-ლენგის მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს რვაჯერ დალაშქვრის შედეგად, ბევრი ადამიანი დაიღუპა და ბევრიც თავის სამოსახლო ადგილებიდან მთლიანად აიყარა, გაჩნდა ნაქალაქარები და უამრავი ნასოფლარი (2).

თეთრიწყაროს რაიონში არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად, რომელიც აქ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა 1948-1952 წწ. განახორციელა, დადგინდა, რომ საკვლევ რაიონში 100-მდე ნასოფლარია და მათი უმრავლესობა XI—XIV სს. მძლავრ კულტურულ ფენებს შეიცავს. ამ მხრივ ყველაზე ტიპიურები ის ნასოფლარებია, რომლებიც მდ. ხრამის მარცხენა შენაკადის, მდ. ჭივჭივის ხეობაში მდებარე

რეობენ. ეს ხეობა იმითაც არის ცნობილი, რომ მდ. ხრამთან მისი შეერთების ადგილას აწ ნანგრევებად ქცეული, ქვემო ქართლის მთავარი ციხე-ქალაქი, სამშვილდე მდებარეობს.

მდ. ჭივჭივას ხეობაში და ბედენის პლატოზე ~~ქვემო ქართლის~~ ~~ნასოფლარი~~ მათ შორის აქამდე კარგადაა შემონახული ~~ნასოფლარი~~: ნაჭივჭავები, ტყემლარა, ტახტისწყარო, ნადარბაზევი და ბედენი. ამ ნასოფლარებში ტოპოგრაფიული სამუშაოები იქნა შესრულებული და მათ საფუძველზე გამოისახა ნასოფლარების დეტალური გეგმები. ამის პარალელურად განხორციელდა აგრეთვე არქეოლოგიური დაზვერვები ყველა დასახელებულ ნასოფლარში. ნასოფლარ ნაჭივჭავებში კი ოთხი წლის განმავლობაში (1955-1956 წწ.) გაითხარა გლეხის ხუთი სახლის ნაშთი.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს საკითხი, თუ რა საფუძველზე აღმოცენდნენ და განვითარდნენ ქვემო ქართლის დასახელებული სოფლები, საჭიროდ მიგვაჩნია არსებული მასალების მიხედვით მოკლედ მაინც დავახასიათოთ თეთრიწყაროს რაიონის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

თეთრიწყაროს რაიონის შესახებ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის დამაჯერებელი ცნობები პირველად XVIII ს-ის გამოჩენილმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა (3). XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში თეთრიწყაროს ისტორიული ძეგლების შესახებ მოკლე ცნობებს იძლევიან პ. იოსელიანი, ი. ბართოლომეი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი და ე. თაყაიშვილი. (4). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თეთრიწყაროს არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებს სწავლობდნენ ე. პჩელინა, ლ. მელიქსეთ-ბეგი და გ. ჩიტაია (5). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1938-1939 წწ. ლ. მუსხელიშვილის მიერ გუდარეხის მონასტრის ნანგრევების ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგად დადგინდა რუსთაველის ეპოქის მძლავრი კულტურული ფენების არსებობა თეთრიწყაროს რაიონში (6).

შემდეგ, თეთრიწყაროს ფეოდალური პერიოდის ისტორიული ძეგლების შესახებ გამოქვეყნდა ნაშრომები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეების—ი. ციციშვილის, პ. ზაქარაიას, ლ. ბოჭორიშვილისა და ამ სტრიქონების ავტორის მიერ (7). დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის, ბ. კუფტინისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც თეთრიწყაროს რაიონსაც ეხება (8).

ყველა დასახელებული ნაშრომი, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თეთრი-

წყაროს რაიონში აღნუსხული სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლის ამ კუთხის ისტორია ნეოლითიდან იწყება და უწყვეტლივ შემდეგი პერიოდებია წარმოდგენილი: ენეოლითი, ბრინჯაოს ეპოქა, ანტიკური პერიოდი და — ძალზე მძლავრად — შუა საუკუნეები, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ფენებით.

ფეოდალური პერიოდის უამრავი ძეგლის მიხედვით რელიეფურად წარმოდგება განვითარებული და გვიანი საშუალო საუკუნეები, ხოლო ნაკლებად მკაფიოდ — ადრეფეოდალური ხანა, განსაკუთრებით V — VII სს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ბევრ ადგილას აღმოჩნდა შუა საუკუნეთა ნასოფლარები ეკლესიის ნანგრევებით. რადგანაც ეს რაიონი უხსოვარი დროიდან იყო დასახლებული, გამორიცხული არ არის შუა საუკუნეების ნასოფლარებში უფრო ადრე პერიოდის კულტურული ფენების აღმოჩენა. მაგრამ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საფუძველს იძლევა ეივარაუდოთ, რომ მდ. ჭიჭვივას ხეობისა და ბედენის პლატოს ნასოფლარები ერთი და იმავე პერიოდისაა. ეს, პირველ რიგში, მტკიცდება ნასოფლარების გათხრების დროს XI—XIII სს. მოჭიქული ჭურჭლის უამრავი ნატეხის, ამავე ხანის მინის სამაჯურებისა და, ბოლოს, მეტად დამახასიათებელი, უხეში კერამიკული ნაწარმის აღმოჩენით (9).

ამრიგად, ნასოფლარი ნაჭივჭავეები, მდ. ჭიჭვივას ხეობის და ბედენის პლატოს სხვა ნასოფლარები (ტყემლარა, ნადარბაზევი, ტახტისწყარო და ბედენი), ძირითადი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, IX—XIII სს. თარიღდება. ამ სოფლებმა მაღალ განვითარებას მხოლოდ XII-XIII სს. მიაღწიეს, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აშენდა საუკეთესო ეკლესიები და მონასტრები, როგორცაა ფიტარეთი, პირღებული, გუდარეხი, მონასტერი (სოფ. სამღერეთთან), ხოლო სოფელ ნაჭივჭავეების ეკლესიაში დაიდგა მდიდრულად მოჩუქურთმებული ქვის კანკელი. თვითონ ნაჭივჭავეებისა და ზემოთ დასახლებული სოფლების ეკლესიები კი, რომლებიც გათლილი ანდუზიტ-ბაზალტის დიდი კვადრებით შეიმოსა, თარიღდება უფრო ადრე პერიოდით, მაგრამ არა უადრეს IX საუკუნისა. ამ დათარიღებას არაპირდაპირ ასაბუთებს ნაჭივჭავეების ცენტრალური ეკლესიის დიდ ქვაზე ამოკვეთილი ჯვარი და მხატვრული კომპოზიცია წმინდა გიორგის გამოსახულებით. ერთი სიტყვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნასოფლარ ნაჭივჭავეების ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილ შავად

გაპრიალებული კერამიკის ნამსხვრევებს (ძვ. წ. I ათასწლეული). მაშინ ნასოფლარების უადრეს თარიღად IX საუკუნე უნდა ჩითვალოს.

შესაძლებელია, ნაჭივკავები, ტახტისწყარო, ნაფარბუხეთის ტყემლარა და ბედენი ნასოფლარებად XIV ს-ის ბოლოს და XV ს-ის დასაწყისში გადაიქცნენ, როდესაც ქვეყანა თემურ-ლენგმა გაანადგურა. ასეთი დიდი მოვლენები არ შეიძლებოდა ამ სოფლებსაც არ შეეხებოდა. შესაძლებელია, ნაჭივკავების მოთხე სახლის სამზარეულოს კარის წინ, უჩვეულო პირობებში, მოზრდილთა და ბავშვების ჩონჩხების აღმოჩენა აღნიშნულ კატასტროფის პირდაპირი დასაბუთება იყოს.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე დასახელებული ნასოფლარები აღნიშნული არაა, ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ XVIII ს. დასაწყისში ისინი დასახლებული არ იყო. მაგრამ გვიანი პერიოდის ეკლესია ნაჭივკავებში და XVII ს. საფლავები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ნაჭივკავებში განახლებულმა ცხოვრებამ ვერ შეცვალა ვერც სოფლისა და ვერც დასახლარების გეგმა. ცხადია, ნასოფლარში არაფერი შეიცვალა მაშინაც, როდესაც მის ტერიტორიაზე XX ს. ოციან წლებში სოფ. ვარხუნოდან გადმოსახლებული გლეხის ერთმა ოჯახმა დაიწყო ცხოვრება.

ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ იმ ნასოფლარში, სადაც კარგად იყო დაცული სახლის კედლები, მოსულ მოსახლეობას ყოველთვის ჰქონდა საშუალება ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ნანგრევები თავისი ახალი მოთხოვნილებისათვის გამოეყენებინა. თუ ჩვენს მოსაზრებას, რომელიც გამაგრებულია არქეოლოგიური საბუთებითაც, ანგარიშს გავუწევთ, მაშინ ნასახლარები, ძირითადად, VII-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ნასოფლარების გეგმიდან ჩანს, რომ სახლის თითოეული კომპლექსი შედგება 5-6 ნაგებობისაგან და ამასთანავე მათ უკავშირდება ეზო, კალო, და სადგომი.

რადგანაც ასეთი სახლები ბევრია ნასოფლარებში, შეიძლება უდავო გახდეს, რომ ფეოდალურ პერიოდში, სახლი ძირითადად შედგებოდა შემდეგი ერთეულებისაგან: დარბაზი, გომური, სამზარეულო-საკუჭნაო, სათონე, მარანი, საბძელი, ეზო, კალო და სადგომი.

ნასოფლარების გეგმიდან შეიძლება აგრეთვე დავინახოთ, რომ სოფლის განვითარება ყოველთვის ცენტრიდან წარმოებდა, ე. ი. ეკლესიის უბნიდან პერიფერიისაკენ. ამ განაპირა ადგილების ზოგიერთი სახლი გვიჩვენებს, რომ ახლადწარმოშობილ ოჯახს დასაწ-



ყისშივე უნდა ჰქონოდა სამი ნაგებობა, სახელდობრ: დარბაზი, საზარეულო და გომური (ნაჭივჭავეების III სახლის ნაშთები). ვფიქრობთ. ასეთ ფაქტში შეიძლება დავინახოთ აგრეთვე სოფელში ქრებრივი უთანასწორობა.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ზოგიერთ სახლთან კალოები იყო (ნაჭივჭავეები), ხოლო ზოგან — კალო და სადგომი (ტყემლარა და ბედენი) ან მხოლოდ სადგომი (ტახტისწყარო). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ XII-XIII სს. აღნიშნულ სოფლებში ზოგიერთი გლეხი ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა, ხოლო ზოგიც მესაქონლეობას. ჩანს, სოფლებში გლეხები ერთად შერეულ მეურნეობას მისდევდნენ. ამ მხრივ ცალკე იდგა სოფელი ნადარბაზევი, რომლის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ფეოდალური მაღალი წოდების საზაფხულო რეზიდენციის მოვლა-პატრონობა.

ვახუშტი ბაგრატიონი ნადარბაზევის ნანგრევებს მიაკუთვნებს თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციის ნაშთებს (10). მართლაც, საკმარისია ეს ნაშთები შეადაროთ ამავე პერიოდის მონასტრის მონგრეულ ნაგებობებს, მაგალითად, გუდარეხის სასახლის ნანგრევებს, და სავსებით ნათელი გახდება, რომ ნადარბაზევი უფრო მონუმენტური ნაგებობაა, ვიდრე ჩვეულებრივი უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლებისა და ქალაქის დიდებულების სასახლის ნანგრევები (სამშვილდე). არ არის გამორიცხული, რომ ნადარბაზევი ვახუშტის აგონებდა თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციის ნაშთებს კოჯორში, რომელიც წყაროებით ცნობილია, მაგრამ აქამდე არაა აღმოჩენილი.

აღნიშნულ სოფლებში, კერძოდ, ნაჭივჭავებში, მიწის დამუშავება ხდებოდა გუთნით, რომელშიც, საფიქრებელია, სამი უღელი ზარ-კამეჩი იყო შებმული. ამაზე გვანიშნებს ნაჭივჭავებში ნაპოვნი საფლავის ქვა, რომელზეც გამოხატული იყო გუთანი და სამი უღელი. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ გ. ჩიტაიას მიერ თეთრიწყაროს რაიონში ეთნოგრაფიული გამოკვლევების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს (ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი ძველი ტიპის გუთანი და დადგენილია ძველი სამიწათმოქმედო-საკულტო წესჩვეულების არსებობა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვემო ქართლში გუთნურ მიწათმოქმედებას მოსახლეობა უნსოვარი დროიდან მისდევდა.

საფიქრებელია, რომ დამუშავებულ მიწაზე გლეხებს საკმარისი რაოდენობით მოჰყავდათ ხორბალი და ქერი, რომელსაც ცალფიცრიანი კევრებით ლეწავდნენ კალოებზე, ბუეს კი ყრიდნენ საბ-

ქელში, რომლის მოცულობა საშუალოდ 100 კუბურ მეტრს უდრდა.

თეთრიწყაროს რაიონში ყოველთვის კარგი ბალახი ითიბებოდა. ჩვენ დროში თივას ეზოში ბულულებად დგამენ. მესაძლებელია ასეთი ბულულები უწინაც იდგა სახლის ეზოში და განკუთვნილი იყო საქონლისათვის ზამთრის საკვებად. აღნიშნული საკვები (თივა და ბზე) საკმარისი უნდა ყოფილიყო მხოლოდ 3 თვის განმავლობაში. რაიონის ძველი მცხოვრებლები თავიანთ საქონელს აძოვებდნენ ბედენის პლატოზე (ზღვის დონიდან 2000 მ: მეტი) და ხრამისა და ალგეთის ქვედა დინებაში, აწინდელი მარნეულის რაიონში (ზღვის დონიდან 300 მ). ბედენის პლატო და მარნეულის რაიონის ვაკე ადგილები არა მარტო ხსენებული ნასოფლარების ძველ მოსახლეობას, არამედ სხვა სოფლებსაც ეკუთვნოდა. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ საძოვრები უბნების მიხედვით იყო განაწილებული.

საფიქრებელია, რომ XII-XIII სს. ქვემო ქართლის სოფლები ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიურ კავშირში იყვნენ. ამას, პირველ რიგში, უნდა ადასტურებდეს მთაში გლეხების მიერ საძოვრებისა და ტყის ნაკვეთების განაწილება-სარგებლობა, რომელიც გვიან საშუალო საუკუნეებშიაც გადავიდა და ყიდვა-გაყიდვისა და ჩუქების სხვადასხვა საბუთებში ჩანს (11).

თეთრიწყაროს რაიონის განვითარებული ფეოდალური პერიოდის სოფლებში ჯერჯერობით არაა მიკვლეული სამხედრო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მოსახლეობის დაცვა, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა არსებული სიმაგრეებით: ერთი მხრივ, იყო ციხე-ქალაქი სამშვილდე, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორებიცაა: ლომთაგორა, კოჯორი, ფარცხისი, ბირთვისები, კლდეკარი და ხულუტი. ისინი მდებარეობდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, რომლებსაც ერთსა და იმავე დროს შეეძლოთ კონტროლი გაეწიათ ამ რაიონში გამავალი ძირითადი გზებისათვის. ქვემო ქართლში ამ სამხედრო სიმაგრეების სისტემა საქართველოს დედაქალაქს სამხრეთიდანაც ამაგრებდა და ამიტომაც უნდა დაქვემდებარებოდა ამირსპასალარს.

სამხედრო მოქმედების დროს სოფლის მოსახლეობა თავს აფარებდა ტყესა და მთას, მაგრამ უმთავრესად იმ გამოქვაბულებს (სახიზარებს), რომლებიც მდ. ხრამისა და მდ. ჭივჭივას ხეობებში იყო განლაგებული (12).

ძალზე საინტერესოა ნაჭივჭივების მოსახლეობის სულადობის საკითხი.

საორენტაციო ანგარიშისათვის შეიძლება ვისარგებლოთ იმ წისქვილის წარმადობით, რომლის ნაშთები ნაჭივკვავების შახლობლად აღმოჩნდა, მდ. ჭივჭივას ხეობაში. საქართველოში არსებულ საფქვავ ნაგებობათა ანალოგიით შეიძლება დავუშვათ, რა წილი ნაჭივკვავების წისქვილი საშუალო ზომისა იყო, დღე-ღამეში შეეძლება დაეფქვა 24 ფუთი, ე. ი. 390 კგ-მდე ხორბალი. ეს კი ყოფნიდა სოფლის იმ მოსახლეობას, რომელიც 34 კომლისაგან შედგებოდა.

ამ ძალზე მიახლოებითი ანგარიშის მიხედვით საშუალოდ თითოეულ ოჯახზე დღეში მოდიოდა 10 კგ ფქვილი, რომლითაც 10 სულის გამოკვება შეიძლებოდა. ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ თითო ოჯახში 10 სული იქნებოდა, მაშინ მთელი სოფლის მოსახლეობა 400 უნდა ყოფილიყო. ასეთი დასკვნა უსაფუძვლო არ უნდა იყოს. მას მხარს უჭერს აგრეთვე თითოეული საცხოვრებელი სახლის (დარბაზის) მოცულობა, სადაც შეიძლებოდა მოთავსებულიყო არა უმეტეს ათი სულია.

საორენტაციო ანგარიშის მიხედვით ვფიქრობთ, რომ წელიწადში თითოეული ოჯახისათვის საკვებად საჭირო იყო 3,5 ტონა ხორბალი და ქერი. ოჯახის ბიუჯეტს, რომლის საფუძველს შერეული მეურნეობა წარმოადგენდა, განსაზღვრავს ხორბლეულის საჭირო რაოდენობა. უნდა დავუშვათ, რომ ოჯახს წელიწადში 5 ტონა ხორბალი მაინც უნდა მოეყვანა. შესაძლებელია, გლეხი პურეულით ფარავდა გადასახადს მიწაზე, ხოლო პურისავე გაცვლა-გაყიდვის გზით იძენდა მისთვის საჭირო სხვა პროდუქტებსა და საგნებს.

ოჯახის ბიუჯეტში არანაკლებ როლს ასრულებდა მესაქონლეობაც. საქონლის მცირე რაოდენობა, რომელიც ესაჭიროებოდა ოჯახს პირადი და სამეურნეო მოხმარებისათვის, როგორც გამწევი ძალა, თვით სოფელში იყო. მეორე ნაწილი კი საძოვრებზე ჰყავდათ. გლეხის შეძლებულობა განისაზღვრებოდა საქონლის რაოდენობითაც. ამ დროს სოფელში სხვადასხვა კატეგორიის გლეხები იყო (13) და მათი ქონებრივი მდგომარეობაც, ბუნებრივია, განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

მდ. ჭივჭივას ხეობისა და ბედენის პლატოს ყველა სოფელზე ისეთ კლიმატურ და ბოტანიკურ ზონაშია, სადაც ყურძენი არ ხარობს, მაგრამ, როგორც ვათხრებით გამოირკვა, თითქმის ყველა გლეხს მარანი ჰქონდა. თითოეულ ოჯახში წლიურად არანაკლებ სამი ქვევრი ღვინო იყო, დაახლოებით 600 ლიტრის რაოდენობით. გამორიცხული არ არის ისიც, რომ სოფ. ნაჭივკვავების მცხოვრებთ ჰქონდათ ვენახები მდ. ხრამისა და ალგეთის ნაპირებზე. რომ წარსულში ამ ტერიტორიაზე ყურძენი მოდიოდა, იქიდანაც ჩანს, რომ მდ. ხრამის ხეობაში სხვადასხვა ჯიშის უამრავი ვაგელურებული ვა-

ზია. მევენახეობის განვითარებას ამ რაიონში უთუოდ ადასტურებს საწნახლეების აღმოჩენაც, რომლებიც, ჩვენი აზრით, განვითარებული ფეოდალური პერიოდისაა, გამორიცხული არ არის, რომ გლეხი ღვინოს იძენდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტის გაცვლითაც (პურის მარცვალის, ხორცის და სხვ.).

დადგენილია, რომ თიხის ჭურჭლის ძირითადი მწარმოებელი ხსენებულ რაიონში იყო ქ. სამშვილდე, რაზედაც მთელი სიცხადით მიუთითებს აგრეთვე ნაქივიკაების საყოფაცხოვრებო კერამიკის ნედლეულის პეტროგრაფიული შესწავლა. თიხა, რომლისაგანაც დამზადებული არის ეს ჭურჭელი, სამშვილდის მიდამოებში მოიპოვებოდა. მაგრამ თიხისაგან დამზადებული სამზარეულო უხეში კერამიკის მეტი ნაწილი ხელით კეთდებოდა და გამოიწვებოდა თვით სოფელში. ასეთსავე ჭურჭელს ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში კასპის რაიონის სოფ. ხოვლეში ადგილობრივად ხელით ამზადებდნენ ქალები და თონეში გამოწვავდნენ ხოლმე.

ქალაქური და სოფლური სამზარეულო ჭურჭლის დიდი რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდა ნასოფლარების თხრის დროს, პირდაპირ მიუთითებს სოფლად პროდუქტების მოხმარების დიდ სხვადასხვაობაზე. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გლეხების მოხმარების პროდუქტს კარაქიც შეადგენდა, რომელსაც ადგილზე ამზადებდნენ. სამზარეულოს ნაშთები კარგად ასაბუთებენ, რომ სოფლურ საკვებში შედიოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ხორცი, ღორი და ფრინველი (14). ცხადია, გამოიყენებოდა აგრეთვე ბოსტნეული, ხილი და მწვანილი. ამას ადასტურებს ქართველების ძველი ტრადიციები, რომლებიც აქამდე შემორჩა ჩვენში არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქშიაც.

თეთრიწყაროს რაიონში ნასოფლარების თხრის დროს თითქმის ყველგან, მათ შორის ნაქივიკაებშიც, მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩნდა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ IX—XIII სს. მოჭიქული ჭურჭლით სარგებლობდა არა მხოლოდ ქალაქის, არამედ ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობაც. სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოჭიქულ ჭურჭელს შორის მხოლოდ მისი მოხატვა-მოპირკეთების ხარისხში იყო.

შუა საუკუნეების საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის დამზადება ქალაქურ ხელობად ითვლებოდა. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქი სამშვილდე ქვემო ქართლში მოჭიქული ჭურჭლის დამზადების ერთი ძირითადი პუნქტი იყო, მით უმეტეს რომ მის მიდამოებში საამისოდ საკმაოდ ნედლეული (თიხა) მოიპოვებოდა.

სოფლის ქალების ძირითად საქმიანობას, ცხადია, ოჯახის მოვლა-პატრონობა შეადგენდა. გათხრების შედეგად ნაპოვნი კვირისტავეები და სხვა მასალა, მოწმობენ, რომ ისინი სხვა საქმიანობასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ, რთავდნენ, ქსოვდნენ და თიხისაგან სახელდახელოდ სახმარ კურჭელსაც ამზადებდნენ.

ნაჭივჭავეების ქალების ჩაცმა-მორთულობაზე მიუთითებს მხოლოდ მიწის სამაჯურების სამკაულად გამოყენება. ეს სიახლე IX-X სს. ქალაქის მოსახლეობისთვისაა დამახასიათებელი. არქეოლოგმა ა. არციხოვსკიმ, რომელმაც XI—XIII სს. რუსეთის ნაქალაქარები შეისწავლა, დაასკვნა, რომ მიწის სამაჯურებს მხოლოდ ქალაქის მკვიდრი ქალები ატარებდნენ (15). ასეთი დასკვნა IX—XIII სს. საქართველოს სინამდვილისათვის არ მართლდება. უინტერესო არ იქნება აღინიშნოს აგრეთვე, რომ სოფელში ახალგაზრდა გათხოვილი ქალები მუხლამდე კაბებს ატარებდნენ და იცვამდნენ მაღალქუსლიან ტყავის ფეხსაცმელს, რაზედაც მიუთითებს ერთ-ერთი საფლავის ქვის გამოსახულება ნაჭივჭავეების ცენტრალური ეკლესიის სასაფლაოზე.

დღეისათვის ცნობილი არ არის, თუ ვის ეკუთვნოდნენ სოფელ ნაჭივჭავეების გლეხები. მაგრამ საფუძველს მოკლებული არ იქნება დავუშვათ, რომ მდ. ჭივჭივას ხეობისა და ბედენის სოფლები მეფეს ეკუთვნოდა. ამას მოწმობს ნადარბაზევში სამეფო საზაფხულო რეზიდენციის ხანგრძლივი არსებობა.

XII-XIII სს. ქვემო ქართლში მეფეს დიდი მამულები ეკუთვნოდა. ამაზე მიუთითებენ თეთრიწყაროს რაიონში აღმოჩენილი სტელეზო ხელის გამოსახულებით. ასეთი სტელეები ნაპოვნია სოფ. არხოტში (მანგლისთან ახლოს) და სოფ. ჩხიკვაში (თეთრიწყაროს მახლობლად). არხოტის სტელაზე, ხელის გამოსახულების გარდა, ასომთავრული წარწერაა, რომელიც მეტყველებს, რომ მეფე რუსუდანმა (XIII ს. პირველი ნახევარი), მიწები უბოძა კავთის წმინდა გიორგის ეკლესიას (16). ჩხიკვას სტელეზე წარწერები ძირითადად წაშლილია, შემორჩენილი ფრაგმენტები თავიანთი შინაარსით არხოტისას ჰგვანან.

ჩვენი შეხედულებით, თვით მდ. ჭივჭივას ხეობისა და ბედენის პლატოს სოფლები ძარღვმაგარი, შეძლებულები იყვნენ. სოფლად გაშენებული იყო ერთსართულიანი ქვის სახლები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, 4-6 ნაგებობისაგან შედგებოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ. XII-XIII სს. სრული გლეხური სახლი შედგებოდა შემდეგ ნაგებობათაგან: 1. დარბაზი, 2. გომური, 3. სამზარეულო, 4. სათონე, 5. მარანი, 6. საბძელი. ამას გარდა, სახლ-კარში შედი-

ოდა ეზო, კალო და სადგომი. ჩვენი აზრით, ასეთი სახლ-კართის პატრონს უნდა ჰქონოდა საკომლო მიწა ანუ ფუძე.

თუ გავითვალისწინებთ ნაჭივჭავების გლეხის სახლის მეურნეობის ყველა იმ მონაცემს, რომელზედაც ზევით ვსაუბრობთ, შეიძლება მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, რა რაოდენობის მიწა შედიოდა გლეხის ფუძეში.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფ. დიღომი (თბილისის რაიონი), რომელიც XX ს. პირველ მეოთხედში შერეულ მეურნეობას ეწეოდა და მებაღეობასაც მისდევდა, მარცვლეული კულტურების მოყვანის მიხედვით ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით: ერთი ჰექტარი მიწის ფართობი დაახლოებით 2.5 დღიურს უდრიდა. თითოეული დღიური სულ მცირე 60 ფუთ პურის მარცვალს იძლეოდა (ხორბალს და ქერს). ერთი კალოდან გლეხს 30 ფუთი მარცვლის მიღება შეეძლო. სოფელში იყო ბედლები, რომლებიც 500 ფუთ მარცვალს იტევდა, ხოლო საბძელი 100 კუბ. მ მოცულობისა იყო.

თუ აღნიშნულ მონაცემებს გამოვიყენებთ, მაშინ მიახლოებითი ანგარიშით ნაჭივჭავებში თითოეულ სახლს (ოჯახს) წელიწადში 5 ტონამდე მარცვალი მოჰყავდა. სამისოდ საჭირო მიწის ფართობიც ასევე დაახლოებით შეიძლება გამოვითვალოთ.

თუ დავუშვებთ, რომ ერთი დღიური საშუალოდ 60 ფუთ (დაახლ. 1 ტონა) პურის მარცვალს იძლეოდა, მაშინ მივიღებთ, რომ 5 ტონა ხორბლეულის მისაღებად საჭირო იყო 5 დღიური მიწა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჭირნახულს მიწა ქართლში მაშინ იძლეოდა, თუ მას „ასვენებდნენ“. ამიტომ, შეიძლება დავუშვათ, რომ XII-XIII სს. ერთ ფუძეში 10 დღიური მიწა მაინც შედიოდა. ასეთ ვარაუდს ჩვენი აზრით, ამაგრებს საბძელების მოცულობაც. ნაჭივჭავებში მათი სიდიდე, დაახლოებით, 100 კუბმეტრია. იმავე სოფელ დიღომის მონაცემების მიხედვით, ერთი კალო საშუალოდ 10 კუბურ მეტრ ბზეს, ხოლო 10 კალო 100 კუბურ მეტრ ბზეს იძლეოდა.

შიომღვიმის XII ს. საბუთში აღნიშნულია, რომ ერთ ფუძეში 10 დღიური მიწა შედიოდა (17). დღეს ეს მონაცემები არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება.

ასეთია თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარების არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები. ამ გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რამდენად საყურადღებო მასალით შეიძლება შევისოს ჩვენი ცოდნა ქვემო ქართლის გლეხის ყოფა-ცხოვრებაზე. საქართველოს ახასიათებს გლეხის საცხოვრებელი სახლებისა და ყოფის სხვადასხვაობა.

რაც აქამდე რაიონების მიხედვით მხოლოდ ეთნოგრაფიული მონაცემებით იყო დადასტურებული.

არქეოლოგიური მასალები სოფლების შესახებ ჯერ კიდევ უმეტესი კმარის არ არის. ამიტომ საქართველოს ისტორიის მთელი რიგის საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია, პირველ რიგში, გაიშალოს ნასოფლარების სისტემატური არქეოლოგიური გამოკვლევა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

## ლიტერატურა და შინიშვნები

1. Г. А. Ломтатидзе, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, «Советская Археология», XXVII, 1957, გვ. 269—289. Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

2. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯაფარიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 284.

3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 43—48.

4. П. Иоселиани, Города существовавшие и существующие Грузии, Тифлис, 1850, გვ. 80, И. А. Бартоломей, М. Броссе, Надписи Манглисского храма, ЗИАО, Тифлис, IV, 1895, Д. Бакрадзе Кавказ в древних памятниках христианства, ЗОЛКА, К. I, Тифлис, 1875 А. С. Хаханов, Экспедиции на Кавказе 1892, 1893 и 1895 г. МАК, VII, М., 1898, Е. С. Такайшвили, Грузинские памятники Белого Ключа, ИКОИМАО, I, Тифлис, 1904, Егo-же, Археологические экскурсии, разыскания и заметки, ИКОИМАО III, Тифлис, 1913.

5. Е. Пчелина, Археологические разведки в районе Триалетского хребта г. Тифлиса, Изв. Музея Грузии, V, 1924, გვ. 147—162.

6. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ეურნალი „ახალი სკოლისაკენ“, № 2-3, თბ., 1924, მისივე, მანგლისის ნეკროპოლი, „ჩვენი მეცნიერება“, № 1, თბ., 1924; გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, საქ. მუზეუმის „მოამბე“, IV, თბ., 1928, მისივე, ვითარებისა და მუდარების საფლავის ქვები, საქ. მუზეუმის „მოამბე“, III, თბ., 1927. ლ. მუსხელიშვილი, გუდარების პირველი და მეორე (1938—1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. თბ., 1954.

7. ირ. ციციშვილი, „მონასტრის“ არქიტექტურული კომპლექსი, „მიმზილველი“, II, თბ., 1951; მისივე, ხუროთმოძღვრული ძეგლი ნასოფლარ დრანეთში. საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XII, № 5, თბ., 1951; მისივე, ნადარბაზევის წყალსადენი, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XI, № 6, თბ., 1950; ირ. ციციშვილი და პ. ზაქარაია, ნადარბაზევი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, თბ., 1955; პ. ზაქარაია, XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი ვაკეში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XI, № 3, თბ., 1950; მისივე, VIII-IX სს. ერთი უცნობი ძეგლის შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XVI, № 5, 1945; ლ. ბოჭორიშვილი, ილგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VIII თბ., 1956; მისივე, ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან, საფლავის ძეგლები, „მასალები სა-

ქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VIII; ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XV, № 5, 1954; მისივე, არქეოლოგიური გათხრა ნაწიეკვაეებში (თეთრიწყაროს რაიონი), საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XVII, № 1, 1956; მისივე, ნასოფლარი „ნაწიეკვაეების თხრის შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XVIII, № 1, 1957; მისივე, ნასოფლარი ნაწიეკვაეები, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, XXXIV, № 3, 1964.

8. Б. А. К у ф т и ш, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.  
9. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯეული თბილისის ტომნიმიკიდან (გარანი), „მომზ. ხილველი“, II, თბ., 1951; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ენიშის „მოამბე“, XI, თბ., 1943, გვ. 85-102.

9. ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი (ქვემო ქართლში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მიხედვით), ხელნაწერი. დატულია საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ფონდში. შრომა აღნიშნული გამოკვლევის დასკვნებია.

10. ვ ა ხ შ თ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, დასახ. გამოც., გვ. 44.

11. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940, გვ. 7 და სხვა.

12. ჯ. ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი, ქციის (ხრამის) მღვიმე-გამოქვაბულები, კრებული „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, II, თბ., 1963.

13. შ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI-XII სს., საქ. სსრ აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. 1, 1960.

14. გათხრების შედეგად ნასოფლარ ნაწიეკვაეებში აღმოჩენილი ძელოვანი მასალა განსაზღვრა პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა.

15. А. В. Арциховский, Основы археологии, М., 1954, გვ. 213.

16. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეთნოგრაფიული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953, გვ. 41.

17. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის მონასტრის საბუთები, თბ., 1896, გვ. 26-27.

### შემოკლებათა განმარტება

З И А О — Записки Императорского археологического общества.

З О Л К А — Записки общества любителей кавказской археологии.

М. А. К — Материалы по археологии Кавказа.

ИКОИМАО — Известия кавказского отделения императорского московского археологического общества.



დავით გუსხელიძის

## თბილისის ამირთაშვილების ინსტიტუტისათვის

თბილისში არაბთა ბატონობის დამხობის შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, ქალაქის „მთავარ გამგეს“ წინანდებურად ამირას ეძახდნენ<sup>1</sup>.

მართლაც, დაწყებული XII ს-ის მიწურულიდან, ვიდრე XVII ს-ის დამდეგამდე, თბილისის გამგებლის, ქალაქის უფროსის, აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება „ამირთაშირა“ (XVI საუკუნიდან მის პარალელურად შემოვიდა „მოურავი“ ან „ტარულა“. ამათ შესახებ ქვემოთ):

1. XII ს-ის 80-იან წლების მიწურულისათვის ცნობილია ამირთაშირა აბულასან<sup>2</sup>.

2. 1338 წ. იხსენიება „ტფილისისა ამირათ ამირა“<sup>3</sup>.

3. XIV ს-ის 90-იან წლებში — „ამირთ ამირა სუნლულის ძე ლომი“<sup>4</sup>.

4. 1438 წ. — „ქალაქისა ამირათ ამირა“<sup>5</sup>.

5. 1448 წ. — „ქალაქისა ამირათ ამირა“<sup>6</sup>.

6. 1546 წ. — „ქალაქისა ამირათ ამირა“<sup>7</sup>.

7. 1609 წ. — „ქალაქისა ამირათ ამირა გიორგი სააკაძე“<sup>8</sup>.

აქ მოტანილ საბუთებში ყველგან თბილისის გამგებელი იგულისხმება<sup>9</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 1907 წ., გვ. 23.

<sup>2</sup> Изв. Кавказ. Отд. Имп. Моск. Арх. общ. вып. III, стр. 149—150.

<sup>3</sup> „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, II, 1909, გვ. 9.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვ., თ. ყორღანის გამოც. წ. II, გვ. 19, 198 და 202.

<sup>5</sup> ისტორიული საბუთები, ს. ჯავახიშვილის გამოც. წ. III, 1913 წ., გვ. 19.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>8</sup> საქართველოს სიძველენი, II, გვ. 50.

<sup>9</sup> ამ მხრივ ექვს იწვევს თითქოს „ამირთაშირა სუნლულის ძე ლომი“. ერთი გუჯარი, საცა იგი მოხსენებულა, ამგვარად იკითხება (შორე გუჯარი პირველის ასლი): „...მე ამირთაშირამ სუნლულის ძემან ლომმან და ჩემმა ძმის-

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ ყველას მიერ გაზიარებულ მოსაზრებაზე, რომ თბილისის დედაქალაქობის დროინდელი „ამირთამირა“ ფორმალურად (სახელწოდებით) მემკვიდრეა არაბობის დროინდელი „თბილისის ამირასი“. მაგრამ თვით ამ ფორმალური მემკვიდრეუბნითაც, ჩვენი აზრით, ვერ აიხსნება „თბილისის ამირასი“ თბილისის ამირთამირას“ მიღება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „თბილისის ამირთამირობა“ როგორც ფაქტურად, ასევე ფორმალურადაც, ქართული მოვლენაა, ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი.

საქმე ისაა, რომ თბილისში არაბი ამირა იჯდა (და არა ამირთამირა). ამიტომ ქართულ სამოხელეო წესწყობილებას მემკვიდრეობით სწორედ ეს ტერმინი (ამირა) უნდა მიეღო.

ჯერ კიდევ XI საუკუნეშია ცნობილი ლიპარიტ ამირა<sup>10</sup>. მაგრამ იგი არ არის თბილისის გამგებელი. მისი ვაამირება, სხვა გარემოებითაა გაპირობებული. არის ნიშნები, რომ თავდაპირველად (ე. ი. საგულისხმოა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის დაბრუნების შემდეგ) დედაქალაქის (თბილისის) გამგებელ ქართველ მოხელესაც ამირა ეწოდებოდა. მხედველობაში გვაქვს გიორგი III-ის მიერ 1170 წ. შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელი, სადაც სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუან... თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამილოისა, საგუსტა-

---

წულმა ლაჩი (6) ამა... (შევსწირე მცხეთას) გორს ჩუენი მკუილრი ნასყიდი აქუბაშვილისაგან ზუარი.. და შეოვავლე საყდარსა თქუენსა სპონდიო და ჰქონდეს (მცხეთას) ესე ჩემ მიერ შეწირული...“ („ქრონიკები“, II, გვ. 202). თ. უორდანია ფიქრობდა, რომ „სუნღულიძენი არიან ზევდგინიძე-ამილახორნი“ (იქვე, გვ. 225). ამ აზრს, როგორც ჩანს, იზიარებს შ. მესხია, რამდენადაც მას სუნღულიძე ლომი გორის ამირთამირად მიაჩნია (იხ. მისი, *Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 78*). შესაძლებელია მართლაც, სუნღულიძენი იგივე ამილახორები იყვნენ, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, კიდევ არ ნიშნავს, რომ ლომი სუნღულიძე გორის ამირთამირაა. არ არის გამორიცხული (და, ჩვენი აზრით, სწორედ ასეცაა), რომ ერთ-ერთი ამილახორი თბილისის ამირთამირა ყოფილიყო. ამას გვაპარაულებინებს თვით „ამირთამირობა“, რაც თბილისისათვისაა დამახასიათებელი და XV ს-მდე სხვაგან საქართველოში არ გვხვდება (იხ. ქვემოთ). მეორე მხრივ, გორის სხვა „ამირა“ ცნობილი არ არის. „გორის მოურავი“ კი ხშირად იხსენიება და იგი გვხვდება უკვე იმავე XIV ს-დან (იხ. მაგ.: საქ. სიძვ., ტ. II, გვ. II-1348 წლის საბუთი; ქრონიკები, II, გვ. 220, 1413 წლ. საბუთი; გვ. 224—1419 წლ. საბუთი, გვ. 229—1426 წლ. საბუთი; გვ. 266, — 1453 წლ. საბუთი; შდ. შ. მესხია, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 79). ასე რომ, გორისთვის ტერმინი „მოურავი“ საკმაოდ მყარი და ძველი ჩანს და ეგებ აქ „ამირა“ საერთოდ არ არის სავარაუდო (XIV-ს-დან მაინც).

<sup>10</sup> ანასეული ქეა, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1942, გვ. 205.

სიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან“<sup>11</sup>. ცხადია, აქ თბილისზეა საუბარი და ყველა აქ ჩამოთვლილი გამოსაღები (სანუკვარი) შესაგამის მოხელესაც გულისხმობს. ამასვე უნდა მოწმობდეს სეტის წარწერიანი ვერცხლის სურა, რომელიც ს. მაკალათიას მიერ 1175 წწ-თაა დათარიღებული. წარწერას გამომცემელი აქვს დატანილი ლობს: „ქ. ღმერთმან უბედნიერენ ღუთისა სწორსა მეფეთა მეფესა გიორგის! მიწისა ამირაჲსა ქავთარისაგან“<sup>12</sup>. თუკი ასეთი წაკითხვა სწორია, ვფიქრობთ, „ამირა ქავთარი“ ჩვენი მოსაზრების შესამაგრებლად გამოგვადგება.

ამგვარად, უეჭველია, რომ გიორგი III-ის დროს (1170-იანი წ.) თბილისის გამგებელი ქალაქის ამირაა.

თხუთმეტოდე წლის შემდეგ კვლავ ვხვდებით თბილისის ამირას: ეს არის გიორგი რუსის საქართველოში შემოყვანის ერთ-ერთი ინიციატორი, „მკვდრთაგან ტფილისისათა, თავადი და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა-ჩელდასხმული, ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ, სახელით აბულასან“<sup>13</sup>. აბულასანის „ქართლის ამირობას“ რომ თავი გავანებოთ (რის შესახებაც ქვემოთ შევჩერდებით), ისტორიკოსის ამ ცნობიდან ცხადია, რომ იგი (აბულასან) თავდაპირველად „თბილისის ამირაა“.

ამდენად, თუ ზემომოტანილ მსჯელობას შესაწყნარებლად მივიჩნევთ, უნდა დავასკვნათ, რომ თავიდან საქართველოს დედაქალაქის გამგებელს „ამირა“ ეწოდებოდა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ისედაც სავარაუდო იყო, თუკი ამ ტერმინის წარმომავლობას „არაბობას“ დავუკავშირებთ.

მაგრამ ზემომოტანილი საბუთებიდანვე ცხადია, რომ შემდგომ ხანაში ქალაქის (თბილისის) უფროსს „ამირთამირა“ ეწოდება. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება და იდენტურნი არიან თუ არა თავისი შინაარსით „თბილისის ამირა“ და „თბილისის ამირთამირა“?

ვიდრე ამაზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ ის მომენტი, ის ქრონოლოგიური ზღვარი, რომელიც გარკვეულ

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. III, 1, ნაკვეთი 2, ქართული სიგელთაშეკრებვა ანუ დიპლომატიკა, გვ. 103 (ხაზგასმა ჩვენი). დედანში, როგორც ეს აღნიშნა ს. ჯიქია, წერია არა „საგუსტინიბოისა“, არამედ „სამუხტასიბოისა“, იხ. ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ შრომები, № 91, 1960, გვ. 182.

<sup>12</sup> ს. მაკალათია, სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929, გვ. 90.

<sup>13</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 81.

ცვლილებას აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო მოხელეობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში.

ეს მომენტიც უკვე ძნელი მისაგნები არ არის.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ „ამიტანგ ქსტანტანგ და ტფილისისაჲ სახელით აბულასან“ ლურჯი მონასტრის წარწერაში „ამირთამირად“ იწოდება. ბასილი ქართლის მთავარეპისკოპოსო ფილი წერს, რომ მან ეს ეკლესია აღაშენა „ნაცვალ-საგებულად-თავისა და საყუარელისა ძმისა... ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუისთვისა და შუღთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს“<sup>14</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ბასილს თავის წარწერაში თავის ძმის აბულასანის მოხელეობის ნუსხა სრულის სისწორით ვერ აღუნიშნავს. მართალია, რომ ის იყო „ამირთ-ამირად ქართლისა“, მაგრამ მას დაევიწყებია დაემატებინა, რომ ის მარტო ქართლის ამირად კი არ იყო, არამედ ერისთავთ-ერისთავად, „ამირთა-ამირად ქართლისა და ტფილისისა“<sup>15</sup>. ასეც რომ არ იყოს, ვფიქრობთ, სრულიად უეჭველია, რომ „ქართლის ამირთამირა“ გულისხმობს თბილისის ამირთამირობასაც.

ამგვარად, თუ ერთგან აბულასანი „თბილისის ამირად“ იწოდება, მეორეგან იგი უკვე „თბილისის ამირთამირა“ (ქართლის ამირა-ამირთამირობას ამჯერადაც განზე ვტოვებთ). ვფიქრობთ, აბულასანის ხანმოკლე მოღვაწეობა სწორედ ჩვენთვის საძიებელი მომენტია და თვით იგია პირველი „თბილისის ამირთამირა“. აბულასანის „ამირობა“ და „ამირთამირობა“ უნდა იყოს მისი კარიერის ორი სხვადასხვა საფეხური<sup>16</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ზემომოტანილ მსჯელობას ერთი საექვო გარემოება ახლავს. სულ უკანასკნელ ხანში გამოვლენილ ერთ დოკუმენტში, კერძოდ, XII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის, დავით ქობაირელის „ჰიშატაკარანში“, რომელიც დაწერილია 1179 წელს, დემნა უფლისწულის განდგომილების (1178 წ.) მოთხრობისას, ნახსენებია გიორგი მეფის ერთგული „ამირაპეტი ტფილისისა სახელად ქურდი“<sup>17</sup>. ამირაპეტი ანუ ამირთა თავი თუ ამირთუხუ-

<sup>14</sup> Известия Кавказского Отдела Императорского Московского Археологического Общества, вып. III, стр. 149—150.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვთი I, 1928 წ., გვ. 214.

<sup>16</sup> როგორც ეს ვაკვრით, მაგრამ სწორად აღნიშნა ვახტანგ ბერიძემ, იბ. ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, № 2, 1948, გვ. 99.

<sup>17</sup> გ. მაისურაძე, დავით ქობაირელის „ჰიშატაკარანი“, როგორც ორ-

ცესი სემანტიკურად თითქოს იგივეა, რაც ამირთამირა და ამდენად უნდა დავასკვნათ, ეს „ქელი“ გიორგი III-ის შემოღებულია. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი უშვებს ლაფსუსს, როდესაც აბულასანს „ამირას“ ქურთებს, ანდა შესაძლებელია გამოთქმა „ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ“ თავისთავად უკვე გულისხმობდა „ამირთამარობას“<sup>18</sup>. მაგრამ განა აუცილებელია სომხური „ამირაპეტი“ ქართული „ამირთამირას“ რეალური შინაარსის შესატყვისი იყოს? ეგების საამისოდ ნიშანდობლივია, რომ იგივე ქურდი 1181 წელს ამირად იხსენიება (*ჟამჩროქსან ზოქინ*)<sup>19</sup>. ამგვარად, შესაძლებელია, რომ ამირთამირობის დაწესება, მართლაც, აბულასანის მოღვაწეობის პერიოდზე მოდიოდეს.

საკმარისია მოვიგონოთ გიორგი რუსის საქართველოში შემოყვანის ამბავი, რომ საკმაო საფუძვლით ვივარაუდოთ აბულასანის გაამირთამირება გიორგი რუსის თამარის მეუღლედ ყოფნის დროს ანუ 1185-1188 წწ.<sup>20</sup> (ან, უკეთ, დაახლოებით 1185-6 წლებში, რადგან უფრო გვიან, საფიქრებელია, იმავე გიორგი რუსის საქართველოში ყოფნის დროს, მას მეჭურჭლეთუხუცესობა მიუღია,<sup>21</sup> რის შემდეგაც იგი, ცხადია, ამირთამირად აღარ იწოდებოდა).

რაც შეეხება ახალი ინსტიტუტის — ამირთამირობის შექმნას, არც ესაა მოულოდნელი. „XII-XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს თითქმის ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს იმ სწრაფი ზრდით, რომელსაც ამ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა“<sup>22</sup>. როგორც ცნობილია, „დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველო სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უეჭველია, სახელმწიფო წყობილების ძლიერი გარდატეხისას სათანადო ცვლილება უნდა განეცადა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობასაც“<sup>23</sup>. ამ რიგის ფაქტების გამოვლინებას სულ ბოლო

ბელთა აქანყების ისტორიის წყარო, ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები, 1964, გვ. 14-16.

<sup>18</sup> ციტირებულია ი. ცინცაძის ნაშრომიდან „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.)“. 1956, გვ. 167, შენ. 1.

<sup>19</sup> **ბ. ყაითანხანგ, ჭიქაძის ლაქიყი** 1913, 33—34, შდ. იქვე, გვ. 31, ანისის 1173 წლის წარწერას: „ჟამჩროქსანოიქსან... ამჩრ შანაიოქ“

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 590.

<sup>21</sup> შდრ. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), 1956, გვ. 147-148.

<sup>22</sup> ნ. ბერძენიშვილი, საეპირო ფეოდალურ საქართველოში, „ენიმკის მოამბე“, X, გვ. 281.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 288.

დროს სპეციალური წერილიც მიეძღვნა<sup>24</sup>. ამ რიგის მოვლენებშია, როგორც ეს ცნობილია, მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის დაწესება, ათაბაგობის შექმნა, მსახურთუხუცესის გავაზირება და სხვ. ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით ხდებოდა მწიგნობართუხუცესობა, თუ დიდებულთა დაწოლით (აბაზგობა) დასაქმების ფაქტიურ მხარეს არ ცვლის და ყოველთვის გამოხატავს სინამდვილის მოთხოვნილებას.

ასევე უნდა წარმოვიდგინოთ ამირთამირობის ინსტიტუტის შექმნა: იგი უნდა გამოეწვია საქალაქო ცხოვრების განვითარება-გართულებას. „თბილისის ამირასთან“ შედარებით „თბილისის ამირთამირობა“ ამას უნდა მოწმობდეს. ამგვარად, „თბილისის ამირა“ და „თბილისის ამირთამირა“ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, როგორც დროში, ისე ფაქტიურადაც. ამდენად, არ უნდა იყოს სწორი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უკანასკნელ დრომდე მიღებული გაიგივება ტერმინებისა „ამირა“ და „ამირთამირა“<sup>25</sup>. ამირთამირა საქართველოს სამეფოში ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი იყო. ეს იყო სამეფოს დედაქალაქის განმგებელი. ამ მოსაზრებას ვერ დაარღვევს ქართველი ისტორიკოსის ცნობა, რომ, როდესაც 1206 წ. ქართველთა ლაშქარმა ქალაქი კარი დაიპყრო, თამარ მეფემ „დაუტევა კარის მცუელად ახალციხელი ივანე და.. უბოძა.. ამირთა-ამირაობა“<sup>26</sup>. საქმე ისაა, რომ ივანე ახალციხელისათვის კარის ამირთამირობის ბოძება, შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო თვით ივანეს პირადი ღირსების პატივსაცემად: მშათა ახალციხელთა დამსახურება თამარის კარზე საკმაოადაც ცნობილი. ჩვენი მოსაზრება რომ სწორი უნდა იყოს, ამას მოწმობს წარწერა ყარსის ციხესიმაგრის კიშკარზე, რომელიც გადმოუღია დ. ბაქრაძეს და რომელიც თარიღდება 1237 წლით: წარწერიდან ირკვევა, რომ რუსუდანის მეფობაში „კარის ამირამან რაჟრაზამ“ რალაც მშენებლობა ჩაატარა<sup>27</sup>. ამგვარად, 30-ოდე წლის შემდეგ კარში ამირა ზის და არა ამირთამირა<sup>28</sup>.

<sup>24</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, გვ. 67-73.

<sup>25</sup> იხ. მაგ.: ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, წ. I, 1907, 23-24; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, 1928, 214; შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 78-79. მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საერთისათვის ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954, 143-145. ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X-XI სს., თსუ შრომები, № 108, 1964, გვ. 22.

<sup>26</sup> ისტორიანი და აზმანი, ..., გვ. 124.

<sup>27</sup> Материалы по археологии Кавказа, вып. XII, გვ. XI.

<sup>28</sup> თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში კარის ამირთამირო-

თვით ტერმინის — ამირთამირა — ეტიმოლოგია სავსებით ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი ნიშნავს „ამირების უფროსს“ ან უკეთ, „უხუცესს“<sup>29</sup>. ამგვარი ორნაწილადი სამოხელეო ტერმინები ძველი საქართველოს სინამდვილეში ბევრია: ამირეჯიბი, ამირეჯიბთა უხუცესი, ამირსპასალარი — სპასალართა უხუცესი და სხვ. მერვე მხრივ, „ამირთამირა“ მსგავსია ისეთი ტერმინებისა, როგორცაა: ერისთავთ-ერისთავი ან მეფეთ-მეფე. პირველი წარმოშობილია სოციალურ ნიადაგზე და გულისხმობს, სხვათა შორის, იმას, რომ ამ წოდების მატარებელი პირი არის უფროსი, მეთაური მის საგამგეოში მყოფი ცალკეული თემის ერისთავებისა<sup>30</sup>. ივ. ჭავჭავაძის სიტყვით, თვით „საქართველოს მეფის სახელწოდება „მეფეთ-მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა“<sup>31</sup>.

ამიტომ სრული უფლება გვაქვს ტერმინი „ამირთამირა“ შემთხვევით და უაზროდ წარმოქმნილად არ მივიჩნიოთ. „ამირთამირა“ უნდა ყოფილიყო არა შემთხვევითი, არამედ რეალური შინაარსის გამომხატველი წოდება.

ამართლებენ თუ არა ამას საბუთები?

„ველმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.) მოხსენიებული არიან „ქალაქის ამირანი“<sup>32</sup>. ე. ი. უეჭველია, რომ ერთსა და იმავე დროს არსებობდა ქალაქის ორი ისეთი მოხელის თანამდებობა, როგორცაა ამირთამირობა და ამირობა. მაგრამ „ველმწიფის კარის გარიგების“ ცნობაში გასარკვევია, ვინ არიან ეს „ქალაქის ამირანი“.

ვიცნობთ თუ არა ჩვენ, თბილისის გარდა სხვა ქართული ქალაქების ამირებს (ვგულისხმობთ, ცხადია, ქართველ მოხელეებს და ამასთან არა გვიან საუკუნეებს)?

---

მა რეალურ შინაარსს გამოხატავდეს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ აშკარად განასხვავებს ამ ორ ტერმინს — „ამირა“ და „ამირთამირა“, — როდესაც განძის მფლობელ ფადლონს ერთგან ამირას უწოდებს, ხოლო მეორეგან — ამირთამირას (ანას ქცა, 176, 194). საქმე ისაა, რომ პირველ შემთხვევაში ეს არის ალ-ფატლ I (985-1031 წწ.), ხოლო მეორეგან — მისა შვილიშვილი, ალ-ფატლ II (1067-1073 წ.), რომელიც ფლობდა თბილისსაჲ და რუსთავსაჲ (იხ. ქვემოთ) და ამდენად, მართლაც, ამირთამირა უნდა ყოფილიყო.<sup>29</sup> როგორც ამას ამირსპასალარის შესახებ შენიშნავს მ. ლორთქიფანიძე (მისი დასახ. წერილი, გვ. 69).

<sup>30</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 206.

<sup>31</sup> მისივე, საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია, 1905, გვ. 17.

<sup>32</sup> ველმწიფის კარის გარიგება. ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 8.

საამისო პირდაპირი ცნობა, არის ქუთაისის შესახებ მხედველობაში გვაქვს ე. წ. „საბანელას დავთარი“, გამოცემული თ. ურდანიას მიერ<sup>33</sup>. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სიგელს, გაცემულს დავით ნარინის მიერ ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიის მფლობელის მეფობის ორმოცდამეორე ინდიკტიონს. გამოცემული მასკეთაჟედებს 1278 წლით. ვფიქრობთ, სიგელი უნდა დათარიღდეს ან დაახლოებით 1270 წლით (თუ მეფობის წლებს დავით ნარინის თანამოსაყდრეობიდან ვივარაუდებთ)<sup>34</sup>, ან 1289 წლით (თუ მეფობის წლებს დავით ნარინის მონღოლთა ურდოში მეფედ დამტკიცებიდან ვივარაუდებთ)<sup>35</sup>. მეფე სწირავს ზემოხსენებულ ეკლესიას სოფელ საბანელას „ქელშეუვალად“ „სათათროსა და სასვანოსაგან კიდე არა წაეღებოდეს და არც ქუთაისის მეგერგილთა და ამირათაგან ეწყინებოდეს და არც ვის სხვსგან“<sup>36</sup>... ამგვარად, XIII ს-ის მეორე ნახევარში დამოწმებულია ქუთაისის ამირა.

1297-1298 წლებში, დავით მეფის მიერ გაცემულ სიგელში „უინვანისა ამირა“<sup>37</sup> იხსენიება.

სხვა საამისო პირდაპირი ცნობა ჩვენ არ გვევლება. მაგრამ ვარაუდის გაწევა საკმაო საფუძვლიანობით შესაძლებელი გვგონია. საქმე ისაა, რომ XI ს-ში, თბილისს გარდა, ვიცნობთ აგრეთვე დმანისისა და რუსთავის არაბ ამირებს. დმანისის ამირა XI ს-ის 70-იან წლებში ეხმარება არაბ სარანგს გიორგი II-სთან ბრძოლაში<sup>38</sup>. ხოლო XI ს-ის 60-იან წლებში იხსენიება რუსთავის ამირა: 1068 წლის შემოსევისას სულთანმა ალფ-არსლანმა „ჩამავალმან წაუღო რუსთავი და ტფილისი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა. არა თუ მეფეთა ჩუენთა მტერობისათუის ამოსწყვიდა (უნდა ალბათ: მოსწყუიდა, — დ. მ.) ტფილისი და რუსთავი ამა სამეფოსა, და არცა ამისთუის, უკეთუმცა იგი ამირანი ორგულად დადგომილ იყუნეს კარსა მისსა ზედა“<sup>39</sup> და სხვ. ცხადია, ამ

<sup>33</sup> ქრონიკები და სხვ. გვ. 159-160.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 103.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>36</sup> ქრონიკები და სხვ. გვ. 160 (ხაზგასმა ჩვენია).

<sup>37</sup> ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო; „საისტორიო მოამბე“, I, 1924, გვ. 141/142; საინტერესოა, რომ უინვანის ამირას გვერდით „უინვანის მოურავიც“ იხსენიება. 1260 წ-ის ახლოს იხსენიება ვინმე „ზექაი ამირაი“ (ქრონიკები, II, 148), რომელიც, უეჭველია, რომელიღაც ქალაქის თავია, თუმცა, სამწუხაროდ, არ ჩანს რომლის.

<sup>38</sup> ანასეული ქცა, გვ. 199.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 109. ამასვე ადასტურებს ერთი გვიანდელი ხელნაწერის ანაქრონისტული ჩვენება, რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ასახელებს „მოჰმადიან... რუსთველ ამირას“ (იხ. ნ. შოშიაშვი-



ამირებში თბილისისა და რუსთავის ამირები იგულისხმება. ასე რომ თბილისის გარდა, ჩვენთან ორ სხვა ქალაქში მაინც დგინდება ის ტრადიცია, რამაც შემდეგ (თბილისში) ქართველი ამირა მთვეცა<sup>40</sup>. სავარაუდოა, დმანისისა და რუსთავშიც ქართველი მოხელეები<sup>41</sup> ამნქაშა რას არსებობდა და ეს მით უფრო, რომ ისეთ ქალაქშია<sup>42</sup> კი<sup>43</sup> არაბობას თითქმის არავითარი გავლენა არა ჰქონია (ქუთაისში). XIII ს-ში გვყავს ქართველი ამირა.

არა გვეგონია სწორი იყოს მოსაზრება, თითქოს ქუთაისში ეს მოხელეობა უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, ვიდრე თბილისში; რომ. „რადგან თბილისის შემოერთებამდე ქუთაისი იყო საქართველოს დედაქალაქი, შესაძლებელია ამირას ხელისუფლება იქ სწორედ მისი დედაქალაქობის ხანაში შექმნილიყო“<sup>41</sup>. პირუკუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისის ამირა, ასე ვთქვათ, მეორადი მოვლენაა თბილისის ამირასთან შედარებით.

ცხადია, ქალაქის ამირობის ქართული ინსტიტუტის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არაბულ ტრადიციას კი არა აქვს, არამედ ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის მზარდი საქალაქო ცხოვრების განვითარება-გართულების მოთხოვნილებას, რამაც, ვფიქრობთ, საჭირო გახადა შესაფერისი სახელწოდება ყოფილიყო გამონახული უკვე არსებული ფაქტიური მდგომარეობისათვის; ასეთი შესაფერისი სახელწოდება იყო — ამირა, ცხადია, ამგვარი რამ თავდაპირველად უნდა მომხდარიყო იქ, საცა საამისო ტრადიცია იყო; ტრადიცია კი, როგორც ვნახეთ, იყო თბილისში, დმანისში, რუსთავში. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ თბილისის მსგავსად, ცნობების უქონლობისდა მიუხედავად, დმანისისა და რუსთავშიც (და ხუნანშიც?) უნდა ყოფილიყო, საქართველოს სამეფოს არსებობის პირობებში, ქართველი ამირა (ჩვენი ეს ვარაუდი ამ ცოტახნის წინ სავსებით გამართლდა, იხ. ქვემოთ).

ლი, XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგერთი საკითხი, „ცისკარი“, № 9, 1965, 138). აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს ცნობა დასტურდება არაბულენოვანი წყაროთი და თარიღდება 1068 წლით, იხ. V. Minorsky, *Studies in Caucasian History*, 1953, 23.

<sup>40</sup> ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ამ დროს არაბი ამირა უნდა ჰყოლოდა ხუნანსაც, (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, 337). თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებში ამირობის გაჩენის დროისა და მიზეზების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. გაბაშვილს, იხ. მისი დასახ. წერილი, გვ. 347.

<sup>41</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, გვ. 144.

სხვა მხრივ, საქართველოს სამეფოში დამოწმებულია როგორც ვიციტო, კარის და ანისის ამირა<sup>42</sup>.

ამის შემდეგ დავუბრუნდეთ „ველმწიფის კარის გარიგების“ „ქალაქის ამირებს“. ერთი რამ ცხადია, აქ ან სხვადასხვა ქალაქების ამირები იგულისხმება, ანდა ერთი ქალაქის (ასეთი შემთხვევაშიც კი ცხადია, თბილისის) რამდენიმე ამირა; მაგრამ, ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, ორივე ერთად ივარაუდებოდეს და თბილისში, ამირთ-ამირას გარდა, ამირას არსებობაც ვიგულისხმობთ. ამგვარად, თითქოს დასტურდება, რომ „ამირთამირას“, მართლაც, რეალური შინაარსი ჰქონია, მაგრამ საქმეც ისაა, სწორედ „ველმწიფის კარის გარიგები-დან“ ისე გამოდის, რომ ამ „ქალაქის ამირებს“ არავითარი კავშირი (სახელწოდების გარდა) ქალაქის ამირთამირასთან არა აქვთ და შე-დიან სრულიად სხვა უწყებაში, სახელდობრ, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებიან<sup>43</sup>.

რამდენადაც ვიციტო, საქართველოს სახელმწიფო მოხელეთა წესწყობილებაში მეორე ანალოგიური შემთხვევა, რომ ერთი და იგივე მსგავსი სახელწოდების თანამდებობა და მათი შესაბამისი მოხელეები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელნი და სხვა-დასხვა უწყებაში შემავალნი ყოფილიყვნენ, იმ დროს (XII—XIV სს.), არ ჩანს<sup>44</sup>. უკვე ეს გარემოება, ჩვენი აზრით, ბადებს ეჭვს, რომ ქალაქის ამირთამირა და ქალაქის ამირები ერთი უწყე-ბის (და უკანასკნელნი პირველს დაქვემდებარებული) მოხელენი უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ ყველაფერი ზევით თქმული, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, რომ ეს ვარაუდი ჭეშმარიტებად ვცნობთ. თუ ჩვენ სახელ-წოდების გარდა, შინაარსობლივ მსგავსებასაც ვნახავთ ამ ორ თა-ნამდებობას შორის, მაშინ მეტი საფუძველი გვექნება საამისოდ. ქალაქის ამირთამირას ფუნქციები შედარებით ცნობილია: იმის გარ-

<sup>42</sup> მაგ. „ეტიფანე კათალიკოსის 1218 წლის წარწერას ამოწმებს ანისის ამი-რაეც (ამჩრავ კაიარჱ). იხ. ივ. ჯავახიშვილის. ქართველი ერის ისტორია, წ. V, 1953, გვ. 139; ისტ. და აზმანი... კ. კეკელიძის გამოც., გვ. 60. ანისში გიორგი III დროს და უფრო ადრეც, დემეტრე I-ის დროს, ქალაქის გამგებელი ქართველი მოხელეებიც რომ ამირად იწოდებოდნენ, ისევე, როგორც ანისის მაჰმადიანი მფლობელებიც, ეს გამომდინარეობს ვარდან დიდის ჩვენებებიდანაც (იხ. შახინ ქარიჯანაყ რაიბეჩეხეციე შაჰმადიჩინ მახეხეჩასკან, შაისკა. 1861, 160, 165, 166, 169, 170. შდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 231, შენ. 1). ასევე იყო, როგორც ჩანს, უფრო ადრეც, დავით აღ-მაშენებლის დროიდანვე (ვარდანი, იქვე, 156). 1173 წელს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამოწმებული „ამირა მაჰმუდის... ამირაბეგობა“.

<sup>43</sup> ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 8167—173; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქარ-თული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 178, 215.

<sup>44</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. II, ნაკვ. I.

და, რომ ქალაქის სანახებზე თბილისის ამირთამირას ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდა<sup>45</sup>, მის ძირითად უფლება-მოვალეობას შეადგენდა ქალაქის ალებ-მიცემის, ეკონომიკის ზედამხედველობა და კონტროლი („ნირი ლართა სყიდვისა“) <sup>46</sup>. მასვე ებაძებოდა ქალაქთა კეთილდღეობისა და ქალაქში წესიერების დაცვა<sup>47</sup>. მისსავე ფუნქციას შეადგენდა, ალბათ, მოქალაქეთა გასამართლება რასაც, ნ. ბერძენიშვილის შენიშვნებით, გვიანდელი ქალაქის მოურავის მსგავსი ფუნქცია გვაგარაუდებინებს. ერთი სიტყვით, ამირთამირას „ქელი“ საქალაქო ცხოვრების მთელ სფეროს ეხებოდა.

„ქალაქის ამირების“ შესახებ არაფერი არ არის ცნობილი. მაგრამ ზემოთქმულიდან უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ, რამდენადაც „ქალაქის ამირთამირას“ „ქელი“ საქალაქო ცხოვრებას მთლიანად სწვდება, ამდენადვე ქალაქის მოხელე ამირების ფუნქციებიც ამ მთელის ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ. მართლაც, იმ ზოგიერთი ნიშნით, რომელთა გამოვლენაც შესაძლებელი ხდება, ეს დასტურდება. ჯერ ერთი, როგორც კარის ამირას ზემომოტანილი წარწერა გვაგარაუდებინებს, ამირას ევალებოდა ქალაქის კეთილდღეობაზე თუ დაცვაზე ზრუნვა. ყველა ნიშნით, კარის ამირას ქალაქის ციხესიმაგრე შეუკეთებია. შემდეგ, როგორც ეჩენანის ამირას მაგალითიდან ჩანს, რომელსაც „ეჩენნის პირის“, „ეჩენნის შესავალ“ სოფლებზე ხელი მიუწვდებდა, ქალაქის ამირების უფლებები „ქალაქის პირის“ სოფლებზე ვრცელდებოდა. ქალაქის ამირების სხვა ფუნქციების გამოსავლენად მიემართოთ „ქელმწიფის კარის გარიგებას“. იქ ნათქვამია: „საქურტლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მექურტლენი ქალაქისანი“ — ყველანი მექურტლეთუხუცესის „კელისა“ არიან<sup>48</sup>. ამათგან მუშრიბის საქმე იყო: „რაც ქალაქთა საქურტლე(ნი) შევა და ნავაჭრი რაც შევა“<sup>49</sup>. ე. ი. მუშრიბს ჰბარებია „ქალაქთა ბაჟი და სავაჭრო გადასახადი“<sup>50</sup>. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ უნდა ყოფილიყო „საქურტლე ქალაქისა“, რომლის მოხელეებადაც იქნებოდნენ „მექურტლენი ქალაქისანი“ და რომელშიაც თავდაპირველად, ვიდრე სახელმწიფო საქურტლეში გაიგზავნებოდა, „იკრიბებოდა ხოლმე ქალაქთაგან შემოსული ბა-

45 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან, „მიმოხილული“, 11, გვ. 49.

46 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. II, ნაკვ. 11, გვ. 324.

47 მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 23-24.

48 ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. შ115-115.

49 იქვე, გვ. 915.

50 ივ. ჯავახიშვილი. ქართ. სამართლ. ისტ., წ. II, ნაკვ. I, გვ. 177-იხ. აგრეთვე, მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალ. საქართველოში, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, გვ. 154-155.

ეი და სავაჭრო ვადასახადი“<sup>51</sup>. მუშრები, რომელიც ამ შემოსავალს „უხუცესთა მიათვლის“, ე. ი. „საჭურჭლის უხუცესთა ანგარიში-თურთ ჩააბარებდა“<sup>52</sup>, საფიქრებელია, რაიმე, პირდაპირ თუ არა-პირდაპირ, კავშირში უნდა ყოფილიყო ქალაქის მეჭურჭლეებთან. მაინცდამაინც ცხადია, რომ მუშრები და „მეჭურჭლენი ქალაქისანი“ ქალაქის ეკონომიკასთან ყოფილან დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, იმ რიგის მიხედვით, როგორადაც ჩამოთვლილი არიან ეს მოხელეები „ქელმწიფის კარის გარიგებაში“. ცხადია, „ქალაქის ამირანიც“ ქალაქის მეურნეობასთან იყვნენ, ასე თუ ისე, დაკავშირებული: მართლაც, მათ წინ დასახელებულია მუშრები — ქალაქის აღებ-მიცემის უშუალო კონტროლიორი; მათ შემდეგ — „მეჭურჭლენი ქალაქისანი“ — აგრეთვე, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ქალაქის ნავაჭრთან, ვაჭრობასთან დაკავშირებული მოხელენი. ცხადია, მათ შორის მოთავსებული „ქალაქის ამირანი“ მათივე ტიპის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ.

ამგვარად, ქალაქის ამირთამირასა და ამირებს შორის ფუნქციების მხრივაც არსებობს ზოგადი მსგავსება (თუმცა, ცხადია, განსხვავებაც დიდი იქნებოდა. ასე, მაგალითად: თბილისის ამირთამირა მონაწილეობს სამეფო თათბირში; მეორე მხრივ, სამოსამართლო ფუნქციები „ქალაქის ამირებს“, საეკვეთა, ჰქონოდათ. გვიან საუკუნეებშიც თბილისის მოურავს გარდა, ქართლის (შემდეგ ქართლ-კახეთის) სამეფოს არცერთი სხვა ქალაქის მოურავს არ ჰქონია სამოსამართლო ფუნქცია. გორის მოურავს — ამილახვარს — ჰქონდა, მაგრამ არა, როგორც მოურავს, არამედ, როგორც სარდალს<sup>53</sup>. ამგვარი უფლებით არ იყო აღჭურვილი არც თელავის მოურავი<sup>54</sup>. ამით თითქოს მეტი საფუძველი ეძლევა ჩვენს ვარაუდს, რომ ეს ორი მოხელე ერთ უწყებაში შემავალი უნდა იყოს.

რომ ეს თითქოს, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო, ამას, ჩვენი აზრით, ადასტურებს ე. წ. „ქურულიანთ სასისხლო სიგელი“ (XV ს.). სიგელს აძლევს გიორგი VIII წინამძღვარ გიორგი ქურულს. ბრძანებულება ასე იკითხება: „...ქართლისა ერისთავნო და

<sup>51</sup> ივ. ჯავახიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 177.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>53</sup> შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, 1948, ნაკვ. I (26), გვ. 86, § 3; „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, გვ. 57-58.

<sup>54</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 48. თუმცა ასეთი კატეგორიული შტო-ცებისათვის ამჟამად აღარ გვაქვს საფუძველი, რამდენადაც, როგორც ირკვევა, ქალაქ ცხინვალის მოურავს გააჩნდა სამოსამართლო ფუნქცია (6. ქანთარია, ცხინვალის მოურავის სარგო, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, XXIII-ბ, 1962, გვ. 37-39).

ერისთავთა ერისთავნო და ყოველნო თავადნო ქართლისანო და ქალაქისა ამირანო და ამირთა ამირანო, დიონნო (?) და მეტამლენო და ყოველნო ჯელისუფალნო ქალაქისანო... ნუ ვინ უშლით, ჭეჭენ და წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგელსა... აქ, ჩვენი აზრით, არავითარი ექვის მიტანა არ შეიძლება იმაზე, რომ საბუთის შემდგენელს ქალაქის ამირა და ამირთამირა „ქალაქის ჯელისუფლებად“ და ორივენი ერთი უწყების მოხელეებად ჰყავს წარმოდგენილი.

გამოდის, რომ XIV ს-ის პირველი ნახევრიდან („ჯელმწიფის კარის გარიგება“), ვიდრე XV ს-ის მეორე ნახევრამდე („ეურულიანთ“ სიგელი დათარიღებულია 1460 წ.; თუ იგი ნატყუარია, მაშინ გაცილებით უფრო გვიანდელი იქნება), რაღაც მიზეზით „ქალაქის ამირანი“ მეჭურჭლეთუხუცესის უწყებიდან გადასულან ამირთამირების უწყებაში. ასეთი რამ, ჩვენი აზრით, უცნაურია, და, ამდენადვე, დაუჯერებელიც. უფრო სწორი უნდა იყოს, თუ ვივარაუდებთ რომ „ქალაქის ამირებს“ არავითარი ასეთი მოულოდნელი პერიპეტეიები არ განუცდიათ და ისინი თავიდანვე ამირთამირას უწყებაში შედიოდნენ. ამას გვაპირებინებს, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჯერ ერთი, თვით სახელწოდება (ამირთამირა და ამირები); შემდეგ, მათი „ქელის“ მოქმედების არე (ქალაქის მეურნეობა), და ბოლოს, „ეურულიანთ სასისხლო სიგლის“ აშკარა მითითება.

როგორ შევათანხმოთ ეს ვარაუდი „ჯელმწიფის კარის გარიგების“ ცნობასთან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ „ქალაქის ამირანი“ მეჭურჭლეთუხუცესის „ქელისა“ არიან?

„ჯელმწიფის კარის გარიგებით“, მეჭურჭლეთუხუცესის საქლოში“, სხვათა შორის, შედიოდა და მას ეკითხებოდა შემდეგი: „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი. სავაჭრო რაც მეფისა (ა)“<sup>56</sup>. მისი ხელქვეითნი არიან: „საჭურჭლის ნაცვალი, მუჭიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი“<sup>57</sup> და სხვ. თუ გავითვალისწინებთ მუშრიბის ფუნქციებს, რომელსაც ქალაქის ბაჟი და სავაჭრო გადასახადი და, ამდენად ალებ-მიცემის კონტროლიც ებარა, დავრწმუნდებით, რომ ქალაქის ეკონომიკის მეთვალყურეობა და ზედამხედველობაც, საბოლოო ჯამში, მეჭურჭლეთუხუცესის „ქელს“ ეკუთვნოდა. მაგრამ, საფიქრებელია, რომ მხოლოდ ქალაქის ეკონომიკის ზედამხედველობით არ განისაზღვრებოდა მისი ერთიერთობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქალაქთან. იმავე ძეგლი-

<sup>55</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, I, 1920, გვ. 6.

<sup>56</sup> ჯელმწიფის კარის გარიგება, გვ. 8169.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 8172-4.

დან თითქოს ისე გამოდის, რომ მეჭურჭლეთუხუცესის „ველს“ ეკუთვნოდა, ალებ-მიცემასთან ერთად, საერთოდ ქალაქის გამგებლობა. იქ აკი ნათქვამია, რომ მის უწყებაში შედგენულნი იყვნენ „მეღვინე ქალაქნი“, ხოლო „ვაჭარნი“ და ე. ი. ~~სხვა~~ გამოყოფილი. შეიძლება ერთი ჩვენთვის ბუნდოვანი წინადადებაც ამავე ძეგლისა დაგვეხმაროს ამაზე: „ქრთამი და სასაურვო უქალაქოთ სხვაც მისია“<sup>58</sup> ე. ი. მეჭურჭლეთუხუცესისა არისო. აქ თუ რაიმე შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, გამოთქმა: „სასაურვო უქალაქოთ სხვაც მისია“ უნდა გვესმოდეს ასე: სხვა სასაურვოც ანუ სხვა საზრუნავიც, რომელიც ქალაქს არ ეხება, მის (ქალაქის) გარეშეა, მეჭურჭლეთუხუცესის საქმეა. ასეთი გაგება თითქოს საწინააღმდეგოა ჩვენი შეხედულებისა, მაგრამ სწორედ სიტყვა „სხვაც“ — (ც — ნაწილაკი) — უნდა გულისხმობდეს, რომ ქალაქის „სასაურვო“, ქალაქზე ზრუნვაც მისია და „ს ხ ვ ა ც“, სხვა საზრუნავიც, რომელიც ქალაქს არ ეკუთვნის. ასე რომ, ჩვენი აზრით, გამოდის თითქოს მეჭურჭლეთუხუცესის საქმეა, როგორც ალებ-მიცემის, ვაჭრობის ზედამხედველობა, აგრეთვე საერთოდ ქალაქის ზრუნვა-განმგებლობა.

ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ თბილისის მთავარ გამგებლად ამირთამირა ითვლებოდა და მის კომპეტენციაში შედიოდა ქალაქის ვაჭრობის მეთვალყურეობაც და საერთოდ ქალაქის მეურვეობა.

გამოდის, რომ ყველაფერი ის, რაც ამირთამირას ფუნქციებს შეადგენს, ამავე დროს მეჭურჭლეთუხუცესის „ველს“ ეკუთვნის. ამირთამირას აღარ რჩება „საკუთარი“ უფლება-მოვალეობა. ამგვარად, თითქოს წინააღმდეგობა იქმნება: ერთი და იგივე მოვალეობა ჰქვარებია ორს, სრულიად სხვადასხვა უწყების მოხელეს, რაც, რასაკვირველია, გაუმართლებელი იქნებოდა. მაგრამ ეს „წინააღმდეგობა“ სავსებით დასაძლევია გაიდება, თუ დავუშვებთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესი და ამირთამირა სხვადასხვა უწყების ხელისუფალნი კი არ არიან, არამედ, პირუკუ, ერთისა, ან, უკეთ, ამირთამირა მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში შედის და, ამდენად, მის „ქვეშე დაწესებულ“ ხელისუფალს წარმოადგენს.

ახლა უკვე გასაგები უნდა იყოს ის „შეუსაბამობა“, რაც „ველმწიფის კარის გარიგებასა“ და „ქურულიანთ სასისხლო სიგელს“ შორის არსებობს. „ქალაქის ამირანი“ არიან ამირთამირას „ქვეშე დაწესებული“ მოხელენი, ხოლო რამდენადაც ეს უკანასკნელი შედის მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში, ამდენადვე ამირებიც მასვე ექვემდებარებიან.

<sup>58</sup> ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 9176.

გაუგებარი ჩანს მხოლოდ ის, რომ, თუკი მთელი ეს გარაუდრი წორია, რატომ არ არის ამირთამირა მოხსენებული „ველმწიფი“ კარის გარიგებაში“. ტექსტის ნაკლულოვანებას ამას ვერ დაევაბა-ლებთ, რადგან ის ადგილი, სადაც მეჭურჭლეთუხუცესის „ველმწიფი“ ლაპარაკი, მთლიანად უნდა იყოს შემონახული. მეორე მხრივ, მწერალს გულმავიწყობას ვერ დაეწამებთ: სადაც ისეთი, შედარებით დაბალი მოხელეები ჰყავს აღნიშნული, როგორც „მეჭურჭლენი ქალაქისანი“ ან „ქალაქის ამირანი“, რა საფიქრებელია, მას გამორჩე-ნოდა ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ხელისუფალი, როგორსაც ამირთამირა წარმოადგენდა.

ამის გარკვევაზე შეიძლება დაგვეხმაროს ზემოხსენებული აბუ-ლასანის ვინაობა.

თამარის მეფობის პირველ წლებში აბულასანს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ვხედავთ „ამირად ქართლისა და ტფილისისა“. მალე ამის შემდეგ იგი გვევლინება უკვე „ამირთამირად ქართლისა (და ტფილისისა)“. აბულასანის მოღვაწეობიდან ჩანს, რომ თბილისის გამგებელი საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო: ამას გვაგულისხმებინებს, ჯერ ერთი, თავისთავად ეს თანამდებობა, როგორც საქართველოს სამეფოს დედაქალაქის გამგებლობა, „ბატონობა“; შემდეგ, აბულასანის ცნობილი მოღვაწეობა: სამეფო თუ საერო დიდებულთა თათბირში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს და მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭე-ბა<sup>59</sup>; ბოლოს, ამასვე გვაფიქრებინებს თვით აბულასანის ვინაობა: როგორც ირკვევა, იგი უნდა ყოფილიყო ძირძველ აზნაურთა, დიდებულთა ერთ-ერთი წარმომადგენელი<sup>60</sup>. უკვე ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ რადგან აბულასანი, როგორც ამირთამირა მეჭურჭლეთუხუცესის (კახაბერ ვარდანის ძის?) ხელქვეითი იყო, უთუოდ მას ამ უწყებაში უზენაესი ხელისუფლის (მეჭურჭლეთუხუცესის) შემდეგ უმაღლესი და უპირატესი ადგილი უნდა სჭეროდა. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ თავისი მოღვაწეობის დასასრულისათვის აბულასანი აყვანილ იქნა მეჭურჭლეთ-

<sup>59</sup> ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, 1951, ნაკვ. 29, გვ. 313. ს. ერემიანის მოსაზრება, რომ აბულასანი არის იგივე ამირქერდ არწრუნ (С. Еремян, Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках, Научные труды Ереванского гос. университета, XVIII, 1946, 395) საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული ი. ცინცაძის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 141—156.

<sup>60</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 173; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 316.

უხუცესის პატივში, რის შემდეგაც, გასაგებია, იგი ამირთამირად აღარ იხსენიება (მხედველობაში გვაქვს ერთი ხატის ცნობილი წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქ. ყოვლად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღვთისაო ანდრია, შეიწირე (მცირე)დი ესე მსახურებო ჩემგან ერისთავთერისთავისა და მეჭურ(ჭლეთ)უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა“) <sup>61</sup>.

ისეთ თანამდებობად მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში, რომელიც შესაფერი იქნებოდა ძირძველ დიდებულ აბულასანისათვის, უეჭველია, იქნებოდა მხოლოდ „ნაცვლობა მეჭურჭლეთუხუცესისა“. ცხადია, „ნაცვალი“ ანუ მოადგილე მეჭურჭლეთუხუცესის შემდეგ პირველი კაცი უნდა ყოფილიყო მის უწყებაში. მეორე მხრივ, თვით „ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა“ საპატიო ხელისუფალი ჩანს: იგი მეფისაგან „სრულწყლიანია“, ე. ი. მეტად პატივცემული, გაბედნიერებული და ამავე დროს მეფისავე დავალებით ასრულებს ისეთ საპატიო სამსახურს, როგორცაა დიპლომატიური მისია. ისტორიკოსი მას „დიდ მოციქულსაც“ უწოდებს <sup>62</sup>.

ამგვარად, საფიქრებელია, რომ თბილისის ამირთამირა ამავე დროს არის ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა <sup>63</sup>.

ამის შესახებ, თუმცაკი დაუსაბუთებლად, პ. ინგოროყვასაც აქვს გამოთქმული მოსაზრება. იგი პირდაპირ აცხადებს: „ამირთამირა ანუ, რაც იგივეა — „ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა“, ითვლებოდა ფინანსთა მინისტრის მოადგილედ“ <sup>64</sup>. მისივე აზრით, თამარ მეფის ასტორიკოსის „ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა და სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი“ <sup>65</sup>, რომელიც ხელს უწყობდა რუსი უფლისწულის მეორედ შემოყვანას საქართველოში, იგივე ამირ-

<sup>61</sup> ИКОМАО, вып. 1, გვ. 70—71.

<sup>62</sup> ისტორიანი და აზმანი, — გვ. 90; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნაწ. 1, გვ. 168.

<sup>63</sup> როგორც „ტფილისის ამირა“ აბულასანის მდგომარეობის ანალიზიდან ჩანს, „ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა“ იყო იმავე დროს თბილისის გამგებელი „ამირთამირობის“ ინსტიტუტის დაწესებამდე (ცხადია, იმ პირობით, თუ „ნაცვლობა“ „ამირთამირობაზე“ ძველია).

<sup>64</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 169. პირად საუბარში პ. ინგოროყვას ი. ცინცაძისათვის გაუნდვია თავისი ამ თეზის საბუთიანობა. თუ რამდენად მეცნიერულია იგი — ადვილი დასაანახია (იხ. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშ., გვ. 156). მსგავსი აზრი, აგრეთვე დაუსაბუთებლად გამოთქვა (პ. ინგოროყვასაგან დამოუკიდებლად?) ს. ერემიანმა (იხ. მისი, დასახ. ნაშ., გვ. 399). მისი „საბუთიანობის“ კრიტიკა იხ. ი. ცინცაძის დასახ. ნაშ., გვ. 153—154.

<sup>65</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 90.



თამირა აბულასანია, რომელიც იმავე უფლისწულის საქართველოში პირველად შემოყვანის ინიციატორი იყო<sup>66</sup>. ეს აზრი მართებული არ ჩანს, რადგან საფიქრებელია, რომ ამ დროს (1190—1191), როდესაც „ნაცვალის მეჭურჭლეთა უხუცესისა“ კარნუ-ქალაქს ელჩად უნდა ყოფილიყო გაგზავნილი, აბულასანი უკვე მეჭურჭლეთუნუცისი იქნებოდა, რადგან სწორედ ამ წლებში მომხდარი აჯანყების<sup>67</sup> შემდეგ ჩამოართვეს მას, ალბათ, ეს თანამდებობა<sup>68</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მას მეჭურჭლეთუხუცესობა თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყების მომზადების პერიოდში ან არა და თვით აჯანყების დროს მიუღია, რაც დაუჭერებელია. უფრო მართებული უნდა იყოს, თუ ვიფიქრებთ, რომ იგი მეჭურჭლეთუხუცესად გახდა გიორგი რუსის თამარის მეუღლედ ყოფნის დროს<sup>69</sup> (1188 წლამდე), ხოლო რაც შეეხება „ნაცვალს მეჭურჭლეთა უხუცესისას“, იგი შეიძლება კარნუ-ქალაქში თვით აბულასანის დავალებით და თანხმობით გამგზავრებულიყო<sup>70</sup>.

ე. ი. ირკვევა, რომ თბილისის ამირთამირა უნდა იყოს იგივე „ნაცვალის მეჭურჭლეთა უხუცესისა“. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება „წელმწიფის კარის გარიგებაში“ ამირთამირას მოუხსენებლობა. იქ ნახსენებია, როგორც ვიცით, „საჭურჭლის ნაცვალის“, ხოლო ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს თანამდებობა შეესატყვისება „ნაცვალს მეჭურჭლეთა უხუცესისას“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი უკანასკნელზე ჩამომცრობილი ჩანს. მკვლევარი წერდა: მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის რაღაც მიზეზების გამო უნდა „ჩამოქვეითებულიყო და საჭურჭლის ნაცვალად გაეხადათ“<sup>71</sup>. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ სრული ქვეშაობაა, ეს წყაროდანაც ჩანს: „წელმწიფის კარის გარიგებაში“, პარაგრაფში, რომელიც „აღვსების საკითხავს“ შეეხება, ჩამოთვლილი არიან კარის

<sup>66</sup> ვ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170, შდრ. ს. ერემიანის დასახ. ნაშრ., გვ. 413.

<sup>67</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, II, 1913, გვ. 593-6.

<sup>68</sup> ვ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99; აგრეთვე, ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

<sup>69</sup> მეჭურჭლეთუხუცესის გავაზირების დრო უცნობია, მაგრამ იგი დაახლოებით ამ ხანებზე უნდა მოდიოდეს (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოლ. მოწარქის კარის მოხელენი, გვ. 72). იმის შემდეგ რაც ჩვენ აბულასანის კარიერის სწრაფი აღმავლობა ვიცით: ამირა-ამირთამირა-მეჭურჭლეთუხუცესის, ეგების, ამ მოხელის გავაზირებაც მის მოღვაწეობას დავუკავშიროთ?

<sup>70</sup> ვ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 315-316.

<sup>71</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 168.

მოხელეები უწყებისა და რანგის მიხედვით. ასე, მაგალითად: „აღსებასა ამირსპასალარი (საკითხავია) ამილახორისა... მანდატურთუხუცესი — ამირეჯიბთ (ა)... მეჭურჭლეთუხუცესი — საჭურჭლეთ ნაცვლ(ი)სა... მსახურთუხუცესი — მესაწოლეთუხუცესისა“<sup>72</sup> და სხვ. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ „ამილახორი კეხეჩე [არის] ამირსპასალარისა“<sup>73</sup>; ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ „ამილახორი ამირსპასალარის თანაშემწე ხელისუფალი იყო“<sup>74</sup>, ხოლო „ამილახორობის შემდგომ საფეხურად ამირსპასალარობა“ ითვლებოდა<sup>75</sup>. ასევე ამირეჯიბიც, რომელიც მანდატურთუხუცესის უწყებაში შედიოდა, ამ უკანასკნელის შემდეგ უდიდესი ხელისუფალი იყო<sup>76</sup>. ვფიქრობთ, ასეთივე ურთიერთობა უნდა ყოფილიყო დანარჩენთა შორისაც (თუმცა ერთგვარ ეჭვს იწვევს მესაწოლეთუხუცესის მდგომარეობა)<sup>77</sup>. უკვე მხოლოდ აქედან უეჭველია, რომ მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში, ჩვენი ძეგლის შედგენის დროს (XIV ს-ის პირველი ნახევარი), უდიდესი მოხელე ყოფილა საჭურჭლის ნაცვალი. ჩვენ კი ვიცით, რომ ადრე ასეთ მოხელეს წარმოადგენდა „ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა“. ვფიქრობთ, ამის შემდეგ უეჭველია, რომ საჭურჭლის ნაცვალი, მართლაც მეჭურჭლეთუხუცესის ჩამომცრობილი ნაცვალია.

ამგვარად, „ველშვიფის კარის გარიგების“ „საჭურჭლის ნაცვალი“ („მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“) არის იგივე თბილისის ამირთამირა და, ამდენად, ამ უკანასკნელის საგანგებოდ აღნიშვნა საჭიროც არ ყოფილა.

ჩვენ ვცდილობდით დაგვედგინა, რომ „თბილისის ამირა“ და „თბილისის ამირთამირა“ ერთი და იგივე არ არის, რომ ამირთამირობა უფრო გვიანდელი მოვლენაა ამირობასთან შედარებით დარომეს ინსტიტუტი წარმოიქმნა ქართულ ნიადაგზე. ამირთამირობის დაწესება მოდის XII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულზე. თვით ტერმინი — ამირთამირა — რეალური შინაარსისაა და ამ წოდების მატარებელ მოხელეს თავის მხრივ ჰყავდა „ქვეშე დაწესებული“ მოხელეები — „ქალაქის ამირანი“. „ქალაქის ამირანი“

72 ველშვიფის კარის გარიგება, 341-43.


73 იქვე, გვ. 9, 82-183.

74 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

75 იქვე, გვ. 152.

76 იქვე, გვ. 161-163.

77 იქვე, გვ. 184-186.



რა“ დამოწმებულია ქუთაისში და ქინვანში (XIII ს.), ხოლო მათი არსებობა სავარაუდოდ ბელია დმანისსა და რუსთავშიაც. ამათ გარდა, ქალაქის ამირა ცნობილია საქართველოს ისტორიაში შემავალ ქალაქებშიაც (ანისი, გურჯაანი). „ქალაქის ამირას“ არსებობა თბილისშიაც არის სავარაუდო. რაც შეეხება ამირთამირას, იგი ჩვეულებრივ ერთი იყო — ასე იწოდებოდა ხოლმე მხოლოდ დედაქალაქის, თბილისის, გამგებელი. ამირთამირობა ისევე, როგორც ამირობა მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში შედიოდა, ხოლო თვით თბილისის ამირთამირა ამსავაზიროში ვაზირის შემდეგ პირველი კაცი იყო: თბილისის ამირთამირა არის იგივე ნაცვალ იმეჭურჭლეთუხუცესისა <sup>78</sup>.

ასეთია ჩვენი დასკვნები, მაგრამ საკითხის უკეთ გარკვევისათვის საჭიროა მასთან დაკავშირებული რიგი მოვლენების გაშუქება.

ჯერ ერთი, ჩვენ ვიცით, რომ აბულასანი იწოდებოდა „ამირად ქართლისა და ტფილისისა“ ან (შემდეგ) — „ამირთამირად ქართ-

<sup>78</sup> ჩვენ მიერ განხილულ საბუთებში არის ერთი სასისხლო სიგელი (ციხლილასქეთა), დათარიღებული 1408 წლით, სადაც მოხსენებული არიან „ქალაქთა ამირათ ამირანი“ (საქ. სიძვ. III, 435). ამგვარად, ამ დოკუმენტიდან გამომდინარე XV ს-ის დასაწყისში ამირთამირობა თბილისს გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებშიცაა სავარაუდებელი. ამას თითქოს მხარს უჭერს ზემოხსენებული „ქარის ამირთამირაობა“. მაგრამ აქ ვასათელისწინებელია, რომ ეს სიგელიც სხვა სასისხლო სიგელებთან ერთად ნატყუარია და ამდენად უფრო გვიანდელიცაა. ასე რომ, უაღბისმქნელმა, შესაძლებელია, თავისი თანადროული კითარება აღნიშნა სიგელში. ხოლო XV ს-ის მეორე ნახევრიდან არსებობდა საიმიო პირობები, რომ ამირთამირობა თბილისს გარდა, სხვა ქალაქებშიც არსებულებოდა და ამ დროს ჩვენ კიდევ ვიცნობთ ამგვარ ამირთამირებს (იხ. ქვემოთ) გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ენიჭება „ქალაქის ამირის გარიგების“ გასარკვევ ცნობას, რომ არსებობდა რამდენიმე „ქალაქის ამირა“, და ერთი „საბურჭლის ნაცვალ“, რომელიც, როგორც ჩვენ ზემოთ ვცადეთ დავგვესაბუთებინა, არის იგივე „ტფილისის ამირთამირა“.

რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოთქმულ ვარაუდს რუსთავსა და დმანისში ქართველი მოხელე ამირას არსებობაზე, იგი შესანიშნავად დადასტურდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის აღმოჩენით სოფ. პატარა დმანისის მახლობლად, 1962 წელს (იხ. დ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზურის ხეობიდან, საქ. მეცნ. აკად. მომბე, XXXIII: 3, 1964, 745-752). ამ წარწერას დ. ბერძენიშვილი, რომელმაც ისარგებლა ჩემი ამ წერილის ხელნაწერით და კიდევაც თავაზიანად მიმითითა (იხ. იქვე, 750), XIII ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებს (იქვე, 748).

ლისა და ტფილისისა“. რას უნდა ნიშნავდეს „ქართლის ამირთამირ-ობა“?

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „რადგან ტფილისის ამირთამირა იმავე დროს ქართლის ამირთამირად და ერისთავთერისთავადაც ითვლებოდა, ამიტომ უნებლიედ იბადება საკითხი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განაწილებული ქართლის ერისთავთ-ერისთავისა და ქართლის ამირთ-ამირას საბძანებელნი, როდესაც ეს ორი მოხელეობა ერთსა და იმავე პირს არ ებარა? მაგრამ ამ საკითხის გამოკვლევასათვის ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება“<sup>79</sup>. მაგრამ ჯერ საკითხავია: განა საერთოდ თბილისის ამირთამირა ქართლის ამირთამირაცა? ცნობილი თბილისის ამირთამირების ტიტულაცია ამის საბუთს არ იძლევა. ზემოთ მოვიტანეთ ჩვენთვის ცნობილი სია ამ მოხელეებისა, რომელთაგან უმეტესობა „ქალაქის ამირათა ამირად“ იწოდება, ერთი „ტფილისის ამირათ ამირად“ და ერთიც (სუნღულის ძე ლომი) მხოლოდ „ამირთამირად“ (მართალია, ჩვენ არ ვიცნობთ XIII ს-ის ამირთამირებს, მაგრამ თვით აბულასანის მაგალითი, ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს ამართლებს: თუ იგი ერთგან ერისთავთ-ერისთავად და ამირთამირად იწოდება, მეორეგან უკვე ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესია და ე. ი. ამირთამირა აღარაა (იხ. ზემოთ). მიუხედავად ამისა, ქართლის ერისთავობა მაინც შეუნარჩუნებია, თუმცა ისიც საკითხავია: მისი ერისთავთ-ერისთავობა მაინცდამაინც ქართლს უკავშირდება?) ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ქართლის ამირთამირად“ შესაძლებელია მხოლოდ აბულასანი იწოდებოდა და არა საერთოდ თბილისის გამგებელი; ცხადია, ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრებოდა ჩვენ რომ გვეცოდნოდა თბილისის ამირთამირას კონკრეტული ურთიერთობა „ქალაქის ამირებთან“.

თბილისის გამგებლის აღმნიშვნელ წოდებად ამირთამირა, როგორც ცნობილია, XVII ს-ის დამდეგამდე იხმარება. „XVII-XVIII საუკუნეებში არც საბუთებია, არც დასტურლამალში „ამირა“ აღარ გვხვდება და ქალაქის მთავრად ქალაქის მოურავი ჩანს“<sup>80</sup>. ეს უკანასკნელი „სამოხელეო სახელწოდება ტფილისისათვის XVII საუკუნის დამდეგს უნდა იყოს შემოღებული, 1608-1620 წლებს შუა“<sup>81</sup>.

<sup>79</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, გვ. 215.

<sup>80</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში, XVII-XVIII სს. კურს. „პრომეთე“ 1918, № 1, გვ. 44.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 44.

საინტერესოა, თაივსთავად, როდის უნდა შემოსულიყო თავი-  
დან ტერმინი „ქალაქის მოურავი“ და რატომ შეცვალა მან ძველი  
„ამირთამირა“?

საამისო პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ, როგორც ვიცით, თბილისის გამგებლად „ქალაქის მოურავი“ პირველად 1552 წ. ლუარსაბ მეფის მიერ თბილისის სიონისადმი გაცემულ სიგელში<sup>82</sup>.

რაც შეეხება „ქალაქის ამირთამირას“ (ტერმინის) გადაშენებას და მის მაგიერ „ქალაქის მოურავის“ დამკვიდრებას, ამის მიზეზად, ვფიქრობთ, იმ ფაქტორების მოშლა უნდა ყოფილიყო, რამაც ეს მოხელეობა წარმოქმნა: გარდა იმისა, რომ ვასაგები მიზეზების გამო გვიანი საუკუნეებისათვის საქართველოში, შუაფეოდალურ ხანასთან შედარებით, საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვნად დაეცა, რაც, ცხადია, „ამირთამირობაზე“ უშუალო გავლენას მოახდენდა (აკი ჯერ კიდევ XIV ს-ის პირველ ნახევარში „საქურჭლის ნაცვალის“ მნიშვნელოვნად ჩამომცრობილია „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთან“ შედარებით), თვით ის „ქალაქის ამირანიც“, რომელთაც განაპირობეს ტერმინის — „ამირთამირა“ — შექმნა, აღარ ჩანან („ქელმწიფის კარის გარიგების“ შემდეგ ისინი მხოლოდ „ქურულიანთ სასისხლო სიგელში“ იხსენიებიან<sup>83</sup>, რომელიც, როგორც ვიცით, 1460 წლითაა დათარიღებული, თუმცა მისი ნატყუარობის შემთხვევაში იგი გვიანდელი უნდა იყოს) და ე. ი. „ამირთამირას“ გამოცლილი აქვს რეალური შინაარსი, რომლის საფუძველზედაც იგი წარმოიქმნა. ეგების, ეს ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი „ქალაქის ამირთამირას“ (ტერმინის) გადაშენებისა. მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით XVI ს-ის განმავლობაში. ვფიქრობთ, „ქალაქის მოურავის“ პირველად ამ საუკუნეში ხსენებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი და ამ ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამის შემდეგ (XVI ს-დან) საბუთებში „ამირთამირას“ პარალელურად „მოურავი“ ან „ტარულა“ იხმარება. თვით ეს მოვლენა, ქალაქის გამგებლის — ამირთამირას და ამირას შეცვლა „მოურავად“ ან „ტარულად“, შესაძლებელია დაგვეკავშირებინა ქართული სახელმწიფო სამოხელეო ტერმინოლოგიის, ასე ვთქვათ. „ვასპარსულების“ ტენდენციასთან, რომელიც, სათანადო ლიტერატურაში მიღებული აზრის მიხედვით, XVI ს-ის ბოლო მეოთხედიდან იწყება<sup>84</sup>. კერძოდ, ს. კაკაბაძის აზრით, სიმონ I-ის სპარსთა ტყვეობი-

<sup>82</sup> ისტორიული საბუთები, წ. 11, 1913, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 41.

<sup>83</sup> მხედველობაში გვაქვს აღმ. საქართველო, ქართლის სამეფო.

<sup>84</sup> Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), 1938, стр. 44; ს. კაკაბაძე, საქარ-

დან დაბრუნების შემდეგ უნდა ყოფილიყო „შემოღებული და განმტკიცებული ტარულის თანამდებობა“<sup>85</sup> (როგორც ჩანს იგულისხმება ტერმინის შემოღება, თორემ თანამდებობა, ცხადია, არსებობდა). ვფიქრობთ, „ტარულა“ ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში გაცილებით უფრო ადრე უნდა შემოსულიყო, რადგან ზემოთხსენებული 1552 წ-ის სიგელში დამოწმებულია მოურავის კუთვნილი „სატარულო“ გადასახადი. ცხადია, „სატარულო“ ფეხს ისე ვერ მოიკიდებდა, თუ „ტარულა“ არ იქნებოდა უკვე დამკვიდრებული.

მაგრამ, ამ ტენდენციით ვერ ავხსნით იმ გარემოებას, რომ ჩვენს სამოხელეო წესწყობილებაში საბოლოოდ დამკვიდრდა „ქალაქის მოურავი“ და არა „ქალაქის ტარულა“ (იხ. მაგალითად, ე. წ. „ქალაქის მოურავის სარგოს ვარიგების წიგნი“. „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 522 და შემდ.). ქართულ ნიადაგზე შექმნილი „ქალაქის ამირთამირა“ შეცვალა ქართულმავე „ქალაქის მოურავმა“.

დაბოლოს, ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ იქნებოდა გვიანფეოდალური ხანის ქუთაისის გამგებლის მდგომარეობის გათვალისწინებაც. მაგრამ ეს უკანასკნელი ცალკე შესწავლის საგანია და ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად თუ შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ამდენად, ცხადია, ეს მსჯელობა სათუო იქნება.

XIII ს-ში დამოწმებულია „ქუთაისის ამირა“, რაც იმ დროს, თუ ზემოთქმულს გავიზიარებთ, სავსებით კანონზომიერი უნდა ყოფილიყო.

გვიანფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებში კი ქუთაისის გამგებლად ამირთამირა გვევლინება. ასე, მაგალითად, 1529 წლის გუჯარში, რომელიც გენათელთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას ეხება, მოხსენებულია „ამირათ ამირა“ — უეჭველია, ქუთაისის ამირთამირა<sup>86</sup>. ქუთაისის ამირთამირა იხსენიება რამდენიმე სასისხლო სიგელში, რომლებიც ამ საუკუნითაა დათარიღებული. ასე, მაგალითად: 1501 წლით დათარიღებულ ბაქრაძეთა სასისხლო სიგელში<sup>87</sup>; 1512 წ-თ დათარიღებულ ვაბელიძეთა სიგელში<sup>88</sup>; 1544

თველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1922, გვ. 27; ე. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მომზადებული“, II, გვ. 144.

<sup>85</sup> ს. კაკაბაძე, იქვე, გვ. 27.

<sup>86</sup> დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, წიგნი I, 1921, გვ. 11.

<sup>87</sup> საქართ. სიძე., II, გვ. 23.

<sup>88</sup> ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტ. მოამბე, 1924 წ., წიგნი II, გვ. 35.

-5 წლით დათარიღებულ კალანდაძეთა სიგელში<sup>89</sup> და 1554 წლით დათარიღებულ შერგილაძეთა სიგელში<sup>90</sup>. ასეა XVII ს-შიც, ვიდრე XVIII ს-მდე, როდესაც მას „მოურავი“ ცვლის<sup>91</sup>. ქუთაისის მიმართაც თითქოს იგივე პროცესი ვლინდება. თბილისისათვის ვივარაუდეთ (ამირა — ამირთამირა — მოურავი). მაგრამ ნამდვილად, აქ სრულიად სხვაგვარი მოვლენა უნდა ყოფილიყო. მართალია, ქუთაისშიც ამირთამირამ შეცვალა თითქოს ამირა, მაგრამ ეს ქალაქის შინაგანი, ორგანული განვითარების შედეგი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ — გარეგანი, „შემთხვევითი“. ვფიქრობთ, აქ ამირთამირობა უნდა დაწესებულყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სამეფო — სამთავროებად დაშლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქუთაისი ვახდა ახლად შექმნილი ლიხთიმერეთის სამეფოს დედაქალაქად. აი სწორედ ამ დროს უნდა გაჩენილიყო აქ თბილისის (ახლა უკვე ქართლის სამეფოს დედაქალაქის) ანალოგიით „ამირთამირა“<sup>92</sup>. ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს სასისხლო სიგლებიც: მართალია, ყალბობის გამო, მათი დათარიღება ჭირს. მაგრამ მაინც მნიშვნელოვან და არა შემთხვევით ფაქტად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ლიხთიმერეთის სამეფოს წარმოქმნის უწინარესი ხანით (1360-95) დათარიღებულ თულასძეთა სასისხლო სიგელში ქუთაისის „ამირა“ იხსენიება<sup>93</sup> (როგორც ეს ასიოდე წლის წინაც უეჭველად დამოწმებულია), ხოლო „განყოფის“ შემდგომ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, ყველგან „ამირთამირა“ გვხვდება. მსგავსადვე უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ XV ს-ის ბოლოსთვის ვხვდებით „პატრონისა და სახელგანთქმულისა დიდისა ბატ(რ)ონისა ყუარყუარეს მესტუმრესა და ამირთამირას ნოშრევან-ყოფილსა ნეოფიტეს“<sup>94</sup>. ეს ნოშრევანი ახალციხის ამირთამირა თუ იყო. თბილისის მაგალითის ამგვარი მზამზარეული სესხება იყო, ვფიქრობთ, მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად თავიდანვე რეალური საფუძვლის უქონლობისა (ლიხთიმერეთის სამეფოში სხვაგან, რამდენადაც ვიცით, არსადაა ცნობილი ამირა), ან უკეთ, სწორედ ამის გამო, ამირთამირობა ქუთაისში გაცილებით დიდხანს შემორჩა, ვიდრე თბილისში. XVIII ს-ში, როგორც აღვნიშნეთ, აქაც „მოურავი“ მკვიდრდება (ცვლავ თბილისის ანალოგიით?).

<sup>89</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>90</sup> ქრონიკები... II, გვ. 398.

<sup>91</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1922, გვ. 118.

<sup>92</sup> აქ საქმე კიდევ იმით რთულდება, რომ როგორც შეგვინშნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, გვიანდელდღარ ქუთაისში ორი ამირთამირაა სავარაუდო.

<sup>93</sup> საქ. სიძე. II, გვ. 13.

<sup>94</sup> ქრონიკები, II, გვ. 322.



ქართული  
საბჭოთაო აკადემია

გიორგი ცაიტიშვილი

## „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი აღზილის ნაქითხვისათვის

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ჩვენამდე ნაკლული და დამახინჯებული სახით არის მოღწეული.

დამახინჯებული ადგილების შესწორება და ნაკლული ტექსტის აღდგენა ბევრმა მკვლევარმა სცადა (ვახტანგ VI, მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კორნ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ისტ. მეცნ. კანდ. ა. გამყრელიძე).

„ისტორიანი და აზმანი“-ს ტექსტში ამჟამად ჩვენი ყურადღება მიიბჟრო ერთი ადგილის აკად. კორნ. კეკელიძისეულმა აღდგენამ, რომელიც დღესდღეობით გაზიარებულია ყველა მკვლევარის მიერ. საუბარია „მის ქამთა ერისთავთა“ ჩამოთვლაზე.

„და ერისთავნი მის ქამისანი ესენი იყვნეს: ლიხთ იმერთ: ბარამ ვარდანის-ძე — სვანთა ერისთავად, კახაბერი — რაჭისა და თაყურის ერისთავად, დოთალოდ შარვაშის-ძე — ცხუმის ერისთავად, ამანელი ს-ძე — არგუეთის ერისთავად, და ოდიშის ერისთავად ბედიანი“<sup>1</sup>.

ზემოთ მოყვანილ ტექსტში გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ ერთ აღდგენას; ეს გახლავთ — „ამანელისძე- [არგუეთის ერისთავად]“.

მოღწეულ ხელნაწერებში „ამანელისძე“ („ამონისძე“, ასეა მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში) საერისთავო ქვეყნის დაუსახელებლად არის მოხსენებული. აკად. კორნ. კეკელიძე, „ამანელისძე [არგუეთის ერისთავად]“, აღდგენისას ამოდიოდა შემდეგი

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941 წ., გვ. 79. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი იძლევა რამდენაღმე განსხვავებულ აღდგენას, მაგრამ ამჟამად, ჩვენთვის საყურადღებო ადგილი მასაც ასევე აქვს გაკებული („ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 33-34. ქვემოთ ყველგან ვსარგებლობთ ამ გამოცემით და ვუთითებთ ასე — ქც<sup>1</sup>, ა, გვ...).



ვითარებიდან: „ავტორი „იმ ქამის ერისთავთა“ ჩამოთვლისას ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობს: ერთ ჯგუფში აქცევს აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავებს (ლიხთამერით) და მეორეში დასავლეთ საქართველოსას (ლიხთიმერით)“... და შემდეგ: „ჩანს ამავე ლისძე ყოფილა ერისთავი დასავლეთ-საქართველოს ერთ-ერთი ქვეყნისა. რომლის? ეს ქვეყანა ვერ იქნებოდა ვერც სვანეთი, ვერც რაჭა-ლეჩხუმი, ვერც ცხუმი ან აფხაზეთი, ვერც სამეგრელო-ოდიში, რადგანაც ამ ქვეყნების ერისთავები ცალკე არიან დასახელებულნი; ვერ იქნებოდა ის ვერც დღევანდელი ქვემო-იმერეთი ან ვაკე, რადგანაც ის, როგორც ქუთაისის სანახებში შემავალი, ცალკე „სამოქალაქო“ ერთეულს შეადგენდა (ქართ. ცხოვრ., მარიამისეული, გვ. 161, 282, 435). ვფიქრობთ, ამავე ლისძის საერისთავო იყო დღევანდელი დაახლოებით ზემო-იმერეთი ან, მაშინდელი ტერმინოლოგიით, ქუეყანა მარგუეთისა, რომელიც, ლეონტი მროველის ჩვენებით, ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთით — ლიხის მთით, დასავლეთით — რიონით (ეგრისის მზღუარი); სამხრეთის საზღვარი მისი იყო ფერსათის მთა, ხოლო ჩრდილოეთის რაჭა-ლეჩხუმი. წარმოუდგენელია, რომ ამოღენა ქვეყანას თავისი ერისთავი არ ჰყოლოდ.<sup>2</sup>

ეს არის და ეს. არავითარ სხვა არგუმენტაციას ტექსტის წარმოდგენილი აღდგენისას აკად. კორნ. კეკელიძე არ იძლევა და, როგორც ჩანს. არ იძლევა იმიტომ, რომ არგვეთის, „ამოღენა ქვეყნის“, საერისთავოს არსებობა ისედაც ცნობილ ფაქტად მიაჩნია.

როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში? მივუბრუნდეთ პირველწყაროებს. სათანადო ცნობა სულ რამდენიმეა. განვიხილოთ ეს ცნობები ქრონოლოგიური რიგით:

ა. ლ. მროველის მიხედვით, ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა როდესაც ქართველთა სახელმწიფო შექმნა და ქვეყანა საერისთავოებად დაჰყო — „ერთი გაგზავნა მარგვს (არგვეთს — გ. ც.) ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ამდე [ეგრისისა], რიონს ზემოთ“<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი..., აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, გვ. 9-10. 3. ინგოროყვას ლიხთიმერეთის საერისთავოებს შორის დასახელებული აქვს არგვეთის საერისთავო და მათ ერისთავებად ამავე ლისძენი. მოჰყავს „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტიდან ამონაწერი — „ამანელისძე — არგვეთის ერისთავად“. ტექსტი იმ სახითაა მოყვანილი თითქოს ასევეა შემონახული და არ უჩვენებს, რომ ეს არის აღდგენა და თანაც სხვისი. იხ. მისი თხზულებანი, ტ. I, გვ. 553, 558, 565, 566.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

ბ. ჯუანშერს, ვახტანგ გორგასლის დროს, სხვა ერისთავებს შორის დასახელებული ჰყავს „ბაკურ ერისთავი მარგუსა და თაკურისა“<sup>4</sup>.

გ. დავით და კონსტანტინეს „ცხოვრების“ შეხვედრის შემდეგ კუნის პირველ ნახევარში არსებულა არგვეთის საერისთავო<sup>5</sup>.

დ. ბაგრატ III კლდეკარს შემოადგა. „იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა: შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს, და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს“<sup>6</sup>.

ეს ამბავი 1008 წლის ახლოს მომხდარა. ამ ცნობით პირველა დადასტურება გვაქვს იმისა, რომ არგვეთი, კლდეკარის ერისთავების, ბაღვაშების მკვიდრი მამულია.

ე. ლიპარიტ III-ის ბატონობით თავგაბეზრებულმა მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ლიპარიტი და მისი ძე ივანე და მიჰგვარეს ბაგრატ IV-ს. მეფემ მათ კლდეკარის საერისთავო ჩამოართვა. ლიპარიტი ბერად შედგა, ხოლო თავისი შვილი ივანე მეფეს შეავედრა და „დარჩა არგუეთის მამული ივანეს“<sup>7</sup>.

ამის შემდეგ ივანე საბერძნეთს გაიპარა, მაგრამ მალე მეფემ შეირიგა და „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა“<sup>8</sup>. ლიპარიტი მიიცვალა და „დამარხეს კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა“<sup>9</sup>.

ვ. დავით მეფე (აღმაშენებელი) როდესაც დარწმუნდა, რომ ლიპარიტს (IV-ს) ვერაფრით მოარჯულებდა, შეიპყრო იგი და საქართველოდან განაძევა. ამის შემდეგ მალე მიიცვალა (1103 წ.) რატი ლიპარიტის ძე. ეს იყო ბაღვაშთა ძირითადი შტოს (კლდეკარისა და არგვეთის მფლობელთა) უკანასკნელი წარმომადგენელი „და არღოავენ დაშთა საყოფელთა მათთა ჰკვდრი... და მამული მათი აღიღო მეფემან“<sup>10</sup>.

როგორც ვნახეთ, გვაქვს სრულიად გარკვეული ჩვენებანი, რომ არგვეთი საერისთავო ქვეყანაა. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა „მატიანე ქართლისა-ს“ ცნობები, რომ არგვეთი კლდეკარის ერისთავების, ბაღვაშების მკვიდრი მამულია. ასეა ეს 1103 წლამდერატი ლიპარიტის ძის გარდაცვალებამდე.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 185.

<sup>5</sup> გ. საბინინი, საქ. სამოთხე, გვ. 325.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 277.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 305.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 306.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 326.

ახლა საკითხავია, ბაღვაშების მამული (იგულისხმება არგვეთი) დავით მეფემ როგორი სტატუსით დაუმორჩილა სახელმწიფოს.

აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ დავით აღმაშენებელმა 1106 წ. „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ და გელათს ტაძარი უაჯუკვე დაარსა მან აკადემია და ააშენა ქსენონი. ამ მონასტერში მეფემ უცხოეთსა და საქართველოში მყოფ ქართულ სხვადასხვა მონასტრებიდან „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“<sup>12</sup>. ქსენონში „შეკრიბნა ძმანი თვთოსახითა სენითა განციდლნი, და მოუშადა ყოველი საქმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით“<sup>13</sup>.

დავითმა გელათში დაარსა არა მხოლოდ საბერძონაზვნო წირვა-ლოცვის შემსრულებელი დაწესებულება, არამედ იგი იყო, პირველ ყოვლისა, მწიგნობრულ-სამეცნიერო მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების, სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისა და ხელოვნების ძირითადი კერა იმდროინდელ საქართველოში. ამავე დროს გელათი იქცა სამეფო ოჯახის განსასვენებლად.

დავით მეფემ გელათი აქცია „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“<sup>14</sup>.

იმდროინდელ საქართველოს ამ მსხვილ და უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებას ქონებრივი უზრუნველყოფაც ჰქონდა თავისი მრავალრიცხოვანი შტატის სარჩენად და იმ დიდი საგანმანათლებლო შემოქმედების ნაყოფიერად განვითარებისათვის, რომლის უმაღლეს დონეს გელათი აღწევს სწორედ XII-XIII საუკუნეებში.

დავითის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ მეფემ გელათი „აღავსო სიწმინდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნად საპონელთა.

ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროიანთა მეფეთა ტახტი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი იავარად მოხმულნი თვსნი. და კუალად გვრგვინი და მანიაკნი, ფილანი და სასუმელენი, რომელნი მოიხუნა მეფეთა არაბეთისათა“<sup>15</sup>.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 11, თბილისი, 1948 წ., გვ. 216.  
<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.  
<sup>13</sup> იქვე, გვ. 331.  
<sup>14</sup> იქვე, გვ. 330.  
<sup>15</sup> იქვე.

15. საქართველო რუსთაველის ხანაში

ეს იყო შეწირულების ის ნაწილი, რომელიც გელათს სარჩოდ ვერ გამოადგებოდა. გელათს, პირველ ყოვლისა, სჭირდებოდა „უზრუნველი ტრაპეზი“ და რადგანაც 1103 წელს გარდაიცვალა ბაღვაშთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი — ქრტიანული უფროსი ძე — „და მამული ლიპარიტეთი უმკვდრე იქცა“<sup>16</sup> ჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩელ — მიუხეველთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისსასა სამსახურებლად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათვის, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“<sup>16</sup>.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს პირდაპირი მითითება, რომ არგვეთი დავით მეფემ სარჩოდ „განუჩინა“ გელათს. „მამული ლიპარიტეთი“ რომ მაინცადამაინც არგვეთს გულისხმობს, ეს ჩანს, ჯერ-ერთი, იქვე მოტანილი ცნობიდან, რომ ლიპარიტ IV-ის განდევნის შემდეგ, ბაღვაშების სხვა სამფლობელო, „თრიალეთი და კლდე-კარი ჰქონდეს თვედორეს, ჰქონდიდელისა დისწულსა“<sup>17</sup>. ზემოთ მოტანილ ცნობათაგან კარგად ჩანს, რომ თვითონ ბაღვაშებიც და იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსებიც არგვეთს თელიან მათ მკვიდრ მამულად და მამა-პაპათა სამარხავად. პირუკუ ცნობა კი, რომ თრიალეთი და კლდეკარი იყოს „მამული ლიპარიტეთი“, არა გვაქვს.

ამგვარად, უეჭველობით უნდა მივიღოთ, რომ არგვეთი, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერი მოწინააღმდეგების, ბაღვაშების მკვიდრი მამული, დავით მეფემ მათი მოსპობის შემდეგ გელათს შესწირა და ამით თავის დიდებულ ლავრას და მეფეთა სამარხავს „უზრუნველი ტრაპეზი გაუჩინა“.

ამის შემდეგ არგვეთის, როგორც საერისთავო ქვეყნის, არსებობის შესახებ ცნობები აღარა გვაქვს არც ქართულ მატრიანეებში და არც სხვა რიგის წყაროებში.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, არგვეთი, როგორც საერისთავო ქვეყანა, არსებობს 1103 წლამდე, რატი ლიპარიტისძის გარდაცვალებამდე. შემდეგ კი დავით მეფემ ეს საერისთავო გააუქმა და იგი სამეფო მონასტერსა და საძვალეს გადასცა.

ახლა შეიძლება საკითხი დაისვას ასე — დავით მეფემ კი მოახდინა არგვეთის საერისთავოს ანექსია და იგი უშუალოდ სამეფო მამულად გაიხადა თავისი ლავრის მეშვეობით, მაგრამ შეიძლება სხვა ნეფეების დროს მომხდარიყო მისი გამოწირვა და ისევ ცალკე

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 331.

საერისთავოდ გატანა და, მაშასადამე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ თამარის დროს არსებობდა არგვეთის ერისთავი ამანელისძე. საკითხის ასე დასმაც კი არ იქნებოდა თავისთავად სწორი, რადგან ჩვენ ვიცით, რომ „დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული“ გელათის წარმატებისათვის იღწვოდნენ საქართველოს დემეტრე I, გიორგი III, თამარი, ლაშა-გიორგი, დავით ნარინი, გიორგი ბრწყინვალე და სხვ.“<sup>18</sup>

გელათზე ზრუნვა არც იმერეთის მეფეებს შეუწყვეტიათ და ცდილობდნენ ძნელბედობის ხანებში დაკარგული ყმა-მამულების მისთვის დაბრუნებას<sup>19</sup>.

გელათში დაკრძალული არიან ერთიანი საქართველოს მეფეები: დავით აღმაშენებელი, დემეტრე დავითის ძე, გიორგი III, თამარ მეფე, თამარის მეუღლე დავით სოსლანი, გიორგი-ლაშა, რუსუდანი, ვახტანგ II დიმიტრი თავდადებულის ძე<sup>20</sup>. ასეთ ვითარებაში გელათისათვის დავითის მიერ მიცემული მამულების ვინმესაგან მიტაცების შემთხვევა დაუშვებლად არის მისაჩნვეი. ამას ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება არ დაუშვებდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, უნდა მივიღოთ საწინააღმდეგოს გამომრიცხველი დასკვნა — არგვეთის საერისთავო რუსთაველის ხანაში აღარ არსებობს. არგვეთი სამეფო მონასტრის გელათის საფეოდალოა.

არგვეთის საერო ხელისუფალის ხელში გადასვლისა და ცალკე საერისთავოს ჩამოყალიბების ცდას ადგილი ჰქონდა მხოლოდ დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც „მიიღო მეფობა კონსტანტინე პირმშოებისა ძალით, რომლისა მეფობასა წინააღმდეგა ძმა მისი მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი“<sup>21</sup>. მაგრამ ეს უკვე ის დრო იყო, როდესაც, ისტორიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, „იშლებოდა სამეფო... და არა ყვეს მშვიდობა“<sup>22</sup>.

ამგვარად, აკად. კორნ. კეკელიძისეული აღდგენა „ამანელისძე არგუეთის ერისთავად“, არაა მართებული. „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი ამ ადგილას აღდგენის გარეშე უნდა იქნეს წაკითხული:

„და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ლიხთ იმერთ: ბარამ ვარდანისძე — სვანთა ერისთავად, კახაბერი — რაჭისა და თაქურის ერისთავად, დოთალოდ შარვაშისძე — ცხუმის ერისთავად, ამანელისძე..., და ოდიშის ერისთავად ბედიანი“.

<sup>18</sup> ბ. ლომინაძე, გელათი, თბილისი, 1959 წ., გვ. 14.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 14-18.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367, 369, 371; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 113, 146, 167, 207, 295.

<sup>21</sup> ქცა, II, გვ. 295.

<sup>22</sup> იქვე.



პარლამ დონდუა

## „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები

აქ წარმოდგენილ სათაურში მკითხველი თვითონვე ამოიცნობს იმ სწორს, დღეს ყველასათვის სახელმძღვანელო აზრს, რომ უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ მისი თანამედროვე საქართველოს კულტურის, მწერლობის ფონზე — უბრწყინვალესი — წარმოადგენს ნაწილს მთელისას, იმ კულტურის, იმ მწერლობის განუყოფელ ნაწილს.

„ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ისტორიკოსთა ორივე, ჯერჯერობით ცნობილი, დიდებული ნაშრომი — უსახელო ავტორის „ისტორიანი და აზმანი“ და ბასილისეულად მიჩნეული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ერთი ეროვნული შემოქმედების ნაყოფია, ერთი კულტურისმოქმედი ხალხის უბადლო მონაპოვარია. ამ სამ ნაწარმოებს, როგორც ერთი ხანის ქმნილებას, სპეციალისტის ენაზე, როგორც აღმავალი ფეოდალიზმის ეპოქის ძეგლებს, არსებითად საერთო აქვთ სულიც და ხორციც. ნათქვამი სავსებით ეთანხმება, კერძოდ, დაუეწყარი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ერთგვარად საპროგრამო მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ ახსახა „ვეფხისტყაოსანში“ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება, სათანადო ისტორიული სინამდვილის რა ასპექტები გამჟღავნდა პოემაში. ივანე ჯავახიშვილის სპეციალური ნაშრომებიდან მოვიტანოთ შემდეგი, ჩვენი მიზნის შესაბამისი დებულებები, რამდენადაც ეს დებულებები ირიბი გზით გამომდინარეობს მეცნიერის მთელი თხრობიდან. „ვეფხისტყაოსანში“ აღბეჭდილია „ფეოდალური წყობილების კანონები“, ეპოქის „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კითხვები“, მეფის კარის გარიგების ნორმები, „კარის ცხოვრებისა და ცერემონიალის ყოველი დეტალი“, სამხედრო ხელოვნება და მეტადრე (ხაზგასმულია დედანში) სამხედრო ორგანიზაცია, „ვაჭართა კლასის ურთიერთობის საფუძვლები“ და ა. შ.<sup>1</sup> სხვა ნაშრომში, რომელშიც მეცნიერი პოემის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 13, თბ., 1956.

რაობას იხილავდა „ეპოქის სოციალური კულტურის“ შეპირისპირებით, კერძოდ, წინ წამოწეულია კითხვა, თუ პოემაში როგორ ასახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა<sup>2</sup>.

ეს მცირეოდენი შენიშვნაც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყოვლისმომცველი კვლევის საქმეში, კერძოდ, საისტორიო მეცნიერების ადგილი მნიშვნელოვანი ჩანს; სპეციალისტი-ისტორიკოსის სარგო — სარუსთველო თემატიკა, საისტორიო ძიებანი პოემის შესწავლის საერთო გეგმაში ორგანულად თავსდება, დღემდე დაგროვილი სათანადო გამოცდილება კვლევის გეზსაც იძლევა. ამ გეზის დაცვით, ჩვენ ქვემოთ ორიოდ სარუსთველო საკითხს ვეხებით, სწორედ საისტორიო ინტერესების თვალსაზრისით, უფრო ზუსტად — თამარის ისტორიკოსთა შრომების ზოგიერთი დეტალის გათვალისწინებით.

პოემის მიზანდასახული შინაარსობრივი შედარება თამარის დროინდელ საისტორიო ნაშრომებთან, როგორც ამას გვიჩვენებს საკითხის შესწავლის ისტორიაც, ყოველთვის გარკვეულ ეფექტს ქმნის, ერთბაშად „მოუგერიებელ შთაბეჭდილებას“ ახდენს. პირველად ყოვლისა, წინ დგებიან ცალკეული ადამიანები იქიდან (პოემა) და აქედან (ისტორია), ერთმანეთში განსხვავებულნი, ხოლო თავისი „ბიოგრაფიული“ დეტალებით თითქოს იგივენი. ავტორ ნესტან-დარეჯანის მამიდა დავარი, —

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,  
„მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი  
(330, 3—4).

ამ ტაეპებში ნაჩვენები ნიშნების მიხედვით, დავარის პროტიპად, ორეულად, თითქოს გვევლინება თამარის მამიდა — ეგეც ქვრივი, „სძალყოფილი დიდთა სულტანთა“, თამარის აღმზრდელი დედოფალი<sup>3</sup>.

თამარ მეფის მშვენივით მოჯადოებული მკითხველი, რომელმაც ერთხელვე მიამსგავსა ამ დიდებული ქართველი ქალის სახეს რუსთველის თინათინის სახე, ვერასოდეს ვეღარ დააშორებს მათ თავის ცნობიერებაში ერთმანეთისაგან. ორივე მსგავსად არიან დაბრძენებულნი, სამეფო ჭკუით დაჯილდოებულნი, ორივე — მეფის „ძენი“, ე. ი. ტახტის მემკვიდრენი, რომელნიც ერთნაირად იჭერენ ტახტს თავ-თავისი მეფის (მამის) ხელით დალოცვილნი და ა. შ.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 18.

<sup>3</sup> ბასილი ეზოსმოდუარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი; გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 13.—ქვემოთ: ბასილი.

ასეთი შეხვედრები და პარალელები, ურთიერთშეკავსებუ-  
ლი სახეები და ფაქტები, მეტადრე რამდენადაც ოგინი ისტორიან-  
პოემაშიც და ისტორიაშიც — ერთი ხასიათის, ერთი სიდიადის  
მქონე კულტურულ-ისტორიულ ფონზე, გამსჭვალულნი ერთი  
ეროვნული შემოქმედებითი სულით, ერთეულად მოქმედებენ —  
მკვლევრისათვის ქმნიან გარკვეულ საცდურს, ძველქართულით,  
„დაბრკოლებას“: მაცდური ხდება სურვილი — მეითხველის მაინ-  
ტრიგებელი აღნიშნული შეხვედრები და პარალელები ისე შე-  
ითხზან და შეკავშირდნენ, რომ ისინი გამოჩნდნენ ისტორიული  
სინამდვილის ამსახველ ერთგვარი პრაგმატიკული რიგით აწყობილ  
ფაქტებად. ამ მიმართულებით ცდებიც ჩატარებულა აქა-იქ. ნიმუ-  
შად შეიძლება დაგვესახელებინა ლოგიკურად დასრულებული  
ცდა კეთილად მოსაგონარი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ქვა-  
რიანისა — დაემტკიცებინა, რომ პოემაში თითქოს უნდა ასახუ-  
ლი იყოს ქართველთა მეფის გიორგი III-ის ძმისწულის დემეტ-  
რეს, იგივე დემნას პოლიტიკური თავგადასავალი<sup>4</sup>. საჭიროა კრი-  
ტიკამ ასეთი ცდებიც გაიგულოს პოემის შესწავლის საგულისხმო  
ისტორიაში, გამზიარებელმა იმ სალი შეხედულებისა, რომ „ყვე-  
ლას, ცხადია, ამ შესწავლის დროს თავისუფალი მსჯელობის სრუ-  
ლი უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული“<sup>5</sup>.

მაინცაღამაინც, საისტორიო მნიშვნელობის პოზიტიურ სამუ-  
შაოდ ჩვენ მივიჩნევთ ისეთს, რომელიც პრინციპულად ეთანხმება  
საკითხთა ზემოთგათვალისწინებულ სამუშაო პროგრამას. ქვემოთ  
მოტანილი ჩვენი დაკვირვებებიც ასეთ პროგრამას ეგუებიან.

ჩვენგან შერჩეულმა შემდგომმა მაგალითებმა, დამოუკიდებ-  
ლივ იმისაგან, თუ რაოდენ ახლად ან, ყოველ შემთხვევაში, განახ-  
ლებულად, უმეტეს დაზუსტებულად და ამოწყულად გამოჩნდებიან  
ისინი დღემდე მოპოვებულ სარუსთველო დაკვირვებათა ფონზე,  
ხელი უნდა შეუწყონ პოემისა და „ისტორიების“ მონაცემთა ურ-  
თიერთშეპირისპირებას, მათ ო რ კ ე რ ძ ო კ ო მ ე ნ ტ ი რ ე ბ ა ს,  
ფაქტების დამთხვევათა ზომა-ხასიათის გამოვლენას.

1. „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართოდენ მარტოდ ასული“  
(33, 1).

თავის დროზე გამოირკვა, რომ „ძე“ მსაზღვრელის ხმარება  
ასულის, ქალის მიმართ საერთოდ ძველქართულში შეწყნარებული

<sup>4</sup> სიმონ ქვარიანი, შოთა რუსთველი და მისი პოემა, ქუთაისი,  
1914.

<sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 666, ტფი-  
ლისი, 1914.



ყოფილა, რადგან „ძე“ მემკვიდრეს ნიშნავდა<sup>6</sup>. სწორედ ასევე იმდროინდელ ქართველ მეფესაც, გიორგი III-ს (1156—1184) არ ჰყავდა ვაჟი. ბასილის ცნობით, „ამას შვილი არ ესუა და მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის“. ბოლოს „იშვა მათგან ქალი“<sup>7</sup> თამარი, მემკვიდრე და „ძე“ გიორგისი. იქ — თინათინი, აქ — თამარი. იქ — არა მარტო თინათინი არაბეთისა, არამედ ნესტან-დარეჯანიც ინდოეთისა. ეგ ორი უკანასკნელი თანაბრად „ორეულობენ“ თამარს. მსგავსად თამარისა (და თინათინისა) ნესტანიც — ინდოთ მეფის ფარსადანის „ძეა“, მემკვიდრეა. ნესტანის ქირაუსუფლები ზვარაზმშას, სამზახლოს, უთვლიან —

„შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი,

„არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოველი“, ე. ი. მან ძეობა, მემკვიდრეობა უნდა გასწიოს, გადაღმა ვერ გავათხოვებთო, და ა. შ. (514, 3—4). საყურადღებოა, რომ თამარის მომსწრე პოეტი ორ სამეფოს ხატავს, ორგანვე ტახტის მემკვიდრედ ქალი ესახება, — ორივე ქალი, თამარისებრ, ბედისაგან მეფედ არჩეული. თინათინი —

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“; მან ნამდვილად „იცის მეფობა“ (39,1 და 39,2). ნესტანიც მამას მოეგლინა „მეფობისა ქმნისა მწთომად (328,2). საჭმე ქალების გამეფებას ეხება, და მათი საიმიწო უფლება საგანგებო დასაბუთებას, არგუმენტაციას მოითხოვს. ვაჟის გამეფებას ამდენი „მზადება“, ცხადია, არ დასჭირდებოდა.

2. როგორც ზემოთ ითქვა, პოემაში ჩანს იმდროინდელ, გაერთიანებულ საქართველოში არსებული სამეფო კარის გარიგების ნორმები. პოემაში ასახულა მეფის კურთხევის წესები. შესაძარებელ მასალას ჩვენ ვპოულობთ როგორც ძველ ისტორიკოსთა ნაწერებში (დავითის, თამარის „ცხოვრებანი“), ასევე სპეციალურად შედგენილ „განგებაში“. ს. კაკაბაძის არქეოგრაფიულ ნაშრომებში წარმოდგენილია „მეფის კურთხევის წესი, XIII საუკ. დასაწყისის შედგენილი“ (თბ., 1913)<sup>7</sup>.

მეფის კურთხევის აღწერილობებში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ წინააღმდეგობამ, რომელიც თითქოს თავს იჩენს აღიარებული ნორმების დაცვის მხრივ პრაქტიკაში. თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „ვინაჲთგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გვრგვნი თავსა სამეუფოსა, აწუიეს... მთავარებისკოპოზი

<sup>6</sup> იხ. ჩვენი წერილი აკად. ი. ორბელის პატივსაცემად მიძღვნილ კრებულში «Исследования по истории культуры народов Кавказа», მ.-ლ., 1960).

<sup>7</sup> საკითხი ვრცლად აქვს გამოკვლეული ი. ჯავახიშვილს ნაშრომში: ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვ. 2, გვ. 192 და შდგ. ტ., 1929).

ქუთათელი ანტონი საღირის ძე მოღებად გვრგვინსა<sup>8</sup>. რ. ჯავახი. შვილი თავის მხრივ განმარტავს, რომ „მეფის ვურთხევის წესის თანახმად, მეფის თავზე გვირგვინის დამდგმელი უეჭველად ლიხთიმერელი მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო“<sup>9</sup>. რუჯერტ ცნობილია, თამარისათვის ორჯერ გახდა საჭირო ტახტზე აყვანის ცერემონიის შესრულება. ჯერ მამამ მოასწრო თავის ტახტზე მისი აყვანა; მერ-მე, მამის გარდაცვალების შემდეგ, ცერემონია განმეორებით შესრულდა.

საეჭვოა, რომ ქუთათელის მოუხსენებლობა გამოწვეული იყოს ისტორიკოსის განზრახვით — შეამოკლოს ცერემონიის აღწერა. თამარს — „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა“ თვითონ მამამ, გიორგიმ, მაშინ როცა მხოლოდ განმეორებულ ცერემონიაში განხორციელდა ის „წესი“, რომლის თანახმად, როგორც ზემოთ ითქვა, თამარის დასალოცავად თავისი პრეროგატივი განახორციელა ქუთათელმა. ცერემონია მცირეოდენი განსხვავებით არის აღმოცემული ბასილისთან. იქ იკითხება:

„წარჩინებულთა... დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჭუარისა და მის თანა დროშა... ყოველთა ერთა... აწუიეს თამარს კრძალი მამული თანა საყდრითურთ, მამისა მინიჭებულით“.

გვირგვინი? — „იხილეს (რა) კელისუფალთა მღვდელთმოდღუართა (თა) მეფე გურგუნოსანი და ქება შეასხეს“ და ა. შ. (ბასილი, გვ. 13). დინასტიური უფლებებისათვის გამწვავებულ პირობებში იქნება შემთხვევის საქმე არ იყო, თუ გიორგიმ თვითონ „დაადგა გვირგვინი“ თავის ასულს. მაინცადამაინც, პოემაში თინათინის გამეფების სურათი ეთანხმება თამარის ტახტზე პირველად აყვანის სურათს:

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,  
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,  
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“

(45, 1—3).

3. თამარის ტახტზე აყვანის ცერემონია, ვფიქრობთ, გეგუთის დიდებულ სასახლეში უნდა ყოფილიყო შესრულებული. გეგუთს, „ტაძარსა სამეფოსა“, სადაც სავარაუდებელია, ესვენა ახლად გარდაცვალებული გიორგი, მის სატირლად მობრძანდნენ თვით თამარი — ტფილისის ისნის სასახლიდან და გარდაცვლილის დაი რუსუდანი — სამშვილდიდან. აქ იყვნენ ვაზირნი და სხვა

<sup>8</sup> ისტორიანი და აჟმანი, გვ. 74.

<sup>9</sup> ქართული სამართლის ისტ., წ. 2, ნაკვ. 2, გვ. 195.

ხელისუფალნი. აი ამ ამბის თხრობას საბაბი მიუცია ისტორიკოსი-სათვის სასახლის დიდებაც აღეწერა. მოსულთ, პირველ ყოვლისა, თვალწინ წარმოუდგათ სიდიადე ტახტისა — „საყდრისა, ცამდი ამალღებულისა“, იხილეს „თანა პორფირი და გვრგვნი“<sup>10</sup> „საქმე-საქმე“<sup>11</sup> თა“, აგრეთვე „კედლებიცა სრისაი სავეს“, ჩვენი გაგეგმვა<sup>12</sup> „საქმე-საქმე“<sup>11</sup> სე ფრესკული ნახატებით. გამოხატული ყოფილან „მეომართა რაზმები, სპეები, მონასპეები, ქალაქები და ციხეები აწყუედილი და ოკერ-ქმნილი“, „ოკერ-ქმნილი“ იმ აზრით, რომ ამ ციხე-ქალაქებს მოაკლდათ მეფე-პატრონი, აწ ოხრად დარჩენილებს<sup>10</sup>. ავტორი იქვე დასძენს: „თვთ (გიორგი მეფე, ვ. დ.) იხილეს ტანითა გორ-გასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერთა, კაცი, იროიკოდ საგონებელიო“. ეს, ალბათ, იმავე კედელზე იყო გამოსახული („პირითა მნათობიერთა“) ან იქნებ იგულისხმება მხოლოდ უსულო ცხედარი მეფისა. ეს თვითმხილველის ერთ-ერთი აღწერილობაა მეფის სასახლისა. ზემოთ მოხსენებული ისანიც, იმავე ავტორის დახასიათებით, წარმოადგენდა თამარის რეზიდენციას, „საჯდომსა მათსა ციხესა“, იყო „სამოთხის მსგავსი საყოფი“<sup>11</sup>.

უკვე აღნიშნული ტაძარ-დარბაზები კმაროდა „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედისათვის ნიმუშად, რათა მით შთაგონებულ პოეტს პოემაში ჩახატული სასახლეებისათვის ბრწყინვალეობა არ მოეკლო. მაგალითად, ნესტან-დარეჯანისათვის ნაგები დარბაზების შესახებ ნათქვამია:

„მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა:  
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იავუნდისა, ლალისა,  
კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა“  
(329, 1—3).

4. თამარი, ისე როგორც თინათინი, ღირსეულად იპყრობს „ცამდი ამალღებულ“ ტახტს, ვახტანგ გორგასალის, საერთოდ ვახტანგიდების („ტახტი ვახტანგეთი“) შარავანდედით მოსილს. თამარის პირველივე მმართველური ნაბიჯები ამქლავნებენ მის კარგ გაწრთვნილებას მეფობის საიდუმლოებაში, რომელიც უზრუნველჰყვეს თავისი ქალისათვის მამამისმა გიორგიმ, სახელოვანმა მამილამ რუსუდანმა. საილუსტრაციოდ აქ გამოდგება ბასილრს შემდეგი სტრიქონები:

თამარმაო „იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული“<sup>12</sup>, როგორც შთაგონებდა ღმერთი.

<sup>10</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 72.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>12</sup> ბასილი, გვ. 14.

მან „მიმოიხილა სიმახუილითა ცნობისათა თუისსა გარემო ყოველი“, თვალი მოავლო დარბაზს, ვაზირებს, ხელისუფლებს და, გვარწმუნებს ისტორიკოსი, ერთბაშად ამოიკითხა მათ თვალებში — ვინ რა შვილი ბრძანდებოდაო, „მყისსა შინა შეეძებნა, ხილვითა ოდენ, წრფელთა და დრკუთა, გულარძნითა და უმანკოთა, ერთგულთა და ორგულთა, და სიბრძნითა გონებისა თვისითა პირველად ყოველთა ზედა დასხა წყალობა უხვებით“. ეს იმ ვარაუდით, რომ საქმე როცა საქმეზე მიდგებოდა, ერთგულები მადლიერების გრძნობით გაუწევდნენ მეფეს სამსახურს, დანარჩენებს კი, უპირობეს, როცა მათ ორგულობისათვის კანონი აზღვევინებდა, სასაყვედურო არაფერი ექნებოდათ, ხმას ვეღარ დაჰბერავდენ (რადგან მათ ვერ დაუფასეს მეფეს უხვი წყალობა), ისტორიკოსის ლაპიდარული ენით, „რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით მადლიერობდნენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყუნენ მიგებისათუის სამართლისა“. ეს პრაქტიკული სიბრძნე „ვეფხისტყაოსნის“ მეფესაც მთელი სისრულით არა, მაგრამ მაინც მოსდგამს. როსტე-ვანი წესად უღებს თინათინს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების.

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“.

ხოლო გაგრძელებაში სენტენცია ასეა გამოთქმული:

„უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“...

(49, 1—3 და 50, 2).

მკითხველი კარგად გაარჩევს, რომ ბასილისთან გამოხატული ეს სიბრძნე, ასე ვთქვათ, უფრო რთულ „პოლიტიკას“ ავლენს. საერთოდ, უხვი და საყოველთაო წყალობა სამეფო პრაქტიკაში დიდ სათნოებად და მჭრელ იარაღად იყო მიჩნეული და, როგორც მოტივი, ძველ ლიტერატურაში ფართოდ არის გამოყენებული.

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“... (49, 1). — ეს პირდაპირ გამოძახილად ეღერს ბასილის გამონათქვამის მიმართ თამარის შესახებ:

„...და ვითარცა მზე, სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თვსთა შარავანდედთასა. ესრეთ წყალობითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღ(მერთ)სა“<sup>13</sup>. თამარის პორტრეტის დამუშავებით გატაცებული მისი პირველი ისტორიკოსიცი მიმართავს ამ მოხდენილ შედარებას. იგი წერს:

<sup>13</sup> ბ ა ს ი ლ ი, გვ. 35.

„ოდესმე რომელიმე აღებაძვის ზენასა მნათსა ქუენაი მნათი ვინა თუ შუენებითა უცხოათა და უსახოათა, ვინა თუ სიბრძნის-მპყრობელობითა, ვინა თუ მზეებრ უხუებითა და მომფენებითა (ნათლისათა, ვ: დ.) მართალთა ზედა და ცოდვილთა“

ზოგან სიუხვის სიმბოლოდ, მზისა ნაცვლად გამოყენებულია ღრუბელი. ბასილის სიტყვით, თამარი „კინდა და ყოველსა ზღვასა აღმოიწრედლა თვსად, ვითარცა ღრუბელი, ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წუიმათა“ (ბასილი, 36). მერმინდელ ლიტერატურაშიაც გვხვდება ამის გამოძახილი. ფინეზ მეფესაც „სიუხვე მისა ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“<sup>15</sup>.

ასეთი შეპირისპირება მკვიდრ საფუძველს იძლევა იმის დასადასტურებლად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და თამარის ისტორიკოსები ერთ მკვიდრო წრეს ეკუთვნიან, ერთ მშობლიურ-მწიგნობრულ ტრადიციებს ემორჩილებიან.

ზემოთ თქმულის თანახმად, იმის მაჩვენებელი მასალა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მკაფიო ანარეკლია საქართველოს ისტორიული სინამდვილისა, მკვლევარს არ შემოაკლდება. ჩვენი ამ მოკლე სტატიის მიზნის შესაბამისად საკმაოა, ზოგადად, პროგრამულად მოვთვალოთ კერძოდ შემდეგი რეალიები, რომელთაც უნდა ცხადყონ, რომ პოემის „საშენ“ მასალას მისი შემოქმედი იღებდა იმავე კულტურული ნიადაგიდან, საიდანაც თამარის ისტორიკოსები. აი კიდევ რამდენიმე ნიმუში:

სახელმწიფო თუ სამხედრო-საადმინისტრაციო ცნებებიდან— ვაზირი, სავაზირო; ამილახორი; მანდატური; ამირ-სპასალარი, სპასალარი, სპასპეტი; საკარგავი (336,3), „საკარგავნი მრავალნი“<sup>16</sup>, სანაპირო (163,3: სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული), სანაპირო, მონაპირენი (ბასილი, გვ. 23); მეფე, მეფეთ-მეფე, და სხვ.

5. კარგა ხანია, რაც სპეციალურ ლიტერატურაში გამოცოცხლდა ცნობილი მწიგნობრის ანტონი I-ის უწყება იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველს, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, უნდა ჰქონოდა დაწერილი აგრეთვე ისტორიული ნაშრომიც. ანტონს თავის ნაშრომში შოთა რუსთველი დასახელებული ჰყავს, როგორც „გამომთქმელი მეფის თამარის ცხოვრებისა“. ერთგან ანტონს შემდეგი საგანგებო სათაურიც მოეპოვება: „წერილთაგან შოთასთა, რომელ

14 ისტორიანი და აზმანი, გვ. 75.  
15 სიბრძნე-სიკრუსა, გვ. 1; გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1928.  
16 „მატიანე ქართლისა“, გვ. 311—„ქართლის ცხოვრება“, ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ.

აღწერა ცხოვრება მეფის თამარისა<sup>17</sup>. საკითხის შესწავლა გრძელდება, იკვლევენ საკითხს, მაინც რომელი „ცხოვრება“, რომელი ნაწარმოები შეიძლება იყოს თამარ მეფის შოთასეული „ცხოვრებაი“ (ივ. ლოლაშვილი). რაკი საქმე შოთას საისტორიო შრომის ძებნაზე მიდგა, ბუნებრივად იბადება კითხვა: იქნებ ამის შესახებ თვითონ „ვეფხისტყაოსანშიც“ იყოს მითითება.

ამის საპასუხოდ თავისებურად გავიანჯრეთ პროლოგის შემდგომი ადგილი:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული“ (4,1-2).

ცნობილია, რომ პროლოგის ეს „ქებანი“ ჩვენს სპეციალისტებს ჩვეულებრივ აგულისხმებინებს მხატვრულ ნაწარმოებს, პოეტური შემოქმედების ნიმუშს. მაგრამ ვინც იზიარებს ანტონის ზემოთ მოყვანილ ცნობას, ვფიქრობთ, მას საბაბი ეძლევა პროლოგის „ქებანი“ მიიჩნიოს თუნდ ისტორიული ხასიათის ნაშრომის მანიშნებელ სიტყვად. ჩვენი დაკვირვებით, საშუალო საუკუნეთა საისტორიოგრაფიო ტრადიციები იძლეოდა ნებას ადამიანის „ისტორია“, „ცხოვრება“ აღნიშნულიყო სიტყვითაც „ქება“, „ქებანი“ მსგავსად იმისა, რომ მაგალითად, თამარის ცხოვრების აღმწერმა ანონიმმა თვის თხზულებას დაარქვა—„ისტორიანი და აზმანი“, ხოლო აზმანი, როგორც ეს ამ ნაშრომის ცალკე გამომცემელს კ. კეკელიძესაც აქვს შენიშნული, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „გალობას“, „ქებას“. ჟღერო მეტი:

ეს საისტორიო ნაშრომი — „ისტორიანი და აზმანი“—ავტორის მიერ პირდაპირ რეკომენდებულია, როგორც თავისებური „ქებაა ქებათაა“ სოლომონ მეფისა, ერთგვარი მიბაძვა ამ უძველესი ნაწარმოებისა. იგი წერს: „...დავსცე სულამიტისა სახედ საყვრსა ქებაა ქებათაა, რომელსა იგი ჰგალობს სიბრძნითა მეიგავე სოლომონ“<sup>18</sup>. ისტორიის, „ცხოვრების“, ბიოგრაფიის წერა, ჩვენი ანონიმის შემეცნებით, იგივე ქების წერაა, ქებაა. ისტორიკოსი თამარის ისტორიის თხრობას წინ უმძღვარებს მამამისის, გიორგის, ცხოვრების აღწერას. ამ ნაწილსაც იგი იწყებს ასე: „აწ ვიწყო ქებად... შვილისა ნათელშემოსილისა (=თამარის) მამაი, გიორგი“<sup>19</sup>. ბოლოს მოჰყვება თვით თამარის „ქებასაც“, იწყებს რა მგზნებარე სიტყვე-

<sup>17</sup> ამ ცნობის წინ წამოწევა და წინასწარი კრიტიკული შეფასება იხ. ილია აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ. ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 203. ენიშის მოამბე, ტ. III, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავიანდმი. ტფ. 1938.

<sup>18</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 53.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 55.

ბით: „მკუთებელმან (მე), მსგავსად ქვისა და რკინისამან, აღმოვ-  
შობო ცეცხლი სიყუარულისა და ქებისა და სურვილისაო...“<sup>20</sup>. აქ  
ყუარადლებას იპყრობს რეალიების გამოყენების პოეტური ხერ-  
ხი: ქვისა და რკინისა (ტალ-კვესისა), რომლისა „კვეთებამ“  
დაკვესვამ უნდა აღანთოს თამარის სიყვარულის, ქების, ცეცხლი  
ისტორიკოსის მხრივ. ხოლო ქვისა (აღმასისა) და ტყვიის გრდემ-  
ლისა პოემის პროლოგში:

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ღბილისა“.

(5,4)

ჩვენ მხოლოდ პირობით ვცნობთ შესაძლებლად, აღნიშნული  
თვისების „ქებანი“ გავიგულოთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის  
შითითებულ ტაეპში (4,2).

6. მუსლიმურ, „მაჰმადიანურ“ გარემოცვაში მყოფ საქართვე-  
ლოში სპარსულის, არაბული კულტურის ელემენტები საუკუნეთა  
მანძილზე ისევე ამრავალფერებდა, ამდიდრებდა ადგილობრივს.  
ეროვნულ კულტურას, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურიც. საქარ-  
თველოს საერთაშორისო ურთიერთობანი, მეტადრე დიდი კავკასიის  
ფარგლებში დამყარებულნი, თვით ქართველი ხალხის პოლიტიკუ-  
რი წყობილება და საქმიანობა — ყოველივე ეს მოითხოვდა ქალა-  
ქების (ტფილისის, ანისის, დვინის, და სხვათა) მუსლიმი ვაჭარ-ხე-  
ლოსანი მოსახლეების ინტერესთა გათვალისწინებას, შარვანთან,  
არანთან და სხვა სახელმწიფოებთან ჩვეულებრივი დამოკიდებუ-  
ლების მოწესრიგებას. ამით იყო გამოწვეული აღმოსავლური ენე-  
ბის პოპულარობა საქართველოში, ზოგი მუსლიმური წეს-ადათის  
შემწყყნარებლობა, — იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო მტრი-  
სა და მოყვრისათვის პასუხის გაცემა.

მოვიტანოთ დამახასიათებელი ფაქტი რუსუდან დედოფლის  
საკარისგამრიგეო პრაქტიკიდან:

„ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და  
დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“ (ბასილი, გვ. 13).  
რუსუდანმა ქორწილი გადაუხადა თამარს (და დავით სოსლანს). ამ  
ქორწილში „...დედოფალი რუსუდანი ყოვლითა სიბრძნითა სავსე,  
მოქმედებდა: აქაით ბაგრატიონი ბაგრატიონთა გუარზეობითა აწ-  
ყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოფთ (=სამხრეთის მხრივ), ხუა-  
რასნისა და ერაყის სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, მუნე-  
ბურითა სახეობითა და შუენებითა მოქმედებდა“<sup>21</sup>. საგულისხმო  
ცნობაა. დიდ მეჭლისზე ეროვნულ „რიგთა“ გვერდით (ყარის გარი-

20 იქვე, გვ. 73.

21 ისტორიანი და აზნანი, გვ. 39.

გების ტრადიციული წესები, ქართული „სმა-ჭამა“, გართობა, სიმ-  
ლერა, ქორეოგრაფია) სრულდებოდა ხუარასნულ-ერაყულა „რი-  
გიც“ — ვის რა ეამებოდა.

მოტანილი ცნობაც ნათლად მოწმობს, თუ რა ~~რამდენად~~ ~~ხალხ-~~  
თისა უნდა ყოფილიყვნენ ქართველთა და მაჰმადანთა ~~ქართველთა~~  
ბანი მაშინ შექმნილ ვითარებაში. ომები თუ სავაჭრო-საწარმოო შე-  
ხვედრები და თანამონაწილეობა ან სხვა რიგის ფაქტორები მეტ-  
ნაკლებად ზრდიდა საქართველოში მუსლიმური მოსახლეობის ინ-  
ტერესთა ხვედრით წონას.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რა თქმა უნდა, ქართულ და მუსლი-  
მურ კულტურათა, სათანადო რწმენათა, შემეცნებათა აღრევას.  
იდეოლოგიური ბრძოლის უარყოფას. ვთქვათ, ქრისტეს თავისი ად-  
გილი რჩებოდა, მუჰამადს—თავისი. დიდი სიცოცხლისუნარიანო-  
ბის მქონე ქართველი ხალხი, რომელსაც საუკუნეთა დენაში მტკი-  
ცედ ჰქონდა შეთვისებული საკუთარი კულტურის ობიექტური  
უპირატესობა, რომელიც ნეოპლატონიკური ფილოსოფიის სიმალ-  
ლეებიდან გონების თვალთ განიცდიდა მუსლიმობის დიდ ჩამორ-  
ჩენა-შეზღუდულობას, მოპირდაპირის ძალებს ფაქიზი იუმორითაც  
აფასებდა. ეს გამოსჭვივის „ვეფხისტყაოსანშიც“ და თამარის ისტო-  
რიკოსებთანაც. პოემის „ამბავში“ მუსლიმანთა თითქოს დიდა  
ცოდნა-სიბრძნის საპატიო წარმომადგენლები — მუყრნი და მუ-  
ლიმნი სასაცილო როლში გამოდიან, თითქოს ყველას მხსნელი „მუ-  
საფი“ (სალოცავი წიგნი) მათ განსაცდელს ეამს ვერავითარ შემწე-  
ობას აძლევს, მხოლოდ სისულელეს „აჩმახვინებს“ (351, 1-3). სა-  
გულისხმოა, რომ თვით მაჰმადის სახელიც პოემის ავტორს არც  
თუ დიდად საპატიო კონტექსტში მოჰყავს. ერთგან მუსლიმი ვაჭ-  
რები აცხადებენ:

„გარდახდა, ჰკადრეს: ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი.

მაჰმადის სჯულის მჭირაენი, აროდეს გვისვამს მაჭარნი“  
(1031, 1-2). აქ ქლერს თავშეკავებული ირონია — მაჰმადის სჯუ-  
ლის მოთხოვნათა აზრი ასეთი ფუქსავატიყო.

თამარის ისტორიკოსებთანაც აგრეთვე: პირველი ისტორიკო-  
სი, მაგალითად, ამბობს მუსლიმი მფლობელს — მუტაფრიდინის  
შესახებ (რომელიც არზრუმის მეპატრონეთაგანი უნდა ყოფილი-  
ყო), რომ მან, თამარის ქმრობის მიძებნელმა, ყველაფერზე ხელი აი-  
ლო, დააგდო თვით „მუჰამედის სჯული ტყუილიო“<sup>21</sup>.

საქართველოს გააქტივებული საგარეო პოლიტიკის შედეგად  
შევიწროებული მუსლიმობის მდგომარეობის დასახასიათებლად ის-

<sup>21</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 86.



ტორიკოსს დამცრობილ როლში გამოჰყავს სულიერი მეუფეც მუსლიმანობისა, ხალიფა — „თუით იგი ხალიფა შეშინებული“, შეშინებული „და მოაჯე“, შემწეობის მთხოვნელი „ქუე-ჯდომით მოჰმედისაგან“. თვით ხალიფა მათებური წეს-ჩვეულებით ჯდომელა („ქუე-ჯდომით“) ითხოვს ხსნას მოჰმედისაგან (და არა „მოჰმედისაგან“, როგორც ეს, ვფიქრობთ, შეცდომით იკითხება დეკანოზის მიერ).

ამ ჩვენმა სტრიქონებმა მოითხოვა, და ამიტომ ზედიზედ გამოვიყენეთ ცნებები — მაჰმადიანნი, მუსლიმნი, რომელნიც შუა საუკუნეთა ქართველ ისტორიკოსებთან იხსენიებიან, როგორც „მუსულმანნი“<sup>23</sup>, „მუსურმანნი“<sup>24</sup>, „მოჰმადიანნი“ (იქვე, შდრ. მოჰმედი), „ისლემთა ერი“<sup>25</sup>, „ისლემნი“<sup>26</sup>, „სარკინოზნი“<sup>27</sup>. გიორგი III-მ „აღჭურვა მკლავნიცა მუსრავად და მოწყუედად წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მაჰმადიანთა“<sup>28</sup>. აქ მოთვლილი სახელები უმეტესად სარწმუნოებრივი მიკუთვნების ნიშანს ატარებენ წარმოშობილი და ფარავს სამუსლიმო აღმოსავლეთს საერთოდ. მაგრამ ჩვენს წყაროებში, რა თქმა უნდა, გვხვდება ეთნიკური სახელებიც. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ეპოქა ხასიათდება ახლო აღმოსავლეთში თურქობის, სელჩუკ თურქთა ბატონობით. მაგრამ თურქთა ეთნიკური სახელი თამარის ისტორიაში ჩვეულებრივ გამოყენებულია მცირე აზიის („რუმის“) სასულტნოს მიმართ, კარის, ანუ ყარსის ომთან დაკავშირებით<sup>29</sup>. თუმცა იქვე იხსენიებიან თურქნი „გარმიანისანი“, უთუოდ — ქირმანისანი<sup>30</sup>, „ლაშქარნი არანისა (აზ. სსრ მტკვრის სამხრ. ნაწ. — ვ. დ.) და გელაქუნისა თურქთანი“<sup>31</sup>, ხლათის ქვეყნისა, „შაჰარმენის ლაშქრის“ მოლაშქრენი<sup>32</sup> და სხვ.

თამარის „პირველი“ ისტორიკოსი, თურქთა სახელის არაერთხელ გამომყენებელი, იცნობს ტერმინსაც — „სელჩუკიანი“ (გვ. 87). თამარის ლაშქართა ძალისაგან, წერს ისტორიკოსი, მტერი ისე იყო დამფრთხალი, რომ „ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკვრის პირსა საძოვარსა აწყენდეს“<sup>33</sup>.

22 ბასილი, გვ. 19.

23 ისტორიანი და აზმანი, გვ. 56.

24 ბასილი, გვ. 25.

25 იქვე, გვ. 26.

26 ისტორიანი და აზმანი, გვ. 106.

27 იქვე, გვ. 58.

28 ისტორიანი და აზმანი, გვ. 56.

29 იქვე, გვ. 124.

30 იქვე, გვ. 57, 82.

31 იქვე, გვ. 82.

32 იქვე, გვ. 96.

33 ბასილი, გვ. 23.

უფრო ფართოდ არის ნახმარი სპარსთა სახელი — როგორც „პირველ“ ისტორიკოსთან, ისე ბასილისთანაც. გვხვდება „სპარსეთის“ ანტიკური ხანის სახელიც — „ქუეყანაჲ პართთაჲ“<sup>34</sup>; ბასილიმ იცის „ერანელნიც“ (გვ. 21). ჩვეულებრივი მაინც არის „სპარსი“ და მისგან ნაწარმოები სახელები.

საქართველოს მოპირდაპირე მხარედ — მაშინ გაბატონებული, ტრადიციული ტერმინოლოგიით — გამოდიან არა თურქნისელები, არამედ — „სპარსნი“ (თუმცა ესენი, პირიქით, თვითონ იყვნენ თურქ დამპყრობთაგან დაძალებულნი). ამიერკავკასიის საზღვრებზე საქართველოს მხედრობის ხშიერი გამარჯვებების შედეგად „შეიწრდეს ყოვლით კერძონი სპარსნი“<sup>25</sup>. რუმის ძლიერ სულტანს რუკნედდინს, სელჩუკიანს, ცხადია, შეეძლო განსაცდელის უამს გამოსარჩლებოდა არა „სპარსელებს“, არამედ მათზე გაბატონებულ სელჩუკ ათაბაგებს, ამირებს, ბასილის ენაზე კი — რუკნედდინი („ნუქარდინი“) ვითომ აღუშფოთებია ქართველთაგან „სპარსეთის“ დაჩაგვრას და თამარის კარისთვის მიუმართავს ულტიმატუმით: „აწ მე მოვალ, რათა ვუსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა“ და ა. შ.<sup>36</sup>

ყველა ამის გამო ბუნებრივად გვეჩვენება, რომ მსგავსი მტრული განწყობილება „სპარსეთთან“, ეს ანტაგონიზმი „სპარსთა“ მიმართ თავის გამოძახილს პოულობს „ვეფხისტყაოსანშიც“, როგორც თანამედროვეობის ფართოდ ამსახველ ძეგლში.

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი ვაგვიხასდენ“ (540.4)

აქ ჩაქსოვილი ეპოქალური ზრუნვა საკუთარი თვითმყოფობის დაცვაზე, სულის მოძრახობის ზრდასთან ერთად, იძენს საბრძოლო ლოზუნგის ძალას შემდგომ ცნობილ ტაეპებში:

„ჰკადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,

„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“, და ა. შ. (544, 2-3).

საგულისხმოა, რომ რუსთველი ერთმანეთისაგან ასხვავებს ეთნიკური მოდგმის აღმნიშვნელ სახელს, ერთი მხრივ, და ამ მოდგმის წარმომადგენელ ცალკეულ ხალხებს, მეორე მხრივ. ავტორი, რომელიც თვითონვე ზუსტ სახელს სდებს ამ „სპარსებს“. რომელიც მათ მათივე კუთვნილი სახელით მოიხსენიებს: „ხვარაზმელნი“ (550,3), აღნიშნულ ტაეპში (544,2-3) ირჩევს მათი მოდგმის აღმნიშვნელი ზოგადი ცნება იხმაროს — „სპარსნი“, სწო-

<sup>34</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 83.

<sup>35</sup> ბასილი, გვ. 19.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 26.

ქაფალორინ, ქამან ვქ ნახი ხრ-  
ქარორიქ ქაფალორინ ვაღთა-  
ფიქი ჭქ ქანჯაკალ რნჟ აყარქიყან  
ხ ხქინ ან ქაფალორინ...»:

ვანედევანა მეფე და მისი სამფ-  
ლობელო დაეპყრო. მართლაც,  
იგი, თხოვნისამებრ, მრავალრიც-  
ხოვანი ჯარით წაშორვიდა და შეფის  
საზღვრებს მოსდგა. მაგრამ, რო-  
ცა თვალით იხილა ის ლაშქარი,  
მისი სიმრავლისაგან თავგზააბნე-  
ული ჩუმად უკან გაბრუნდა.

ამასობაში მეფის ჯარი თავს  
დაესხა ძორაგეტის მხარეში გამა-  
გრებულთ, ძალით აიღო მრავალი  
სიმაგრე და იავარპყო მთელი ქო-  
ნება, (და ასე იქცეოდა), სანამ  
ყველანი ძალაუნებურად არ და-  
მორჩილდნენ და არ დათმეს ცი-  
ხე-სიმაგრეები. როდესაც დახმა-  
რების იმედი ყოველი მხრიდან  
ამოიწურა, რადგან თვისტომნიც  
გადაუდგნენ (ივანეს) და მეფეს  
დამორჩილდნენ... შევიწროებულ-  
ნი და ილაჯგაწყვეტილნი, პატი-  
ების ფიცით დაიმედებულნი, გა-  
რეთ გამოვიდნენ და თალხად შე-  
მოსილნი ვანრთხმულნი წარუდგ-  
ნენ მეფეს,—მით უმეტეს, რომ  
მეფის ძმისწული ფარულად ჩა-  
მოვიდა ზღუდებზე გოდრით და  
მივიდა მეფესთან..

ოლიგ შუშუნაძე

## საქართველოსა და რუსეთის პატივმოყვანის ისტორიიდან XII საუკუნეში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ გამხდარა კვლევის საგანი ან სათანადო სისრულით არ არის შესწავლილი. ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნება საქართველოსა და კიევის სამთავროს ურთიერთობა XII ს. შუა წლებში, რის შესახებაც ცნობები შემონახულია ძველ რუსულ მატრიანეებში.

1153 წლის ამბებში იპატის მატრიანე გადმოგვცემს, რომ „იმავე შემოდგომით მამამ (კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ — ო. ე.) გაგზავნა თავისი ძე მსტისლავი ვლადიმირ ანდრიას ძესა და ბერენდეიჩებთან ერთად მისი სადედინაცვლოს შესახვედრად; ისინი მივიდნენ ოლეშიემდე, მაგრამ ვერ ნახეს იგი და უკან დაბრუნდნენ“<sup>1</sup>. ამ ცნობიდან არ ჩანს, თუ ვინ იყო იზიასლავ მსტისლავის ძის საცოლე, რომლის შესახვედრადაც გაგზავნა მან თავისი შვილი მსტისლავი. სამაგიეროდ მატრიანეს ე. წ. აღდგომის მონასტრის ნუსხაში, 1153 წ. ამბებში გვხვდება სათანადო განმარტება. იქ ნათქვამია, რომ იზიასლავი თავის მეორე ცოლს ობეზთავან, ე. ი. საქართველოდან მოეღოს<sup>2</sup>. 1154 წ. იპატის მატრიანე კვლავ მოგვითხრობს იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინების ამბავს: „წელსა 6662-სა იზიასლავმარომელმაც წამოიყვანა ობეზთავან ცოლად მეფის ასული, ხელმეორედ გაგზავნა სადედინაცვლოს შესახვედრად თავისი შვილი მსტისლავი. შეეგება რა მას ჭორომებთან, მსტისლავმა მიიყვანა ის კიევეში, თვით კი პერეიასლავში წავიდა. ხოლო იზიასლავმა შეირთო იგი ცოლად და გადაიხადა ქორწილი“<sup>3</sup>. მოტანილი ცნობიდან აშკარა ხდება,

<sup>1</sup> „На ту же осень посла отец Мьстислава против мачесе с Володимером Андреевичем и с Берендичи, и ходиша до Олешья; и не обрете ей воротитас“. (Полное собрание русских летописей (შებლევა ПСРЛ), ტ. II, იპატის მატრიანე, СПб, 1908, გვ. 465).

<sup>2</sup> „Послал бо быше Изяслав по другую жену себе во Обезы“. (ПСРЛ, ტ. VII, СПб, 1856, გვ. 60).

<sup>3</sup> „В лето 6662. Посла Изяслав второе сына своего Мьстислава противу мачесе свои, бе бо повел из Обез жену себе цареву дщерь, и срете ю в порозех, приведе ю Киеву, а сам иде в Переяславль. Изяслав же поя ю себе жене и учини сватбу“. (იპატის მატრიანე, გვ. 468).

რომ კიევის დიდი მთავარი იზიასლავი 1154 წ. ქართველი მეფის ასულზე დაქორწინებულა.

კარგა ხანია, რაც ამ ცნობამ ისტორიკოსთა ყურადღება მიიპყრო. ვ. ტატიშჩევი<sup>4</sup> და პ. ბუტკოვი<sup>5</sup> იზიასლავის მიერ ქართველი მეფის ასულის ცოლად შერთვას ამ უკანასკნელის სილამაზითა და კეთილზნაიანობით ხსნიდნენ. ი. ცინცაძე შენიშნავს, რომ იზიასლავის დაქორწინების ამგვარი ახსნა უსაბუთოა. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეფეებსა და მთავრებს შორის დამოყვრება იმ დროს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური შინაარსის მქონე აქტს წარმოადგენდა. ი. ცინცაძე ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ქართველი ხელისუფალი საერთაშორისო ურთიერთობაში მეფედ იყო ცნობილი. „კიევის მთავრისათვის „მეფის“ ქალის შერთვა უდავოდ მიზიდველი უნდა ყოფილიყო. იმ დროს ამ გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს ქართველი ხელისუფალი მართლმადიდებელი ქრისტიანი მეფე იყო“<sup>6</sup>. ი. ცინცაძემ მეფის ასულის ვინაობის დადგენაც სცადა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ან დემეტრე I-ის ასული<sup>7</sup>.

კიევის მთავრის ქართველი მეფის ასულზე დაქორწინების კონკრეტული მიზეზები ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული იზიასლავ მსტისლავის ძის ქართველი მეფის ასულზე დაქორწინება.

საამისოდ, ჩვენი აზრით, გავთვალისწინებულ უნდა იქნეს იმდროინდელი კიევის რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

XI ს. დამლევს და XII ს-ის დამდეგს კიევის რუსეთის ერთიანი სახელმწიფო ირღვევა და მის ტერიტორიაზე იქმნებიან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სამთავროები — „ნახევრადსახელმწიფოები“. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც იაროსლავ ბრძენის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო და გრძელდებოდა XV ს-მდე, როდესაც ქვეყნის საწარმოო ძალთა ზრდის შედეგად მომზადდა ეკონომიური პირობები ფეოდალური დაქსაქსულობის დასაძლევად.

ფეოდალური დაქსაქსულობა კანონზომიერ ისტორიულ ეტაპს, ფეოდალური წარმოების წესის განვითარების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. ამიტომ ქვეყნის განვითარების ეს ეტაპი პროგრესუ-

<sup>4</sup> В. Н. Татищев, История Российская с самых древнейших времен, М., 1774, т. 3, гл. 76 — 77.

<sup>5</sup> „Северный Архив“, СПб, 1825, № 13, № 1, гл. 320.

<sup>6</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 184, 185.

<sup>7</sup> ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172-176.

ლი მოვლენა განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთზე<sup>8</sup>. მისთვის და მახასიათებელია დაქსაქსულობისა და ცენტრალიზაციის ძალთა შორის ბრძოლის დიალექტიკური წინააღმდეგობა. რის შედეგადაც ერთიანი სახელმწიფოს წარმოშობის პირობები იქმნება. დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის მომხრე ძალთა შორის ბრძოლა რუსეთში განსაკუთრებული სიმძაფრით XII ს-ის შუა წლებში განიშალა. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ცენტრალიზაციის ძალებს ჯერ კიდევ კიევი ხელმძღვანელობს, ხოლო დეცენტრალიზაციის ძალები წარმოდგენილია რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სამთავროებით. ამ ბრძოლაში კიევი საბოლოოდ კარგავს თავის პრივილეგიებს, ეკონომიურს პოლიტიკური დაქვეითებაც მოსდევს, ხოლო რუსეთის ვაერთიანებისათვის ბრძოლის დროშა ჩრდილო-აღმოსავლეთ სამთავროების ხელში გადადის და, ამრიგად, უკვე XIII ს-ის დამდეგისათვის ცენტრალიზაციის მომხრედ გვევლინება ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, კიევის მიერ პირველობაზე პრეტენზიების განცხადება კი ანაქრონიზმად იქცა. ასეთია ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი და შედეგები. აღნიშნულ ბრძოლაში მონაწილე მხარეების ძალთა თანაფარდობის გაგებისათვის საჭიროა მისი განხილვა იმ დროის საერთაშორისო ურთიერთობათა ფართო ფონზე. ამავე დროს აუცილებელია რუსეთ-ბიზანტიის საეკლესიო-პოლიტიკური ურთიერთობის გათვალისწინებაც, ვინაიდან ამ ორი ქვეყნის საეკლესიო ურთიერთობის ქვეშ იმალებოდა რუსეთის ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. და ურთიერთობის სწორედ ეს მხარე წარმოადგენდა XI-XII სს-ში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გადაუჭრელ პრობლემას<sup>9</sup>.

<sup>8</sup> იხ. Б. Д. Греков, Главнейшие этапы в истории крепостного права в России, М.-Л., 1940, გვ. 19; იხ. აგრეთვე Л. В. Черепнин, Основные этапы развития феодальной собственности на Руси (до XVII в.), „Вопросы истории“, 1953, № 4, გვ. 51.

<sup>9</sup> ამის შესახებ იხ. М. Д. Приселков, Русско-византийские отношения в XI-XII вв., ВДИ, 1939, № 3, გვ. 104; მისივე, Очерки по церковно-политической истории Киевской Руси X—XII вв.; СПб, 1913, გვ. 80—82, 88—90, 93—95, 128—130 და სხვ. Д. С. Лихачев, Национальное самосознание древней Руси, М.-Л., 1945, გვ. 16; მისივე, Русские летописи и их культурно-историческое значение, М.-Л., 1947, გვ. 44, 48. В. В. Мавродин, Образование древнерусского государства, М.-Л., 1945, გვ. 367; მისივე, Древняя Русь, М., 1946, გვ. 262—263. М. В. Левченко, Очерки по истории русско-византийских отношений, М.-Л., 1956, გვ. 394, 395 და სხვა. И. У. Будовниц, Общественно-политическая мысль древней Руси, М., 1960, გვ. 62.

იზიასლავ მსტისლავისძემ 1146 წ. 13 აგვისტოს დაიკავა კიევის ტახტი<sup>10</sup>. დლიდან კიევში შესვლისა, იწყება მისი ბრძოლა გასლურე-ბულ ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სამთავროებთან. ამ ბრძოლაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი: 1) 1146-1149 წწ. — იზიასლავ მსტისლავის ძე წინააღმდეგობას უწევს კიევის მტრებს და ფლობს კიევს. 2) 1149-1151 წწ. — იზიასლავი განდევნილია კიევიდან, მაგრამ განაგრძობს სასტიკ ბრძოლას კიევის დაბრუნებისათვის. 3) 1151-1154 წწ. — იზიასლავი მტკიცდება კიევში, აერთიანებს მის ირგვლივ სამხრეთ-რუსეთის სამთავროებს და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთზე გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადება.

ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებზე ძალთა განლაგება არაერთხელ იცვლებოდა, მაგრამ მისი ძირითადი მიმართულება — ბრძოლა ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთის კოალიციებს შორის, უცვლელი რჩებოდა.

იზიასლავ მსტისლავის ძეს მხარს უჭერდნენ ვლადიმირ და იზიასლავ დავიდოვიჩები, სვიატოსლავ ვსევოლოდის ძე, რიაზანის მთავარი როსტისლავ იაროსლავის ძე, სმოლენსკის მთავარი როსტისლავ მსტისლავის ძე. მის წინააღმდეგ კოალიციას შეადგენდნენ იური ვლადიმირის ძე დოლგორუკი, სვიატოსლავ ოლგოვიჩი, ივანე როსტისლავის ძე ბერლადნიკი<sup>11</sup>, ხოლო 1149 წლიდან — ვლადიმირკო გალიციელი<sup>12</sup>. 1147 წ. ვლადიმირ და იზიასლავ დავიდოვიჩებმა ულალატეს იზიასლავს და იური დოლგორუკის მხარეზე გადავიდნენ<sup>13</sup>.

ბრძოლა, რომელიც რუსეთში მიმდინარეობდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული XII ს-ის საერთაშორისო ვითარებასთან. ორივე დაჯგუფებას მოკავშირეები გააჩნდა რუსეთის საზღვრებს გარეთ. იზიასლავ მსტისლავის ძე ეყრდნობოდა უნგრეთს, ჩეხეთს, პოლონეთსა და იტალიელ ნორმანებს, ხოლო იური ვლადიმირის ძე და მისი მოკავშირე ვლადიმირკო გალიციელი — ბიზანტიას<sup>14</sup>.

აფასებდა რა აღებული ხანის საერთაშორისო მდგომარეობას, ვასილევსკი აღნიშნავდა: „აქ აღმოსავლეთში, ძალთა განლაგება ისეთი იყო, რომ თითოეულს თავისი მტრის და მეზობლის ზურგს უკან მეგობარი და მოკავშირე ჰყავდა. ბიზანტია იყო უნგრეთთან მტრო-

<sup>10</sup> ПСРЛ, т. II, изъятисъ матіане, гл. 327.

<sup>11</sup> изъятисъ матіане, гл. 328-331, 332.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 376.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 343-345.

<sup>14</sup> იხ. М. Грушевський, Історія України — Руси, т. II, Львів, 1905, გვ. 153, 154.



ბაში და გალიჩთან კავშირში; უნგრეთი გალიჩთან მტრობაში და იზიასლავ კიეველთან — კავშირში; გალიჩი იზიასლავთან მტრობაში და იური დოლგორუკისთან — კავშირში<sup>15</sup>.

ამ რთულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში იზიასლავ მსტისლავისძემ გადადგა იმ დროისათვის მეტად უჩვეულო და გაბედული ნაბიჯი, რომელთანაც, როგორც ვფიქრობთ, დაკავშირებული უნდა იყოს მისი ქორწინებაჲ ქართველთა მეფის ასულთან. კიევის მთავრის რჩევით რუსი ეპისკოპოსების საეკლესიო კრებამ, ბიზანტიელ პატრიარქთან შეუთანხმებლად მიტროპოლიტად აირჩია კლიმენტ სმოლიატიჩი — წარმოშობით რუსი. (უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე კიევის მიტროპოლიტებად, ერთი შემთხვევის გამოკლებით, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ბერძნები).

მატიანე მომხდარ ამბავს ასე გადმოგვცემს: „დასვა იზიასლავმა მიტროპოლიტად კლიმი სმოლიატიჩი, გამოიყვანა რა იგი ზარუბიდან, სადაც იგი სქემოსან ბერად იყო (შემდგარი). იყო იგი მწიგნობარი და ფილოსოფოსი, როგორიც მანამდე რუსეთს არ ჰყოლია“<sup>16</sup>.

კლიმენტ სმოლიატიჩის მიტროპოლიტად არჩევა მოხდა 1147 წ. 7 ივლისს. ე. ი. იზიასლავ მსტისლავის ძის კიევეში შესვლის წლისთავზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კიევის ახალი მთავარი ამ ხნის განმავლობაში ებრძოდა თავის პოლიტიკურ მტრებს და, აგრეთვე, მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შინაოპოლიტიკური აქტის მომზადებას დრო სჭირდებოდა, დავრწმუნდებით, რომ ერთი წლის ვადა, რომელიც აშორებს კლიმენტ სმოლიანტიჩის მიტროპოლიტად დასმას იზიასლავის კიევეში დამკვიდრებისაგან. არც თუ ისე დიდია. იზიასლავი ამ ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა, რათა კიევის სამიტროპოლიტო ტახტზე, რომელიც 1145 წლიდან, მიტროპოლიტ მიქაელის კონსტანტინოპოლში წასვლის შემდეგ<sup>17</sup>, ვაკანტური იყო, თავისი, წარმოშობით რუსი, კანდიდატი დაესვა.

იმის შესახებ, თუ რა მიზანს ემსახურებოდა იზიასლავს მსტისლავის ძის მიერ კლიმენტის მიტროპოლიტად დასმა, სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მოსაზრებაა გამოთქმული. ვ. ვასილევსკის, ნ. ნი-

<sup>15</sup> В. Г. Васильевский, Из истории Византии в XII в. «Славянский сборник», т. II, СПб, 1877, стр. 235.

<sup>16</sup> «...постави Изяслав митрополитом Клима Смолятича вывед из Заруба, бе бо черноризчъ скимник и бысть книжник и философъ так якоже в Руской земли не бяшетъ». იპატის მათიანე, გვ. 340.

<sup>17</sup> ПСРЛ, т. IX. ნიკონის მათიანე, СПб, 1862, გვ. 168.

კოლსკის, მ. პრისელკოვს, მ. ლევშენკოს, ი. ბუდოვნიცს<sup>18</sup> და სხვებს მიანიხიათ, რომ ამ აქტის იზიასლავი რუსული ეკლესიისათვის ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. მიტროპოლიტის რუს ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაზე არჩევის ახალი წესის შემოღებით მას უნდოდა შეეზღუდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის უფლება, რომლის საფუძველზე ეს უკანასკნელი წარმოებდა რუსი მიტროპოლიტების დანიშვნას და ხელდასმას.

განსხვავებული აზრისაა ე. გოლუბინსკი<sup>19</sup>, რომელიც კლიმენტ სმოლიატიჩის მიტროპოლიტად არჩევას აფასებს, როგორც რუსული ეკლესიის ისტორიის შემთხვევით, კერძო ეპიზოდს. მისი შეხედულებით, იზიასლავი უკმაყოფილო იყო მიტროპოლიტ მიქაელის მოქმედებით, რომელმაც 1145 წ. დატოვა კიევი და თავისი იქ არ ყოფნის დროს აკრძალა ეკლესიებში წირვა. გარდა ამისა, აღნიშნავს ე. გოლუბინსკი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი აგვიანებდა რუსეთში ახალი მიტროპოლიტის გამოგზავნას. ყოველივე ამის გამო, გადადგა იზიასლავ მსტისლავის ძემ იმ დროისთვის უჩვეულო ნაბიჯი. ე. გოლუბინსკის აზრით, იზიასლავ მსტისლავის ძე არ ფიქრობდა მიტროპოლიტთა არჩევის არსებული წესის შეცვლას და კლიმენტის დანიშვნა მხოლოდ კერძო შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იზიასლავ მსტისლავის ძის მიერ მიტროპოლიტად, წარმოშობით რუსის, კლიმენტ სმოლიატიჩის, დანიშვნა, სცილდებოდა წმინდა საეკლესიო საკითხის ჩარჩოებს. ამ ფაქტით იზიასლავი ცდილობდა გადმოებირებინა ის მთავრები, რომლებიც რუსული ეკლესიის კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების მომხრენი იყვნენ. ამით მას სურდა საყრდენი შეექმნა თავისი გამაერთიანებელი პოლიტიკისათვის, მოეპოვებინა მოკავშირენი იმ ეპისკოპოსთა სახით, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ბერძენ მიტროპოლიტთა ბატონობით და, ბოლოს, გული მოეგო მოქალაქეებისა. განსაკუთრებით მათი ზედა ფენის, რომელსაც ის არა ერთხელ ეყრდნობოდა თავისი მოღვაწეობის დროს. გარდა ამისა, ფეოდალური დაქსაქსულობის, მთავართა შორის ურთიერთობის გამწვავების, პოლიტიკურ კავშირთა უკიდურესი უმდგარლობისა და დღემოკლეობის პირობებში, იზიასლავ მსტისლავის ძისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აუცილებელი იყო ერთგული მოკავშირე, უმაღლესი სა-

<sup>18</sup> В. Г. Васильевский, *дасახ. ნაშრ.*, გვ. 235. Н. Никольский, *О литературных трудах митрополита Климента Смолятича писателя XII в.*, 1892, გვ. VII. М. Д. Приселков, *дасახ. ნაშრ.*, გვ. 375, 378. М. М. Левченко, *дасახ. ნაშრ.*, გვ. 483. И. У. Будовниц, *дасახ. ნაშრ.*, გვ. 406.

<sup>19</sup> Е. Е. Голубинский, *История русской церкви*, ტ. I, ნაწ. 1, М., 1901, გვ. 302, 303, 315.

სულიერო ძალაუფლების წარმომადგენლის, — მიტროპოლიტის სუ-  
ხით. ასეთია, ჩვენი აზრით, კლიმენტ სმოლიატიჩის მიტროპოლიტად  
არჩევის შინაპოლიტიკური პირობები.

რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, კლიმენტის მიტროპო-  
ლიტად დანიშვნა, როგორც ჩანს, გამოხატავდა პროტესტს იმის  
დოღგორუქისა და ვლადიმირკო გალიციელის პრობიზანტიკურ  
კლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ და რუსეთის ეროვნული დამოუ-  
კიდებლობისათვის ბრძოლის მოწოდებას წარმოადგენდა. კლიმენტ  
სმოლიატიჩის არჩევა რომ არ იყო შემთხვევითი, არამედ ყო-  
ველმხრივ მოფიქრებულ პოლიტიკურ ღონისძიებას წარმოადგენდა,  
ამას მოწმობს, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების  
თვალსაზრისით მეტად მოხერხებულად შერჩეული სიტუაცია.

ახასიათებდა რა ბიზანტიის იმპერიის მდგომარეობას XII ს.  
შუა წლებში, ვ. ვასილივესკი წერდა: „ბიზანტიამ, კომნინთა გვარის  
ორი წინამორბედი ხელმწიფის (ალექსი 1081-1118; იოანე 1118-  
1143) უნარიანი მმართველობისა და მათი პირადი ენერჯის წყალო-  
ბით, სიძლიერისა და ბრწყინვალეების იმ ზომას მიაღწია, რომელზე-  
დაც ის დიდი ხანია აღარ მდგარა და რომელიც მესამე კომნინის შემ-  
დეგ (მანუილი 1143-1181) აღარასოდეს უხილავს<sup>20</sup>“.

მაგრამ, თუ გადავხედავთ XII ს. 40-იანი წლების მიწურულისა  
და 50-იანი წლების დამდეგის ბიზანტიის ისტორიას, ე. ი. იმ ხანისა,  
როდესაც კლიმენტი იყო დასმული მიტროპოლიტად, დავრწმუნდე-  
ბით, რომ სწორედ ამ პერიოდში განიცდიდა იმპერია მნიშვნელოვან  
სიძნელეებს და ამიტომ არ ჰქონდა შესაძლებლობა აქტიურად ჩაი-  
რეულიყო რუსეთის შინაურ საქმეებში.

1147 წ. იწყება მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა და სამხრეთ  
ნორმანთა თავდასხმა, როყერ II-ის მეთაურობით, ბიზანტიის სამ-  
ფლობელოებზე<sup>21</sup>. 1148 წ. ყივჩაყთა ურდომ დუნაი გადალახა და  
იმპერიის ჩრდილო ნაწილი დაარბია<sup>22</sup>, 1149 წ. დაიღო ბიზანტიის სა-  
წინააღმდეგო ხელშეკრულება როყერ II-სა და ჰეიზა II-ს შორის<sup>23</sup>.  
იმავე წელს ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას იწყებს  
სერბეთი, რომელიც ნორმანებსა და უნგრეთს შორის დადებულ კავ-  
შირს ეყრდნობა<sup>24</sup>. 1150 წ. ევროპაში მესამე ჯვაროსნული ლაშ-  
ქრობის მზადება დაიწყო. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ ამ  
ლაშქრობის მიზანს კონსტანტინოპოლის აღება წარმოადგენდა.

20 В. Г. Василевский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 213.

21 იქვე, გვ. 215.

22 იქვე, გვ. 220.

23 იქვე, გვ. 233.

24 იქვე, გვ. 237.

1150-1154 წწ. განმავლობაში ბიზანტია აწარმოებს ბრძოლას სერბეთთან და უნგრეთთან<sup>25</sup>. მხოლოდ 1154 წ. შემდეგ შეიცვალა სერბთაშორისო ვითარება ბიზანტიის სასარგებლოდ.

XII ს. 40-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი ამბების ზოგადად მიმოხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ მანუილ კომნინის მეფობის პირველ წლებში იმპერიის მდგომარეობა არც თუ ისეთი სახარბიელო იყო.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ პატრიარქ მიქაელ ოქსიტის გარდაცვალების შემდეგ (1146 წ.) მისი მემკვიდრე კოზმა ატიკი ძალიან მალე იქნა გადაყენებული და თითქმის მთელი 1147 წ. განმავლობაში საპატრიარქო ტახტი თავისუფალი იყო. მხოლოდ ამავე წლის დეკემბერში დაიკავა იგი ნიკოლოზ მუხალონმა<sup>26</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ იზიასლავ მსტისლავის ძე შესანიშნავად ერკვეოდა XII ს-ის შუა წლების რთულ სერბთაშორისო ვითარებაში და ამიტომაც იყო, რომ სამიტროპოლიტო ტახტზე თავისი კანდიდატის არჩევა შეუფარდა იმ მომენტს, როდესაც იმპერია განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდიდა. კლიმენტ სმოლიატიჩის პიროვნების გაცნობა აგრეთვე გვარწმუნებს იმაში, რომ მისი არჩევა არ წარმოადგენდა შემთხვევით ამბავს.

შესაფერის კანდიდატს, როგორც ჩანს, გულდასმით და დიდხანს ეძებდნენ (1146 წ. აგვისტოდან 1147 წ. ივლისამდე). სმოლენსკის ზარუბის მონასტრიდან გამოყვანილი კლიმენტი სამიტროპოლიტო ტახტზე აიყვანეს არსებული საეკლესიო წესის დარღვევით, რომლის თანახმად სქემოსანი ბერი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მიტროპოლიტად<sup>27</sup>.

მიტროპოლიტთა დახასიათებაში ჩვეულებრივად სიტყვაძვირი რუსული მატიანეები კლიმენტზე საუბრის დროს არ იცავენ ამ წესს. მაგალითად, იპატის მატიანეში აღნიშნულია, რომ კლიმენტის მსგავსი მწიგნობარი და ფილოსოფოსი მანამდე არ ჰყოლია რუსეთს<sup>28</sup>. ნიკონის მატიანე კი გვამცნობს, რომ მან ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები დატოვა<sup>29</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მატიანეები არაფერს გადმოგვცემენ ძველი რუსეთის დიდი მწერლების, ილარიონისა და კირილე ტუროველის, ლიტერატურული მოღვაწეობის

<sup>25</sup> იქვე, გვ. 245—259.

<sup>26</sup> М. Грушевский, Очерк истории Киевской земли, гв. 360. იხ. აგრეთვე, Е. Е. Голубинский, დასახ. ნაშრ., გვ. 301, შენიშვნა 2.

<sup>27</sup> Е. Е. Голубинский, დასახ. ნაშრ., გვ. 306, შენიშვნა 2.

<sup>28</sup> იპატის მატიანე, გვ. 340.

<sup>29</sup> ნიკონის მატიანე, გვ. 172: "...и много писания написав предаде".

შესახებ, აშკარა გახდება, რომ თანამედროვეთ მიტროპოლიტი კლიმენტი გამოჩენილ ლიტერატურულ მოღვაწედ მიაჩნდათ. გარდა ამისა, მემატთანე არ დაჩენილა გულგრილი კლიმენტის პოლიტიკური მრწამსის მიმართ, რომელიც, ჩანს, თვით მემატთანის პოლიტიკური შეხედულებებს ემთხვეოდა.

მემატთანის ამგვარი დამოკიდებულება კლიმენტისადმი აიხსნება იმით, რომ მატთანე კიევის მღვიმის მონასტერში იწერებოდა<sup>30</sup> და მისი ავტორისათვის, რომელიც ამ მონასტრის ეროვნულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი, იზიასლავ მსტისლავის ძისა და კლიმენტის მისწრაფება რუსული ეკლესიის ნაციონალიზაციისაკენ ახლობელი და ადვილად გასაგები იყო.

ამის გამო შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მემატთანე მიკერძობას იჩენს კლიმენტის მიმართ. მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მისმა ერთმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა «Послание, написано Климентом митрополитом русским Фоме прозвитеру, истолковано Афонасием мнихом»<sup>31</sup>, საიდანაც ჩანს, რომ მიტროპოლიტი კლიმენტი თავისი დროის განათლებული პიროვნება ყოფილა, რომელიც იცნობდა ჰომეროსის კლასიკურ ნაწარმოებებს, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ ნაშრომებს<sup>32</sup>.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ იზიასლავ მსტისლავის ძეს სათანადო სერიოზულობით ჰქონდა მოფიქრებული ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორც იყო რუს ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაუკითხავად რუსი მიტროპოლიტის არჩევა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკური აქტის ყოველი დეტალი წინასწარ იყო გათვალისწინებული, კლიმენტის მიტროპოლიტად დასმამ გამოიწვია მწვავე პროტესტი როგორც პრობიზანტიურად განწყობილი სამღვდლოების, ასევე დეცენტრალიზაციის ძალთა მხრივ, რომელთაც არ სურდათ კიევის მთავრის გაძლიერება საერო და სასულიერო ძალაუფლების მჭიდრო კავშირის შექმნის შედეგად.

სახელმწიფოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე დეცენტრალიზაციის მომხრენი უფრო მძლავრნი აღმოჩნდნენ. ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში მიტროპოლიტად რუსის დანიშვნა

<sup>30</sup> იხ. А. А. Шахматов, Киево-Печерский Патерик и Печерская летопись. ИОРЯС АН, т. 3, к. II, 1897, გვ. 835.

<sup>31</sup> Н. Н. Никольский, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>32</sup> Н. Н. Никольский, დასახ. ნაშრ., სტრიქონი 18 — 21: «Аз писах от Омира, и от Аристоля, и от Платона, иж во елиньских цырех славне беша...»

შეუძლებელი იყო. მეტოქე რუსი მთავრები არ დაუშვებდნენ, რომ ერთ მათგანს რუსული ეკლესიის მეთაურად დაესვა თავისი კანდიდატი, რომელიც მას სხვა მთავრების წინააღმდეგ მხარდაჭერას ვაუწყებდა<sup>33</sup>.

1147 წ. 27 ივლისს გამართულ რუს ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებას ლავრენტის მატეანეს თანახმად ექვსი ეპისკოპოსი ესწრებოდა<sup>34</sup>, ხოლო იპატის მატეანით—შვიდი<sup>35</sup>. მაგრამ, ამჟამად დადგენილია, რომ ნიფონტი ნოვგოროდელი და მანუილ სმოლენსკელი საეკლესიო კრებას არ დასწრებიან და კლიმენტის არჩევის საწინააღმდეგო მოსაზრებანი მოგვიანებით გამოთქვეს, მომხდარი ამბის შემდეგ<sup>36</sup>. ამრიგად, საეკლესიო კრებას, იმ დროს არსებული 10 საეპისკოპოსოდან, 5 ეპისკოპოსი ესწრებოდა. ამ ხუთმა ეპისკოპოსმა კამათის შემდეგ კლიმენტი მიტროპოლიტად აირჩია. ნიფონტი ნოვგოროდელი და მანუილ სმოლენსკელი, რომლებმაც შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს კლიმენტის არჩევის მიმართ, თავიანთ მოსაზრებას იცავდნენ კანონიკური ხასიათის დასაბუთებით: „არა არს იგი კანონში, რათა დასვან ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტი გარეშე პატრიარქისა, მიტროპოლიტს პატრიარქი სვამს“<sup>37</sup>. მაგრამ საეკლესიო კრების ყველაზე ავტორიტეტულ პირს, ჩერნიგოვის ეპისკოპოსს, ონოფრეს მიტროპოლიტის არჩევა ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაზე სრულიად დასაშვებ ამბად მიაჩნდა. „მე ვიცი, რომ ეპისკოპოსებს აქვთ მიტროპოლიტის დასმის უფლება“<sup>38</sup>—შეედავა იგი მოწინააღმდეგეებს. მართლაც, არსებული კანონიკური წესის თანახმად, პატრიარქს, მიტროპოლიტის არჩევის შემდეგ, მხოლოდ მისი ხელდასმის უფლება ეძლეოდა, თვით არჩევა კი, იმავე წესით, უნდა მომხდარიყო მიტროპოლიტის ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაზე<sup>39</sup>. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების ამ 28-ე მუხლს რუსეთის მიმართ სისტემატურად არღვევენ კონსტანტინოპოლის პატრიარქები. და რუსეთის სამიტროპოლიტო ტახტზე თავიანთ კანდიდატებს ნიშნავდნენ.

ამრიგად, კანონიკური წესების თვალსაზრისით კლიმენტის არჩევა სავსებით კანონიერი იყო. მაგრამ ძალაში რჩებოდა იმავე წესის მეორე მხარე: ეპისკოპოსთა საეკლესიო კრებაზე არჩეული მიტ-

<sup>33</sup> И. У. Будовиц, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 406.

<sup>34</sup> *Летопись по Лаврентьевскому списку*, СПб, 1872, გვ. 299.

<sup>35</sup> იპატის მატეანე, გვ. 340-341.

<sup>36</sup> об. Е. Е. Голубинский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 305, *შენიშვნა 2*. აგრეთვე М. Д. Приселков, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 376.

<sup>37</sup> იპატის მატეანე, გვ. 341.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 340.

<sup>39</sup> Е. Е. Голубинский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 271 — 272.

რობოლიტი უფლებამოსილად არ ითვლებოდა და ვერ შეუდგებოდა თავის საქმიანობას პატრიარქის ხელდასხმის გარეშე. ისარგებლეს რა ამით, მიუხედავად კლიმენტის არჩევის კანონიერებისა, ნიფონტმა და მანუილმა არ სცნეს მისი უფლებები და მასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს («А не поклониве ти ся, ни служиве, с тобою, зане не взяа еси благословения у святое Софыи, ни от патриарха»)<sup>40</sup>. ისინი მზად იყვნენ მხოლოდ პატრიარქის მიერ ხელდასმის შემდეგ ეცნოთ საეკლესიო კრების გადაწყვეტილების სამართლიანობა («и тогда тияя поклониве»)<sup>41</sup>. 1147 წ. საეკლესიო კრების შემდეგ რუსეთში დაიწყო მძაფრი ბრძოლა მთავართა ორ კოალიციას შორის, რომელმაც დროებით უკანა პლანზე მოაქცია მიტროპოლიტის არჩევის კანონიერების საკითხი. მაგრამ 1151 წ., როდესაც იზიასლავ მსტისლავის ძე ხელმეორედ დამკვიდრდა კიევიში, ეს საკითხი კვლავ უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში, რადგან კლიმენტი, კანონიერი წესების თანახმად, ამ ხნის განმავლობაში ფორმალურად სამიტროპოლიტო ტახტზე დაუსმელი რჩებოდა, რაც იზიასლავის მტრებს აძლევდა საფუძველს, არ ეცნოთ იგი რუსეთის ეკლესიის მეთაურად. ეს, კი უდავოდ ამცირებდა მის მნიშვნელობას, როგორც იზიასლავის მოკავშირისას. შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად კიევის მთავარს ან უნდა ეცნო თავი დამარცხებულად და თანხმობა განეცხადებინა ბიზანტიიდან ახალი, ბერძენი მიტროპოლიტის გამოგზავნაზე, ანდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის გვერდის ავლით კლიმენტის ხელდასხმის საკითხის გადასაჭრელად მიემართა რომელიმე მართლმადიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურის დახმარებისათვის. იზიასლავს ამით შეეძლო მოესპო მიზეზი, რომელიც საშუალებას აძლევდა მის მტრებს არ ეცნოთ კლიმენტის ძალაუფლება.

პირველი შესაძლებლობა თავისთავად გამორიცხულია, რადგან ცნობილია, რომ იზიასლავის მთავრობის უკანასკნელ დღემდე სამიტროპოლიტო ტახტი კლიმენტის ეკავა და სხვა მიტროპოლიტი ბიზანტიიდან არ გამოუგზავნიათ. მეორე შესაძლებლობის განხორციელების შესახებ მათიანეები არას გვეუბნებიან, მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ისინი გვაწვდიან ცნობას იზიასლავ მსტისლავის ძის ქართველი მეფის ასულზე დაქორწინების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კლიმენტ სმოლიატიჩის ხელდასხმის საკითხსა და იზიასლავ მსტისლავის ძის ქართველი მეფის ასულთან ქორწინებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი, რომელმაც წყაროებში ასახვა ვერ ვპოვა.

40 იპატის მათიანე, გვ. 341.

41 იქვე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იზიასლავის ქორწინება პოლიტიკური მიზეზით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მაგრამ ისმება საკითხი: რა კონკრეტული მიზანი ამოქმედებდა იზიასლავს შორეულ საქართველოსთან ნათესაური კავშირის დამყარების დროს? ი. ცინცაძის აზრით, იზიასლავის გადაწყვეტილება, განპირობებული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, ქართველი ხელმწიფეების „მეფის“ ტიტულით, რასაც იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, ის, შესაძლებელია, ფიქრობდა საქართველოს საშუალებით, რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ყივჩაყთა სახელმწიფოსთან, შეენელებინა ამ უკანასკნელის შემოტევა კიევის სამთავროს მიწებზე<sup>42</sup>. ჩვენი აზრით, ორთავე დასახელებულ მიზეზს შეიძლება ზელი შეეწყო კიევის მთავრის ქართველ მეფეებთან დანათესავებისათვის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი, გადამწყვეტი ვერ იქნებოდა ამ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმის დროს. საქმე ისაა, რომ კიევის მთავრები X ს-დან მოყოლებული თითქმის სისტემატურად იმყოფებიან ნათესაურ კავშირში ბიზანტიის და დასავლეთ ევროპის იმპერატორებსა და მეფეებთან. ამ მხრივ, კიევის რუსეთში ერთგვარი ტრადიციაც დამყარდა. ეს ტრადიცია არც იზიასლავის საგვარეულოს დაურღვევია<sup>43</sup>. იზიასლავი რომ „მეფის“ ტიტულით ყოფილიყო დაინტერესებული, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ მასაც მოეყვანა ცოლი დასავლეთიდან, რომელთანაც მეგობრულ და ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა და რასაც მას არსებული ტრადიცია უკარნახებდა.

რაც შეეხება ყივჩაყთა საკითხის მოგვარებას საქართველოს დახმარებით (რაც თავისთავად გამორიცხული არ არის), იზიასლავს, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო ქმედითი საშუალება გააჩნდა: მას შეეძლო ყივჩაყთა მთავართან მოყვრობა იმავე ქორწინების გზით. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრებს ხშირად ჰყოლიათ ცოლებად ყივჩაყთა მთავრების ასულები. მაგრამ, როგორც ვიცით, იზიასლავი არც ერთ ამ ჩვეულ გზას არ გაჰყოლია და ცოლად ქართველთა მეფის ასულის მოყვანა გადაწყვიტა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს კიევის მთავარ იზიასლავის ქართველი მეფის ასულზე დაქორწინების მიზეზებისა თუ მიზნების რამდენადმე დამაყმაყოფილებელი ახსნა.

<sup>42</sup> ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

<sup>43</sup> ასე, მაგალითად, მისი დები მალფრედი, ინგებორგა და ეფროსინე გათხოვილი იყვნენ შვედეთის, პოტლანდის და უნგრეთის მეფეებზე, ხოლო მის შვილს მსტისლავს ცოლად პოლონეთის მეფის ბოლესლავის ასული ჰყავდა.



მთავარი მიზანი, მძლავრ ქართულ სახელმწიფოსთან დაახლოების ცდისა, ჩვენი აზრით, ის უნდა ყოფილიყო, რომ კიევის მთავარს სურდა საქართველოს დახმარებით გადაეწყვიტა ჩიხში შესული საეკლესიო საკითხი.

ამ ცდის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს იზიასლავის ქართველი მეფის ასულთან ქორწინებაც, რის შესახებ ცნობა რუსულმა მატრიანებმა შემოგვინახეს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კლიმენტ სმოლიატიჩის ხელდასხმის საკითხის გადასაწყვეტად იზიასლავ მსტისლავის ძემ ქართული ეკლესიის მეთაურს მიმართა და ამ საკითხზე გამართული მოლაპარაკების დროს მისი ქორწინების საკითხიც გადაწყდა. ეს მოსაზრება რომ არ არის საფუძველს მოკლებული, ამაში გვარწმუნებს, პირველ რიგში, იზიასლავ მსტისლავის ძის პოლიტიკური კომბინაციების ფართო საერთაშორისო ხასიათი, რომელსაც ზემოთ გავეცანით, და აგრეთვე იმ დროის საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. როგორც ცნობილია, XII ს-ის შუა წლების საქართველო წარმოადგენდა ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის მქონე მძლავრ ფეოდალურ სახელმწიფოს. ახლო აღმოსავლეთში მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო მცირე, არამედ ისეთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანებანი, როგორიც იყო ბიზანტიის იმპერია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ XI ს-ში საქართველოს მოუხდა მძაფრი ბრძოლის გადატანა ბიზანტიის იმპერიასთან თავისი ეკლესიისათვის ავტოკეფალობის მოპოვებისათვის<sup>44</sup> და რომ ამ ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოვიდა (რის შესახებაც უდავოდ ექნებოდა მიღებული ცნობა კიევის მთავარს), ჩვენ მიერ გამოთქმული შესაძლებლობა უნდადავოდ არ უნდა მოგვეჩვენოს. ავტოკეფალიის მქონე ქართული ეკლესიის მეთაურს ჰქონდა კლიმენტის ხელდასხმის უფლება და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სიამოვნებით ისარგებლებდა ამ უფლებით, როგორც ქართული ეკლესიის პრესტიჟის ამაღლების, ისე კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამცირების მიზნით.

ზემომოყვანილ დასაბუთებას ისიც უნდა დაერთოს, რომ რუსეთისათვის საქართველო ავტოკეფალური საეკლესიო ორგანიზაციის მქონე უახლოეს მეზობელ მართლმადიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა; ეს გეოგრაფიული ფაქტორიც იზიასლავ მსტისლავის ძის პოლიტიკური მიზნებისათვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

<sup>44</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1965, II, გვ. 181-186.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ XII ს-ის 40-50-იან წწ. ჩვენ მიერ განხილულ ფართო საერთაშორისო ბრძოლაში, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც იღებდა მონაწილეობას და ქაიკვლესიო საკითხის გადაწყვეტაში მხარს უჭერდა კიევის მთავარს, ამით უნდა აიხსნებოდეს იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინებაც ქართველთა მეფის ასულზე, რითაც განმტკიცდა საქართველოსა და კიევის სამთავროს საეკლესიო-პოლიტიკური კავშირი. მაშასადამე, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა XII ს-ში არა შემთხვევით, არამედ ღრმა პოლიტიკური საფუძვლის მქონე ამბავ უნდა წარმოვიდგინოთ. იმ დროს კიევის რუსეთი და საქართველო საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხებს ერთნაირად წყვეტდნენ, რის გამოც, ბიზანტიის იმპერიის მსოფლიოზე გაბატონების პრეტენზიების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი მოკავშირეობა ბუნებრივად გამოიყურებოდა. მაგრამ იზიასლავ მსტისლავის ძეს არ დასცალდა თავისი ფართო პოლიტიკური გეგმების განხორციელება. ქორწინების შემდეგ სულ მოკლე ხანში, 1154 წ. იგი გარდაიცვალა<sup>45</sup>. მის გარდაცვალებასთან ერთად რუსული ეკლესიის ნაციონალიზაციის საკითხიც მოიხსნა დღის წესრიგიდან. იგი გადაწყდა მხოლოდ მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის პირობებში.

სამწუხაროდ, წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან იმაზე, თუ რა ბედი ეწვიათ ჩვენ მიერ განხილული საინტერესო ისტორიული ეპიზოდის მოქმედ პირებს — კლიმენტ სმოლიატიჩის და ქართველთა მეფის ასულს იზიასლავის გარდაცვალების შემდეგ.

---

<sup>45</sup> იპატის მატიაწე, გვ. 469.



тий, представляет историческая касида ученика Хакани Фелеки Ширвани (родился ок. 501—1107/8, умер в 551—1156 г.), написанная на смерть сына Давида IV царя Деметре I.

Как известно, в XII веке Грузией правила династия царей из рода Багратиони, а Ширваном династия ширваншахов Кесранидов.

В царствование Давида IV Строителя (1089—1125) и в правление ширваншаха Фаридуна I (убит в мае 1120 г.)<sup>1</sup> общие интересы борьбы за освобождение от сельджукского господства обусловили сближение Грузии и Ширвана, в результате чего возникает династический брак. Давид IV выдает свою дочь Тамар за сына Фаридуна I — Фахр ад-дина Минучихра II.

Историк Давида сообщает об этом следующее: «В том же (1116) году [Давид] отправил свою дочь Катю в Грецию замуж за сына греческого императора.<sup>2</sup> А до этого он отправил свою старшую дочь Тамар царствовать над Ширваном».<sup>3</sup>

Оба эти мероприятия должны были иметь благоприятное влияние на политическое положение Грузии. Безопасность страны была обеспечена со стороны Ширвана и Греции и Давид Строитель мог все свои силы направить на изгнание сельджуков.<sup>4</sup>

Давид IV вел непрерывную войну против сельджукских завоевателей и вскоре почти полностью изгнал их из Грузии. После этого он перенес войну за пределы страны и в 1117—1120 годах совершил несколько набегов на Ширван.<sup>5</sup>

В 1123 г. сельджукский султан Махмуд вторгся в Ширван, захватил Шемаху и пленил ширваншаха Минучихра II. При помощи грузинского войска территория Ширвана была очищена от неприятеля.<sup>6</sup>

В 1124 г. Давид занял Шемаху и поставил там свой гарнизон, но после его смерти город был возвращен Минучихру II.

<sup>1</sup> Карлис цховреба, под ред. С. Г. Каухчишвили, I, Тб. 1955, (на груз. яз.), стр. 339; *Histoire de la Géorgie*, I, стр. 364.

<sup>2</sup> Она была невестой Алексея, сына Никифора IV Вриенния.

<sup>3</sup> Карлис цховреба, I, стр. 334; *Histoire de la Géorgie*, I, стр. 360.

<sup>4</sup> И. А. Джавахишвили, История грузинского народа, II, Тб., 1965 (на груз. яз.), стр. 198.

<sup>5</sup> Карлис цховреба, I, стр. 334, 339; *Histoire de la Géorgie*, I, стр. 360, 361, 380. См. также, Н. А. Бердзенишвили и др., История Грузии, I, Тб., 1962, стр. 162—164.

<sup>6</sup> Имад ад-дин Исфакхани, Таварих ал Салджук, Лейден, 1889, стр. 139—141; Ибн ал-Асир, X, стр. 234, 235; Карлис цховреба, I, стр. 343.

В 1125 г. на грузинский престол вступил сын Давида IV Деметре I. С этого года в грузино-ширванских отношениях начинается новая полоса — в царствование Деметре I (1125—1156), т. е. в течение 30 лет, между двумя государствами царили мир и спокойствие. Не было совершено ни одного набега ни с одной стороны.

Грузинский царский род Багратиони владел обширными землями не только в самой Грузии, но и в Армении.<sup>7</sup> Известно, что этот род начал царствовать в Грузии в VIII в., а первым представителем династии был Адарнасе (ум. в 779 г.).

Знаменитый Хакани называет грузинских Багратиони «Бакратиан»:

من و ناچرمکی و دیر مخران \* در بقراطیان جا و ملجا

Я и Начармаги и монастырь Мухран<sup>8</sup>.

Мое жилище и убежище — ворота Багратидов<sup>9</sup>.

Фелеки Ширвани называет Багратионов «Бакрат»:

دبمطری داؤد سر تخمه بقراط \* کز تخمه او کشت مملک ببر آورد

Деметре, сын Давуда, глава рода „Баграт“,

Кто своим семенем сделал плодородной всю страну.

По грузинским источникам Давид IV родился в 1073 году; в 1189 г. в возрасте 16 лет занял после отречения своего отца Георгия II, престол;<sup>10</sup> умер 24 января 1125 г.<sup>11</sup> Он имел двух сыновей — Деметре и Вахтанга (Цвата),<sup>12</sup> и двух дочерей: Катю и Тамар.

В 1117 г., по приказу отца, Деметре нападает на Ширван и занимает крепость Каладзор<sup>13</sup>. Следует отметить, что

<sup>7</sup> W. Allen, A History of the Georgian People, London, 1932, стр. 81.

<sup>8</sup> „Начармаги“ от „Начармагеви“ — царский лес в Картли, восточнее Лиахви; Мухрани — городок и р-н восточнее Нижи. Ксани. См. Histoire de la Géorgie, I, стр. 351, 359; История и восхваление венценосцев, изд. К. С. Кекелидзе, Тб., 1954, стр. 21, 30, 101. Издатель „Куллиат-е Хакани“ считает „Наджурмак“ именем монаха.

<sup>9</sup> Куллиат-е Хакани, Тегеран, 1316, стр. 22.

<sup>10</sup> Картлис цховреба, I, стр. 324; Histoire de la Géorgie, стр. 10, прим. 4.

<sup>11</sup> Картлис цховреба, I, стр. 362.

<sup>12</sup> Вахтанг родился в 1118 г. (Картлис цховреба, I, стр. 337). Позднее он оспаривал царский престол у своего старшего брата Деметре (И. А. Джавахишвили, ук. соч., стр. 223 — 224; История Грузии, I, стр. 191).

<sup>13</sup> Картлис цховреба, I, стр. 334, 365 — 366; Histoire de la Géorgie, I, стр. 360, 381; См. также, Н. Hasan, Falaki-i Shirwani. His Life, Times and Works, London, 1929, стр. 8.

военные кампании Грузии в 1117 г. осуществлялись под предводительством Деметре, а не Давида, как считал В. Ф. Минорский в статье «Шеки» в «Энциклопедии ислама».

В 515 (1121) году Деметре сопровождал отца при штурме Тбилиси<sup>14</sup>, а в 1125 г. он, говоря словами Фелеки, стал главой рода Багратиони.

Не успел Деметре пробыть на троне и одного года, как шаддадид Фадлун ибн Абу-л-Асвар Шавур II взял Ани, который с 1124 г. принадлежал Грузии. Однако, Деметре активных мер для возвращения Ани предпринять не успел, т. к. крепость снова сдалась грузинам в 1126 г.<sup>15</sup>

Через некоторое время сам Деметре принимает активное участие в военных мероприятиях: Он взял Дманиси и Хунани — два ключа к Триалети — и разбил тюрок на равнине Гаги<sup>16</sup>. Однако, в целом, Деметре утрачивает ведущую роль на Кавказе, терпя ряд военных неудач<sup>17</sup>, которые были обусловлены событиями, назревавшими внутри грузинского феодального общества<sup>18</sup>.

Грузинские и армянские источники характеризуют Деметре как славного воина и энергичного правителя. Однако, по словам акад. И. А. Джавахишвили, жизнь и деятельность Деметре покрыта тайной и даже неизвестно на чем основана такая популярность этого царя<sup>19</sup>.

Если грузинский хронист, писавший уже в первой четверти XIII века, в правление сына царицы Тамар — Георгия IV, был вынужден ограничивать повествование о Деметре, то Фелеки это обстоятельство не стесняло. Он пишет, что Деметре «в течение 63 лет своим талантом, знанием и мужественностью устанавливал в мире каждый день новый порядок» и что «времена, подобно посольным, постоянно приносили ему послания о победе о завоевании».

Однако, указание Фелеки, что каждый день царствования Деметре «приносил новые победы», не находит подтверждения в других источниках.

<sup>14</sup> Ибн ал-Асир, X, стр. 215: Ibn al-Qalanisi, History of Damascus 363 — 555 АН., Leyden, 1908, стр. 205.

<sup>15</sup> Kasravi Tabrizi, Shahriyaran-e Gomnam, III, Tehran, 1930, стр. 63 — 65; См. также: V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953.

<sup>16</sup> Histoire de la Géorgie, I, стр. 382, прим. 2; W. Allen, A History of Georgian People, стр. 102.

<sup>17</sup> Там же.

<sup>18</sup> История Грузии, I, стр. 190.

<sup>19</sup> И. А. Джавахишвили, История грузинского народа, II, стр. 221.

Исторические источники зафиксировали только три значительные военные кампании Деметре: В 1130 г. он разбил в сражении Насир ад-дина Шах-Армена и взял большие трофеи<sup>20</sup>. В 1139 г., после землетрясения, он захватил Гянджу и увез ворота города в качестве трофея<sup>21</sup>. Но самым значительным военным успехом Деметре была его победа над войсками мусульман под городом Ани в 1154 г. и пленение правителя Арзрума Изз ад-дина Салтука<sup>22</sup>. В этом же году Деметре I удалился в монастырь, а царский трон занял его сын Давид, который после 6-месячного правления был отравлен еще при жизни отца<sup>23</sup>. Деметре немедленно вернулся к власти, покинув монастырь, и в 1156 г. возвел на трон своего второго сына Георгия III (1156—1184)<sup>24</sup>.

Грузинские источники не сохранили даты рождения Деметре. Время его смерти датируется между 1154 — 1156 гг. Этот пробел восполняется сообщением Фелеки, который отмечает, что Деметре умер в возрасте 63 лет.

Как уже было указано, Давид IV, отец Деметре, родился в 1073 г. Ко времени рождения Деметре ему было около 20 лет, и Деметре, следовательно, родился около 1093 г., а не в 1091 г. Умер он в 1156 году<sup>25</sup>. Деметре был старшим сыном Давида Строителя, старше Тамар, которая была старше Каты. Самым младшим был Вахтанг.

Ниже прилагаются составленная нами генеалогическая таблица и персидский текст произведения Фелеки Ширвани—«Ода на смерть Деметре I» с подстрочным переводом.

---

<sup>20</sup> Карглис цховреба, I, стр. 366; *Histoire de la Géorgie*, I, стр. 381. См. также, И. А. Джавахишвили, История грузинского народа, II, стр. 222.

<sup>21</sup> Мхитар Гош, Албанская хроника, Баку, 1960, стр. 11—12; Киракос Гандзакети, История, Баку, 1946, стр. 63, 103; Имад ад-дин Исфакхани, стр. 190. См. также, И. А. Джавахишвили, История грузинского народа, II, стр. 223; З. М. Буниятов, Новые материалы о землетрясении в Гяндже в 1139 г. Доклады АН АзССР, XXI, № 1, 1965, стр. 55—58.

<sup>22</sup> Мхитар Гош, стр. 18; Ибн ал-Асир, X, стр. 125—126; *Ibn al-Qalanisi*, стр. 328; История и восхваление венценосцев, стр. 44.

<sup>23</sup> Мхитар Гош, стр. 17—18; Вардан, гл. 78, стр. 126;


<sup>24</sup> Мхитар Гош, стр. 18; Карглис цховреба, I, 366—367; История и восхваление венценосцев, стр. 18.

<sup>25</sup> Такая же датировка имеется у акад. И. А. Джавахишвили (Ук. соч., стр. 226—228) и в «Истории Грузии» (стр. 191).

ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ ТАБЛИЦА ГРУЗИНСКИХ БАГРАТИОНИ  
И ШИРВАНШАХОВ — КЕСРАНИДОВ В XII ВЕКЕ

Давид IV Строитель  
1089 — 1125

34.1359-40  
303-3041333







0419368320  
1010000

۳  
گر دوزخ که بگردش ز جهان گرد بر آورد  
خاری و چه خاری بدل چرخ فرو برد  
بر بود ز تخت ملکی تاجوری را  
شاهنشاه ابخاز و شکی، خسرو آفاق  
دیپتری داود، سر تخمه بقراط  
شمشیر مسیح، آنکه ساحات فلک  
دردا که چنان دادگری را ز جهان زد  
دردا که چنان تاجوری را ستم چرخ  
دردا که پدر از سر تخت پدر وجد  
در ملک چنان بود که در چرخ سعادت  
در خاک چنان خفت که شیران جهان  
شک نیست که تاریخ و فاش خلی صعب  
شد زیر زمین آنکه زمانه چو برید ان  
آوخ که شد از خاک سبک مایه، گران بار  
آوخ که بقهر اجل از کار فرو ماند  
او برد ز عالم اثر خویش و در آفاق  
آن خود چه زمان بود که از عزت عمرش  
این خود چه قران بود که از چرخ چهارم

باز از مدد فتنه بعالم حشر آورد  
خونی و چه خونی زرگ ملک بر آورد  
کز ماتم او سور جهانی بسر آورد  
کو باج بخاور همی از باختر آورد  
کز تخمه خود گشت ممالک بر آورد  
در کوبه رایت گردون سپر آورد  
دست فلک خیره سر از پای در آورد  
از نقطه امید بخط خطر آورد  
شد - روی سوی تخمه جد و پدر آورد  
از قوت کن آتش نیکون شر آورد  
خم در قد و غم در دل و تف در جگر آورد  
در قاعده عالم و عدل عمر آورد  
دایم سوی او نامه فتح و ظفر آورد  
شخصی که ز دل فعل قضا و قدر آورد  
دستی که ز دریای سعادت در آورد  
تأثیر و فاش اثر شور و شر آورد  
صاحب خبر آمد سوی شروان خبر آورد  
خورشید فلک را بچهارم گهر آورد



در شصت و نهم سال از هنر و دانش مری  
 آن مادر فرزندکش از عالم جانی  
 و آخر چو بدوران کمالش برسانید  
 چون وقت سفر، بتایید، هنر داد  
 اورفت ز دنیا و جهان مدت عمرش  
 شروانشه غازی ملک عالم عادل  
 فریاد رس خلق جهان شاه منوچهر  
 آن شیر شکاری که بتاثر عنایت  
 ای روشنی دیده و کام دل گردون  
 گردون ز سهینی گوهر طرف کله خویش  
 دادار، پدیدار از آن رای محیط  
 گرد حرم عالی معصوم مقدس  
 او عالم عقل است شناسد که بر خلق  
 جز صبر چه چاره است که ایند همه گانزل  
 چون نیست درین منزل آشفته قراری  
 هم شکر شود واجب و هم صبر دهد کام  
 جز شکر که بردارد و جز صبر که یارد  
 داد ایند مقصود بدان پرده عصمت  
 عالی ملک قادر قاهر دوبرادر  
 فروخته چهار اختر و فروخته دو گوهر  
 گر بود پدر سایه شفقت ز سر او

هر روز در آفاق نهاد دگر آورد  
 چون او پسری زاد و پرورد و بر آورد  
 او بستد اگر داده وهم بود گر آورد  
 الحق چه نگو نیت عزم سفر آورد  
 در مدت عمر ملک دادگر آورد  
 کاندز ملکی فخر بداد و هنر آورد  
 کافاق فلک بر سر خیل خزر آورد  
 از گربه ماده هنر شیر نر آورد  
 کوز نام تو، عالم، مدد و زیب و فر آورد  
 پیش تو که بینی گوهر طرف که آورد  
 دریای فلک را بشمار شمرا آورد  
 ایام ز تاثیر مصائب اثر آورد  
 حق عزوجل زخم اجل کارگر آورد  
 در راه وجود، از پی این رهگذر آورد  
 رست آنکه شد و روی بدان مستقر آورد  
 کاین حادثه خار از دل دولت بدآور  
 شهری که مدار فلک اندر مدار آورد  
 داد آنچه بدان دور فلک مفتخر آورد  
 کایام بهر یک ز ظفر صد نفر آورد  
 کاینرد ز بقاشان بجهان زیب و فر آورد  
 باقبال بدو مژده سیصد پسر آورد



از پردهٔ صفوت بحجاب کدر آورد  
آمد ملک و ابر سعادت مظر آورد  
زین شام نواب شب نکرت سحر آورد  
در عمر تو و عمر شه دادگر آورد  
کایزد بشما قدرت خود را حشر آورد

هر چند گزین حادثه آثار و را چرخ  
گو بیش مخور غم تو که بر باغ امیدت  
خوش باش که چرخ از قبل روز مرادت  
اورفت زد دنیا و جهان مدت ملکش  
تا حشر بقا باد ترا با ملکانت

### ФЕЛЕКИ ШИРВАНИ

#### ОДА НА СМЕРТЬ ЦАРЯ ДЕМЕТРЕ I

Еще раз вращающиеся небеса подняли земную пыль  
И с помощью беспорядка создали судный день!

Занозу, какую занозу, они вонзили в сердце земного шара!  
Кровь, какую кровь, они выпустили из вен страны!

Они вырвали прочь из царственного трона венценосного правителя,  
От скорби по которому пресеклась мирская радость.

Шахиншах Абхаза и Шаки, царь горизонтов,  
Кто доставлял на Восток подати с Запада —

Деметре, сын Давида, глава рода Бакрат,  
Кто своим семенем сделал плодородной всю страну;

Меч Христа, что привел пространство небес  
Под свой звездный флаг.

Увы! Власть своенравного неба  
Весьма поспешно унесла из мира такого справедливого человека!

Увы! Тирания небес вытащила такого владыку  
Из средоточия надежды к границам [смертельной] опасности!

Увы! Он уйдя с трона своего отца и деда,  
Должен повернуться лицом к гробовой доске своих предков!

В царстве он был подобен прекрасной фортуне в [хрустальных] небесах:  
С силой «Будь» он создает огнеизлучающие искры из «оно бивает»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Коран, XIX, 36.

Он так отошел ко сну в земле, что согнул стан.

Опечалил сердца и огорчил печень [тех, кого считают] львами мира.

Несомненно, что дата его смерти причинит бедствие,  
Которое повлияет на порядок мира и справедливость

Омара Гибн  
па Хаттаба

Ушел под землю такой человек, которому времена,  
Подобно посыльным, постоянно носили послания о победе и завоевании.

Увы! И такой вот человек засыпан землей!

Человек, через сердце которого действовали рок и судьба!

Увы! Такие вот руки, что доставали жемчужины из моря счастья.  
Были обесидены жестокостью смерти!

Он унес свои следы из мира, но влияние его смерти  
Оставило в мире следы смуты и бунта.

О, какое [ужасное] время настало, когда  
Посланец прибыл в Ширван и принес новость о его кончине!

О, какое [ужасное] время настало, которое низвергло вниз  
Солнце судьбы с четвертых небес к четвертому элементу<sup>2</sup>.

В течение 63 лет своим талантом, знанием и мужественностью,  
Он устанавливал в мире каждый день новый порядок.

Тот мир, что породил, вскормил и взлелеял  
Такого сына в мире живых,

В конце концов доведя его до полного совершенства. И если сама  
Привела [его], сама же взяла назад и если она сотворила, то сама же  
сгубила.

Когда время путешествия стало ближе, она оказала ему помощь  
[на его пути]:

Поистине с какими прекрасными намерениями он отправился в свое  
последнее путешествие!

Он оставил мир, и мир увеличил продолжительность его жизни  
Продолжительностью жизни справедливого царя.

Ширваншах, Гази, справедливый царь мира!

Кто своим превосходством и справедливостью принес славу царству.

Защитник человечества, шах Минучихр,  
Который обрушил злобу небес на голову хазарских ватаг<sup>3</sup>.

<sup>2</sup> По средневековой мусульманской космографии солнце находилось на четвертых небесах; четыре элемента — огонь, воздух, вода и земля. Здесь земля четвертый элемент.

<sup>3</sup> Имеются в виду победы Минучихра II над аланами и кипчаками в начале его правления.

Тот охотник за львами, кто влиянием своей заботы  
Добился от кошки ловкости льва.

О, свет глаз и страсть сердца небес!  
От твоего имени мир приобрел помощь, красоту и славу!

Небесный свод сделал самую блестящую диадему на его тиаре,  
Самым ничтожным бриллиантом мира!

С твоей обширной, как океан, мудростью  
Бог сделал небесное море похожим на омут!

Если времена, с их пагубным влиянием  
Не пожелали твоего благородства, чистоту и святого гарема,

Она (шахиня Тамар) — мир ума, и знает, что для [смертного] человека,  
Бог, преславный и всевышний, делает смертельную рану неизлечимой!

Какое лекарство спасет, кроме терпения, если Бог привел  
Всех нас в бытие [лишь] для того, чтобы пройти этот проход [смерти].

С тех пор, как в этом обезумевшем доме (т. е. мире) нет спокойствия,  
Свободен лишь тот, кто отправился в вечность и повернул свое лицо к  
тому постоянному жилищу.

Благодарность становится обязательной, а терпение принесет  
удовлетворение,  
Так же, как воцарение наместника выдергивает шип из сердца  
государства Ширван.

Что кроме терпения и благодарности может привести в порядок  
Тот беспорядок, учиненный небесами на земле?

Тому покрывалу целомудрия (шахине Тамар) Господь дает то,  
Чем могут гордиться вращающиеся небеса.

Возвышенный царь, могущественный, непобедимый; два брата:  
Каждому из которых мир принес сто рабов в виде победы;

Четыре благоприятных звезды и две благоприятных жемчужины<sup>4</sup>.  
Благодаря их существованию Бог дал миру великолепие и блеск.

Когда умер ее отец, счастливая случайность  
Принесла ей [взамен] счастливую новость трехсот сыновей.

Хотя в результате этой трагедии небеса перенесли ее  
Из-под лучших занавесей под мрачное покрывало [смерти].

<sup>4</sup> Четыре сына и две дочери Ширваншаха Минучихра II и Тамар.

Скажи ей: «Не мучайся чрезмерно!» и добавь: «Царь отошел в сад  
Твоей мечты и принесет при своем пробуждении облако, изливающее  
дождь счастья».

Будь радостна, ибо небеса приведут в исполнение день твоих желаний  
И превратят твои вечера бедствий и опасные ночи в рассвет!

Он ушел из мира — и продолжительность его правления  
Мир прибавил к твоей жизни и к жизни справедливого царя.

Живи со своими князьями до дня Воскресения ради того,  
Чтобы Бог вложил в вас свое могущество!

---



## АННОТАЦИИ

М. К. ДУМБАДЗЕ

### ИСТОРИЧЕСКАЯ ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ ГРУЗИИ И ШОТА РУСТАВЕЛИ

